

K

14 695

2

ბიბლიოთეკის
ნომერი 10133

ბარონდი ქიქოძე



ერეკლე მეთრა



ს ს ს ე ლ ბ ა მ ი

ბარონები შიშოძე



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს


9(47.92/2)14



ბარონები შიშოძე



R 14.695
2



სახელმწიფო
თბილისი - 1942

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

თანამედროვე ქართველი ერი ორი დიდი შენაკადისა, ძველი იბერიელებისა და კოლხებისაგან წარმოსდგა. როგორც იბერიელებმა, ისე კოლხებმა ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე ძველი ბერძნული, ელინისტური და რომაული კულტურის ძლიერი ზეგავლენა განიცადეს. თუ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ქართველი ერი გაერთიანდა და ერთი ძლიერი ფეოდალური მონარქია შექმნა, ამას ხელი შეუწყო არა მარტო მისი მთავარი შემადგენელი ეთნიური ელემენტების სისხლის ნათესაობამ, არა მარტო ბაგრატიონების დინასტიის და მცხეთის კათოლიკოსატის შორსმჭვრეტელმა და ენერგიულმა პოლიტიკამ, არამედ იმანაც რომ კოლხეთსა და იბერიაში ძლიერი იყო ერთი და იმავე მოწინავე ხმელთაშუა ზღვის ბასეინიდან მომდინარე კულტურის ტრადიციები. ამ ტრადიციების ჯაჭვის თავი იკარგება პრეისტორიაში, იმ ბუნდოვან ეპოქაში, როდესაც არგონავტების და პრომეთეს მითები შეიქმნა და როდესაც რიონის და ჭოროხის ხეობებში და შავი ზღვის სანაპიროებზე წინა აზიელი ბერძნების ახალშენები დასახლდნენ.

უკანასკნელ წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, არმაზის და კლდეეთის სამარხების ბრწყინვალე ინვენტარის მზის სინათლეზე ამოტანამ, მრავალმა გემმამ, რომელ-



ზედაც არა მარტო მითოლოგიური სიუჟეტები და პერსონაჟები არიან გამოხატული, არამედ იბერიის და კოლხეთის პიტიახშების პორტრეტებსაც ვხედავთ, — ყოველივე ამან უცილობლად ცხადჰყო, რომ წინაისტორიული პერიოდიდან მომავალი კულტურული ტრადიციის ჯაჭვი არ შეწყვეტილა ქართველი ერის ისტორიის გარიჟრაჟზეც. მით უმეტეს ეს ტრადიცია ძლიერდება მეოთხე-მეხუთე საუკუნიდან, როდესაც ჩვენს სამშობლოში ქრისტიანობა მკვიდრდება და ქართველი ერი ქრისტიანული მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი ხდება. ვახტანგ გორგასლანი, ბაგრატ მესამე, ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე არსებითად იმავე პოლიტიკის წარმოებას განაგრძობენ, რომელსაც რომის იმპერატორების მეგობარი იბერიელი მეფეები და ბიზანტიის ორიენტაციის კოლხელი მეფეები აწარმოებდნენ.

ამ კულტურული ტრადიციების კალაპოტიდან ქართველი ერი ამოაგდო არა მისი ხელმძღვანელების პოლიტიკის შეცვლამ, არამედ საშინელმა საერთაშორისო კატასტროფამ, რომელიც გამოწვეული იყო სტიქიონური სოციალური ძალებით, ხალხთა დაძვრით, ძველ იმპერიათა დაშლით და ახალ იმპერიათა წარმოშობით, მთელი წინა აზიური კულტურის ჩამოშლავით. ჯერ ჩინგიზ-ყაენის და თემურ-ლენგის ურდოების შემოსევის, ხოლო შემდეგ ბიზანტიის დამხობის და თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების წყალობით საქართველო მოსწყდა იმ კულტურულ წრეს, რომელსაც ის მანამდე ეკუთვნოდა, და დაემსგავსა განმარტოებულ კუნძულს, რომლის სანაპიროებს მღელვარე და მტრულად განწყობილი ოკეანის ტალღები ეხეთქებოდა.



ვად იმისა, რომ მეთხუთმეტე საუკუნიდან საქართველოს დი-
დი ფეოდალური მონარქია დანაწილდა და დაქვეითდა; სო-
ლო კერძოდ ქართლ-კახეთი ერანის პერიფერიად იქცა, უკა-
ნასკნელი გამოჩენილი ბაგრატიონები, ალექსანდრე კახთა
მეფე, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II შეუპოვრად
განაგრძობდნენ თავიანთი შორეული და მახლობელი წინა-
მორბედების პოლიტიკას. რუსეთთან დაახლოება მათთვის
წინმიმავალი კულტურის წრეში დაბრუნებას ნიშნავდა. ამ-
რიგად, ტრაგიკული გათიშვების მიუხედავად, ქართველი
ერის პოლიტიკური ისტორია მრავალი საუკუნის მანძილზე
მოკლებული არაა თანმიმდევრობას და საკმაოდ ჰარმო-
ნიულ შთაბეჭდილებას ახდენს.

ძნელია მეორე ისტორიული გმირის დასახელება, რომე-
ლიც ქართველ ერს ისე უყვარდეს, როგორც ერეკლე მეორე
უყვარს. რასაკვირველია, მისი არაჩვეულებრივი პოპულა-
რობა მართოდენ მისი სტრატეგიული გენიით არ აიხსნე-
ბა. ის აღტურვილი იყო ზნეობრივი ვალდებულების შეგნე-
ბით, რომელიც დღესაც წასაბაძად უნდა ჩაითვალოს ჩვენ-
თვის. ის იჩენდა გასაოცარ ინტერესს მეცნიერებისა და
ტექნიკური კულტურისადმი, მოულოდნელს ფეოდალური
წესწყობილების მიჯნაზე მდგომარე ადამიანისთვის. ბოლოს,
ის დაჯილდოებული იყო სწორი პოლიტიკური აზრითი,
რომლითაც მან არანაკლებ შეუწყო ხელი ქართველი ერის
გადარჩენას, ვიდრე თავისი ხმლით.

მთელ დედამიწის ზურგზე ხალხში გავრცელებულია
რწმენა, რომ დიდი ეროვნული გმირები კი არ კვდებიან,
არამედ აჩრდილისებურ სიცოცხლეს განაგრძობენ, რათა,
როცა ცოცხალ თაობებს გაუჭირდებათ, მათ დახმარება



გაუწიონ სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველი ერი თავის მოძმე ერებთან ერთად, რომელთანაც ჩვენს დაკავშირებას ყველაზე მეტად სწორედ ერეკლე მეფის პოლიტიკამ შეუწყო ხელი, დიდს სამამულო ომს აწარმოებს გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. მთელი ქართველი ერი გრძნობს, რომ საფრთხე, რომელიც დღეს მის არსებობას და კულტურულ მომავალს დასავლეთიდან ემუქრება კიდევ უფრო დიდია, ვიდრე ის საფრთხე იყო, რომელიც წინათ აღმოსავლეთიდან ემუქრებოდა. ამ განსაცდელის ქამს ის ინსტინქტურად სცდილობს მთელი თავისი მატერიალური და ზნეობრივი ძალების მობილიზაცია მოახდინოს. და იმ დროს, როდესაც დიდი რუსის ერი ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის და სუვოროვის აჩრდილებს მოუწოდებს, ქართველი ერი ბუნებრივად თავის პატარა კახს იგონებს.

I

კახეთის სამეფო.

საკმაოა კაცმა საქართველოს ისტორიულ რუკას დახედოს, რათა დარწმუნდეს, რომ კახეთს განსაკუთრებული ადგილი უნდა სჭეროდეს ჩვენი სამშობლოს წარსულში. მართალია, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომავალი მტერი თითქმის ყოველთვის საქართველოს გულისა — თბილისისაკენ მოიმართებოდა, მაგრამ საკმაო იყო ჩვენი დედაქალაქის დაჭერა, რომ კახეთი ფაქტიურად მოსწყვეტოდა დანარჩენ საქართველოს და თავისი საკუთარი ძალების ანაბარა დარჩენილიყო, როგორც ერანისა და წინა აზიიდან შემოსეული მტრის ლაშქრის, ისე დაღისტნის მთებიდან დაშვებული მოთარეშე რაზმების წინაშე. მუდმივი საფრთხე, რომელიც ამ პროვინციას გარეშე მტრისგან ელოდა, მის მოსახლეობაში იწვევდა იმ სულიერ მღვიძარებას, იმ სიფრთხილისა და მზადყოფნის გრძნობას, რომელიც ალყაშემორტყმული ბანაკის მხედრობას უნდა ჰქონდეს. ამიტომ საქართველოს ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებით მის უკანასკნელ საუკუნეებში, არც ერთ ქართველ ტომს არ გამოუჩენია მეტი სამხედრო სიქველე, ფიზიკური გამძლეობა, სიმამაცე, ქედმოუხრელობა, ვიდრე კახეთის სამეფოს მოსახლეობამ, შიდაკახელებმა, გარეკახელებმა, ქიზიყელებმა, თუშ-ფშავ-ხევსურებმა გამოი-



ჩინეს. ყველაზე მძიმე კრილობებს საქართველოს მტრებს, ჩვეულებრივ, ისინი აქდობდნენ და ყველაზე მეტად ცინიზმით ზიანდებოდნენ, თუ საქართველო მარცხდებოდა.

გარდა პატარა გურიისა, აჭარისა და აფხაზეთისა საქართველოში არ არსებობს მეორე პროვინცია, რომელიც კახეთს შეედრებოდეს თავისი ბუნების მრავალფერაობით. როგორც გურია-აჭარაში, ისე კახეთშიც სუბტროპიკული ჰავის ზონას ალპიური ჰავის ზონა სცვლის სულ მცირეოდენ მანძილზე. ივრის და ალაზნის ხეობა სამხრეთ-აღმოსავლეთით ნელ-ნელა გადადის ყარაიაზის და შირაქის ველებში, რომელნიც თითქო ძველი ალბანიის, ახლანდელი აზერბაიჯანის დაბლობის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენენ. აქ აღმოსავლეთის უდაბნოების სუნთქვა იგრძნობა, აქ ადამიანი თითქო დაშორებულია ყველაფერს, რაც სიცოცხლეს მიმზიდველად და სასიამოვნოდ ხდის, ტყეების ჩრდილს, ნაკადულების ჩხრიალს, ფრინველების ჟრიამულს, მიწის ნაყოფის სურნელებას, და გარემოცულია მკაცრი და ერთფეროვანი ბუნებით, რომელიც მასში ძალაუნებურად რელიგიურ დაფიქრებას და ამოების გრძნობას იწვევს. ყარაიაზის უდაბნო ქართული ასკეტიზმის აკვანია. აქ, უწყლო და უნაყოფო კლდეების ნაპრალებში, დავით გარეჯაში, დოდოს რქაზე, ბურთუბანში და სხვაგან მეექვსე საუკუნიდან შეიქმნა სამონასტრო ცენტრები, სადაც პირქუში განდეგილები თვითგვემას აწარმოებდნენ, ზამთრის გრძელ დამეებს ათენებდნენ მრავალთავეების, სვინაქსარების და ისტორიული ქრონიკების გადაწერაში ან თავიანთი ახალგაზრდობის მაცთურ მოგონებებს იმით იცხრობდნენ, რომ ანთებული ფერადებით ამკობდნენ ნახევრად ბნელი ეკლესიების კედლებს.

პირიქით, საკუთრივ კახეთი, თელავის, ყვარელის, სიღნა-

ლის, გარეჯის მიდამოების ბუნება თითქო იმისთვისაა შექმნილი, რომ ადამიანი გაანებივროს. ესაა ერთი დასახლებული პუნქტი, სადაც ვენახს ხეხილის ბაღი სცვლის, ხეხილის ბაღს გარეული ნადირით და ფრინველით სავსე ტყე და სადაც ბროწეული, ლელვი და დაფნა თავისუფლად იზრდება კაკლის ხეებით დაჩრდილულ ნასახლარებზე. ასეთს გარემოცვაში ადამიანი ბუნებრივად შადლობის გრძნობას განიცდის, რომ ის ამ ქვეყნად გაჩნდა, მას, აუცილებელ საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ, კიდევ საკმაოდ როდ რჩება რომ იმღეროს, ილხინოს, სასიამოვნო საზოგადოებრივ წრეში იტრიალოს. ადვილი გასაგებია აგრეთვე, რომ არაბ, ერანელ, თურქ დამპყრობელებს ეს ქვეყანა მაჰმადის მიერ აღთქმულ სამოთხედ ეჩვენებოდათ. ამავე დროს, როგორც სწორად აღნიშნა გერმანელმა მოგზაურმა იაკობ რეინეგსმა, ამ პროვინციების უხვი ბუნება მათ მცხოვრებლებს არ აღუწევს და არ ანაზღბს; პირიქით, კარგი ხელმძღვანელობის ქვეშ ისინი ძალიან მამაცნი არიან. ბოლოს, თუშ-ფშავ-ხევსურეთი და თიანეთი, ეს მაგარი ზურგი, რომლითაც კახეთი კავკასიონის ქედს ებჯინება, ისევ მკაცრი და არასტუმართმოყვარე ბუნებითაა დაჯილდოებული. ეს არ არის სავსებით უნაყოფო მიწა-წყალი, აქ მხოლოდ ადამიანს განსაკუთრებული გარჯა სჭირდება, რათა თავი გამოიკვებოს. ადამიანი ბავშვობიდანვე ეჩვევა ბუნების წინააღმდეგ ბრძოლას, ამიტომ იმთავითვე იწრთობა გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც ეთნიური შემადგენლობისა, ისე ზნეჩვეულებისა, ყოფაცხოვრებისა და ფსიქოლოგიის მხრით აქ ძველი იბერიული მოსახლეობა ყველაზე ნაკლებ შეიცვალა საქართველოს ისტორიის მანძილზე, რადგან მას მთის კედლები იცავდა გარეშე ქვეყნების შემოტევისა და ზეგავლენისაგან. ეს მთავორიანი



პროვინცია კახეთის საფარს და მარაგს წარმოადგენდა ერთ-
სა და იმავე დროს. აქ აფარებდა თავს კახეთის მოსახლეობის
ნაწილი, როცა ბარს მტრის ლაშქარი იჭერდა და, ნაწილობ-
რივ, აქედან იწყებოდა კახეთის ხელახალი დასახლება, როცა
იქ ხალხი მასობრივად იელიტებოდა. სხვათა შორის ამით
აიხსნება ის, პირველი შეხედვით, გაუგებარი სასწაული, რომ
მიუხედავად ჰეკატომბებისა, რომელთაც საქართველოს მტრე-
ბი ალაზნის და ივრის ნაპირებზე მართავდნენ, მიუხედავად
ხალხის აყრისა და გადასახლებისა, რომელსაც ისინი კახეთ-
ში ახდენდნენ, მოსახლეობა რასიულად აქ ნაკლებ შეიცვალა,
ვიდრე მოსალოდნელი იყო, და ცოტაოდენი ცვლილებით
დღევანდელი კახელიც იმავე ურმულს, ოროველას და მრავალ-
ვალყამიერს მღერის, რომელსაც მისი წინაპარი მღეროდა,
შეიძლება ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე.

მას შემდეგ რაც მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებ-
ში ბაგრატ მესამის, ბაგრატ მეოთხის, დავით აღმაშენებლის
და სხვათა გონივრული და თამამი პოლიტიკის წყალობით
საქართველო გაერთიანდა და ერთი დიდი ფეოდალური მო-
ნარქია წარმოიშვა, კახეთი საქართველოს სახელმწიფოს გა-
ნუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. როგორც დასავლეთ სა-
ქართველოში, გელათში, ისე კახეთის ტერიტორიაზე, იყალ-
თოში, არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი, აკადემია, სა-
დაც ქართველი ახალგაზრდობა სწავლობდა არა მარტო
ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას, არამედ წარმართობის
დროინდელ ბერძნულ სიბრძნესაც ეცნობოდა. კახეთის გზით
ვრცელდებოდა ქართული კულტურის ზეგავლენა აღმოსავ-
ლეთ კავკასიის ქვეყნებში და, საფუძველი გვაქვს ვიფიქ-
როთ, რომ არსენი იყალთოელის და მისი მომდევნო პრო-
ფესორების ლექციებს და საუბრებს დიდოელი, ავარიელი
და შირვანელი ახალგაზრდებიც ისმენდნენ.



საქართველოს ხელახალი დანაწილება პატარ-პატარა საქართველებად და სამთავროებად ერთის დაკვრით და მტრთა მტრების დაჟინებით არ მომხდარა: ამ პროცესს ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა. ჯერ კიდევ მონღოლების ბატონობის დროს, მეცამეტე და მეთოთხმეტე საუკუნეში, გზების გაფუჭებისა, აღებ-მიცემის დაცემისა და საერთოდ ქონებრივი და გონებრივი უკანდახევის წყალობით, პოლიტიკური კავშირი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის შესუსტდა: თავი იჩინა ორმეფობის იდეამ, ამასთან ერთად სეპარატიზმის, ე. ი. განდგომის მიდრეკილება გაძლიერდა ყველგან, ხოლო განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოსა ანუ სამცხე-საათაბაგოში. შემდეგ დიდი შემკრები და აღმდგენელი მეფეების — გიორგი ბრწყინვალის და ალექსანდრე დიდის დროს, საქართველო ხელახლა ერთს დიდ მთლიან სახელმწიფოდ იქცა, თუმცა მან აღრინდელ ძლიერებასა და ბრწყინვალეობას ვეღარ მიაღწია. ბიზანტიის იმპერიის დამხობამ და კონსტანტინეპოლის აღებამ თურქების მიერ მეთხუთმეტე საუკუნის შუა წლებში, კატასტროფიული გავლენა იქონია ქრისტიანულ აღმოსავლეთზე, კერძოდ, საქართველოზე. ჩვენი ქვეყანა დიდი ხნით მოსწყდა კულტუროსან დასავლეთს, დიდი სავაჭრო გზა, რომელიც დასავლეთ ევროპას ბიზანტიასა და ნაწილობრივ, საქართველოს ტერიტორიაზე გავლით დასავლეთი აზიის ქვეყნებსა და ინდოეთთან აკავშირებდა, გადაიჩინა. პორტუგალიელებმა ევროპა-ინდოეთის სავაჭრო ურთაერთობის გასაგრძობად ახალი გზა აღმოაჩინეს აფრიკის გარშემო, ეს გზა ძალიან დაშორებული იყო საქართველოს. მართალია, იტალიის რესპუბლიკებმა, განსაკუთრებით ვენუამ, კიდევ განაგრძო აღებ-მიცემა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებსა, კერძოდ დასავლეთ საქართველოსთან, მაგრამ ახ-

ლა ამ ალებ-მიცემის მიმდინარეობა თურქეთის მთავრობის
კეთილგანწყობილებაზე იყო დამოკიდებული. ამის შემდეგ
საქართველო, რომელიც მონღოლების და თურქების შემო-
სევამდე მსოფლიო წონის სახელმწიფოდ ითვლებოდა და
გავლენას ახდენდა მთელი წინა აზიის პოლიტიკაზე, გაღა-
რიბდა, პოლიტიკურად დაიქსაქსა და კულტუროსანი კაცო-
ბრიობის პერიფერიად იქცა.

II

თეიმურაზ I

მუთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს
ტერიტორიაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ოთხი პოლიტიკუ-
რი ერთეული, ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები
და სამცხე-საათაბაგო. საქართველოს სამეფო დინასტია სამ
შტოდ გაიყო, ქართლის, კახეთის და იმერეთის ბაგრატიონ-
ნებად; მათ შეგნებაში ჩქარა დაიხრდილა როგორც სისხლის
ნათესაობის, ისე საქართველოს მთლიანობის იდეა. რო-
გორც ფეოდალურ უფლებრივ შეგნებას შეეფერებოდა,
თვითეული მათგანი თავის სამფლობელოს, უწინარეს ყოვ-
ლისა, თავის საგვარეულო სამკვიდროდ, თავის მამულად
სთვლიდა. მეფე ამ შეგნების მიხედვით უბირველესი მიწათ-
მფლობელი იყო დანარჩენ დიდმამულიან და მცირემამუ-
ლიან მიწათმფლობელთ შორის.

მეთექვსმეტე საუკუნეში კახეთი ჯერ კიდევ მეტად მჭიდ-
როდ დასახლებული და მდიდარი სამეფო იყო. მეზობლებ-
თან მას გაცხოველებული ალებ-მიცემა ჰქონდა, გასაზიდ სა-
ქონელს, განსაკუთრებით, აყვავებული მებაბრეშუმეობა იძ-
ლეოდა. კახეთს იმდენი დოვლათი ჰქონდა, რომ როცა თურ-
ქების მიერ შევიწროებულ აღმოსავლეთის ქრისტიანებს



საბერძნეთსა და პალესტინაში განსაკუთრებით გაუჭირდებოდათ, ისინი კახთ მეფეებს მიმართავდნენ დახმარებულად, როგორც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობიდან სჩანს, ეს უკანასკნელი სრულიად ადვილად აგროვებდნენ და გზავნიდნენ რამდენიმე ათას ღრაპკანს, რაიცა ძალიან დიდ თანხას წარმოადგენდა მაშინდელი მასშტაბით. ალექსანდრე მეორის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, -- მეფეს ნადირობა უყვარდა, მაგრამ კახეთში დაუსახლებელი ადგილი აღარ იყო და მეფე ნატრობდა, ნეტარძი ოხერ მექნეს კახეთი, რათა მაქნედეს სანადირონი მრავლადო. თუმცა ეს ცნობა ალექსანდრე მეორის შესახებ შეიძლება ტენდენციური იყოს, მაგრამ ის დამახასიათებელია იმდროინდელი კახეთის მდგომარეობისთვის.


კახეთის სამეფოს საზღვრები, ისევე როგორც სხვა სამფლობელოების საზღვრები ფეოდალურ ეპოქაში საზოგადოდ, მეტისმეტად ცვალებადი იყო; მაგრამ მის ბუნებრივ მიჯნას სამხრეთით მტკვარი წარმოადგენდა, დასავლეთით არაგვის ხეობა, ხოლო ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით კავკასიონის ქედი. კახეთის სამეფოს ჩამოყალიბების დროს დღევანდელი საინგილო ქართველობით იყო დასახლებული. მაგრამ უკვე მეთექვსმეტე საუკუნეში აქ ჯერ კახთ მეფეების ნებართვით, ხოლო შემდეგ მათი სურვილის წინააღმდეგ, დაიწყო ლეკთა ტომების დასახლება, რამაც შემდეგ საბედისწერო გავლენა იქონია მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე.

იმდროინდელი კახეთის მაღალი საზოგადოების ცხოვრების სტილზე დაახლოებით წარმოდგენას იძლევა თეიმურაზ პირველის ლექსი, სადაც კახეთის ქალაქ გრემის სამეფო სასახლეა აღწერილი. ეს უნდა ყოფილიყო დიდი, შერეულ ქართულ-სპარსულ სტილზე აგებული თალიანი და აივნე-



ბიანი შენობა, რომელიც დღისით სარკმლებიდან და გუმბათებიდან ღებულობდა სინათლეს, ხოლო ღამით სურათს სწავნი ზეთით სავსე ბაზმებისა ანუ სანათურებიდან. მას უნდა ჰქონოდა დიდი სალხინო დარბაზები, სადაც დროგამოშვებით, ვერცხლის და ფაიფურის ჭურჭლით მხატვრულად დატვირთული სუფრის გარშემო იკრიბებოდა შერჩეული საზოგადოება, რომელიც დროს ატარებდა ღვინის სმაში და გონებაამახვილ საუბარში და ისმენდა მეფე-მგოსნის ან სხვა პოეტების მიერ წარმოთქმულ ლექსებს. ლხინის დროს დარბაზში შემოდის დიდი მოცეკვავე და მეჩანგე ახალგაზრდა ქალების და ვაჟების დასები, რომელნიც მეფეს და მის მეინახეთ ატკობდნენ არტისტულად შესრულებული ცეკვითა და სიმღერით. ბოლოს, გრემის სასახლეს, როგორც სჩანს, გარშემო დიდი ბაღი ერტყა, სავსე ხეხილით, დეკორაციული მცენარეებით და ყვავილებით და შემკული ტალავრებით, მარმარილოს აუზებითა და შადრევნებით.

ამ აღწერილობის მიხედვით არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ კახეთის ბაგრატიონები აღმოსავლეთის სტილის მფლობელები ყოფილიყვნენ, მოდუნებულნი ქეიფით და სადიაცოს ნელთბილი ატმოსფეროთი. ნადიმის, ნადირობის და სატრფიალო პოეზიის სიყვარულმა, ამ დინასტიის ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენელს — თეიმურაზ პირველს, ხელი არ შეუშალა მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე გასაოცარი ენერჯია გამოეჩინა სახელმწიფოებრივი და სამხედრო მოღვაწეობის დარგში. იტალიელი მისიონერის კასტელის სურათზე ის წარმოდგენილია როგორც ახალგაზრდა უწვერული ახოვანი ვაჟკაცი, ცხენზე მჯდომარე, ჯავშნითა და მუზარადით მოსილი, ხმლით და ისარ-კაპარკით შეიარაღებული, გრძელი შუბით ერთ ხელში და ფარით



მეორეში. სურათის უკანა პლანზე ომში მიმავალი ქართველი ლაშქარი მოსჩანს. მაგრამ ჩვენ დაგვრჩა მეორე პორტრეტი, სადაც ხანში შესულ თეიმურაზს, რომლის გვერდით მისი მეორე ცოლი ხორეშან დედოფალია დახატული, სპარსული შოდის მიხედვით, თავზე ჯილიანი თავსაბურავი ახვევია. ეს სურათები თითქო სიმბოლურად გამოჰხატავენ იმ ქანაობას, რომელიც კახეთის სამეფოს და მის მფლობელებს უხდებოდათ მაჰმადიანურ აღმოსავლეთსა და ქრისტიანულ ჩრდილო-დასავლეთს შორის. მრავალი სხვა ქართლ-კახელა ახალგაზრდა არისტოკრატისა და უფლისწულის მსგავსად, თეიმურაზმაც ორიოდვე წელი სპარსეთში გაატარა შაჰის კარზე. აქ მან შეითვისა ერთგვარი მოკრძალება სპარსული ენისა და სულიერი კულტურისადმი და მთელი თავისი პოეტური მოღვაწეობის მანძილზე სპარსული პოეზიის ეპიგონად დარჩა. მაგრამ სამშობლოში დაბრუნებისა და გამეფებისთანავე მან სწორი პოლიტიკური ინსტინქტით იგრძნო, რომ ქართველი ხალხი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებდა პოლიტიკურ და კულტურულ დამოუკიდებლობას, თუ ერთი მხრით ქრისტიანულ სარწმუნოებას არ დასთმობდა, ხოლო მეორე მხრით გამოიყენებდა იმ წინააღმდეგობას, რომელიც ერანსა, თურქეთსა და რუსეთს სთიშავდა ურთიერთშორის.

ფეოდალიზმის ეპოქაში რელიგია ძლიერ პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდა ეროვნული ვინაობის დასაცავად. საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ საზღვრავდა თავისი სიძლიერის ზენიტში ასულ ოსმალეთის იმპერიას, ჯერ ტაო-კლარჯეთში, ხოლო შემდეგ ახალციხის მხარესა და ჯავახეთში დაიწყო მაჰმადიანობის გავრცელება, რასაც ნელ-ნელა მთელი ამ პროვინციის ეროვნული გადაგვარება მოჰყვა. იმერეთსა და ქართლ-კახეთში მაჰმადიანობის



ყოველ მძლავრ შემოტევას ქრისტიანობის კონტრასტული
სცვლიდა. ამ სასოწარკვეთილ ბრძოლაში ქართლ-კახეთს
მოწინავე მებრძოლის ადგილი ეჭირა, ვინაიდან ქართლ-კა-
ხეთის ბაგრატიონებმა ადრევე იბრუნეს პირი ჩრდილოეთი-
საკენ და თანდათან ინტენსიური ურთიერთობა გააბეს მოს-
კოვის სამეფოსთან. სპარსეთის შორსმჭვრეტელმა პოლიტი-
კურმა ხელმძღვანელებმა, განსაკუთრებით შაჰ-აბაზმა, იგრძ-
ნეს რა მომავლდინებელ საფრთხეს წარმოადგენდა დიდი
ჩრდილოელი ქრისტიანული სახელმწიფოს დამკვიდრება კავ-
კასიის ქედს ვადმოღმა. ამიტომ ისინი შეეცადნენ მთელი
ქართლ-კახეთი აეყარათ და გაეულიტათ. იმისდა მიუხედა-
ვად, რომ თეიმურაზ პირველის პოლიტიკას მთელი მისი სა-
მეფოს გავერანება და დაცარიელება მოჰყვა, კახელმა ხალხ-
მა გასაოცარი ერთგულება გამოიჩინა თავისი უბედური
მეფისადმი. „ზოგს კაცს ქრისტიანობის სჯულისათვის ბა-
ტონი თეიმურაზი ერჩინა“, სწერს მის შესახებ გამაჰმა-
დიანებული ქართლის მეფის როსტომის კარის ისტორიკოსი
ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც თვითონ სპარსოფილუ-
რი პოლიტიკის მომხრე იყო.

შაჰ-აბაზ პირველის შემოსევის შემდეგ ბოლო მოეღო კა-
ხეთის ადრინდელ კეთილდღეობას. ძნელია უფრო დიდი
კონტრასტის წარმოდგენა, ვიდრე ის არის, რომელიც თეი-
მურაზ პირველის მეფობის ბრწყინვალე დასაწყისს ჰყოფს
მისი ტრაგიკული დასასრულიდან. როცა მეჩვიდმეტე საუ-
კუნის ორმოციან წლებში თეიმურაზ მეფეს რუსეთის მე-
ფემ მიხაილ ფეოდოროვიჩმა ელჩები გამოუგზავნა საჩუქ-
რებით, თეიმურაზის ხელქვეითებმა მთელს კახეთში ძლივს
მოუყარეს თავი ოცდაათ ურემს, რათა რუსის ელჩები მათი
ამალითა და ბარგით შირვანის საზღვრიდან მეფის სადგო-
მამდე მიეყვანათ. ელჩებს გზაზე ხვდებოდათ ნასოფლარები,




დაცარიელებული ქვის პალატები და ეკლესიები, რომელთაც ტყე და ბალახი მორეოდათ. მხოლოდ აქა-იქს მთისსკადთებზე ორიოდე მოსახლეს შეეფარებინა თავი. ალაზნის პირას თარაქამის მეჯოგეების კარვები იდგა.

თეიმურაზმა რუსის ელჩები მიიღო შუამთის ტყეში, წნულ ფაცხაში, რომელსაც ტალახით შელესილი კედლები და ჩალის სახურავი ჰქონდა. ამ დროს კახეთის ყოფილი სატახტო ქალაქი გრემი, თავისი სასახლეებით, უკაცრიელ ნანგრევებს წარმოადგენდა, ღამურების, ჭოტებისა და გარეული მხეცების სადგომს. იგივე ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, როცა კახეთიდან თეიმურაზ მეფის გაძევების შემდეგ როსტომ მეფე დედოფლით, საქართველოს წარჩინებული პირებით და თავადების ჯალაბებით ერთს გაზაფხულზე კახეთში გაემგზავრა სანადიროდ და დასავლელად, მან, სხვათა შორის, გრემიც ინახულო. „სხვადასხვა ფერნი ყვავილნი, იანი და ყაყაჩონი გაშლილიყვნენ. გრემში მრავალი კარგად ნაშენები სასახლენი დაქცეულ-დანგრეული ვნახეთ, უკარო და უჭერო, ნადირთ სადგომად ქმნილნი. რა როსტომ მეფემ ამ რიგი სახელმწიფო სასახლე ასე აოხრებული ნახა, საწუთროს გაუტანლობას შეუწყინდა და ფარსადან გორგიჯანიძეს უბრძანა, ამ სასახლის ასრე მინგრეულობისათვის ერთი მუნასიბი * ლექსი გვითხარო. მანც ეს ლექსი მოახსენა, ასე თქვა:

K14.695/2

მღვთის შეცა ყური მათხოვეთ, გრემის სასახლის ქებაო,
ვისაც გენახოს ეს ასრე, რად გული დაგეღებაო.
ესე სოფელი ცუდია, არვის არ განთავლებაო,
და ამის ამშენი რომ მოკვდეს, თქვენ ცეცხლი მოგეღებაო“.

* მუნასიბი — ექსპრომტი.
2. გ. ქიქოძე.





ყველაზე დიდი უბედურება, რომელიც არა მარტო კახეთის სამეფოსთვის, არამედ მთელი აღმოსავლეთის საქართველოსათვის თეიმურაზ პირველის პოლიტიკის დამარცხებას მოჰყვა, ის იყო, რომ დაღისტნის მთებიდან მოზღვავებულმა ლეკობამ თანდათან დაიჭირა ალაზნის გაღმა მხრის სამხრეთი ნაწილი. აქ, ძველი ჰერეთის ტერიტორიაზე, ქარსა და ბელაქანში, ლეკებმა შეჰქმნეს პატარა რესპუბლიკები, რომელთაც კოლექტიური ბატონყმობის უღელი დაადეს გადაარჩენილ ქართველ ქრისტიან გლეხკაცობას. ამრიგად, საქართველოს აღმოსავლეთით თითქო მოერღვა მისი ბუნებრივი ზღუდე; დაღისტნის მშვიერ და ნახევრად ველურ ტომებს ალაზნის დაბლობში ბაზისი შეექმნათ ქართლ-კახეთის მოსახლეობის დასარბევად და დასატყვევებლად.

ეს მით უფრო საშიში იყო, რომ იმავე მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოს სამხრეთის კარებიც მოეშალა, ვინაიდან სამცხე-საათაბაგო ნაწილობრივ გამაჰმადიანდა და თურქეთის იმპერიის უბრალო ადმინისტრაციულ ნაწილად იქცა. ახალციხე მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ლეკთა მოთარეშე რაზმების საფარს და ერთ უდიდეს ბაზარს, სადაც ქართველი ტყვეების აღებ-მიცემა სწარმოებდა. და ამ მოთარეშე და მარბიელმა რაზმებმა, რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის შეუძლებელი გახადეს მშვიდობიანი შრომა, არანაკლები ზიანი მიაყენეს ქართველ ერს, ვიდრე აღმოსავლეთის დიდი იმპერიების თავდასხმებმა.

რაც შეეხება კახეთში თურქმანთა ელემის დასახლებას, რითაც მეჩვიდმეტე საუკუნეში სპარსეთის შაჰები კახეთის სრულს დენაციონალიზაციას და შემომტკიცებას სცდილობდნენ, მას ისეთი საბედისწერო შედეგი არ ჰქონია, როგორც მოსალოდნელი იყო. ამ ელემს განუწყვეტლივ თავს

ესხმოდნენ თუშ-ფშავ-ხევსურები. შემდეგ მთელმა კახელთ-
ბამ, ქსნის და არაგვის ერისთავების და ბიძინა ^{ქაღალაძე}
შვილის მეთაურობით, მრისხანე აჯანყება მოაწყვეს სპარ-
სელი ხანების წინააღმდეგ, რომელნიც კახეთს მართავდნენ
თეიმურაზის დამარცხების და განდევნის შემდეგ, და თით-
ქმის მთელი თურქმანობა გაქლიტეს. მხოლოდ ორიოდ
ადგილას გადარჩა ჩამოთესლებული უცხო ელემენტი.

თეიმურაზ მეფე დიდად უბედური იყო პირად და ოჯა-
ხურ ცხოვრებაშიც. ის ორჯერ დაქვრივდა. დედამისი, ქე-
თევან დედოფალი, შაჰ-აბაზმა ბარბაროსული წამებით მოაკე-
ლევინა, ხოლო მისი ორი მცირეწლოვანი ვაჟი დაასაჭურო-
სებინა, რასაც შედეგად ერთის სიკვდილი, ხოლო მეორის
ჭკუაზე შეცდომა მოჰყვა. მისი მესამე ვაჟი მოკლულ იქნა
მალაროს ბრძოლაში, სადაც თეიმურაზის ჯარი მისი მოქიშ-
პის როსტომ მეფის ჯარმა დაამარცხა სპარსელების დახმა-
რებით. თეიმურაზის ერთი ქალი სპარსეთში იყო გათხოვი-
ლი და იქ დაახრჩვეს შაჰის ბრძანებით, ხოლო მეორე ქა-
ლი — ცნობილი დარეჯანი პირველად ცოლად ჰყავდა არა-
ნაკლებ ცნობილ ზურაბ ერისთავს, რომელიც მისი ქედმაღ-
ლობისა და პატივმოყვარეობის გამო თვით თეიმურაზმა სა-
ხიფათოდ მიიჩნია თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის და
საფურცლფში მოაკვლევინა. იმერეთის მეფეზე გათხოვებისა
და ხელმეორედ დაქვრივების შემდეგ დარეჯანმა ისეთი უზნე-
დბა და აღვირახსნილობა გამოამჟღავნა, რომ შეაშფოთა
თავისი საკუთარი მამაც და ძნელად შესაშფოთებელი იმე-
რეთის არისტოკრატიაც. იმერეთში ყოფნის დროს თეიმუ-
რაზ მეფე, სხვათა შორის, იძულებული გახდა თავისი შვი-
ლიშვილი, შემდეგ ნაზარალი ხანად ანუ ერეკლე პირველად
წოდებული, მოსკოვის მეფის კარზე გაეგზავნა მძევლად,
ე. ი. თავისი ერთგულების საწინდრად.

ერეკლე I. ვახტანგ VI

ერეკლე ბატონიშვილმა, რომელსაც რუსებმა ნიკოლოზი უწოდეს, რუსული აღზრდა მიიღო პეტრე დიდის მამის ალექსეი მიხაილოვიჩის სასახლეში. უცნობი ევროპელი მხატვრის მიერ შესრულებულ სურათზე ახალგაზრდა ერეკლე პირველი რუსი ბოიარინის ტანსაცმელით, გრძელი თმით და კვერთხით არის წარმოდგენილი. მას ნაკლებ მხედრული გარეგნობა აქვს; მის მთავარ იარაღს ცხოვრების ასპარეზზე, როგორც ეტყობა, ფიზიკური სილამაზე წარმოადგენდა, რაიცა ფეოდალურ ეპოქაში ადამიანს მეტს უპირატესობას ანიჭებდა ვიდრე დღეს ანიჭებს. მას არ უნდა გაველოს სამხედრო და სასპორტო გაწვრთნა, რომელიც მიღებული არ იყო არც მოსკოვის სამეფო კარზე და არც შაჰების სასახლეში, საქართველოში კი სავალდებულოდ ითვლებოდა როგორც ბატონიშვილებისა, ისე თავადაზნაურობისა და თვით მსახურთა შვილებსთვის.

როცა ორმოცდაათი წლის სასოწარკვეთილი და გმირული ბრძოლის შემდეგ თეიმურაზ მეფე იძულებული გახდა ერანში წასულიყო, სადაც ის შემდეგ ასტრბადის ციხეში გარდაიცვალა (1663 წ.), მისი შვილიშვილი ერეკლე ბატონიშვილი მოსკოვიდან თუშეთში მოვიდა, საიდანაც ის შეეცადა მამა-პაპათა ტახტი დაებრუნებინა. მას მოუხდა შემბრძოლება ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთესა ანუ შაჰ-ნავაზსა და მის შვილ არჩილთან, რომელსაც შაჰმა ცოტა ხნის წინათ კახეთი მისცა. ერთს ისტორიულ ქრონიკაში (ე. წ. „პარიზის ქრონიკაში“) მოთხრობილია ამ ბრძოლის ზოგი-



ერთი მეტად დამახასიათებელი ეპიზოდი. თეიმურაზ მეფის ცხედარი ასტრახადიდან კრწანისს მოასვენეს, ქალაქის პირს, რათა აქედან ალავერდის ტაძარში წაესვენებინათ დასამარხავად. ამ დროს ერეკლე ბატონიშვილი ღამით თუშის ლაშქრით მეფე შაჰ-ნავაზს და მის შვილს არჩილს თავს დაესხა და დიდი ზიანი მიიყენა. მართალია, შაჰ-ნავაზს ზოგიერთი რაზმის უფროსი გაექცა, მაგრამ თვითონ არ შემდრკალა: გათენებისას მან საყვირი დააკვრევინა, გაფანტულ ჯარს თავი მოუყარა და თუშები გარეკა.

მეორე გაზაფხულზე ერეკლე ბატონიშვილი თუშეთიდან ხელახლა კახეთში ჩამოვიდა, ლაშქარი შეაგროვა და უჯარმოსთან მეფის ჯარს შეებრძოლა. აქაც დამარცხდა და იძულებული გახდა ხელახლა თუშეთში გახიზნულიყო. დედამისი — ელენე დედოფალი თორღის ციხეში ჩაიკეტა ერეკლეს მომხრე კახელების ცოლშვილითურთ. შაჰ-ნავაზმა ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ შვიდი თვის განმავლობაში ვერ აიღო. რადგან ალყაშემორტყმულნი მეტად შეწუხდნენ, ერთს ღამეს დედოფალმა კახელი კაცის ჩოხა და ბაიჭი ჩაიკვა და გადასწყვიტა თვალთმაქცობით დაეღწია თავი ალყისათვის. მისი ერთგული თუში ბაცაშვილი მალულად ციხიდან გამოვიდა, ყარაულთან მიცოცდა და ხმაურობა ასტეხა. ჯარი მას გამოუდგა. ამ დროს გადაცმული დედოფალი, ორიოდე კაცის თანხლებით, ციხიდან გამოვიდა და ქვეითად თუშეთის გზას გაუდგა. ბაცაშვილი დაიჭირეს, შაჰ-ნავაზს მიჰგვარეს და ძალა დაატანეს, რათა გაქცეული დედოფლის კვალი ეჩვენებინა. ქართლელების და სპარსელების ჯარისკაცები თან გაჰყვნენ მხრებშეკრულ ბაცაშვილს. მან ისინი სხვა გზით წაიყვანა. როცა ერთი კლდის პირას საკმელად დასხდნენ, ბაცაშვილმა ჯარისკაცებს სთხო-



ვა, საბელი ცოტათი მომიშვითო. როგორც კი მოვუყვებოდა მან
სწრაფად ხელები გაინთავისუფლა, საბელი მოკეცა, მარჯვე-
ნივ და მარცხნივ მჯდომარე ჯარისკაცებს თვალებში უკუ-
ჰკრა, კლდეზე გადახტა და გაიქცა. ერეკლე ბატონიშვილმა
და დედამისმა ის ზამთარიც თუშეი:ში გაატარეს უბრალო
მწყემსების ბინებში.

რადგან შაჰ-ნავაზისა და არჩილის წინააღმდეგ ბრძოლა
ერეკლე ბატონიშვილისათვის უშედეგოდ დამთავრდა, ის
იძულებული გახდა თავისი მემკვიდრეობითი უფლების
აღსადგენად ერანის შაჰის კარზე წასულიყო. ფარსადან
გორგიჯანიძეს აღწერილი აქვს ერეკლე ბატონიშვილის მი-
ღება შაჰის მიერ ყაზვინის სასახლეში; ეს აღწერა მეტისმე-
ტად საინტერესოა იმდროინდელი ზნეჩვეულების გასა-
ცნობად.

კახეთის მემკვიდრეს თან დიდი ამაღა მცვეებოდა, თა-
ვადთა და აზნაურთა შვილებისაგან შემდგარი; ყაენი წინდა-
წინვე შირვანის ხანს აფრთხილებდა, ერეკლე ბატონიშვილი
მთის გზით არის გადმოსული, შეიძლება რამე აკლდეს, ათა-
სი თუმანი მიართვი, რათა ყოველივე გაირიგოსო. საგანგე-
ბოდ გამოგზავნილ მესტუმრეს (მეჰმანდარს) კახეთის
უფლისწული და მისი ამაღა ყაზვინამდე უნდა მიეყვანა და
ეზრუნა, რომ გზაში მათ არაფერი დაჰკლებოდათ. როცა
სტუმრები ყაზვინს მიუახლოვდნენ, შაჰმა ბრძანა, მთელი
ყაზვინის მოსახლეობა გავიდეს მათ შესახვედრადო. ქალაქში
შესვლისთანავე ერეკლე ბატონიშვილს კიდევ ერთი ათასი
თუმანი ნაღდი და ათასი თუმნის სხვა მორთულობა და ია-
რალი შინ მიუტანეს. მეშვიდე დღეს ყაენმა ერეკლე მეჯლის-
ზე დაჰპატიჟა. ის სასახლეში მივიდა თავისი ამალით, „ყვე-
ლანი ქართულად მოკაზმულნი, ყველანი ახალგაზრდა ვაჟ-



კაცი, ტურფანი და შვენიერნი; ნამეტნავად ბატონიშვილის
ერეკლეს წვერ-ულვაში ახლა ეხვეოდა და ტანად ყველას
უმადლე იყო და ნაქმრათ ყველას ამჯობინეს... ზეინალ-ხან
ეშიკალასიბაში (ცერემონიებისტერი) კარამდის გაეგება. ერე-
კლე წარდგა და ხელმწიფეს ფეხს აკოცა, და მარჯვნივ ყვე-
ლას ზეით დასვეს და თორმეტი ყმანიც მეჯლისშიგ დაუს-
ხეს. ხელმწიფემ სამჯერ წინ მიიხმო და უწინ რუსეთის
ხელმწიფის ამბავი ჰკითხა და მერმე თავისი და რუსთ შექ-
ცევა და გაწყობა და მათი კაცობა გამოჰკითხა, მას უკან
რომლის გზით მოსვლა და გარჯა“.

მეორე მემატიანე ამბობს, „ერეკლე ბატონიშვილი უწინ-
ვე ნახვაზედ ხელმწიფემ შეიყვარა თავად დიდ გვარიშვილო-
ბისათვის და მერმე ნამეტნავად კარგ ტანადობისა, სახე შვე-
ნიერებისთვის. წელიწადში ორი ათას ხუთასი თუმანი თეთ-
რი და დღეში თორმეტი ჭიქა შირაზის ღვინო ულუფათ გაუ-
ჩინა სხვა პატივსა და მირთმევას გარდა“. შემდეგ ერეკლეს-
თვის მესტუმრედ ანუ მეჰმანდარად თალიშის ხანის შვილი
მიუჩენიათ და ნადირობით, ლხინით და ღვინის სმით გილა-
ნი და მაზანდარანი მოუტარებიათ, ხოლო ბოლოს იმდროინ-
დელ სატახტო ქალაქ ისპაჰანში მიუყვანიათ, რათა იქ
სპარსთა ზნე და საქციელი ესწავლა.

ასე თავაზიანად შეხვდნენ ერთმანეთს შაჰ-აბაზ პირველის
და თეიმურაზ მეფის ჩამომავლები, თითქოს მათს მახსოვრო-
ბაში წაშლილი ყოფილიყოს ნახევარი საუკუნის წინათ მომ-
ხდარი ამბების მოგონება, კახთ ბატონის ქედმოუხრელი
ბრძოლა შაჰის წინააღმდეგ, კახელების გაჟლეტა და გადა-
სახლება, მათი ვენახების და თუთის ხეების აკაფვა, მათი
დედოფლის ძუძუების დაგლეჯა გახურებული მარწუხებით.
შაჰის მხრივ ეს თავაზიანობა იმით აიხსნებოდა, რომ მეჩვიდ-



მეტე საუკუნის დასასრულს სპარსეთი უკვე დასერიდა და იყო შემდგარი და მას აღარ შეეძლო ისეთი უკომპრომისო აგრესიული პოლიტიკის წარმოება, როგორსაც შაჰ-აბაზ პირველი აწარმოებდა; ერთი სიტყვით, დავით გურამიშვილისა არ იყოს, „ხრმლის სიფოლადეს სპარსთასა ყამი რამ მოხვდა ლბობისა, ხმა დაუმაბლდათ, მოუღბათ სიტყვის თქმა ამაჟობისა“. ერეკლე პირველი კი შემგუებელი, ოპორტუნისტული ბუნების ადამიანი იყო; ჯანსაღი ზნეობრივი სკოლის უქონლობამ, უცხოეთში ყოფნამ, ქართული ენის და ზნეჩვეულების უცოდინარობამ გავლენა იქონიეს მის ისედაც მერყევ ხასიათზე. ამიტომ რამდენიმე წლის სპარსეთში ყოფნის შემდეგ მან მაჰმადიანობა მიიღო და ქართლის სამეფო ტახტზე დაჯდა ნაზარალი ხანის სახელწოდებით.

ნაზარალი ხანის მეფობის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა ქართლის დენაციონალიზაციის პროცესი, რომელიც წინანდელი მაჰმადიანი მეფეების როსტომის და შაჰ-ნავაზის დროს დაიწყო, მაგრამ მაშინ თბილისის სასახლეში და მის გარეთ ძლიერ ოპოზიციას წააწყდა ქრისტიანული შეგნებით აღჭურვილი მარიამ დედოფლის, პატრიოტულად განწყობილი არისტოკრატების და ჯანსაღი, გაუტეხელი მღაბიო ხალხის სახით. გარდა თბილისის ციხისა, სადაც ერანელთა გარნიზონი მანამდეც იმყოფებოდა, ნაზარალი ხანის დროს გორის და სურამის ციხეებში ჩაყენებულ იქნენ ყიზილბაშთა რაზმები. მათი მეთაურები თავხედურად აწიოკებდნენ და ჰყიდდნენ ქართულ გლებებს. ნაზარალი ხანმა სრულიად მოსპო ძველი წესი დარბაზის ერის მოწვევისა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად და რუსეთის მეფეებისა და სპარსეთის შაჰების წაბაძულებით ერთპიროვნული, დესპოტიური მმართველობის შემოღება სცადა. მაგრამ რადგან მას



თვითონ უფრო მხიარული დროსტარება აინტერესებდა. სა-
მეფოს მართვა-გამგეობა ხელში ჩაუვარდა ერთ გაქვინდულ
ქვეიან კარისკაცს, ტომით თათარს, რომელიც ფაქტიურად
ქართლის სამეფოს დიქტატორი გახდა.

ერთი, შედარებით, კეთილისმყოფელი შედეგი მაინც მო-
პყვა ნაზარალი ხანის ანუ ერეკლე პირველის ხანმოკლე მე-
ფობას: რადგან ის თავის ნამდვილ სამკვიდროდ შაჰისაგან
ბოძებულ ქართლსკი არ სთვლიდა, არამედ კახეთის სამეფოს,
მან ყიზილბაშთა მეციხოვნე რაზმების და სპარსოფილი ფეო-
დალების მიერ შევიწროებულ ქართლელ გლეხკაცობას ხელი
არ შეუშალა დიდი პარტიებით აყრილიყო და დაცარიელე-
ბულ კახეთში გადასახლებულიყო. თუ კახეთს თუშ-ფშავ-
ხევსურეთიდან და ერწო-თიანეთიდან ჩამოსულ ახალშენებ-
თან ერთად ქართლელი გლეხკაცობა არ მიშველებოდა,
ალაზნის და ივრის ნაყოფიერ ხეობებს ლეკობის და თურქ-
მანობის ზვაევი ამოავსებდა. ამის შემდეგ ქართველი ერისა-
თვის შეუძლებელი გახდებოდა თვით თბილისის და ქართ-
ლის შენარჩუნებაც.

მართალია, როცა ნაზარალი ხანის შემდეგ ქართლის გამ-
გედ ვახტანგ მეექვსე დაინიშნა, მან შაჰის ნებართვით კახეთ-
ში თავისი მოხელეები და დაკარგული ყმების მადიებელი
ფეოდალები გაგზავნა, რათა გახიზნული გლეხები უკან და-
ებრუნებინა; მაგრამ მათ ამის შესრულება მხოლოდ ნაწი-
ლობრივ შესძლეს. კახეთის ტყეებისა და მთების წყალობით
ხიზნებმა მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. კახეთში და-
სახლება გლეხკაცობისთვის ეკონომიურად დიდად ხელსაყრე-
ლი იყო: მდიდარი ბუნება აქ მას უფრო მრავალნაირი და
შემოსავლიანი მეურნეობის შესაძლებლობას აძლევდა; ამას
გარდა ქიზიყსა და მთაში ბატონყმობა არ არსებობდა, კერძო

საკუთრება მხოლოდ კარ-მიდამოსა, ბაღებსა და ვენახებზე ვრცელდებოდა, სახნავ-სათესი, ტყე და საძოვარე სამფლობელოს შეადგენდა.

ერეკლე პირველს ანუ ნაზარალი ხანს სამი ვაჟი დარჩა: დავითი ანუ იმამყული ხანი, კონსტანტინე ანუ მაჰმადყული ხანი და თეიმურაზი. თუმცა დავითი სპარსეთში აღიზარდა და ერთგული მაჰმადიანი იყო, მაგრამ როდესაც ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში კახეთის ტახტი მიიღო, შეეცადა შეგუებოდა თავის ქვეშევრდომთა ზნე-ჩვეულებას და ისინი ლეკების მძლავრობისაგან დაეცვა. თავისი სასახლის ეზოში მან შემოაღობინა ასპარეზი, რათა იქ სხვების დაუნახავად თავისი აღზრდის ნაკლი შეევისო და შეჩვეოდა ტანვარჯიშობას და სპორტს, რომლის ცოდნას მისი უფროსი თანამედროვე, არჩილ მეფე სავალდებულოდ სთვლიდა ყოველი კარგად გაზრდილი ვაჟკაცისათვის: ჩოგნის შემოკვრას, ბურთაობას, ჯირითს, ნიშანში სროლას, ცხენის უხელოდ მოხტომას, ხმლის ცემას, ლახტის დარტყმას და მრავალ სხვას. მაგრამ მან ვერ შესძლო ლეკების მარბიელი რაზმების ალაგმვა. პირიქით, ლეკებმა კიდევ უფრო გააფართოეს მათ მიერ წინათ დაპყრობილი კახეთის ტერიტორია, რამდენჯერმე დაამარცხეს მეფის ჯარი და დიდძალი ხალხი გაჟლიტეს ან ტყვედ წაიყვანეს. ბოლოს, იმამყული ხანი, მათი შიშით, იძულებული გახდა კახეთის იმდროინდელი სატახტო ქალაქი ყარაღაჯი დაეტოვებინა და რეზიდენცია უფრო მიფარებულ და ადვილად დასაცავ ადგილას გადაეტანა, სახელდობრ თელავში.

კიდევ უფრო უბედური იყო კონსტანტინეს ანუ მაჰმადყული ხანის მეფობა. კონსტანტინემ საბედისწერო როლი შეასრულა თავისი სახელოვანი თანამედროვის ვახტანგ მეექვსის ტრაგიკულ თავგადასავალში. თავისი ხანმოკლე და მშფოთ-



ვარე მეფობის დროს ვახტანგ მეექვსე შეეცადა ქართლს
 ეროვნული აღორძინების გზაზე დაეყენებინა. თბილისის
 სახლის გარშემო მან თავი მოუყარა განათლებულ და პატრი-
 ოტულად განწყობილ საზოგადოებას, რომელმაც რეფორ-
 მატორ მეფის ხელმძღვანელობით ბევრი იღვაწა როგორც
 ეკონომიურ, ისე სულიერი კულტურის დარგში. ვახტანგმა
 ერთად შეაგროვებინა საქართველოში წინათ ან მის დროს
 მომქმედი კანონები და დიდი სჯულის წიგნი შეადგენინა. ამ
 ძეგლების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი
 თავისუფალი იყვნენ მაჰმადიანური სამართლის გავლენისა-
 გან და ძველი ებრაული, ბერძნული, სომხური და ქართული
 სამართლის შეგნების ნაყოფს წარმოადგენდნენ. მეფემ თავი
 მოაყრევინა აგრეთვე ქართული ისტორიული მატრიანეებისა და
 სიგელ-გუჯრებისთვის და ერთი მთლიანი ისტორია შეადგე-
 ნინა; თბილისში დააარსა სტამბა და თავისი რედაქციით და
 შენიშვნებით ვეფხისტყაოსანი გამოსცა; მან აკრძალა ტყვე-
 ების გაყიდვა, განაახლებინა ან ახლად გაათხრევინა სარწყა-
 ვი არხები, ააშენებინა ახალი სოფლები და დაბეები, ბოლოს,
 პატარა მუდმივი ჯამაგირიანი ჯარი დააარსა.

მაგრამ ვახტანგ მეფეს ესმოდა, რომ მის რეფორმატორულ
 მოღვაწეობას მკვიდრი ნიადაგი არ ექნებოდა, სანამ ის მე-
 ზობელი მაჰმადიანური იმპერიების წინააღმდეგ ძლიერი
 ქრისტიანული სახელმწიფოს მფარველობას არ მოიპოვებდა.
 ამიტომ როდესაც მის მიერ საფრანგეთში და რომში წარგზავ-
 ნილი საბა-სულხან ორბელიანის დიპლომატიური მისია უშე-
 დეგოდ დამთავრდა, ის დაეთანხმა პეტრე დიდის მიერ წარმო-
 დგენილ წინადადებას და მასთან სამხედრო კავშირი შეჰკრა.
 ამრიგად ვახტანგ მეექვსემ განაგრძო ის პოლიტიკური გეზი,
 რომელიც კახეთის ბაგრატიონებმა დაიწყეს მეთექვსმეტე



საუკუნეში და შემდეგ დროებით შეწყდა თეიმურაზის მარცხის გამო, მაგრამ, ბოლოს, კახეთის ბაგრატიონების წყალობით საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლით დასრულდა.

დავით გურამიშვილმა მომხიბლავი პოეტური უშუალოებით აწერა კავშირის დამყარება ვახტანგ მეექვსესა და პეტრე დიდს შორის. ერთს სალამო უამს ვახტანგი სასახლის კამაროსან აივანზე ზის მარტოდმარტო, ხალვათად. გულს სევდა შემოსწოლია, ვინაიდან ხედავს, რომ ქვეყანა საბოლოოდ აირ-დაირია. უცებ ის თვალს მოჰკრავს უცნობ კაცს, რომელიც სასახლის კიბეზე არბის ხტომით. აღმოჩნდება, რომ ეს არის პეტრე იმპერატორის შიკრიკი, რომელიც მეფეს დაბეჭდილ ოქრომკედ თუ სირმაშემოკრულ წერილს გადასცემს. ვახტანგს გული გაეშლება, როგორც სიცივით დამზრალ ვარდს მზის თბილი სხივების შეხებისას. რუსეთის იმპერატორი სწორედ იმას სთავაზობს, რასაც ვახტანგ მეფე ნატრობდა, სახელდობრ სამხედრო კავშირს საერთო მტრის, მაჰმადიანი ერანის წინააღმდეგ. მეფე ჩუმად მოიწვევს თანაგამზრახ ვეზირებს და ნადიმს გამართავს თავის სასახლეში. ეს, ალბათ, ის სასახლეა, რომელიც თეიმურაზ მეორემ აწერა ერთს თავის ლექსში („ქება სრისა“). მას შუა ეზოში კოლონადა და მარმარილოს აუზიანი შადრევნები უნდა ჰქონოდა, მისი ფანჯრები ფერადი მინებისგან უნდა ყოფილიყო შეხამებული, ხოლო სასტუმრო დარბაზების კედლები დაფარული ყოფილიყო სარკეებით, ისე რომ, როცა ბროლის ხომლზე კელაპტრები აინთებოდა, სტუმრებს ეგონებოდათ, გარს ცეცხლი გვეკიდებო. ეს სასახლე თურქებმა დაანგრიეს 1725 წელს.

ამ ბრწყინვალე ლხინს, დავით გურამიშვილის მოწმობით, დარბაზის ერის ბჭობა მოჰყვა, როგორც ამას საქართველოს

ფეოდალური მონარქიის დაუწერელი კონსტიტუცია მოიხ-
ხოვდა ასეთი მნიშვნელოვანი შემთხვევისათვის. მეფის დაბ-
ბაზის კრება ორად გაიყო: რუსული ორიენტაციის დარბა-
სლებმა მოიწონეს ქრისტიანი ხელმწიფის ხელდებულად,
ე. ი. ვასალად გახდომა, სამაგიეროდ მოწინააღმდეგე მხარემ
შიში გამოსთქვა, ვაი თუ მტრებმა შეგვიტყონ და ჩვენ წინა-
აღმდეგ წამოაღვინო: — ვინემ რუსნი გვიშველიან, მანამ
ჩვენი გარდაგვხდებისო. ვახტანგ მეფემ არ დაიჯერა თავისი
ფრთხილი მრჩევლების წინადადება, ჯერჯერობით ნუ გამოა-
შკარავებ, რომ რუსეთის მხარეზე ხარ, თუ პეტრესთან შეხ-
ვედრა აუცილებლად მიგაჩნია, იფარულად შეხვდი მცირე
ამალითო. პეტრე იმპერატორმა მართლაც დაიჭირა ტარკი,
დარუბანდი, ბაქო (1723 წ.) და მთელი კასპიის ზღვის სანა-
პიროს დაპყრობას ლამობდა, რათა იქიდან გზა გაეკაფა ინ-
დოეთისაკენ. ვახტანგ მეექვსე დიდი ქართველი ჯარით გან-
ჯასთან მივიდა, რათა თავის მოკავშირეს შეხვედროდა.

პეტრე დიდი და ვახტანგ მეექვსე, წინასწარი შეთანხმების
მიხედვით, ბაქოსა და დარუბანდს შუა უნდა შეხვედროდნენ
ერთმანეთს. მაგრამ პროვიანტის დალუბვამ კასპიის ზღვაზე,
სენატის უკმაყოფილებამ და თურქეთის მტრულმა განწყობი-
ლებამ პეტრე აიძულა დარუბანდიდან ჯერ ასტრახანში და-
ბრუნებულიყო, ხოლო შემდეგ პეტერბურგში. რუსის ჯარს
თორმეტი წლის განმავლობაში ამის შემდეგ კიდევ ეჭირა
ლენქორანი, მაზანდარანი და ასტრახადი, მაგრამ აქტივობას
ვერ იჩენდა. ბოლოს ის, პავისა და ნაკლებულობისაგან შე-
წუხებული და ნადირ-შაჰის აქტივობით შემფოთებული,
უკან დაბრუნდა.

ვახტანგ მეფის მდგომარეობა გამძვინვარებული თურქე-
თის სულთანის და ერანის შაჰის წინააღმდეგ აუტანელი გახ-



და. შაჰმა ქართლის სამეფო კახეთის მეფეს კონსტანტინეს მისცა; მაგრამ კონსტანტინემ თბილისის დაქვეყნების შემდეგ, სახამ თავისი ყველაზე საშიშარი მტრების — ლეკების დაქირავებული ჯარი არ მიიშველია და მას თბილისის გაძარცვის ნება არ მისცა. ახალციხის მხრიდან ქართლში თურქების ჯარი შემოიჭრა. ამის შემდეგ ყოველ მხრივ სასოწარკვეთილი ვახტანგი თითქმის მთელი იმდროინდელი მოწინავე თავადაზნაურობის ოჯახებით და რამდენიმე სასულიერო პირითურთ რუსეთში გადასახლდა. კონსტანტინემ თურქებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და თბილისის ციხის გასაღები მათ უომრად ჩააბარა. ამის შემდეგ ლეკთა თარეშმა კახეთში სრულიად არაჩვეულებრივი გაქანება მიიღო. შეუძლებელი გახდა ცხოვრება ციხე-სიმაგრეების გარეთ. ქიზიყსა და შიგნით კახეთში მოღობი გაჩნდნენ და ხალხის ძალით გამაჰმადიანება დაიწყეს. კონსტანტინე მეფეს ვერ უშველა შეგუების პოლიტიკის წარმოებამ ოსმალეთის მიმართ. ის ქართლის მმართველად დადგენილმა ფაშამ სადარბაზოდ მიიტყუა და ცხენზე შეჯდომის დროს ხანჯლით მოაკვლევინა.

ქართლ-კახეთს თავისი ისტორიის მანძილზე იშვიათად დასდგომია უფრო ბედშავი დღეები. ქვეყნის ტრაგიკული მდგომარეობა კარგად გამოჰხატა დავით გურამიშვილმა, რომელიც სწორედ ამ ხანებში ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ქსნის ხეობაში ყოფნის დროს დატყვევებულ იქნა ლეკების მიერ:

რაც მოგახსენე, მოგვეკვარა ჩვენ ერთმანეთის ბრძოლაში!
 ქართლი ოსმალომ დაიპყრა, კახეთი ლეკთა მოლომა;
 მით ჩვენმა სისხლიმა ნაღვარმან სევენები სულ ამოლომა,
 და სუნთ მოიცივა მთაბარი ჩვენის მკედლის მპორთა ყროლომა!

ერანის დატვირთვა

ქართლ-კახეთის ამ სულთმობრძაობის დროს ერანში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდებოდა. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ერანში დაიწყო შინაგანი დაშლის პროცესი, რომელმაც ეს უდიდესი აღმოსავლური იმპერია ასიოდე წლის განმავლობაში მესამეხარისხოვან სახელმწიფოდ აქცია.

სეფევიდების დინასტიამ, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისიდან თითქმის ორასორმოცი წლის განმავლობაში ერანის იმპერიას მეთაურობდა, მას რამდენიმე ენერგიული და შორსმჭვრეტელი შაჰი მისცა. ასეთი იყვნენ, განსაკუთრებით, სეფევიდთა დინასტიის პირველი წარმომადგენლები, შაჰ-ისმაილი, რომელიც თურქ ტომების სამხედრო რელიგიურ ორგანიზაციას, ეგრეთწოდებულ წითელქუდიანთა ანუ ყიზილბაშთა ჯარს დაეყრდნო და დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე თურქმანები და უზბეგები, ხოლო შიიტობა ერანის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოაცხადა. ასეთი იყო აგრეთვე თამაზ პირველი, რომელიც ოთხჯერ შემოესია ქართლს და დიდად დაახიანა ის, მაგრამ გმირულ წინააღმდეგობას წააწყდა ლუარსაბ პირველის მხრით. ხოლო სეფევიდთა დინასტიის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ცნობილი შაჰ-აბაზ პირველი იყო, რომელმაც სახელმწიფოს მეურნეობის და ადმინისტრაციის გარდაქმნით, არხების, გზების, ქარვასლების გაკეთებით ან განახლებით და სხვა ღონისძიებებით ერანი ხელახლა აღორძინების გზაზე დააყენა. მან დააარსა აგრეთვე მუდმივი ჯარი, რომელიც ათათაჰი მხედრისა და თხუთმეტი ათასი ქვეითი ჯარისკაცისა-

გან შესდგებოდა და მუშაობით იყო შეიარაღებული, შემოიღო რამდენიმე ბატარეისგან შემდგარი არტილერიის ტურქებს უკან წაართვა მათ მიერ დაპყრობილი პროვინციები, ერავი, აზერბაიჯანი და სხვა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ერანის პოლიტიკური და კულტურული დაქვეითება მსოფლიო ისტორიული მოვლენებით იყო გამოწვეული და მისი შეჩერება არ შეეძლო ამა თუ იმ შაჰს, რარიგ გენიოსიც უნდა ყოფილიყო ის. ჯერ ჩინგიზყაენის, ხოლო შემდეგ თემურ-ლენგის ურდოებმა გაანადგურეს წინა აზიის აყვავებული კულტურა. მეთხუთმეტე საუკუნემდე ერანი მაინც შეუამავალს წარმოადგენდა საერთაშორისო აღებ-მიცემაში და მის ტერიტორიაზე გადიოდა ის დიდი საქარავნო გზა, რომელიც დასავლეთ ევროპასა და ბიზანტიას ინდოეთის და შუა აზიის ბაზრებთან აკავშირებდა. ბიზანტიის დამხობისა და ბოსფორზე თურქების დამკვიდრების შემდეგ ეს დიდი გზა გადაიჭრა, და ევროპიელები შეეცადნენ ზღვით დაკავშირებოდნენ ინდოეთს და საზოგადოდ აზიის კონტინენტს. ერთი სიტყვით, ერანის და მისი მეზობელი ქვეყნების, ანატოლიის, სომხეთის, თურქესტანის და საქართველოს გაღარიბება და უკანდახევა ერთმა და იმავე მიზეზებმა გამოიწვია.

ერანის დეგრადაცია შაჰ-აბაზის გარდაცვალებისთანავე დაიწყო. ისპაჰანის ტახტზე მას მოჰყვა მთელი რიგი უნიჭო და უუნერგია შაჰებისა, რომელნიც საომარ ბანაკში შეჭირვებულად ცხოვრებას იმას ამჯობინებდნენ, რომ მშვიდობიანად სასახლეში მჯდარიყვნენ რბილ ბალიშებსა და მუთაქებზე ფეხმორთხმულნი, შარბათი და ღვინო ესვათ, მუტრიბთა გამაღიზიანებელი სიმღერისა და ცეკვისათვის ეცქირათ და პარამხანის დიაცთა აღერსი ეგემნათ.

დავით გურამიშვილი საუცხოოდ ახასიათებს სეფევიდთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელს, შაჰ-თამაზ მუნჯარეს, რომელსაც აჯანყებულმა ავღანელებმა თითქმის მთელი სამეფო წაართვეს, გარდა ჩრდილოეთის პროვინციებისა, და რომელიც პეტრე დიდს სწორედ ამ ჩრდილო პროვინციებს სთავაზობდა, რათა რუსის ჯარის შემწეობით ავღანელები გაერეკა:

იგდა ფენად შაჰ-თამაზ, ძე ძისა შაჰ-აბაზისა,
მან შექმნა ბილწად დრანჯობა*, ბევრი ღვინო სვა ვაზისა,
აღარ ახსოვდის სიმთვრალით ზელში მირთმევა არზისა,
და მით სამართალი დაფასდის ცხრა ქანქრად ცხრა აბაზისა.
შეუფარებოდა ორიგ მას, ღოთობა, მეძაობანი;
მით დაბნეოდა, წართმოდა თავისი ქცვა და ცნობანი;
მუდამ შინ იგდის განცხრომით, ვერ გასძლიის გარეობანი,
და მის გამო ველარ შეიძლო მან ქვეყნის პატრონობანი.

არსებითად სეფევიდების დინასტია შაჰ-თამაზის მამის შაჰ-ჰუსეინის დროს დაემხო. ერანის იმპერია მრავალერიან სახელმწიფოს წარმოადგენდა. სპარსელები მოსახლეობის ნახევარსაც არ შეადგენდნენ და უფრო კომპაქტურად შუაგულ და სამხრეთ პროვინციებში ცხოვრობდნენ; სანაპირო პროვინციები კი ავღანელებს, თურქებს, ქურთებს, არაბებს და სხვა ტომებს ეჭირათ, რომელნიც ნაწილობრივ მომთაბარულ ცხოვრებას მისდევდნენ და ძნელად დასაბეგრავი და ძნელად მოსათვინიერებელნი იყვნენ. ეროვნულ და ტომობრივ წინა-

* დრანჯობა — მრუშობა, სიძვა.



აღმდგომას ზედ ერთოდა რელიგიური შუღლე, რომელიც განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც სუნიტურ უმცირესობას ძლიერი მფარველი გაუჩნდა ერანის მეზობლად აღორძინებული თურქთა იმპერიის სახით.

შაჰ-ჰუსეინი ღრმად მორწმუნე შიიტი იყო და ჰარამხანისაგან თავისუფალ დროს მეჩითში ატარებდა; მას ქვეშევრდომები დაცინვით მოლას უწოდებდნენ. ადმინისტრაციის და სამღვდლოების თვითნებობამ, მექრთამეობამ, სამართლის უქონლობამ, რასაც ზედ დაემატა ბეგარის და გადასახადების არაჩვეულებრივი მომატება და ახალგაზრდა ქალების მოტაცება შაჰისა და მისი ერთგული ვეზირებისა და ხანების ავხორცობის დასაკმაყოფილებლად, საერთო სახალხო მღელვარება გამოიწვია. ამასთანავე დაიწყო ავღანელების აჯანყება ერთ-ერთი გავლენიანი ტომის მეთაურის მირვეისის წინამძღოლობით. მის წინააღმდეგ შაჰმა დიდი ლაშქარი გაგზავნა, ამ ლაშქარში რჩეულ ნაწილს ქართველები შეადგენდნენ, ხოლო მის მთავარსარდლად ვახტანგ მეექვსის ბიძა გიორგი მეფე იყო დანიშნული. გიორგიმ რამდენჯერმე დაამარცხა მირვეისი, დაატყვევა ის და ისპაჰანში გაგზავნა. მაგრამ მირვეისმა თვალთმაქცობით შესძლო უფუნური შაჰ-ჰუსეინის მოტყუება, თავი დააღწია ტყვეობას და ხელახლა ავღანისტანში გაჩნდა. აქ მან გიორგი მეფეს ზავი და მეგობრობა შესთავაზა, თავის ბანაკში მიიტყუა და მოაკვლევინა, ხოლო მთელი მისი ამაღა გააქვლევინა.

მირვეისის სიკვდილის შემდეგ სუნიტ ავღანელების ოცათასიანი ჯარი მისი ძმისწულის ემირ მაჰმუდის ხელმძღვანელობით შეესია ერანს, დაამარცხა შაჰის ორმოცდაათათასიანი ლაშქარი და ალყა შემოარტყა ისპაჰანს. ამავე დროს უზბეგებმა ხორასანი დაიჭირეს, ხოლო ქურთებმა ჰამადანის



პროვინცია. ხანგრძლივი ალყით იმედმიხდილი შაჰ-მუჰამადი იძულებული გახდა სატახტო ქალაქის კარიბჭე ^{გაეღო} და ნაკში ხლებოდა ემირ მაჰმუდს და საკუთარი ხელით ერანის შაჰების გვირგვინი დაედგა მისთვის. ისპაჰანში შესვლის შემდეგ ავღანელებმა საშინელი ტერორი დაამყარეს. მათ გაჟლიტეს შიიტური სამღვდელოება და მიწათმფლობელი არისტოკრატია, მოსპეს შაჰის გვარდია და ყელები დასჭრეს შაჰ-ჰუსეინს და მისი გვარის ყველა მამაკაცს. გადარჩა მხოლოდ ზემოხსენებული თამაზი, რომელიც თავრიზში გაიქცა და თავი შაჰად გამოაცხადა.

V

პატარა კახის სიზაბუჟე


ერეკლე მეორის მამა თეიმურაზ ბატონიშვილი იმ ასაკში დაქორწინდა, როცა მას, ალბათ, ცოლქმრობა უფრო თამაზობად მიაჩნდა, ვიდრე ცხოვრების მძიმე ვალდებულებად. ის თორმეტი წლის იყო, როცა პოლიტიკურ მოსაზრებათა კარნახით ბავშვობაში დაწინდულ ერისთავის ქალს გააშორეს და ვახტანგ მეექვსის ქალსა თამარზე დასწერეს ჯვარი. ამით კახეთის პოლიტიკურ მესაჭეებს უნდოდათ ერთმანეთისათვის დაეახლოებინათ ბაგრატიონთა დინასტიის ორი შტო. შემდგომში ამბებმა მათი მოსაზრება გაამართლა, და თეიმურაზის და თამარის ვაჟი, რომელიც 1720 წლის 7 ნოემბერს უნდა დაბადებულიყოს თელავის სასახლეში, ქართლ-კახეთის სამეფოების უკანასკნელად გაერთიანების და გაძლიერების მოწმე და აქტიური მოღვაწე გახდა. მას ირაკლი უწოდეს მისი პაპის პატივსაცემად.



ერეკლე ბატონიშვილმა ბავშვობა მკაცრი ცხოვრების პირობებში გაატარა; მაგრამ როგორც დიდბუნებოვანი ადამიანის შეეფერებოდა, ამ სპარტანულმა სკოლამ კი არ მოსდრიკა, პირიქით, გააკაჟა მისი ნებისყოფა. თეიმურაზს და დედამისს, ანა დედოფალს, ჯერ კიდევ ერეკლეს დაბადებამდე, ლეკების შიშით, ხან თელავში უხდებოდათ ყოფნა, ხან მანავში, ხან მალაროში. რადგან თეიმურაზის უფროსი ძმა დავით მეფე ანუ იმამყული ხანი ხუთი წლის განმავლობაში სპარსეთში იმყოფებოდა, შაჰის კარზე, კახეთის სამეფოს ფაქტიურად ალავერდელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი მართავდა. კიდევ უფრო გაუარესდა მდგომარეობა ანა დედოფლისა და იმამყული ხანის სიკვდილის შემდეგ; თურქების და ლეკების ძალმომრეობამ კახეთის სამეფო ოჯახი იძულებული გახადა ფშავში გახიზნულიყო; ამ დროს ერეკლე ოთხი-ხუთი წლისა იქნებოდა. მას თავის დედ-მამასა და ბიძასთან ერთად ციხესიმაგრეებში უბრალო მწყემსების ქოხების გვერდით უხდებოდა ცხოვრება. მის მეგობრებში ერივნენ გლეხის ბიჭებიც. მათთან ერთად პატარა უფლისწული ფარიკაობდა, ნადარობდა, თევზებს იჭერდა და ბურთაობდა. ის ადრე შეეჩვია ცხენზე ჯდომას და ყოველ ჯარობაში თავის ბაჩას დააქროლებდა.

ქართულმა სახალხო პოეზიამ საუცხოოდ ასახა პატარა კახის ეს თავისებური აღზრდა, მისი სიახლოვე ბუნების სტიქიონებთან:

ბატონიშვილს ერეკლესა
 ირმის ძუძუ უწოვნია;
 საჩალეში გადაეგლოთ,
 მონადირეს უპოვნია;
 წყალი უსვამს ალგეთისა,
 თრიალეთზე უპოვნია.





თუმცა ამრიგად ერეკლე ბავშვობიდანვე გაეცნო მდებარე ხალხის ცხოვრებას, მისი ლხინის და ქირის თანამშრომლობა გახდა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ის მაინც უფლისწულად იყო დაბადებული, ფეოდალური სამეფოს ტახტის მემკვიდრედ და, მაშასადამე, სათანადო განათლებაც უნდა მიეღო. როგორც სჩანს, მას რამდენიმე მასწავლებელი უნდა ჰყოლოდეს, საერო მეცნიერებათათვის აბელ ანდრონიკაშვილი, ღვთისმეტყველებისათვის ონოფრე ბოდბელი, გალობისთვის მღვდელი დიმიტრი ხელაშვილი და სხვები.

ერთხელ ნადირობის დროს ერეკლეს შვლის ნუკრი დაუჭერია, შინაური თხის რძით გაუზრდია და ბიჭინა დაურქმევია. როგორც ველური მთებისა და ტყეების შვილს შეეფერებოდა, ბიჭინა კარგად გაცნობილი არ ყოფილა მეფის კარის გარიგებას და თეიმურაზის ოჯახის თელავში დაბრუნების შემდეგ სასახლის ეზოსა და დარბაზებში მეტი ხტუნაობა და სირბილი განუზრახავს, ვიდრე ასატანი იქნებოდა ალავერდელი და ნეკრესელი ეპისკოპოსებისა ან ონოფრე ბოდბელისთვის. ამიტომ მისთვის დრო შეუურჩევიათ და, როცა ერეკლე შინ არ ყოფილა, დიაცთა სამსჯავროს განჩინების მიხედვით, დაუკლავთ; უეჭველია პატარა უფლისწულს ძალიან ეწყინებოდა მისი ცელქი გაზრდილის ესოდენ შკაცრი დასჯა; და მისი ნუგეშის საცემლადაა დაწერილი თეიმურაზ მეორის სახუმარო ლექსი „ბიჭინას სიკვდილზე“:

ჩიოდა ამას ბიჭინა, როს ზღომა ჰქონდა სულისა:

„სად მეფეს აწ ჩემი ბატონი, ჩემი ამგები სულისა?

უმისოდ მომკლეს დიაცთა, არ მეგანდა მტკენი გულისა“.

და აწ თქვენ შეგაკარეთ უგრძობლად სიკვდილი მის ბედკრულისა.



ერეკლე ბატონიშვილი თხუთმეტი წლისა იყო, ^{ბატონიშვილი} მისმა ის თელავიდან ალავერდში გაგზავნა, ^{რომელმაც} ხელმძღვანელობა გაეწია კახელი ხალხისთვის, რომელიც ფარულად დრტვინავდა და მზად იყო ლეკების წინააღმდეგ აჯანყებულიყო. ალავერდიდან ერეკლემ კავშირი გააბა ქიზიყთან და კავკასიის მთის ძირის სოფლებთან. მთელი ხალხი ფეხზე დადგა. ქიზიყელი ქალები მამაკაცებს აღარ აცლიდნენ, ცხენებს უკაზმავდნენ და წელზე იარაღს არტყამდნენ, წადით, სამშობლოსთვის დაიხოცენით, თურქების და ლეკების ყმობას სიკვდილი სჯობიაო. ერეკლეს გარშემო თავი მოიყარა რჩეულ ვაჟკაცთა მცირე ლაშქარმა. ამ ლაშქრით ერეკლე ნეიშინის მინდორზე თავს დაესხა ქიზიყიდან მომავალ ლეკის ჯარს და სასტიკად დაამარცხა ის.

ერეკლეს მეფობის ისტორიკოსი — მდივანბეგი ომან ხერხულიძე ამ ბრძოლის ამბავს ასე მოგვითხრობს: „ხოლო წელსა 1735 მოვიდნენ ლეკნი და ქისიყი მოარბივეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა თხუთმეტისა, რომელმაც შემოიყარა სოფლებიდან ჯარი, ეწია ნეიშინის მინდორში და ძლიერად შემოებნენ ლეკნი. გარნა თვით ეს ყმა, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, მეორედ შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი; და ამის მზილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყვილით და წინაწარიქციეს ჯარი ლეკისა, აჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი. და მოვიდა მალაროს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად მზიარულ იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმზნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა“.

ნადირ-შაჰი

ის ანარქია, რომელიც ერანში ავღანელების შემოჭრამ, სეფევიდთა დინასტიის ამოწყვეტამ და შაჰ-თამაზის თავრიზში გაქცევამ გამოიწვია, სულ ხუთ-ექვს წელიწადს გაგრძელდა. მას ბოლო მოუღო ნადირმა, რომელმაც სისხლდაცლილი და სახსრებდაშლილი სახელმწიფო ერთხელ კიდევ მოასულა და ცოტა ხნით, გარეგნულად მაინც, კიდევ აიყვანა წინანდელი სიძლიერის და ბრწყინვალეების სიმაღლეზე.

ნადირი დაახლოებით ოცდაათი წლით უფროსი იყო ერეკლეზე. წარმოშობით ის თურქმანი იყო, ზოგიერთი ცნობით უბრალო მწყემსის, ხოლო სხვა ცნობით, ქურქის ოსტატის შვილი; მაგრამ თავისი ჭკუისა და დამოუკიდებელი ხასიათის შემწეობით ის ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მთელი ერთი ტომის მეთაური გახდა. მან თავდაპირველად მოხალისეების დახმარებით ერანის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებში აღადგინა წესრიგი, რითაც შაჰ-თამაზის კეთილგანწყობილება დაიმსახურა. შაჰმა ნადირს ჯარის მთავარსარდლობა უბოძა და სახელმწიფოს დამშვიდება დაავალა. ნადირმა ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. მან ერანში შემოჭრილ ავღანელებს შეუტია არა ისპაჰანში, არამედ მათივე სამშობლოს ცენტრში, ჰერატში, რომლის აღებით ბაზისი მოუსპო მოწინააღმდეგეს. შემდეგ მან მთელი ერანი ადვილად გაანთავისუფლა მათი ბატონობისაგან.

ნადირმა თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ბევრი კარგი ადამიანური თვისება გამოიჩინა. ის შემწყნარებელი იყო რელიგიის საკითხებში; ლაშქრობის დროს თავისი ჯარის პირველ რიგებში იმყოფებოდა და ყველა იმ გაჭირვებას



იტანდა, რომელიც ჯარისკაცს ხვდება წილად. ის მაგარად
 მაგრამ სამართლიანი იყო და გამარჯვების შემდეგ
 ლილად აჯილდოებდა თავის თანამებრძოლთ. დამარცხების
 შემდეგ მან არ იცოდა გულის გატეხა, გამარჯვებას კი ხში-
 რად აღწევდა გონებამახვილი ოინების, მოჩვენებითი უკან-
 დახევის, მტრის გვერდზე შემოვლის, ზურგის ნაწილების
 მოჭრის შემწეობით. ბოლოს, მან ნაპოლეონის მსგავსად
 მოკლე და შთამგონებელი პროკლამაციების შედგენა იცო-
 და ჯარის ასაღფროთოვანებლად და ხალხის დასამშვიდებლად.

როცა ნადირაის ავღანისტანში ყოფნის დროს ერანს თურ-
 ქების ჯარი შეესია და მისმა მთავარსარდალმა შაჰს უმძი-
 მესი პირობები წარმოუდგინა ზავის შესაკერელად, ნადირმა
 შაჰის მიერ მიღებული ზავი არ დაადასტურა და ხალხს შემ-
 დეგი მოწოდებით მიმართა: „იქონიეთ მოთმინება, სანამ მე
 თქვენ გინახულებდეთ. ღვთის წყალობით მე მოგვევლინებით
 იმ ჯარის სათავეში, რომელიც ძლიერია მუდმივი გამარჯვე-
 ბებით, შეჩვეულია გაჭირვების ატანას ბრძოლის ველზე,
 მრავალრიცხოვანია როგორც ჭიანჭველის ბუდე, მაგრამ
 ამასთანავე მამაცი როგორც ლომები და ახალგაზრდულ გამ-
 ბედაობასთან შუა ასაკის კეთილგონიერებას აკავშირებს. მა-
 შინ დაინახავთ, რომ ჩვენი მტერი, რომელიც ცეცხლს სცემს
 პატივს, თავზე ნაცარს დაიყრის, ვინაიდან ბრძნული ანდაზა
 ამბობს: ვისაც ტალღებში სხვისი დახრჩობა სწადია, თვით
 დაიხრჩობა შიგ“.

გასაკვირველი არ არის, რომ ასეთმა ადამიანმა ჯარში დი-
 დი პოპულარობა მოიპოვა და სუსტ, უნებისყოფო შაჰში მე-
 შურნეობა გამოიწვია. შაჰ-თამაზმა უსამართლო შეურაცხყო-
 ფა მიაყენა ავღანისტანიდან უკან დაბრუნებულ ნადირსა და
 მის თანამებრძოლებს. ამას შეიძლებოდა გამარჯვებული



სარდლის დატუსალება და დასჯა მოჰყოლოდა, რაიც ნადირი მოვლენა იყო აღმოსავლეთში. ამიტომ ნადირმა მტრულ-მტრული მოკრძალებით შეაცდინა შაჰი, თავის ბანაკში მიიტყუა ის და თავის ერთგულ ჯარისკაცებს დაატუსალებინა. ამის შემდეგ ნადირი ერანის ფაქტიური მმართველი გახდა, ჯერ როგორც გადაყენებული შაჰის უწლოვანი ვაჟის რეგენტი, ხოლო შემდეგ როგორც გვირგვინოსანი შაჰი.

ნადირმა თურქებს თავდაპირველად ბაღდადის მიმართულ-ლებით შეუტია და დიდ წარმატებასაც მიაღწია; მაგრამ შემდეგ გაიგო, რომ მოწინააღმდეგე, რომელმაც მის მიერ წარმოდგენილი ზავის პირობები არ მიიღო, დიდძალ ჯარს აგროვებდა ყარსის მიდამოებში და აქედან აპირებდა შეუგულ ერანში შეჭრას. ამიტომ მანაც ჩრდილოეთისკენ იბრუნა პირი, რათა მტერს აზერბაიჯანის და საქართველოს ტერიტორიაზე შეხვედროდა. ნადირმა ალყა შემოარტყა განჯის ციხეს, სადაც თურქთა ძლიერი მეციხოვნე ჯარი იდგა, ხოლო 1735 წლის ივნისში სასტიკად დაამარცხა სერასკირი აბდულა ფაშა, რომელიც მთელი თავისი ქვეითი და ცხენოსანი ჯარით და არტილერიით გაუფრთხილებლად აბარან-ჩაის ვიწრო ხეობაში შევიდა და ახთაფის მთების კალთებზე ჩასაფრებულ, ერთიორად მცირერიცხოვან ერანელ ჯარს შესაძლებლობა მისცა თითქმის სრულიად გაენადგურებინა თავისი მოწინააღმდეგე. ამის შემდეგ ნადირმა ყარსის ციხეც აიღო და, ამრიგად, ერანის სახელმწიფო უზრუნველყო ჩრდილოეთის მხრიდან.

თეიმურაზმა და ერეკლემ საღი პოლიტიკური ინსტინქტით სწორად დააფასეს თუ რა უპირატესობა ჰქონდა მდაბიო ხალხის წიაღიდან გამოსულ და პირადი ნიჭის შემწეობით ამაღლებულ ერანელ მხედართმთავარს ძველი სკოლის თურქ-სარდლების წინააღმდეგ და ამიტომ უყოყმანოდ ნადირს



მიემხრენ, როგორც კი ის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გა-
მოჩნდა. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, მათ უეჭველად უნდა
ჰქონდათ, რომ თუ ნადირი თურქებზე გაიმარჯვებდა, ის
ალაგმავდა მათ მოკავშირე ლეკებსაც. თეიმურაზმა კახეთში
ჯარი შეაგროვა, თავს დაესხა თურქთა ჯარს, რომელიც
თბილისში მჯდომარე ფაშამ განჯის ალყაშემორტყმული
გარნიზონის მისაშველებლად გაგზავნა, და გაჰფანტა ის.
ამის შემდეგ თეიმურაზი კახ დიდებულთა ამალით ნადირის
ბანაკში მივიდა.

ყარსის აღების შემდეგ ნადირმა ქართველების დახმარებით
თბილისის ციხეც აიღო. ექვს ოქტომბერს, როდესაც ნადირი
თბილისში უნდა შემოსულიყო, თეიმურაზი მას ქალაქის გა-
ლაუნს გარეთ შეეგება ქართლ-კახეთის დიდებულთა თანხლე-
ბით. განჯის კარიდან დაწყებული სასახლემდე მთელი გზა
ყვავილებით და ხალიჩებით იყო მოფენილი, ხოლო საღამოს
ჩირაღდნები აანთეს და მაშხალები აუშვეს. ეს სადღესასწა-
ულო განწყობილება მარტო შიშით არ იყო გამოწვეული:
ქართველ ხალხსაც და თავადაზნაურობასაც იმედი ჰქონდათ,
რომ ნადირი ქართლ-კახეთს შეუმსუბუქებდა თურქებისა და
ლეკების ძალმომრეობით გამოწვეულ ტანჯვას. მაგრამ ნა-
დირმა ეს იმედი მხოლოდ ნაწილობრივ გაამართლა. მართა-
ლია, მან დალაშქრა კარ-ბელაქანი და იჭაურ ლეკობას კარ-
გა ხნით დაუჟარგა ქართლ-კახეთში შემოსევის უნარი და ხა-
ლისი, მან ააყრევინა და ხვარასანში გადაასახლებინა მრავალრიცხოვანი თათრების ელები, რომელთაც ბინები
მტკვრის ხეობაში ჰქონდათ, თბილისის ქვემოთ, მაგრამ შემ-
დეგ არც თვით ქართველობა დაინდო.

თავადაზნაურობის ერთი დიდი ნაწილი, რომელსაც რუსე-
თის და თურქეთის ხელისუფლებასთან ჰქონდა კავშირი,



მტრულად შეხვდა ნადირის რეჟიმის დამყარებას, ქართველთა კახეთში; ამ ოპოზიციურად განწყობილ ქართველთა ნაწილს კრატეის ენერგიული და გავლენიანი მეთაურები გაუჩნდნენ გივი ამილახვრის, შანშე ქსნის ერისთავის და სხვათა სახით. გივი ამილახვარი ერთ ხანს მერყეობდა, მაგრამ ნადირი მას მაინც უპატიოდ მოეპყრა, დაიჭირა და აიძულა მისთვის თავისი ასული მიეთხოვედინა. გივი ამილახვრის ქალი ვახტანგ მეექვსის ძმისწულ თეიმურაზზე იყო დანიშნული. როგორც ერთ იმდროინდელ, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი ცნობიდან სჩანს, ახალგაზრდა დანიშნულნი ნარდს თამაშობდნენ სოფელ ქალაში, ამილახვრების სასახლეში, როცა მათთან ნადირის მიერ გავზავნილი ჩაფრები მივიდნენ და ახალგაზრდა ქალი ჰარამხანაში წაიყვანეს. ადვილი წარმოსადგენია რა შემზარავ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ძალმომრეობა შეყვარებულ ქალ-ვაჟზე. თეიმურაზი ჩქარა ამის შემდეგ დავით გარეჯის უდაბნოში წავიდა, ბერად შესდგა და სახელოვანი მწერალი და მოღვაწე გახდა კათოლიკოს ანტონ პირველის სახელწოდებით.

ნადირმა ქართლ-კახეთში მარბიელი ჯარები გაუსია ურჩი და გამდგარი ფეოდალების მამულებს, მოაოხრებინა და მოაწვევინა მათი გლეხკაცობა, მრავალი სული გააჟლეტინა, ხოლო კიდევ მეტი ააყრევინა და ერანში გადაასახლებინა. ამის შემდეგ ის შირვანში გადავიდა, ნანგრევებად აქცია ქალაქი შამახია და საზამთროდ არეზის ნაპირას დაბანაკდა მულანის ველზე, რათა თავისი ჯარი დაესვენებინა. საქმე ის იყო, რომ იმდროინდელი ერანელი ჯარის მოძრაობა უფრო მომთაბარე ხალხის გადასახლებას ჰგავდა; მხედართმთავრებსა და უფროს მოხელეებს თან ჰარამხანები დაჰყავდათ მთელი საოჯახო მოწყობილობით; ლაშქარს უკან სხვადასხვა საეჭვო ელემენტების ხროვა მისდევდა, რომელიც არბევდა



და სძარცვავდა დაპყრობილ ტერიტორიებს. ერანელ ჯარს დიდი სატრანსპორტო საშუალებანი სჭირდებოდა აქლემების, ჯორ-ცხენების, ხარ-კამეჩების სახით. ამიტომ ეს ჯარი ლაშქრობის დროს ისეთ ადგილებზე ისვენებდა, სადაც უხვი საძოვარი იყო. მულანის ველი კი სწორედ საუცხოო საზამთრო იალადს წარმოადგენდა.

მულანის ველზე მაჰმადიანთა ახალი წლის—ნავრუზ-ბაირამობის დღეს ასი ათასამდე კაცმა მოიყარა თავი. აქ მთელი დროებითი ქალაქი გაშენდა ბაზრებითა და ცალკე უბნებით სხვადასხვა ერებისთვის. ჯარისკაცებისა და უბრალო ხალხისათვის ნადირმა ქეჩის კარავები დაადგმევინა, ხოლო საპატიო სტუმრებისათვის, რომელთა შორის თურქეთის და რუსეთის ელჩები და ქართლ-კახეთის დიდებულნი იყვნენ, მან ლერწმის სახლები ააგებინა მდიდრულად და მზატვრულად მოფარდაგებული სპარსული ხალიჩებითა და აბრეშუმის ქსოვილებით. კიდევ უფრო მდიდრულად იყო მოწყობილი თვით ნადირის დროებითი სასახლე და უზარმაზარი კარავი, რომელიც თორმეტ მოვერცხლილ სვეტზე იყო დაყრდნობილი და გარედან წითელი და ნაცრისფერი ძვირფასი ქსოვილებით იყო შემობურული. ამ სასახლესა და კარავს არაფერი არ აკლდა, არც ნაოჭებიანი კრეტსაბმელები, არც ოქრომკედით ამოკერილი ბალიშები, არც ვერცხლისა და ფაიფურის ჭურჭელი.

ნავრუზ-ბაირამობის დღეს, მილოცვის შემდეგ, ნადირმა სტუმრებს დიდებული ნადიმი გაუმართა, რასაც სხვადასხვა სანახაობა მოჰყვა, ჯამბაზების თამაში, ფალავნების ჭიდაობა, აქლემთა ბრძოლა; დღესასწაული დასრულდა მუსიკით და აბრეშუმის ხელსახოცებით, ეფენებით და სატკაცუნეებით აღჭურვილი მოცეკვავეების მოხდენილი თამაშით.

მეორე დღეს ლაშქარსა და ხალხს ეუწყა, რომ ისპაჰანში



მცირეწლოვანი შაჰი გარდაიცვალა. ნამდვილად ის იქნა ნადირის ბრძანებით. ცოტა ხნის თათბირის შემდეგ ლაშქრისა და წარჩინებულ პირთა დეპუტაციამ ნადირს სთხოვა შაჰის ტიტული და გვირგვინი მიეღო, რასაც ის მხოლოდ ფარისევლური ყოყმანის შემდეგ დასთანხმდა. ამასთანავე მოითხოვა, რომ ერანში არასოდეს მხარი არ დაეჭირათ სხვა დინასტიის პრეტენდენტისთვის და მისთვის ზელი არ შეეშალათ, რომ ისლამის ორი მოქიშპე სექტა, სუნიტება და შიიტები, გაეერთიანებინა. ამის შემდეგ მან თავის კარავში დიდი ზეიმით თავზე ერანის შაჰების ოქროს გვირგვინი დაიდგა. ცერემონიის დამსწრე დიდებულები, პროვინციების გამგეები, ჯარის უფროსები, ქალაქების წარმომადგენლები და სხვები მუხლზე დაეცნენ და მთავარი ყაზვინელი მოლის ლოცვის სიტყვები გაიმეორეს; ამავე დროს კი ერთ ზელს წვერზე ისვამდნენ იმის ნიშნად, რომ ჩვენი სიტყვები გულწრფელიაო. იმავე დღეს მოჭრილ იქნა ვერცხლის ფული, რომლის ერთს მხარეზე ეწერა: „დაე მსოფლიოს ეუწყოს მისი მომავალი დამპყრობელის ნადირის გამეფება“.

მულანიდან ნადირ-შაჰი ისპაჰანში დაბრუნდა, რათა ავღანისტანი საბოლოოდ დაემორჩილებინა და იქიდან ინდოეთში გაელაშქრნა, ეგრეთწოდებული დიდი მოღულის იმპერიის დასასჯელად, რომელიც ავღანელებს აქეზებდა და დახმარებას უწევდა ერანის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

VII

პატარა კახი ნადირ-შაჰთან

ქართლ-კახეთიდან წასვლის წინ ნადირმა ქვეყნის გამგეებად თბილისში ერანელი სეფი ხანი დასტოვა, ხოლო თელავში თეიმურაზის ძმისწული, გამაჰმადიანებული ალი მირ-



ზა ანუ ალექსანდრე ბატონიშვილი. მათ ვერ შესძლებოდა ვერც წესიერების დამყარება და ვერც ხალხის გულის შესწორება. უკმაყოფილება განსაკუთრებით გაძლიერდა, როდესაც ხალხს არაჩვეულებრივად დიდი ხარკი დაადევს და ერთგვარი სამხედრო ბეგარაც მოსთხოვეს. ამიტომ სეფი ხანმა ვითომდა მოსალაპარაკებლად გორში მიიწვია ოპოზიციური ელემენტების ხელმძღვანელები, თეიმურაზი, გივი ამილახვარი და სხვები, დაატყვევა ისინი, ხელებზე ბორკილი დაადებინა და ისპაჰანს გაისტუმრა.

ერთს თავის ლირიკულ ლექსში („თავგადასავალი“) თეიმურაზ მეორეს მოთხოვნილი აქვს ეს ყველაზე დრამატიული ეპიზოდი თავისი ბიოგრაფიიდან. ტყვეებს თავისი ნებით თან გაგვყვა ხარჭაშნელი ეპისკოპოსი, რამდენიმე თავადიშვილი და რამდენიმე კახელი და ქარფლელი გლეხიო. როცა ისპაჰანში ჩავიყვანეს, გვეგონა იმ დღესვე დაგვხოცავდნენო. მართლაც, ეს ადვილი მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ერანის შაჰები, როგორც აღმოსავლეთის დესპოტებს შეეფერებოდათ, თავიანთ კეთილგანწყობილებას ადვილად სცვლიდნენ გულისწყრომაზე და იმავე ადამიანებს, რომელთაც გუშინ აბრეშუმის ხალათებით და მოვარაყებულნი რახტებით აჯილდოებდნენ, დღეს განუკითხავად თვალებს სთხრიდნენ, ასაჭურისებდნენ ან თავებს სჭრიდნენ.

თეიმურაზი შედარებით ადვილად გადაარჩა. ნადირ-შაჰმა ის ავღანისტანში წაიყვანა, მაგრამ მოსთხოვა, რომ კახეთიდან თავისი ქალ-ვაჟი, ერეკლე და ქეთევანი დაეზარებინა:

თვით ვეენმან უსამართლო საქმე მიუო მეტად ძნელი;
გამომართვა ქალი პირმზე, ვისგან ნათობს ლამე ბნელი,
ძმისწულს მისცა შესართავად, კვლავ ბოძებას აღარ ველი,
და შე მისისა მოსორებით დამიწულულდა გული მრთელი.
იგი ძმისწული მაშათს* ჰყუვა, ქალი მას მისცა მთვარი,
სახელად ერქვა ქეთევან, არს მზისა შესადარია,
ვაჟსა უწოდდი ერეკლეს, არეინ მყავს მისი დარია,
და იგ თვით იაზლა, შე დავრჩი სიცოცხლე დასაზარია.

გარდა ამ ლექსისა დღემდე შენახულია თეიმურაზის წერილი სპარსეთიდან ერეკლე ბატონიშვილისადმი მოწერილი, რომელსაც ნაკლებ დრამატიული ტონი აქვს: „სასურველო ძეო ჩემო! სადაც ბოროტი შეგვემთხვის, იქ სიკეთეც მოგველის. იძულებითა მოგიწერ ესრეთ, რომ შაჰსა სურს განთავისუფლება ჩემი ტყვეობისაგან, გარნა მხოლოდ ითხოვს მოსვლას შენსა და რათა თანა წარმოიყვანო ასული ჩემი და დაიშენი ქეთევან. მხოლოდ მოსვლაი შენი აქა, სპარსეთად, მომანიჭებს შე განთავისუფლებასა ტყვეობისაგან. ესრეთია ნება შაჰისა“.

ისევე, როგორც თვით თეიმურაზს, ერეკლე ბატონიშვილსაც ერანში თავადიშვილებს გარდა თან რამდენიმე ქართლკახელი გლეხიც ხლებია. დამახასიათებელია, რომ მის ამაღალში ოთხი ერთგული თათარიც ყოფილა, ერთი მეუზანგე, ერთი მალემსრბოლი ანუ შათირი, ერთი შინამოსამსახურე და ერთიც თარჯიმანი.

ყანდარის ციხის აღების შემდეგ ნადირ-შაჰმა საქართველოში გამოაბრუნა თეიმურაზი და მისი თანმხლებნი, ხოლო თვრამეტი წლის ერეკლე თან წაიყვანა ინდოეთის ექსპედიციაში.

იმ დროს ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ეჭირა უზარმაზარ, უმდიდრეს მოლულის იმპერიას, რომელიც მე-

* მაშათი — ქალაქი მეშხედი ხერასანში.



თექვსმეტე საუკუნის დასაწყისში დაარსებულ იქნა თემურ-
 ლენგის შვილიშვილის ბაბერის მიერ. ეს იმპერია ეწოდებოდა
 ძლიერსა და შედარებით კეთილმოწყობილ სახელმწიფოს
 წარმოადგენდა, მაგრამ ნადირ-შაჰის დროს დაქვეითებისა და
 დაშლის გზაზე იყო შემდგარი. დიდი მოღულის იმპერიის სა-
 ტახტო ქალაქი იყო შახჯანაბადი ანუ დელი, რომლის ზღაპ-
 რული სიმდიდრე კარგად იყო ცნობილი როგორც ნადირ-შა-
 ჰისა, ისე მისი ჯარისკაცებისთვის. თუ ნადირ-შაჰის ჯარმა,
 რომელიც თანამედროვეების ცნობით თითქო 180 ათას კაცს
 უდრიდა, შედარებით ადვილად აიტანა ამ უჩვეულო ლაშქ-
 რობის გაჭირვება, სიცივისა და სიცხის ცვალებადობა მთებ-
 სა და უდაბნოებში, საკმელ-სასმელის ნაკლებობა, ველური
 მთიელების მოულოდნელი თავდასხმები, უხილო მდინარეების
 გადალახვა და, ბოლოს, მრავალრიცხოვანი მტრის ჯარის
 წინააღმდეგობა დასძლია, ეს ნაწილობრივ იმით აიხსნებოდა,
 რომ ერანელ ჯარისკაცებს ინდოეთის სიმდიდრე იზიდავდა
 და მათ იმედი ჰქონდათ დელის აღების შემდეგ შინ დიდი
 ნადავლით დაებრუნდებითო.

თავისი ჯარის ერთი ნაწილი ნადირ-შაჰს გზაზე გაეყლიტა
 ავადმყოფობის გამო ან წვრილ-წვრილ შეტაკებებში, ასე რომ
 დელისთან, სადაც მას გადამწყვეტი ბრძოლა მოელოდა,
 მხოლოდ ოთხმოცდაათი ათასი კაცი მიჰყვა. ამის წინააღმდეგ
 დიდმა მოღულმა, თუ იმდროინდელ ცნობებს დაეჯერება,
 თითქო 340 ათასი კაცი გამოიყვანა სამასი ზარბაზნით. ამრი-
 გად ერანელებს, რომელთაც კარგა ხანია დაკარგული ჰქონ-
 დათ ძველი სამხედრო სიჭველე და წინა პერიოდებში სრუ-
 ლიადაც ვაჟაკობით არ იყვნენ ცნობილნი, თითქმის ოთხ-
 ჯერ უფრო მრავალრიცხოვან მტერთან უხდებოდათ შეტა-
 კება. მაგრამ ნადირ-შაჰმა გაამართლა ნაპოლეონის აფორიზ-



მი, სჯობია ცხვრების ფარა, რომელსაც ლომები მკვებდნენ, ვიდრე ლომების ჯოგი, რომელსაც ცხვრები მკვებდნენ.

დელის ჯარის ყველაზე საშიშ ნაწილს მისი ავანგარდი წარმოადგენდა, ორი ათასი სპილო, რომელნიც მძიმედ მოაბიჯებდნენ ჯარის წინ და, როცა ბრძოლის ცეცხლში გააფთრდებოდნენ, საშინელი განადგურების გამოწვევა შეეძლოთ. ნადირ-შაჰმა თავისი ჯარი ისე გააწყო, რომ თუ პირველ რიგში დაყენებული მძიმე ცხენოსანი მხედრობა შედრკებოდა, მისი შეჩერება მეორე რიგში მდგომარე მძიმე ქვეითა ჯარს შეძლებოდა, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ ბახტიარების და ქართველების საუკეთესო რაზმებით იყო გამაგრებული; ხოლო მესამე რიგში მან სხვადასხვა მთიელი ხალხის სათადარიგო ნაწილები დააყენა. პირველსა და მეორე რიგს შორის ნადირმა აქლემები დაარაზმინა, მათ ზურგზე მანგლები ჰქონდათ მიმაგრებული. პირველი რიგის სარდლობა თვით შაჰმა იკისრა, ის ავანგარდში დადგა საომრად შეჯავშნული.

როგორც კი ინდოელების მოწინავე რაზმები თავიანთი სპილოებითურთ ერანელთა ჯარს მიუახლოვდნენ, ნადირ-შაჰმა ნიშანი მისცა, რომ აქლემების ზურგზე მიმაგრებული მანგლები აენთოთ. გამწარებული ცხოველები საშინელი ღრიალით ინდოელების მოწინავე რაზმებში შეიჭრნენ; ამ მოულოდნელი ლამპრობის დანახვამ სპილოები დააფრთხო და უკან აბრუნებინა პირი. ამრიგად ინდოელების ჯარის მოწინავე კორპუსი აირია, დაიშალა, და ნადირ-შაჰის კავალერიას შესაძლებლობა მიეცა მტრის შუაგულში შეჭრილიყო და გამანადგურებელი ხოცვა-ჟლეტა მოეხდინა. სპარსელებმა ინდოელებს დიდძალი საჭურველი და სპილოების ორი მესა-

მედი წაართვეს. ამის შემდეგ მათ გზა გაეხსნათ
ლულის სატახტო ქალაქისკენ.

„მაღალი ღმერთის მიერ შექმნილი სამეფოები და გზები
ისევე ადვილად ჰქრებიან, როგორც ზღვის ტალღების ზე-
დაპირზე მოსრიალე წყლის ქაფი“, სწერდა ამ გამარჯვების
შემდეგ ნადირ-შაჰი თავის ვაჟს. შახჯანაბადში ანუ დელიში
ნადირ-შაჰს თავდაპირველად არ გამოუჩენია სიმკაცრე. მან
განაიარალებინა მოწინააღმდეგის ჯარი, დიდი კონტრიბუცია
დაადო მოსახლეობას, მაგრამ ერანელ ჯარისკაცებს ქალაქი
არ დაარბევინა და დიდ მოღუღლს ტახტი არ წაართვა; მხო-
ლოდ მოსთხოვა, რომ თავისი ქალიშვილი შისი ვაჟი ნასრუ-
ლა მირზასთვის შეეთხოვებინა. რადგან საქმრო მეფური გვა-
რისა არ იყო, დელის ქედმაღალმა არისტოკრატებმა თავისი
მოსაზრებანი გამოსთქვა ამ ქორწინების წინააღმდეგ; მაგრამ
ნადირმა მკვეთრად ბოლო მოუღო მათ წინააღმდეგობას:
„ნასრულა მირზას არავითარი კეთილშობილი წარმოშობა
არ სჭირდება, ის ჩემი მახვილის შვილია!“

ახლად დაპყრობილი სატახტო ქალაქის ცხოვრების მშვი-
დობიანი მიმდინარეობა ჩქარა დაარღვია შეთქმულებამ, რო-
მელიც შახჯანაბადელებმა ერანის შაჰის წინააღმდეგ მო-
აწყვეს. ამ შეთქმულების აღმოჩენას საშინელი რისხვა მოჰყვა
შაჰ-ნადირის მხრით: მან თავისი ჯარისკაცები შეუსია ქა-
ლაქს, გააძარცვინა ის და მრავალი ხალხი გააჟლეტინა. იმ-
პერატორის სასახლის სარდაფები სავსე აღმოჩნდა აღმასე-
ბითა, ლალებით, იაგუნდებით, ოქრო-ვერცხლის ნივთებითა
და ძვირფასი ქსოვილებით; ეს ყველაფერი შაჰის ხელში გა-
დავიდა. სხვათა შორის, ის დაეპატრონა ოქროს სვეტებიან
ტახტს ხელოვნური ფარშავანგის ბალდახინით; მისი ფასი,
იმდროინდელი შემატიანეს თქმით, მთელი ინდოეთის სიმ-



დიდრეს უდრიდა, მისი ქვების ელვარება ისეთი ძალხერით დასრულდა, რომ ბნელ ოთახს გაანათებდაო. ამის შემდეგ ნაღავლით დატვირთული ერანელი ჯარი სამშობლოსკენ გამობრუნდა, მაგრამ შინ ბევრი ვერაფერი მიიტანა უგზოობისა, უამინდობისა და პარტიზანების თავდასხმების გამო.

მთელი ამ ხანგრძლივი და მძიმე ლაშქრობის დროს ერეკლე გვერდით ახლდა ნადირ-შაჰს. ის დარწმუნდა, რომ მხედართმთავარი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს უბრალო ჯარისკაცის ერთგულებასა და სიყვარულს, თუ მის ლხინსა და ჭირს გაინაწილებს; მან დაინახა აგრეთვე, როგორ შეიძლება შედარებით მცირე ძალებით მრავალრიცხოვანი მტრის დამარცხება.

თავის დისადმი მიმართულ წერილში ერეკლეს აწერილი აქვს ამ ლაშქრობის ზოგიერთი მომენტი; ეს წერილი დიდად საყურადღებოა, როგორც ისტორიული და ადამიანური დოკუმენტი. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციის აწერა: დელის ჯარის ერთ-ერთი სარდალი, ნასარ-ხანი, ხაიბერის უღელტეხილს იცავდა; ის დარწმუნებული იყო, რომ ნადირი უღელტეხილზე გადავიდოდა და პირდაპირ შეებრძოლებოდა მას; ერანელების კავალერიამ კი ნადირის წინამძღოლობით თვრამეტი საათის განმავლობაში მთების ბილიკებით ოთხმოცი კილომეტრი განვლო და უკან მოექცა ხაიბერის დამცველ ჯარს. ეს ოპერაცია ღამით დაიწყო, ნადირს ლამპრებით უნათებდნენ გზას. ერეკლე თავის დას სწერს: „ჩემო ბატონიშვილო ანა, შენი ურგები, უმსახურო და უსიამოვნო ბატონიშვილი ერეკლე ლამაზ თვალებზე და პირზე კოცნას გაკადრებ. მერე წიგნები მოგეწერათ თექვსმეტ ქრისტეშობისთვის, ენკენისთვის მოგვივიდა. ასე გებრძანათ, რომ შენის წიგნის მოსვლაში კინალამ გავვიჟღითო... სხვა აქაური ამბავი ეს მოგახსენო, რომ ავა-

ლი რომ შარშან წამოვიდა გიორგობისთვის თუ, არ ვიცი/
ღვინობისთვის, იმ მანძილიდან ორი დღე გამოვიარეთ. ^{მეტი} ^{გა}
სამეს მანძილიდამ დილაზე ავიყარენით. ოთხი ალაჯი
მოვიარეთ და ჩამოვხდით. ნახევარი რომ ჯერ არ გამოსუ-
ლიყო, დაიძახეს, ყენი შეჯდაო... სანამ ან ჯარისკაცი, ან
ჩვენ მოვემზადებოდით, ყენს ორი ალაჯი გაველო. შევსხე-
დით ჩვენცა სალამოზედ და ღამით წინდაწინ გაგვესწრო
ხელმწიფისათვის... ჩვენ რომ ხელმწიფისგან წინ გვნახეს,
დაგვაყენეს, რომ ხელმწიფესთან იარეთ თქვენაო. ამაში უკან
სამი მაშხალა გამოჩნდა. დავდეგით, მოუცადეთ, და ხელმწი-
ფეც მობრძანდა და იმისი თიფში** გავერიენით. დავიწყეთ
სიარული; იმ ღამეს მთვარეც იყო და მივადეგით ერთს
უგზოს მთასა და კლდეს. ოცდაათი ათასი კაცი შემოვედით
ვიწროში, რომ ორი-სამი ურემი ალაგ-ალაგ თუ გაიმართე-
ბოდა. ერთი ასეთი ციოდა, რომ თითქმის დაგვახმო, ცხენი
და კაცი დაგუბდის ამ ვიწროში. ეს ჯარი დავდეგით ამ სი-
ცივეში დაიძახიან: ალლა! ალლა!.. იმ ღამეს ვიარეთ; მეორე
დღეს რომ დასამხრდა, ყენს კაცი მოუვიდა, რომ ნასარ-ხან
დავიჭირეთო და ჯარი გაექცივათ... იმ სალამოს სპილოს სა-
ნახავად წაველ მე, და ყენმა დამინახა: ნასარ-ხანის კარავსა
და ფარდაში ბრძანდებოდა; დამიძახა და მიბრძანა, შენც
წამოსულხარო? მე მოვახსენე, მაშ ვისთან უნდა დავმდგა-
რიყავ მეთქი; მიბრძანა, ბარაქალა, კარგი ვიქნიაო. წინ ქო-
რები უხსნდა, რომელიც გინდა აიყვანეო. მიველ, ერთი ქორი
ავიყვანე. მიბრძანა, კარგა გააძღობდეო. თავი დავუკარ და
წამოველ. ერთ წყალს გავედით, იმან ბევრი საქონელი წაახ-
დინა ჯარისა; იმ წყალის იქით ერთი ქალაქი იყო, საჰრაინი-

* ალაჯი — შვიდი კილომეტრი დაახლოებით.

** თიფი — ამაღლა.



დი ჰქვიან, იმის გვერდზე დადგა ხელმწიფე; დაუძახა სარქარდებს, მიმბაშს, უზბაშს და დალაბაშს^{***}, უბრალოდ და ბევრი კაი სიტყვა იმედლიანი, ჯერ წყალობა და ბოლოს ეს უბრძანა: აქედან რომ კიდეც გაიქცეთ, სად გაქვსთ გზა რომ მორჩეთო; ისევ ნამუსიანად დავიხოცნეთ, ისი სჯობსო. ჯარმაც კაი სიტყვა მოახსენეს, ღვთით და თქვენი დოვლათით თქვენ ბედნიერს ალამს ვერ დაუდგებიან ისინიო“.

ერეკლეს წერილი თავდება შახჯანაბადის აღების და იქ მომხდარი აჯანყების და უკან დაბრუნების აღწერით: „ის ჯანაბათი დაიქცა. მას უკან ჩვენც წამოვედით თავიანთ საბლებში. მესამე ღამეს ერთი თქრიალი და თოფის სროლა მოხდა. თურმე გვიღალატეს. ხელმწიფე შეჯდა და ერთი ოქროს მეჩითი იყო, ჩარდახი ჰქონდა და იქ დაბრძანდა და ყათლანი^{**} ბრძანა იმ ქალაქისა. ღმერთმა იმდენი ღვთის წყალობა მოგცეს, რამდენი კაცი, დედაკაცი და ყმაწვილი იქ მოკლეს... რაც კი უნდოდათ, ჯავაირი^{***}, ფლური, ოქრო, ვერცხლი, თუ კი რაც კაცს უნდა, ყოველისფრით აივსნენ. ოთხ მაისს ხელმწიფე გამოდგა, ხუთასი სპილო შიგ დარჩეული წამოასხა და ხაზინა რაღა მოგახსენო... დადგა სიტყვ, დიად ნამეტნავად შეგვაქირვა; მე ჩქარა გამოვიარე და ურდოში რომ შემოველ, დამიწყო გულის სუსტობა და ერთი ბეწვი გამიწყდა, რომ ცხენიღამ არ გადმოვარდი და ჩემთან ჯიმშერის მეტი არავინ იყო... მას უკან ათევის წყალზე მოვედით, ჯერ იმ მანძილზე ალი მირზას ასი თუმანი უბოძა და მეც ორმოცდაათი თუმანი მიბოძა და მასუკან ჩვენი ხანიც ნახა და თითო ცხენიც კიდეც გვიბოძა“.

* სარქარდი — სარდალი, მიმბაში — ათასის თავი, უზბაში — ასის-თავი, დალაბაში — თავიკაცი.

** ყათლანი — ამოხოცვა.

*** ჯავაირი — ძვირფასი ქვა.



ინდოეთიდან ერანში დაბრუნებისას ნადირ-შაჰი იქნა
 ბული გახდა თავისი ჯარის ერთი ნაწილით პირდაპირად
 დან მარცხნივ გადაეხვია, რათა სინდეთში შეჭრილიყო და
 მისი მფლობელი დაესაჯა ურჩობისთვის. ეს პატარა სახელ-
 მწიფო დელის იმპერიაში შედიოდა როგორც მისი ვასალუ-
 რი ნაწილი, მაგრამ მისი მფლობელი უარს ამბობდა როგორც
 კონტრიბუციის გადახდაზე, ისე ერანელი ჯარისთვის რაიმე
 დახმარების გაწევაზე მისი უკან დაბრუნების დროს. ნადირს
 და მის ჯარს თავდაპირველად უდაბნოში მოუხდათ მოძრა-
 იობა. აქ მათ ერთ ადგილას გზის პირზე აღმართული ქვის
 სვეტი შეხვდათ, ზედ კერპი იყო გამოქანდაკებული შემდეგი
 წარწერით: „უკუნითი უკუნისამდე შვილებით და სახლებით
 წყეულ იყოს ის, ვინც ამ სვეტს გადააბიჯებს“. ამ წარწე-
 რამ შეაშფოთა ცრუმორწმუნე ერანელი ლაშქარი, და ჯა-
 რისკაცებმა უარი განაცხადეს ადგილიდან დაძვრაზე. ნადირ-
 შაჰს ვერაფერმა უშველა, ვერც მჭერმეტყველებამ, ვერც
 წყრომამ. მაშინ მასთან მივიდა ერეკლე და უთხრა: „აქ არა-
 ფერია დასადონებელი. აშოვილით და დავშალოთ ეს სვეტი,
 ზურგზე დავადგათ სპილოებს და წინ გავირეკოთ. ამრიგად
 ზედ წარწერილი წყევლა არავის არ დაატყდება თავს, ვი-
 ნაიდან არც ერთი ჯარისკაცი მას არ გადალახავს“. ამ წინა-
 დადებამ აღტაცება გამოიწვია ნადირ-შაჰში და მან მაშინვე
 განახორციელა ის, რის შემდეგაც ერანელების ჯარი და-
 უბრკოლებლად შევიდა სინდეთში.

ინდოეთ-სინდეთის სამხედრო ოპერაციის დასრულების
 შემდეგ ნადირ-შაჰმა უხვად დაჯილდოებული ერეკლე და
 მისი მცირე ამალა სამშობლოში გამოისტუმრა. ექვსი თვის
 მოგზაურობის შემდეგ კახეთის უფლისწული 1739 წლის
 დეკემბრის ცამეტს, ღამის ოთხ საათზე, ალავერდში მოვიდა.

შანშე მარისტაში

ამ დროს აღმოსავლეთი საქართველო სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გავლენიანი ფეოდალების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ქსნის ერისთავი შანშე, ცვალებადი წარმატებით ბრძოლას განაგრძობდა ნადირ-შაჰის მიერ თბილისში დადგენილი მთავრობას წინააღმდეგ. ამ მთავრობას ავტორიტეტი არ ჰქონდა, ვინაიდან მას ან საქმეში ნაკლებ ჩახედული და ადგილობრივ ვითარების უმეცარი ერანელი ხანები მეთაურობდნენ ან რენეგატი ქართველები. მის მთავარ დასაყრდენ ძალას კი თბილისის ციხეში მდგომარე ყიზილბაშთა გარნიზონი წარმოადგენდა. ერთი ტრაგიკული ეპიზოდი ამ ბრძოლის ისტორიიდან ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ პოლიტიკურ და ზნეობრივ ანარქიაზე, რომლითაც იმ დროს ქართლ-კახეთი იყო მოცული.

ურჩი შანშე ერისთავის დასამორჩილებლად თბილისის ხანმა ჯარი შეუსია ქსნის საერისთავოს, დაარბია მისი ყმები, აიღო მისი ციხე-სიმაგრეები და თვით შანშე ერისთავი აიძულა რუსეთში გაქცეულიყო დახმარების სათხოვნელად. ქსნის საერისთავოს მფლობელს ჰყავდა უმცროსი ძმა, რომელმაც რუსების დახმარების ამაო მოლოდინში ერთხანს კიდევ განაგრძო ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლა, შემდეგ კი იძულებული გახდა მთელი თავისი ოჯახით კახეთში გაქცეულიყო. მაგრამ ლტოლვილთ, საუბედუროდ, არაგვის საერისთავოზე უნდა გაეცლოთ, არაგვის ერისთავი უთრუთი კი თბილისის ხანის მომხრე და მეგობარი იყო. ის თავის სტუმრებსა, ერანელ მხედრებსა და მოხელეებთან ერთად,



ბაზალეთის ტბის მიდამოებში ნადირობდა, როდესაც თვალში მოჰკრა მცირე ამალით კახეთისკენ მიმავალ ქსნის ცოლს. მან ეს ქალი დაატყვევა და ყიზილბაშებს გადასცა, რითაც დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელს ქართლ-კახეთში, ვინაიდან დიაცის მანდილის შეურაცხყოფა ქართველობას ყოველთვის უდიდეს დანაშაულობად მიაჩნდა.

რუსეთიდან უკან დაბრუნებული შანშე ერისთავის შურისძიება შემზარავი იყო. მან დაიქორწინა ლეკის ჯარი, რომლის რიცხვი, იმდროინდელი ცნობით, თითქო თორმეტ ათასს აღწევდა, დაარბია და დაატყვევა არაგვის ერისთავთა ყმები და, ბოლოს, ალყა შემოარტყა მის მთავარ რეზიდენციას, ანანურის ციხეს, სადაც უთრუთი ჩაღკეტა თავისი ძმებითა და ოჯახითურთ. ანანურის ციხისმცველმა რაზმმა სასოწარკვეთილი წინააღმდეგობა გაუწია საალყო ლეკის ჯარს. „არ ავად იყვნენ შიგნით მყოფნი ციხისანი, იმდონი ლეკი ამოსწყვიტეს, რომ მკვდრის სანგარს ივლებდნენ ლეკნი და ეგრე იბრძოდეს“, ამბობს იმდროინდელი მემატიანე. პრიმიტიულად შეიარაღებული ლეკის ჯარისთვის ანანურის ციხე ძნელად ასაღები აღმოჩნდა. მაშინ შანშე ერისთავმა თავის კაცებს მოაძებნინა იმ მილის სათავე, რომელიც წყალს აწვდიდა ანანურის ციხეს და გადააჭრევინა ის. რადგან ზაფხული იყო, ციხეში მყოფნი დიდად შეწუხდნენ. უთრუთი ერისთავის ერთი ძმა დაენდო უენებლობის ფიცს და რამდენიმე კაცით ციხიდან გამოვიდა, მაგრამ ისინი დახოცეს. თვით უთრუთი თავისი ცოლშვილით „შეუბოვარს კოშკში“ ავიდა და იქიდან სცადა უკანასკნელი წინააღმდეგობა გაეწია. შანშე ერისთავმა თავის ჯარისკაცებს შეშა და წალამი მოაგროვებინა, კოშკს გარშემო შემოაწყობინა და ცეცხლი წააკიდებინა. შიგ მყოფნი კვამლში ამოიხრჩნენ და კოშკის ხის ნაწილებთან ერთად ჩაშვავდნენ.



ანანურიდან ლეკის ჯარი ქვემო ქართლში გადავიდა და დმანისის ციხეს მიაღება, მაგრამ სასტიკად დამარცხდა ციხიდან გამოსულ ქართველ ჯართან შეტაკებაში. მეციხოვნეებმა მრავალი ლეკი დაატყვევეს. გადარჩენილმა ლეკის რაზმებმა თავი მოიყარეს და ქსნის ხეობაში ავიდნენ, რათა ახალგორიდან იქ შენახული საქონელი წაეღოთ და ტყვეები წაესხათ. მაგრამ ახმეტასთან მათ თბილისიდან დადევნებული ყიზილბაშთა ჯარი დაეწია, მათი რაზმები გაჰფანტა და გაჟლიტა, ხოლო ნადავლი დაატოვებინა.

ახლა მოვიდა ჯერი ქსნის ერისთავის შანშეს დასჯისა. მას უღალატა მისმა შვილმა იოანემ, რომელიც თბილისის ხანს ეახლა და მისგან თანამდებობა და შესაფერი ჯამაგირი მიიღო. მის წინააღმდეგ ამხედრდნენ სხვა გავლენიანი ფეოდალებიც, მათ შორის ზვიადი და ენერგიული გივი ამილახვარი, რომელსაც ნადირ-შაჰმა ქსნის საერისთავო უბოძა და ინდოელი და ავღანელი ჯარისკაცები მოაშველა. „ოთხი სულთანის ექვსის ათასის კაცით შემოვიდა ქალაქსა თბილისისა, სწერს პაპუნა ორბელიანი: შემდგომად ამისა მოიწივნენ ჯარი ავღანისა; იყვნეს კაცნი შავნი და დუხჭირნი, შიშველნი; მცირე რამ საბლარდნელი ეფარათ ტანსა ზედა, ვითარცა ზერდაგი, გინა ზეწარი ჩამოეფარათ თავსა ზედა მსგავსად დედათა ფხოველთასა“.

ეს ახლადმოსული ჯარი, ყიზილბაშების რაზმებთან ერთად, გივი ამილახვრის და თბილისის ხანის მეთაურობით შეესია ქსნის საერისთავოს, მოსწვა და ააოხრა მთელი ეს კუთხე, ურიცხვი გლეხკაცობა დაატყვევა ან გასწყვიტა, ციხე-კოშკები და შენობები დაანგრია და, ბოლოს, მიაღება აწერის ციხეს, სადაც შანშე ერისთავმა შეაფარა თავი ცოლ-შვილითურთ. შანშემ წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლო

და ღამით ძმით და რამდენიმე კაცით ბორჯომის ხეობისკენ
გაიპარა, ხოლო იქიდან ახალციხის ფაშასთან მივიდა. ^{ქრისტეანე}
მელმაც ის პატივით მიიღო. გათენებისას ერანის ჯარმა აწე-
რის ციხე აიღო და დაარბია; შიგ ვერც შანშე ერისთავი
აღმოაჩინა და ვერც მისი ცოლი, იმიტომ რომ ამ ქალს უბრა-
ლო ტანისამოსი ჩაეცვა და თავის ყმებში გარეულიყო. მაგ-
რამ ის ერთმა თავადიშვილმა იცნო და გასცა; მაშინვე და-
ატყვევეს და თბილისში გამოგზავნეს.

„გაგზავნეს ჩათარი ნადირ-შაჰთან და აცნობეს ყოველივე
ყოფილი. იაშა ხელმწიფეს დაქერა ქსნისა და უიშედა ყო-
ველთა წყალობა. უბოძა რაყამი*: რაც ტყვე იყოსო, სულ
ავლნის ჯარს მიეცითო. იყო ტყვე დიდი და პატარა ცხრაასი.
მისცეს სრულიად ჯარსა ავლნისასა. იყო ტირილი და ვაება
ტყვეთაგან; ეგრეც წუხდიან ქრისტიანენი და ვისაც ძალედ-
ვა, იხსნიდიან და განუტევენიან. ასე გაიაფდა ტყვე, რომ თი-
თოს ვაჟკაცს ოროლ მინალთუნად იძლევიდიან; რომელიც არ
გაუფიდიან, ცხვრულეზ ყელსა სჭრიდიან და ზოგს წყალში
სჭრიდიან“ (პაპუნა ორბელიანი).

ნადირ-შაჰმა თურქეთის მთავრობასთან და ახალციხის ფა-
შასთან საგანგებო მოლაპარაკება გამართა ლტოლვილ ქსნის
ერისთავის უკან დაბრუნების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევა-
ში იმუქრებოდა, რომ დახმარებას გაუწევდა იმერეთის მეფეს
ალექსანდრეს, რომელიც იმერეთის ფეოდალებს ტახტიდან
გადაეგდოთ თურქების დახმარებით და თბილისში იმყოფე-
ბოდა. რადგან სტამბოლის მთავრობას არ უნდოდა შაჰთან
ურთიერთობა გაემწევაებინა ასეთი პატარა საქმის გამო, მან
ახალციხის ფაშას უბრძანა შანშე ერისთავი და მისი ძმა გა-
ეცა. ეს რომ ერისთავებმა გაიგეს, ციხეში შეეცვივნენ და

* რაყამი — განკარგულება, ბრძანება.



ენგიჩარების რაზმს შეეხიზნენ. ენგიჩარებს არ უნდოდათ, მაგრამ ვაცემა, მაგრამ ციხეში თვით ფაშა მივიდა, მათი კაცები ძალით გამოაყვანინა და კისერზე ხუნდდადებულნი და ხელ-ფეხ შებორკილნი თბილისში გაგზავნა. თბილისიდან შანშე ერისთავი და მისი ძმა დარუბანდში გაისტუმრეს, სადაც იმ დროს ნადირ-შაჰი იმყოფებოდა; შანშე ერისთავმა მოინდომა თავის გამართლება, მაგრამ ნადირმა არ მოუსმინა. მან ის ხორასანში გაგზავნა, სადაც მას, გზიდან გაქცევის ცდის შემდეგ, ჯერ თვალები დასთხარეს და შემდეგ მისი ცოლი მიჰგვარეს.

IX

ბივი ამილახვრის აჯანყება

შანშე ერისთავის დამარცხების შემდეგ ნადირ-შაჰმა გივი ამილახვარი თავის ვეჟილად ანუ რწმუნებულად დანიშნა ქართლში; მაგრამ ქვეყნის დამშვიდება ვერც ამ ახალმა მმართველმა შესძლო.

ნადირს განუწყვეტლივ ომის წარმოება უხდებოდა, რის გამოც ის დიდ მოთხოვნებს უყენებდა როგორც თავის სახელმწიფოს ცოცხალ ადამიანურ ძალებს, ისე მატერიალური სიმდიდრის მარაგს. მართალია, შაჰი ზრუნავდა ვაჭრობისა და მრეწველობის აყვავებაზეც და ამ მიზნით მან ინდოეთიდან იქაური ხელოსნები წამოასხა და სპარსეთის ყურესა და კასპიის ზღვაზე კომერციული ფლოტის დაარსებაც კი განიზრახა; ამას გარდა ის შეეცადა აელაგმა ავაზაკთა ბრბოები, რომელნიც ერანში დათარეშობდნენ და ქარავენებს სძარცვავდნენ. მაგრამ სამხედრო ხარჯების არაჩვეულებრივი ზრდა შეუძლებელს ხდიდა ნორმალურ მშვიდობიან მშენებ-



ლობას. ამასთანავე კასპიის ზღვაზე და მის სანაპირო ადგილებზე რუსეთი სცდილობდა აღებ-მიცემის დაპატრონების სპარსეთის ყურის მოსაზღვრე პროვინციების ვაჭრობა კინგლისელებმა იგდეს ხელთ. აუტანელი გადასახადებისა, ხელისუფლებისა და მიწათმფლობელი არისტოკრატის თვითნებობისა, უცხო კაპიტალის შემოტევის გამო ერანის მეურნეობა უიმედოდ დაავადებული იყო და მისი განკურნება არ შეიძლებოდა ინდოეთიდან და სინდეთიდან გამოტანილი ნადავლით.

✓ ინდოეთიდან დაბრუნებისთანავე ნადირს თურქესტანისკენ მოუხდა გალაშქრება. ეს ლაშქრობაც მან ბრწყინვალედ დაასრულა. ის შეიჭრა ბუხარაში, დაამარცხა ემირი და აიძულა ის ერანთან მეგობრობის კავშირი დაედო და მისთვის მდინარე ამუ-დარიის სამხრეთით მდებარე ადგილები დაეთმო. ნადირი დიდად ზრუნავდა, რომ თავისი მდაბიო წარმოშობის ოჯახი სამეფო დინასტიებთან დაეკავშირებინა და ამიტომ როგორც წინათ ქართველი ბაგრატიონებისა და დელის იმპერატორების გვარეულობას, ისე ახლა ბუხარის ემირს დაუმოყვრდა და თავისი შვილიშვილი მის ქალიშვილზე დააქორწინა.

ერანის მმართველი წრეები, განსაკუთრებით, შიიტური სამღვდელთა ნადირ-შაჰს ურჩევდა თურქეთის წინააღმდეგ გაელაშქრნა და ბაღდადი და შიიტების სალოცავი ადგილი ქერბელა დაებრუნებინა. მაგრამ შაჰი წინააღმდეგ ამ რჩევას. ამ დროს ის გატაცებული იყო სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა შერიგების და ერთი მსოფლიო რელიგიის შექმნის იდეით. მან სპარსულად გადაათარგმნინა სახარება, მოციქულები, ტალმუდი, რათა ქრისტიანობის და ებრაელთა რელიგიის შინაარსს გასცნობოდა. ის შეეცადა შეენელებინა

შიტური ფანატიზმი. პაპუნა ორბელიანი ამბობს: „მოვიდა
ბრძანება ხელმწიფისა: რომელიც შია* სუნისა, სხვათა
აჲდ ახსენებს და ომარსა და ოსმანს შეაგინებს, ჩემისა რის-
ხვით მოკვდებისო. ქალაქში მყოფნი ყიზილბაშნი დიდათ
მკმუნვარე იქნეს. მაგრამ შიშითა ყაენისათა ვერას ვერ
იტყოდეს“. ამას გარდა ნადირ-შაჰი არ შეუშინდა ისეთი რა-
დიკალური ღონისძიების მიღებასაც, რომლის მსგავსიც ევ-
როპაში მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეებმა
მიიღეს: მან მეჩითებსა და მოლებს ჩამოართვა ქონება და
სახელმწიფოს ხაზინას გადასცა ის.

საერთოდ ნადირს აზროვნების თავისუფლება ახასიათებ-
და, მოულოდნელი მისი ეპოქის ადამიანისთვის. როცა მო-
ლების წარმომადგენლებმა მას უთხრეს, ჩვენი ქონება იმას
ხმარდება, რომ მეჩითებში ერანის კეთილდღეობისთვის ვი-
ლოცოთო, მან უპასუხა: როცა თქვენ ეს ქონება გქონდათ,
ერანი დამხობის გზაზე იდგა, სჩანს უზენაესს არ შეუსმენია
თქვენი ლოცვები; თუ სახელმწიფო არ დაინგრა, თქვენი
ლოცვების წყალობით კი არა, ჩემი მამაცი ჯარისკაცების
წყალობით მოხდა. თავის თავზე მან სთქვა: — მე უბრალო
მომაკვდავი ვარ, უზენაესის მიერ მრისხანების დროს შექმნი-
ლი, რათა ამ ცოდვილ მიწაზე ვიმოგზაუროო.

თურქესტანის ლაშქრობიდან დაბრუნებული ნადირ-შაჰი
თავისი ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა. ამის შემდეგ
მას თითქო ბედმა უმუხთლა და მისი დაქვეითება დაიწყო.
1741 წლის გაზაფხულზე მან დიდი ჯარით, რომელიც, იმ-
დროინდელი ცნობით, თითქო ასი ათასს კაცს აღწევდა, და-
ლისტნის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამ დროს დალისტნის ტე-
რიტორიაზე რამდენიმე პატარა სამფლობელო არსებობდა,

* შია — შიიტი.



ტარკის შამხალისა, ავარიის ხანისა, ყარაყატაის უცმისა, ყაზიქუმუხის ხანისა და სხვა. გარდა ამისა მიუვალ ხეობებსა და მის კალთებზე მცხოვრები ტომები ჯერ კიდევ გვაროვნული წესწყობილების საფეხურზე იყვნენ შეჩერებული და მათ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არ ჰქონდათ. ტერიტორიული შეუვალობისა და ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის უქონლობის გამო დალისტნის ტომები განსაკუთრებულად საშიშნი იყვნენ მეზობლებისთვის და მათი დამორჩილება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. დალისტნის მფლობელები და გვარები თავს უყრიდნენ მეტად თუ ნაკლებად მრავალრიცხოვან მარბიელ რაზმებს, რომელნიც მეზობლების ძარცვით ცხოვრობდნენ და თავიანთ იარაღს ადვილად ჰყიდდნენ იმას, ვინც მეტს შეაძლებდა.

თუმცა დალისტნის დიდი ნაწილი ნომინალურად ერანის სახელმწიფოს ნაწილად ითვლებოდა, მაგრამ იქაურს მფლობელებს თავი დამოუკიდებლად მიაჩნდათ და ზოგიერთი მათგანი თურქეთთან სცდილობდა კავშირის გაბმას, ხოლო ზოგიერთი რუსეთის სამხედრო ხელისუფლებასთან, რომელიც უკვე ყიზლარში იყო დამკვიდრებული და სამხრეთისკენ მოიწევდა. ნადირ-შაჰს კი, ისევე როგორც მის წინათ შაჰ-აბაზს, ერანის ინტერესებისთვის დიდად საზიფათოდ მიაჩნდა რუსის ჯარის გადმოსვლა კავკასიის ქედს გადმოღმა. ამიტომ მას უნდოდა დაემორჩილებია და შემოემტკიცებია დალისტანი. ამას გარდა ნადირს პირადი მოტივებიც ამოძრავებდა: ლეკებმა მოჰკლეს მისი ძმა, რომელიც დალისტნის გამგედ იყო დანიშნული; ნადირს უნდოდა დაესაჯა მკვლელები.

ერანის ჯარმა შედარებით ადვილად მიაღწია დარუბანდს, მაგრამ შემდეგ ოპერაციების წარმოება გაუძნელდა. ლეკების პატარ-პატარა რაზმები ვიწრო ხეობებში საფარებიდან თავს



ესხმოდნენ ერანელთა ჯარის ნაწილებს და დიდს ზარბაზნა
 ნებდნენ მათ. ტრანსპორტის მოუწყობლობის გამო კრანსკის
 ბი დაიმშენნ, თავი იჩინა ეპიდემიამ, დეზერტირობამ, იყო
 შემთხვევები, რომ ერანელი ჯარისკაცები თავიანთი დაზოცი-
 ლი ამხანაგების გვამებს სჭამდნენ. შაჰ-ნადირმა ამ ლაშქრო-
 ბაში დაჰკარგა თავისი ჯარის დიდი ნაწილი და მთელი
 ტრანსპორტი, მაგრამ თავის მიზანს ვერ მიაღწია და გაბო-
 როტებული დაბრუნდა ისპაჰანში.

ამ ლაშქრობამ, რომელიც ნადირ-შაჰის ერანში დაბრუნე-
 ბის შემდეგაც გაგრძელდა, განსაკუთრებით გამანადგურებე-
 ლი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ საქართველოს ისედაც
 გალატაკებული ხალხის ეკონომიურ მდგომარეობაზე. ჯერ
 კიდევ ამაზე ადრე ქართლ-კახეთში შაჰმა მუმეიზი, ანუ
 დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სტატისტიკოსი
 გამოგზავნა, რომელმაც მიწები საბლით გააზომინა, მოსახ-
 ლეობა და პირუტყვი ააწერინა და დაბეგრა. მან გადასახადი
 დაადვა აგრეთვე ყოველ შენობას, ყოველ ვაზს, ყოველ ხე-
 ხილს. პაპუნა ორბელიანი ამბობს: „არასდროს ერანის ხელ-
 მწიფისაგან ქართლის ქვეყანა არ დაწერილიყო; ამა ამბავთა
 შინა მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად
 აოხრდა, მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისის ხელით
 კაფიდის და აოხრებდის, ვინც დარჩა, კიდევ ამის იმედი
 ჰქონდათ, რომ ერთი მემკვიდრე პატრონი გამოჩნდებოდა“.


დალისტანში ყოფნის დროს ნადირმა ქართლ-კახეთიდან
 მოითხოვა სურსათ-სანოვავის მიწოდება და რამდენიმე ათა-
 სი შეზღუდული ურმის გაგზავნა, რამაც უკვე ქართლის დამშე-
 ვა გამოიწვია. „ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ თქვენ-
 მა მზემ ბევრჯელ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან,
 დაფქვიდენ და იმას სჭამდენ, განაგრძობს იგივე მემატინე:

მრავალი სული ჯოხით მოკვდა; თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვიდენ, თავისის ხელით შვილებს აძლევდენ. მრავალნი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდინვეწა. ურუმის ქვეყანა * ქართლის კაცით აივსო“.

ასეთ პირობებში ქართლის ვეჟილმა ანუ სამოქალაქო გამგემ გივი ამილახვარმა გადასწყვიტა თბილისიდან გაპარულიყო, რათა ქართლში აჯანყების დროშა აეფრიალებინა. მან თან წაიყვანა ცოლ-შვილი და რამდენიმე თანამშრომლებელი. რადგან მცხეთის ხიდი აყრილი იყო, ის მტკვარზე ნავტიკებით გადავიდა, რომელიც მას მზად დაახვედრა მის შესახვედრად გამოსულმა მისმა თანამშრომელმა არაგვის ერისთავმა. აქედან ის დუშეთში ავიდა, ქსნისა და არაგვის ხევის კაცნი შეჰყარა და ერთგულებაზე დააფიცა.

ამ აჯანყებამ დიდად შეაშფოთა თბილისის ხანი, რომელმაც დაატყვევებინა და ნარიყალის ციხეში ჩაასმევინა მეტად თუ ნაკლებად საეჭვო ქართველი დიდებულნი. ნადირ-შაჰმა დატყვევებულნი გაანთავისუფლებინა, ხოლო გივი ამილახვარს წინადადება მისცა, უკან დაბრუნდი და ყოველივეს გაპატიებო; ამილახვარმა უარი შეუთვალა. მაშინ თბილისის ხანი ერანელების ჯარით შეესია ქართლს, დასწვა მოსავალი, დაარბია მოსახლეობა და რამდენიმე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე დაიკავა. გივი ამილახვარი ზემო ქართლში გადავიდა, საიდანაც ბორჯომის ხეობით კავშირი დაიჭირა ახალციხის ფაშასთან, რომელმაც მას თოფ-ზარბაზანი და ტყვია-წამალი მოაწოდა სურამის ციხის გასამაგრებლად. ამას გარდა ის მას დროგამოშვებით თურქთა რაზმებსაც აშველებდა.

* ე. ი. თურქეთი.



მაგრამ არც სისხლდაცლილ ქართლში შეგროვებული ძა-
 ლები, არც თურქთა დამხმარე რაზმები საკმაო არაა და
 გივი ამილახვარს ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევა შეს-
 ძლებოდა ერანის საოკუპაციო ლაშქრისათვის. ამიტომ მან
 დალისტნის ბელადებს მიმართა; მათ წამდენიმე ათასი კაცი
 გადმოიყვანეს და გივის განკარგულებაში დააყენეს; ამ
 თვითნება ლეკის ჯარმა თავისი ავაზაკობით და მტაცებლო-
 ბით არანაკლები ზიანი მიაყენა ქართლის მშვიდობიან
 გლეხკაცობას, ვიდრე ერანის ჯარი აყენებდა. ამას გარდა
 გივის მოლაპარაკება ჰქონდა გამართული რუსეთის ხელი-
 სუფლებასთანაც და მისი დახმარების იმედიც ჰქონდა.

გივი ამილახვრისა და მისი მომხრე ქართლელი ფეოდალე-
 ბის მიერ დაწყებულმა ბრძოლამ ორად გასთიშა ქართლ-კახე-
 თის მოსახლეობა: ერთი ნაწილი გივისა და ანტიერანულ პარ-
 ტიას მიემხრო, მეორე — ერანის ადგილობრივ ხელისუფ-
 ლებას. თავდაპირველად სასწორი ხან ერთი მეზობელი
 მხარისაკენ იხრებოდა, ხან — მეორისკენ. ერანის ხელისუფ-
 ლება ხან რებრესიებს მიმართავდა ხალხის დასაშინებლად,
 ხან მის ფულის მონადირებას ლამობდა დამთმობი პოლიტი-
 კით. გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია კახთ ბატონის თე-
იმურაზის, მისი მეუღლის თამარის და ერეკლე ბატონიშვი-
 ლის ერანის პარტიის მხარეზე გამოსვლამ. თეიმურაზმა გი-
 ვის მომხრეებისაგან გასწმინდა ჯერ არაგვის და მერე ქსნის
 საერასთავო, ხოლო ერეკლე ბატონიშვილმა შედარებით
 მცირე ჯარით, რომელშიც ქართველებს გარდა ლეკთა რაზ-
 მებიც იმყოფებოდნენ, ცხინვალის მახლობლად დაამარცხა
 გივი ამილახვრის თურქ-ლეკთა შეერთებული ჯარი, რომე-
 ლიც დილის ბინდ-ბუნდში მოულოდნელად თავს დაესხა მას.
 მადლიერმა ნადირმა თეიმურაზს ათი ათასი ოქრო გამო-
 უგზავნა საჩუქრად.



გივი ამილახვრის და ქართლის ფეოდალების ^{ამბოხებამ} ფართო გაქანება მიიღო და ბრძოლაში უკვე ^{აშუაღმკვეთისა} ცენტრალური მთავრობა ჩაება აშკარად. ხონთქარმა გივი ამილახვარს დიდი ჯარი მოაშველა ახალციხელი უსუფ-ფაშის მეთაურობით, რომელსაც აგრეთვე საკმაოდ დიდი თანხა გამოატანა დაღისტანში გასაგზავნად და ლეკების გადასაბიძრებლად. თეიმურაზი და თბილისის ხანი გორის ციხეში გამაგრდნენ. მოწინააღმდეგეთა შეტაკება მოხდა გორსა და რუისს შუა. მართალია ამ შეტაკებაში გივიმ და ოსმალოს ფაშამ დაამარცხეს თეიმურაზი და სპარსეთის ხანი და გორის გალავნის კარებამდე სდიეს მათს ლაშქარს, მაგრამ თვით გორის ციხის აღება ვერ შესძლეს და რუისში დაბანაკდნენ.

ამის შემდეგ გივი ამილახვარი და უსუფ-ფაშა მოელაპარაკნენ ლეკების უწარჩინებულეს ბელადს მალაჩის და ოთხი ათასი ჯარისკაცით და დასარიგებელი ფულით დაღისტანში გაგზავნეს ახალი ჯარების შესაგროვებლად. ეს ამბავი გორის ციხიდან თეიმურაზმა მსწრაფლ აცნობა ერეკლე ბატონიშვილს. მან საჩქაროდ თავი მოუყარა კახელებს, შვიერთა თბილისში დარჩენილი ყიზილბაშთა რაზმები და მალაჩის საგურამოსთან ჩაუსაფრდა, არაგვის მარცხენა ნაპირას. რადგან თურქთ-ლეკთა ჯარი ასეთ ელვისებურ მოქმედებას არ ელოდა, მან გულდამშვიდებით დაიწყო გადიდებული არაგვის ფონში გასვლა. მაშინ ერეკლე თავისი რაზმებით მოულოდნელად საფარიდან გამოვარდა და ძლიერად ეკვეთა მტერს. ოსმალოებმა და ლეკებმა უკან დაიხიეს, არაგვის მარჯვენა ნაპირას სანგრები შეჰკრეს და ძლიერი თოფის სროლა ასტეხეს. „მაშინ შეუხდა ძე მეფისა ირაკლი არაგვსა და პირველ ყოველთასა თვით განვლო ფონი იგი. ხოლო მხილველთა სპათა არლა ჰრიდეს საშინელებასა წყალთასა და შეუდგნენ



ყოველნი სპანი მისნი და იქმნა ბრძოლა უძლიერესი, ვიდრე
 იდან ოსმალ-ლეკნი უმეტესობდნენ; და ძლიერსა მათსა მომსა
 შინა პირველ მიუხდა ირაკლი ძე მეფისა და დალისტნის პირ-
 ველი ბელადი მალაჩი თვით მოჰკლა. ზოლო სიკვდილსა მის-
 სა მყის იძლიენენ ოსმალ-ლეკნი და მიჰყვნენ ესენიცა ვიდრე
 ქსანს გაღმა ოკმამდე და მრავალი მოსწყვიდეს და დაიჭი-
 რეს“ (ომან ზერხეულიძე).

როცა უსუფ-ფაშამ საეურამოს დამარცხების ამბავი გაიგო,
 მაშინვე აიყარა და ახალციხისკენ გაიქცა. გივი ამილახვარი
 ისევ სურამის ციხეში ჩაიკეტა. ნადირ-შაჰმა ერეკლეს ოქროს
 რახტით შეეკაზმული ცხენი და მძიმედ მოჭედილი ხმალი გამო-
 უგზავნა. რადგან ჩქარა ის დარწმუნდა, რომ თეიმურაზი და
 ერეკლე გადაუხრელად აღდგენ ერანის ორიენტაციის გეზს
 და მათ ერანელ ხანებსა და გამაჰმადიანებულ ბაგრატიონებ-
 ზე უკეთ შეეძლოთ აღმოსავლეთი საქართველოს დამშვიდე-
 ბა, 1744 წელს ქართლის მეფობა თეიმურაზს მისცა და კა-
 ხეთისა ერეკლეს. ამ საქმის შემზადებაში განსაკუთრებული
 როლი შეასრულა თეიმურაზის მეუღლემ თამარმა, რომელიც
 როგორც ეტყობა, დიდი პოლიტიკური ტაქტით იყო აღჭურ-
 ვილი. ის ჯერ კიდევ ნადირ-შაჰის დალისტანში ყოფნის
 დროს მასთან მივიდა, რათა მისი რისხვა გაენელებინა და გა-
 დასახადისა და ურმის ბეგრის შემსუბუქება ეთხოვნა. შაჰმა
 ის დიდი პატივით მიიღო და თხოვნა შეუსრულა. შემდეგ
 თამარი შაჰის ბრძანებით დროებით ქართლის მმართველადაც
 დაინიშნა. თამარმა, როგორც ვახტანგ მეექვსის კანონიერმა
 მემკვიდრემ, მოლაპარაკება გამართა გავლენიან თავადებთან
 და დაარწმუნა ისინი წინააღმდეგობა არ გაეწიათ, რომ მისი
 ქმარი მისი მამის ტახტზე დამჯდარიყო.

დიდი აღტაცებით შეხვდა ქართლ-კახეთი ახალგაზრდა
 ერეკლეს პირველ გამარჯვებათ სახელმწიფოებრივი და სამ-

ხედრო მოღვაწეობის ასპარეზზე. სხვათა შორის ამას მოწმე-
მობს ხალხური ლექსი, რომელიც, ალბათ, იმდროინდელი
შეთხზული:

ერეკლე ბატონიშვილი
განა უბრალო კანია:
საგურამოში ლექისა
ჯარი მარტომან დასია.

X

თეიმურაზის და გივი ამილახვრის ბრძოლა

ბრწყინვალედ იღვწასწაულა თბილისმა ქრისტიანი მეფის ქალაქში შემოსვლა, რაიცა ადვილი გასაგებია, თუ გავიხსენებთ რომ ერთს საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართლ-კახეთს თითქმის განუწყვეტლივ მაჰმადიანი მეფეება და გამგეები მართავდნენ. როცა თეიმურაზი ლილოდან თბილისში შემოვიდა, მას მეტეხის ხიდთან მოქალაქენი და სამღვდელო დასნი შეხვდნენ; მთელი ქალაქის ქუჩები და მოედნები მოფენილი იყო ყვავილებით და მძიმე აბრეშუმის ქსოვილებით. ზარბაზნათა გრილისაგან ყურთასმენა აღარ იყო, ავლაბრიდან დაწყებული ქართლის კარიბჭემდე, რომელიც ქალაქის გალავანთან დაახლოებით იმ ადგილას იყო, სადაც ამჟამად პუშკინის სკვერია, მოედნები და ქუჩები მორთული და გაჩირალდნებული იყო.

„რა გითხრა, რა სიხარული იყო ჩვენგან, სწერს იესე ოსეს-შვილი თავის ავტობიოგრაფიაში: ტყვეობის შიშით სამი თვე რომ სიონის აკლდამაში ვისხედით, ამოვედით. ქართველობა შეიქნა. საყდრებში თათრების შიში აღარ იყო. ვეჟილები,

ვეზირები, მუსტაფი * რომ ქართველ ბატონს მსახურებდნენ და თავს დაუკრავდნენ, გაგვიოცდის და გაგვიკვირდება. როცა ნით სასახლე რომ ვნახეთ და მეფეთ შეჯლისი და დილაზედ სალამი, უცხო რამ სიხარული იყო ყმაწვილის კაცისთვის“.

როცა ეს სასიხარულო ამბავი ერეკლემ გაიგო, ისიც თავისი ამალით დიდუბეში მოვიდა, სადაც საგანგებოდ კარვები იყო გაშლილი. იქ ნადირ-შაჰის წარმომადგენელმა მას შაჰის მანიფესტი წაუკითხა და ხალათი გადააცვა. თეიმურაზი თავის ვაჟს ქალაქის კარიბჭესთან შეხვდა. დაიწყო ნადიმი და სახალხო დღესასწაული, რომელმაც რამდენიმე დღე გასტანა.

ამის შემდეგ მეფეები კახეთს გაემგზავრნენ, ვინაიდან თეიმურაზს უნდოდა, ძველი ქართული წესისამებრ, თავისი ვაჟისთვის სამეფო დაელოცა; მაგრამ საგარეჯოში მამაშვილი იძულებული გახდა ერთმანეთს დაშორებოდა: ამბავი მოვიდა, სამი ათასი ცხენოსანი ლეკი ყაზახს შეესიათ. რადგან თათრობით დასახლებული ყაზახი, ისევე როგორც ბორჩალო, ბამბაკი და შამშადილი აღმოსავლეთი საქართველოს ზღუდეს წარმოადგენდა და შემდეგ ქართლის სამეფოს ნაწილიც გახდა, მისი დაცვა თეიმურაზს აუცილებლად მიაჩნდა და ის იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. მან თბილისიდან თან წაიყვანა ქართველთა და ყიზილბაშთა ჯარი, მიუსწრო ლეკთა მარბიელ რაზმებს, დაამარცხა ისინი, ნადვლი დააყრვეინა და ისევე სატახტო ქალაქში დაბრუნდა.

თეიმურაზ მეფის მთავარ საზრუნავს ფეოდალთა ოპოზიციის მოდრეკა წარმოადგენდა. მან თავდაპირველად ლმობიერი მოპყრობით, დასაჩუქრებით, დაწინაურებით შეირიგა ამ ოპოზიციის რამდენიმე გავლენიანი წარმომადგენელი, ხოლო შემდეგ ჯარით გაილაშქრა მისი მოუდრეკელი და ენერგი-

* მუსტაფი ანუ მორდალი — ბექდის მცველი მოხელე.



ული ბელადის გივი ამილახვრის წინააღმდეგ, რომელიც კი-
 დევ სურამის ციხეში იყო გამაგრებული. ქართლის მეფის
 ახლდა აგრეთვე თბილისის მეციხოვნე ყიზილბაშის ჯარისკაც
 რომელსაც ნადირ-შაჰისაგან ნაბრძანები ჰქონდა ყველაფერ-
 ში თეიმურაზ მეფეს დამორჩილებოდა.

რადგან თეიმურაზმა პირდაპირი იერიშით სურამის ციხის
 აღება ვერ შესძლო, მან სანგრები გაათხრევინა მის გარშემო
 და ალყა შემოარტყა. მეციხოვნე ჯარი კარგად იყო მომარაგე-
 ბული სანოვაგითა და თოფ-იარაღითა თუ ტყვია-წამლით, მას
 ზარბაზნებიც ჰქონდა და დიდხანს შეეძლო თავდაცვა. მემ-
 ტიანე ამბობს, ხანდახან ისეთი სროლა გაისმოდა, რომ კვამ-
 ლისაგან ციხე არ სჩანდა. რადგან თეიმურაზმა ციხე ვერ
 აიღო, გივი ამილახვარს მოციქული შეუგზავნა, შევრიგდეთ
 და ცთომილებას გაპატიებო. ამილახვარმა წინადადება მის-
 ცა, პირისპირ მოვილაპარაკოთო. მეფე ციხესთან მივიდა, კა-
 რავი დაადგმევინა და მცირედი ამალით შიგ შევიდა. ამილა-
 ხვარი თავისი კაცით ციხიდან გამოვიდა და თეიმურაზს ჯვარ-
 ზე შეჰფიცა, შენი ორგული არ ვიყოვო. სამაგიეროდ მეფემ
 ხალათი უბოძა. ამილახვარმა მოახსენა: „თქვენი სარწმუნო
 ვარ, მაგრამ ხელმწიფისაგან ერთი ისეთი რაყამი მომიტანე,
 რომ ჩემი გული შესჯერდეს და ციხეს მაშინვე მოგართმე-
 ვო“. თეიმურაზმა ნადირ-შაჰთან საჩქაროდ გაგზავნა შიკრი-
 კი. სანამ ისპაჰანიდან პასუხი მოუფიქროდა, მეციხოვნე და
 საალყო ჯარს შორის ერთგვარი დაძმობილება მოხდა, ლეკი,
 ქართველი და ყიზილბაში ჯარისკაცები ერთმანეთთან მიდი-
 ოდნენ და ვაჭრობდნენ.

ერანიდან დაბრუნებულმა შიკრიკმა შაჰის პასუხი მოიტა-
 ნა: ნადირი გივი ამილახვარს ატყობინებდა, შენი დანაშაული
 და სისხლი ჩვენის სიმაღლისა და გაძლიერების მდომელის
 მეფის თეიმურაზის გულისთვის გვიპატიებიაო. შაჰი ფიცა



არც თეიმურაზს, შემოსთვალა, თამარ დედოფალი მოვიდეს
და იმას მიეწოდებოდნენ დედოფლის მისვლისთანავე გვიქმნიდნენ
გულების ფიცი მისცა მასა და თეიმურაზს, ხოლო მათგან
უწებლობის ფიცი მიიღო. ამის შემდეგ ციხის კარები გააღო.
როგორც კი ნადირ-შაჰმა გივი ამილახვრის კაპიტულაციის
ამბავი გაიგო, შემოსთვალა ან თვალეზი დასთხარეთ, ან
ერანში გამოგზავნეთო. დიდად შეწუხდნენ მეფე და დედო-
ფალი, მაგრამ შაჰის ბრძანების წინააღმდეგ წასვლა ვერ
გაბედეს.

გივი ამილახვარმა თვალეზის დათხრა ამჯობინა, ვინაიდან
 განსაჯა, რომ თუ ერანში გაგზავნიდნენ, სამშობლოსაც დაჰ-
 კარგავდა და თვალეზსაც. თამარმა და თეიმურაზმა ის ერან-
 ში გაგზავნეს დაუბრმავებლად; ამასთანავე შაჰს სთხოვეს
 მისი შეცოდება ეპატიებინა.

გივი ამილახვრის ძმისწულს ალექსანდრე ამილახვარს თა-
 ვის „გეორგიანულ ისტორიაში“ მოთხრობილი აქვს თავისი
 ბიძის დატუსაღების და ერანში წაყვანის ამბავი. ისპაჰანიდან
 ფარულად ორი დიდებული მოდის და თამარ დედოფალთან
მოლაპარაკების შემდეგ გივისთან შედის. ის მათ კარგად
ხვდება, როგორც ძველ ხაცნობებს. სპარსელები გივის ორი-
ვე მხრიდან ამოუდგებიან, ცერებზე ხელებს მოჰკიდებენ
სპარსთა ჩვეულების მიხედვით და ტირილით შაჰის ბრძანებას
აცნობებენ. გივი ხედავს, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზ-
რობა იქნებოდა; შან იცის, რომ ნებაყოფლობით დამორჩი-
ლებულთ სპარსელები უფრო ღმობიერად ეპყრობიან, ამი-
ტომ გულზე ხელებს დაიკრეფს და იტყვის: აღსრულდეს
დიდებული შაჰის ნება მის ფერხთა მტვერზე გივი ამილახ-
ვარზეო. დედოფალი თამარი იმდენად შეწუხებულია, რომ
გივის წინადადებას აძლევს; თან გაყვები ისპაჰანში, რათა



შაჰს პირადად ვთხოვთ შენი შეწყალებაო. მაგრამ ^{გვიყვარს} აშლევინებს, ვინძლო თვითონ მოვახერხო თავის ^{გადასარჩევად} ~~გადასარჩევად~~.
 ერანში მიმავალი გივი ამილახვარი გზად შეხვდა იქიდან სამშობლოში მომავალ შანშე ერისთავს, რომელიც ნადირმა გაანთავისუფლა თეიმურაზის შუამდგომლობის თანახმად, და ამ ორმა ყოფილმა მოწინააღმდეგემ, ერთმა დაბრმავებულმა, ხოლო მეორემ დაბრმავების მომლოდინემ, ერთმანეთს სამძიმარი უთხრეს და წუთისოფლის გაუტანლობა შესჩივეს. გამოთხოვების ჟამს შანშე ერისთავს ქართული ზღაპრების სიტყვები გახსენებია: იქით მიმავალი ბევრი მინახავს, უკან დაბრუნებული კი არც ერთიო. გივი ამილახვარს უპასუხნია, შეიძლება ღმერთმა შემობრალოს და უკან ისე არ დაებრუნდე, როგორც შენ ბრუნდებიო.

თავისი ახოვანი გარეგნობით, კეთილშობილი ქცევით და დიპლომატიური ჭკუით გივი ამილახვარმა, როგორც ეტყობა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნადირზე და ის დასჯას გადაარჩა. ერთ-ერთი მომდევნო შაჰის დროს მან ყულარაღასობა, ე. ი. გვარდიის უფროსობა მიიღო და დიდძალი ქონება შეიძინა. როცა ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ დაწყებულმა არეულობამ 1749 წელს უკიდურეს მწვერვალს მიაღწია, ერანში მყოფი ქართლ-კახელნი ერთად შეიყარნენ და სამშობლოში დაბრუნება გადასწყვიტეს, მაგრამ გაუჭირდათ, ვინაიდან დამშეული და გაღარიბებული იყვნენ. მაშინ გივი ამილახვარმა ყველას საზრდო და იარაღი დაურიგა, დარაზმა და წინ გამოუძღვა, რამდენჯერმე გზაში ყიზილბაშები დახვდნენ, მაგრამ, მემატიანეს ენით რომ ვთქვათ, გივი ასე ლომგულად და კაი სარდლობით მოიქცა, რომ საცა მტერი აუჩნდისთ, ღვთის რისხვა დასცეს და აგრე ხრმლის ძალით ქვეყანასა ქართლისათა მოვიდიან.

მოსუცებულობაში გვი ამილახვარმა მეტი ღეთისმოსავე-
ბა გამოიჩინა, ვიდრე მისი ქარიშხლიანი ახალგაზრდობის
დღეებში იყო მოსალოდნელი, და თავისი შეძლების დიდი ნა-
წილი დანგრეული ეკლესიების განახლებას, ქართველ კათო-
ლიკეთა დახმარებას და სხვა სათნო საქმეებს მოახმარა არა
მარტო ქართლ-კახეთში, არამედ იმერეთსა და ახალციხის
მხარეშიც.

XI

თეიმურაზ მეფის დაბვირბვინება

გვი ამილახვრის დამარცხების შემდეგ თეიმურაზ მეორეს
ქართლში მნიშვნელოვანი მოწინააღმდეგე აღარ ჰყავდა, და
მან გადასწყვიტა ქრისტიანული წესით გვირგვინი ეკურთხე-
ბინა მცხეთის ძველ საპატრიარქო ტაძარში, სვეტიცხოველში,
რისი ნებართვაც აიღო ნადირ-შაჰისაგან. მეჩვიდმეტე საუკუ-
ნის ოცდაათიანი წლებიდან მეთვრამეტე საუკუნის ორმოციან
წლებამდე, როცა ქართლ-კახეთს მაჰმადიანი მეფეები ან
ერანელი ხანები მართავდნენ, სპარსულმა კულტურამ განსა-
კუთრებით ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ქართულ კულტუ-
რაზე. ამ ზეგავლენის შემწეობით ბევრი რამ შეიქცალა თვით
ხალხის ზნეჩვეულებასა და მსოფლმხედველობაშიაც, მაგრამ
ის განსაკუთრებით მალალი საზოგადოების ყოფაცხოვრებას,
სალიტერატურო ენას, ხელოვნებას და სახელმწიფოს მართვა-
გამგეობის წესს დაეტყო. სხვათა შორის, თითქმის აღარავის
ახსოვდა, როგორ უნდა მომხდარიყო მეფის დაგვირგვინება
ძველი ქართული წესის მიხედვით. საჭირო გახდა კლასიკური
დროის ძეგლების შესწავლა და მათში აღნიშნული განრიგე-
ბის შეგუება ახალი დროის მოთხოვნილებასა და პირობებ-

თან. ამ საქმის მოგვარება ახალგაზრდა კათოლიკოსმა ანტონი პირველმა იკისრა.

ანტონი ერეკლე მეფის მამიდაშვილი იყო და რამდენიმე დღით მასზე გვიან დაიბადა. განათლება ჯერ თავის დედის ელენეს ანუ ბეგუმის ხელმძღვანელობით მიიღო, ხოლო შემდეგ დავით გარეჯის და გელათის მონასტრებში სწავლობდა. კარგად იცოდა სპარსული და სომხური ენები, უფრო გვიან რუსული და ლათინურიც შეისწავლა. დედამისი მას ტახტისთვის ამზადებდა და, როგორც ვახტანგ მეექვსის ძმის იესეს ვაჟს, მას უფრო ერგებოდა ქართლის ტახტი, ვიდრე მის ბიძას თეიმურაზს ან ბიძაშვილ ერეკლეს; მაგრამ ანტონის ახასიათებდა უანგარობა და პატრიოტული შეგნება, რომელიც არ ჰქონია ტახტის გულისთვის ორგზის გამაჰმადიანებულ მამამისს იესეს.

ანტონი იყო ფართო პორიზონტის პოლიტიკური მოღვაწე, ღრმა გონებითა და რკინის ნებისყოფით აღჭურვილი; თავისი სახელმწიფოებრივი და ლიტერატურულ-მეცნიერული მოღვაწეობით მან ხელი შეუწყო არა მარტო თეიმურაზ მეორის და ერეკლე მეორის ხელისუფლების განმტკიცებას, არამედ სპარსული კულტურის ზეგავლენის შესუსტებას და ქართველი ერის მობრუნებას ნაციონალური და ქრისტიანული კულტურის ტრადიციებისკენ.

თუ ანტონ პირველის ბერად შედგომას პირადი ტრაგედია უძლოდა წინ, სახელდობრ საცოლესთან გათიშვა, მცხეთის საკათოლიკოსო ტახტზე ის მეორე დრამატიულმა შემთხვევამ აიყვანა. ის ოცი წლისა იყო, როცა ქუთაისის მიტროპოლიტად დაინიშნა, მაგრამ ჩქარა კახეთში გადავიდა და რამდენიმე ხანი ისევ დავით გარეჯის უდაბნოში დაჰყო. თეიმურაზისა და ერეკლეს გამეფების წელს ვინმე აზნაურმა ტარიელ



თაზიშვილმა თბილისში ხანჯლით კათოლიკოსი ნიკოლოზ/ ხერხეულიძე მოჰკლა. მკვლელი რიყისკენ გაიქცა, მაგრამ მას სატივოზე დაეწივნენ და ქვით ჩაჰქოლეს. ამის შემდეგ აიკლეს აგრეთვე მისი ახლო ნათესავები. ასეთი ტერორისტული აქტები იმ დროს საქართველოში იშვიათი მოვლენა არ იყო: მოთმინებიდან გამოსული გლეხები ხშირად ხოცდნენ ტყვეების გამყიდველ და გადაქარბებულად მკაცრ მემამულეებს.

ქართლ-კახეთის ახალი ხელისუფალნი თეიმურაზი და ერეკლე შეეცადნენ აელაგმათ თავგასული ფეოდალები და ამრიგად ნიადაგი გამოეცალათ გლეხკაცობის ტერორისთვისაც. მათი მეფობის პირველსავე წლებში ზემო ქართლში ერთი დამახასიათებელი შემთხვევა მოხდა. თავადმა სვიმონ ამირეჯიბმა, თავისი ერთგული ხელქვეითების შემწევობით, სოფელი აბანოს გლეხებს თავს დაასხა იმერელი თავადი წერეთელი, ცოლ-შვილით აპყარა ისინი და გაჰყიდა. აბანოელმა გლეხებმა შური იძიეს, ამირეჯიბს ჩაუსაფრდნენ და დაიჭირეს. მათი საქმე მეფის სასამართლოში გაიჩნა, რომელმაც ამირეჯიბს ფულადი ჯარიმის გადახდევინება მიუსაჯა, ხოლო აყრილი გლეხები უკან დააბრუნა. და ერთ პირობის წერილში ამირეჯიბი გლეხებს აღთქმას აძლევს, დარჩენილ რვა თმანს ამ თვის ბოლოს გაგისტუმრებთ, „თუ ამაში გიმტყუნო, ნეფე თეიმურაზის შემცოდე ვიყო, იმის შვილს ერეკლეს ხელთ დავრჩენოდე“.

თუ თავადაზნაურებისა და გლეხების ერთმანეთზე მიხდომა ხშირი მოვლენა იყო და ბატონყმობის ურთიერთობის მოუწესრიგებლობას მოწმობდა, კათოლიკოსის მოკვლა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და გამოწვევის შემთხვევას წარმოადგენდა, იმას მოწმობდა, რომ მთელი მმართველი წრეები იყო დაავადებული და საერო



არისტოკრატის ზნეობრივი მანკი სამღვდელოებასა და გადადებული. ამიტომ თეიმურაზმა და ერეკლემ ში მყოფ ანტონის სთხოვეს საქართველოს ეკლესიის წინამძღოლობა ეკისრნა, რაზედაც ის მხოლოდ კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ დაითანხმეს.

სანამ თავის დიდ რეფორმისტულ და გამანათლებელ მოღვაწეობას დაიწყებდა, დახურული სამონასტრო სკოლების ხელახლა გაღებას, სახელმძღვანელოების შედგენას და გამოთარგმნას, სამღვდელოების გაწმენდას უღირსი ელემენტებისაგან, საეკლესიო სასამართლოს ორგანიზაციას, ეკლესიის დაქვემდებარებას საერო ხელისუფლებისადმი, ანტონი პირველმა საჭიროდ სცნო სათანადო ზემოთ მოეწყო მეფის კურთხევის აქტი; ამით მას, ალბათ, უნდოდა ერთგვარი გამამხნეველელი შთაბეჭდილება მოეხდინა ხალხზე, რომელიც დიდი ხანია გადაჩვეული იყო დიდი საღვთისაწაულო პროცესიების ცქერას და თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერაფერს ხედავდა გარდა უცხოურად გამოწყობილი მაჰმადიანი მმართველებისა, მოძალადე ყიზილბაში მეომრებისა და თვალების დათხრასა და დასაჭურისებაში დაოსტატებული ჯალათებისა. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია რა ალტაცებით შეხვდებოდნენ თბილისელები კახეთიდან კურთხევის დასასწრებლად ჩამოსულ ერეკლეს და ანა დედოფალს დარბაისლებითურთ, და შემდეგ რა ენტუზიაზმს გამოიწვევდა თვით კურთხევის ცერემონიის დანახვა მცხეთაში თავმოყრილ ხალხში.

ჭირშიც და ლხინშიც ქართველი კაცი მუდამ მზად უნდა ყოფილიყო მტრის მოსაგერიებლად და თავის დასაცავად. ამ მოგზაურობის დროსაც ერეკლე მეფესა და მის ამაღას ლეკები დაესხნენ თავს. „გაერივნენ კახნი ხმალდახმალ, ვითაც კახნი მუდამ გამზადებული იყვნეს და მერე ბატონი უყუ-



რებდა; გარდუცვივდნენ დასაფრებულთა ლექთა და რისხვე
 ლეთისა დასცეს, ამოწყვიტეს ლეკნი... რა შოეანდა ქალაქსა
 მეფე ერეკლე, გაეგებნენ სრულიად ქართველნი, აგრეთვე
 დასნი სამღვდელონი და მოქალაქენი, შეასხეს ქება, ვითა
 შვენოდა. თავნი ლეკთანი წინა მოუძლოდა და ჯარი აქეთ-
 იქით დასათ მოსდევდა და თითონ მარტივად მობრძანდებო-
 და, წითელსა ტაიჭსა ჯდა“ (პაპუნა ორბელიანი).

თბილისიდან მცხეთაში საღვთისმშობლის მიმავალი ქარ-
 თველი ჯარი ოთხ სადროშოდ გაჰყვეს: პირველის მეთაურად
 სურამის ციხის ამღები ქაიხოსრო ორბელიანი დანიშნეს, მე-
 ორესი — კონსტანტინე მუხრანბატონი, ხოლო მესამესი —
 დიმიტრი ამილახვარი; მეოთხე სადროშოს თვით მეფე სარდ-
 ლობდა. დიდებულთათვის მცხეთაში მდიდრულად მორთუ-
 ლი კარვები იყო გაშლილი, მეფის კარავი ოქსინოთი იყო
 მოფარდაგებული. როცა თეიმურაზ მეფე თავის კარავში შე-
 ეიდა, დარბაისლები ეახლნენ და ღირსების მიხედვით დასხ-
 დნენ ან დადგნენ.

კარვიდან ტაძარში მიმავალ თეიმურაზს შემოსილი სამღვ-
 დელოება შეეგება ლამპრებითა და საკმევლის კმევით; მეფეს
 წინ მეთოფენი მიუძლოდნენ, მისი მარჯვენა მკლავი ამირ-
 სპასალარ ქაიხოსრო ორბელიანს ეჭირა, ხოლო მარცხენა
 მუხრანბატონს; უკან აბჯრებით შეიარაღებული დიდკაცის
 შვილები მოჰყვებოდნენ. ტაძარი სანთლებით და კელაპტრე-
 ბით იყო გაჩირაღდებული, მგალობელთა დასების გუგუნნი
 თაღებს აზანზარებდა.

ქართველ სამღვდელოებას გარდა ეკლესიაში სომხების და
 კათოლიკების სამღვდელოებაც იდგა შემოსილი. შუაგულობას
 მომალლოდ ორი სელი იდგა, ერთზე მეფე დასვეს, მეორეზე
 კათოლიკოსი დაჯდა, ხოლო მათ გვერდით თექვსმეტი



მღვდელმთავარი დადგა. კათოლიკოსმა მეფეს სარწმუნოება
 ჰკითხა და ალექსის ეპისტოლე წაუკითხა; ზეთის ^{სარწმუნოება} და
 ბისონ-პორფირის შემოსის შემდეგ, თავზე გვირგვინი დაახუ-
 რეს, მარჯვენა ხელში სკიპტრა მისცეს, ხოლო მარცხენაში
 ქვეყნის სფერო. ბოლოს სამეფო ტახტზე დასვეს და ამირ-
 სპასალარმა ხმალი შემოართყა; დაიწყო თაყვანისცემა და
 ხელთა თუ კვარცხლბეკთა ამბორი.

ეკლესიიდან გამოსვლისას თოფ-ზარბაზანთა გრიალი და
 სპილენძ-ჭურთა ცემის ხმა გაისმა. დედოფალმა და უფლის-
 წულებმა მეფეს კარავში მიულოცეს, ქართველმა ჯარმა და
 ყიზილბაშებმა კი სეფაში, სადაც ოთხივე დროშა იყო ამარ-
 თული. „შეიქნა ლხინი. ვითა მართებდათ ქართველთა, ეგრე
 გულსრულობით სიხარულს არ დააცადებდნენ, ამით რომე
 დიდი ხანი ქრისტიანი მეფე არა სჯდომოდათ, კურთხევით
 გვირგვინოსანი მეფე არა ეხილათ“ (პაპუნა ორბელიანი).

XII

ერეკლე და აბდულა ბეგი

იმ დროს, როდესაც ქართლ-კახეთში ქრისტიანი მეფეების
 ტახტზე ასვლას ზეიმობდნენ, ერანი თითქო მწუხრით იყო
 მოცული. დაღისტნის ბედუკულმართმა ექსპედიციამ შეარ-
 ყია ნადირის ავტორიტეტი, მან მისი აღდგენა ვერ შესძლო
 თურქების ჯარის რამდენჯერმე დამარცხებით; მით უმეტეს
 რომ სულთანის წინააღმდეგ ბრძოლაში მან რაიმე ხელშესა-
 ხებ შედეგებს ვერ მიაღწია.

სიბერეში ნადირ-შაჰი ეჭვიანი და მშფოთარე გახდა. უბ-
 რალო ეჭვის ნიადაგზე მან თვალები დაათხრევინა თავისი
 უფროსი ვაჟისთვის, ხოლო შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ

მისი ეჭვი უსაფუძვლო იყო, დააბრმავებინა კარისკაცები, რომელთაც წინააღმდეგობა არ გაუწიეს უფლისწულის დაბრმავების დროს.

ხალხისა და გაბატონებული წრეების უკმაყოფილება განსაკუთრებით გააძლიერა სახელმწიფო გადასახადების უზომოდ გადიდება და ქონებათა კონფისკაციამ, რის შემწეობითაც ნადირი ომისაგან გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებას სცდილობდა. სხვათა შორის, მან დიდი ხარკის გადახდა მოსთხოვა ქართლ-კახეთის მოსახლეობასაც და თეიმურაზსა და ერეკლესაც.

პაპუნა ორბელიანს მოთხოვნილი აქვს ერთი ეპიზოდი, დიდად დამახასიათებელი ნადირ-შაჰის თავისებური ფინანსიური პოლიტიკისათვის. მან ქართლ-კახეთში თავისი იასაული გამოგზავნა და თეიმურაზთან მოვლენილი სპარსელი მოხელეები დაიბარა, რათა პირადად გამოეკითხა საქართველოს ფინანსიური მდგომარეობის შესახებ: „ქვეყანაში ან ხანებმა ან ქართლის დიდრონმა კაცებმა რა შექამესო. ამათ ყოველთა არა რაი იცოდეს და ვერა რა მოახსენეს რა; რაც ქართლის სახელმწიფო ხარჯი ედვა, ის როდის გამოდიოდა ან მეხუთედი, რომ მეტი ვისმე შეექამა. არ მოეშვა ხელმწიფე კითხვისაგან, გაუწყრა და თითო თვალი მოსთხარა. წადგა ყაზახის ვეჟილი, რომელი ქართლს ვეჟილად იჯდა და ქართველსა და კახს ბატონს და კახეთის დიდრონ კაცებს ყველას არბაზი* დაუწერა. მაგრამ არც ის იყაბულა, თითონ გააკეთა არბაზი ქართლსა და კახეთზე, ორასი ათასი თუმანი დააწერა და ქართველის ვეზირს მირზა იბრეიმს, ვეჟილებს, ვეზირს მუსტაფას, ყველას თუ რამ ჰქონდათ წაართვა. ორისავ თვალეზის

* არბაზი — გადასახადი.



დათხრა ბრძანა. დასთხარეს ყველას და ეგრე ბრძანა ქართლ-
ში გაისტუმრა“.

ეს ამბავი ქართლ-კახეთის მეფეებისთვის მით უფრო მო-
ულოდნელი იყო, რომ სულ ბოლო დრომდე შაჰი მათ მეგობ-
რულად ეპყრობოდა. მაგალითად, როცა თამარ დედოფალი
გარდაიცვალა და თეიმურაზ მეფემ ცოტა ხნის მგლოვიარო-
ბის შემდეგ, პაპუნა ორბელიანის მაღალფარდოვანი სტი-
ლით რომ ვთქვათ „ყოველთა ბანოვანთა შორის უმეტეს
აღცისკრებული და მზის შარავანდედის ბნელმჭმნელი“ ანა
ხანუმი შეირთო, რათაც, სხვათა შორის, ერეკლეს უკმაყოფი-
ლება გამოიწვია, შაჰმა მას ქორწილის შესაწევნად დიდძალი
ოქრო-ვერცხლი და ლარი გამოუგზავნა.

ადილი წარმოსადგენია რა შთაბეჭდილებას მოახდენდა
ქართველ ხალხზე ცალთვალა ან სრულიად დაბრმავებული
მოხელეების უკან დაბრუნება და მათ მიერ მოტანილი ცნობა,
რომ გაპარტახებულ ქვეყანაზე ორასი ათასი თუმანი იყო შე-
წერილი. იმდროინდელი სიგელ-გუჯრები მოწმობენ, ჯოგორ
იყრებოდა ქართლ-კახელი გლეხკაცობა და ტყიან და მთიან
ადგილებში გარბოდა, რათა ხარჯთამყრეფელ მოხელეებს და-
მალოდა. თეიმურაზ მეფემაც გადასწყვიტა შაჰს განდგომო-
და, თბილისიდან აიყარა და არაგვის ხეობაში გამაგრდა ანა-
ნურში. მას თან გაჰყვნენ თბილისის შეძლებული მოქალაქე-
ები, კარისკაცები და სამღვდელოება კათოლიკოსის მეთაურო-
ბით. ერეკლე მეფემაც უარი სთქვა ხარკის გადახდაზე, თეი-
თონ კახელი ხალხის ერთი ნაწილით კალაურის მთაზე დაბა-
ნაკდა, ხოლო დანარჩენი კახელობა ლოპოტის მთაზე, ბო-
ქორმის ციხეში და თიანეთში გახიზნა.

ნადირ-შაჰმა თავდაპირველად ძალის მოხმარა განიზრახა და
ჯარი გამოგზავნა საქართველოს ასაკლებად. მაგრამ მას გა-

ახსენდა, რა ძვირად უჯდებოდა ერანის ჯარსა და ხაზინას/ ამა თუ იმ გამდგარი ქართველი თავადის დამორჩილებას განაწი
საჯა ისიც, რომ გაერთიანებული ქართლ-კახეთის დამარცხე-
ბა კიდევ უფრო ძნელი იქნებოდა და ისევ შერიგების გზა არ-
ჩია: დამსჯელი ჯარი გზიდან უკან დააბრუნა და თეიმურაზ-
სა და ერეკლეს „სიტკბოების და წყალობის რაყამი“ მოსწე-
რა. მხოლოდ ერეკლეს ისპაჰანში იბარებდა პირისპირ მოსა-
ლაპარაკებლად. ერეკლეს ხელახლა ერანში წასვლას თეიმუ-
რაზი წინააღუდგა: შენს მეტი ძე არ მყავს, გეყოფა რაც ინ-
დოეთსა და სხვა ქვეყნებში ახლდი ხელმწიფეს, ახლა რომ
რამე მოგივიდეს, ქვეყანა უპატრონოთ დარჩებაო. ერთხანს
თეიმურაზი საზოგადოდ ურჩობის გაწევას ფიქრობდა შაჰისა-
დმი, მაგრამ შეიტყო, რომ ფეოდალები მხარს არ დაუჭერ-
დნენ; ზოგმა აშკარა ორგულობაც გამოიჩინა მეფის მიმართ,
სხვები თავთავიანთ მამულში წავიდნენ და ციხეების გამაგ-
რება დაიწყეს, რათა ერანის ჯარის მოსალოდნელი შემოსე-
ვის დროს ინდივიდუალურად გაეწიათ წინააღმდეგობა.

ამის შემდეგ თეიმურაზს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, თვი-
თონ წავიდა ერანში, მაგრამ ნადირს ცოცხალს ვეღარ მიუს-
წრო. შაჰი მის საწოლ ოთახში სპარსელმა ოფიცრებმა მოჰ-
კლეს 1747 წელს.

ნადირი უკანასკნელი დიდი პოლიტიკოსი და მხედართმოთა-
ვარა იყო შაჰების ტახტზე. მისი სიკვდილის შემდეგ ერანი
წელში აღარ გამართულა. როგორც ხშირად ხდებოდა აღმო-
სავლეთის დესპოტიებში, სადაც ზემოთ განუსაზღვრელი
უფლებებით აღჭურვილი მბრძანებელი იდგა, ხოლო ქვემოთ
უფლებააყრილი, თაოსნობას მოკლებული და მონურ მორჩი-
ლებას შეჩვეული ბრბო, ამ შემთხვევაშიც ხელმწიფის სიკვ-
დილს თვითნებობა და ანარქია მოჰყვა. უწინარეს ყოვლისა
განძარცულ იქნა შაჰის სასახლე ჯერ ავღანელთა რაზმებისა,



ხოლო შემდეგ ვითომდა სასახლის დასაცავად გამოეყენებოდა სპარსელი ჯარისკაცების მიერ. მთელს ერანს მოედევნა აქა-ზაკთა ბრბოები, რომელნიც შეუძლებლად ხდიდნენ ქარავენების მიმოსვლას და მშვიდობიან მუშაობას. ისპაჰანის ტახტზე სამიოდე წლის განმავლობაში რამდენიმე პრეტენდენტი დაჯდა: ისინი თავიანთ მოღვაწეობას იმით იწყებდნენ, რომ თავიანთ წინამორბედს აბრმავებდნენ ან ჰკლავდნენ, ხოლო თვითონ თავიანთი მომდევნო შაჰის მსხვერპლი ხდებოდნენ.

ხოლოს, 1750 წელს ერანში ერთგვარი წონასწორობა დამყარდა. სახელმწიფოს დიდი ნაწილი დაემორჩილა ზენდთა ტომის მეთაურს ქერიმ ხანს, რომელიც შემდეგ თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში საკმაოდ გონიერად და ჰუმანიურად მართავდა ერანს, თუმცა წერა-კითხვაც კი არ იცოდა. მან ვერ გაბედა შაჰის სახელწოდება მიეღო, ვინაიდან ზოგიერთი მნიშვნელოვანი პროვინცია დროგამომშვებით ან ხანგრძლივად ფაქტიურად დამოუკიდებელი იყო. ასე, მაგალითად, აზერბაიჯანს კარგა ხანს ნადირის თანამებრძოლი აზატ ხანი მართავდა, ხოლო ასტრბადის მხარეს ყაჯართა გვარის მეთაური მაჰომედ ჰუსეინი.

სპარსეთის არეულობამ ქართლ-კახეთზეც მოახდინა ზეგავლენა. თბილისიდან გამგზავრების წინ თეიმურაზ მეფემ ქართლის დროებით მმართველად უკან დაბრუნებამდე ანტონ კათოლიკოსის გამაჰმადიანებული ძმა არჩილი ანუ აბდულა ბეგი დასტოვა, რომელიც იმ დროს სამშვილდის ციხეში ცხოვრობდა თავისი ჰარამხანით. როგორც კი მან სპარსეთში დაწყებული ანარქიის ამბავი გაიგო, ლორის ციხიდან ზარბაზნები და ტყვია-წამალი ჩამოატანინა, სამშვილდის ციხეს ორი დიდი ბურჯი მიაშენა, წყლის აუზი გააკეთა და ორი წლის სანოვაგე დაამზადა. ამას გარდა მან ციხეში თავი მოუყარა ლეკთა



რაზმებს, მიიმხრო რამდენიმე ქვემო ქართლელი თავადიშვილი და, ბოლოს, კავშირი დაამყარა ყიზილბაშებთან, რომელიც თბილისში იდგა, ნარიყალის და მეტეხის ციხეებში, ხოლო ერეკლეს მისწერა, კახეთს არ გედავები და ქართლს ნუ შემედავები, ჩემი სამკვიდროაო.

ერეკლე მეფემ ჯერ მშვიდობიანი გზით სცადა საქმის მოგვარება: აბდულა ბეგს მოციქულად თბილელი ებისკოპოსი გაუგზავნა და სარჩოდ საბატონიშვილო მამული შესთავაზა. მაგრამ აბდულა ბეგმა ეს წინადადება უარჰყო. მაშინ ერეკლემ თვით შეაგროვა ჯარი, პირაქეთელი ლეკების რაზმები დაიჭირა და სამხედრო მოქმედება დაიწყო. მეფემ სამშვილდის ციხის აღება ვერ შესძლო, მხოლოდ თავისი მომხრე ლეკის ბელადების შემწეობით მოლაპარაკება გამართა ციხეში მყოფ ბელადებთან და ზოგიერთი მათგანი აბდულა ბეგს ჩამოაშორა. შემდეგ ჯარით თბილისში დაბრუნდა.

როგორც კი აბდულა ბეგმა დრო იხელთა, სამშვილდის ციხიდან გამოვიდა, აზერბაიჯანის მმართველ ამირ ასლან ხანთან მივიდა და რვა ათასი ავღანელი ჯარისკაცი გამოართვა ერეკლეს წინააღმდეგ საბრძოლველად. როცა მან სოფელ კოდას მოაღწია, ერეკლეს მოციქული გამოუგზავნა და ქალაქის დაცლა მოსთხოვა. ერეკლემ უპასუხა, სანამ სული მიდგას, ჩემი აქედან ვასვლა არ იქნებაო. ქართლის თავადიშვილების უმრავლესობა ერეკლეს მიემხრო, მხოლოდ საბარათაშვილოს ჯარი აბდულა ბეგს შეუერთდა კოდასა და შინდისს შუა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ პატრიარქი ანტონი აშკარად თავისი მეთაურობე ძმის წინააღმდეგ გამოვიდა.

ერეკლემ მემარცხენე ფრთაზე ქიზიყის ჯარი დააწყო, ხოლო თვითონ თავისი სადროშოთი წავკისი დაიჭირა. ამრიგად ბრძოლა სოლოლაკის მთის ფერდობებზე გაიმართა. პირველ-



სავე შეტევაზე ქიზიყელებმა მტრის მარჯვენა ფრთხილად მოქმედეს და უწესრიგოდ უკუაქციეს; ამან ჩქარა აბღულთა ბეგის მთელი ჯარის დამარცხება და გაქცევა გამოიწვია. ქართლ-კახელებმა ლტოლვილ ლეკ-ავღანელებს კაფვით იაღლუჯის კალთებამდე სდიეს, სადაც მათი მთავარი ბანაკი იყო გაშლილი. აბღულა ბეგი ისევ სამშვილდის ციხეში შევიდა, ყაზახელი თათრები მიიშრო, ახალი ლეკთა რაზმები მოიწვია და გამაგრდა; ეს რაზმები ხშირად ციხიდან გამოდიოდნენ და შეუბრალებლად არბევდნენ ქვემო ქართლის სოფლებს.

ამის შემდეგ ერეკლემ ნარიყალის და მეტეხის ციხეების აღება გადასწყვიტა. მან საფრები გააკეთებინა ციხის მოედნიდან კლდის უბნამდე და შიგ ქართლ-კახელთა რაზმები ჩააყენა. მოქალაქეებიც ენერგიულად შეელოდნენ ამ მესანგრე რაზმებს. რადგან ყიზილბაშთა მეციხოვნე ჯარს ქალაქიდან სურსათის მიღება აღარ შეეძლო, მას აბღულა ბეგი სამშვილდიდან აწოდებდა პურსა და ღვინოს; ერეკლემ ხუთასი კაცი გაგზავნა და ციხეში მიმავალი გზები შეაკვრევინა. მაშინ აბღულა ბეგმა შეიარაღებული რაზმების თანხლებით დაიწყო სანოვაგის გზავნა. მაგრამ ერეკლეს მზვერავმა რაზმებმა მათ მრავალჯერ მიუსწრეს, პური დააყრევინეს ან თანხებიანი ზურგით თბილისში ჩაატანინეს.

ყიზილბაშები ქალაქს არ ინდობდნენ და ციხეებიდან შენობებს ყუმბარებს უშენდნენ. სხვათა შორის მეტეხიდან ზარბაზანს ესროდნენ მეფის სასახლესაც. მაგრამ საერთოდ ზიანი, იმდროინდელი საციხოვნო არტილერიის სისუსტის გამო, უმნიშვნელო იყო.

რადგან ქალაქის მხრიდან ნარიყალის ციხის აღება გაძნელდა, ერეკლემ გადასწყვიტა ჯერ თაბორის კოშკები აელოწავ-



ქისის ზევეში, რათა ამ მხრიდან ნარიყალას მეციხოვნე ჯარს სურსათის მიღება აღარ შესძლებოდა. ამ მიზნით მან გორიდან დიდი ზარბაზანი მოატანინა, სოდანლულთან მტკვარში გაატანინა და თელეთის გზით თაბორის კოშკს მიუყენა აღმოსავლეთიდან. ამ ზარბაზნის დანახვამ ციხის მცველები დიდად შეაშფოთა, იმიტომ რომ მის ათლიტრიან ყუმბარებს ძველი თაბორის კოშკი დიდხანს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. საიერიშო ჯარი მზად იდგა. როგორც კი ზარბაზანმა კოშკის კედლები გაბზარა და შეარყია, მოიერაიშენი ზედ შევარდნენ, ისე რომ სროლა ხელჩართულ ბრძოლაში გადავიდა. განსაკუთრებით თავი ისახელა ვინმე შავერდა მღებრიშვილმა; როდესაც ის კოშკზე აიჭრა, მეციხოვნეებმა სიახლოვის გამო იარალი ვერ იხმარეს და ხელდახელ დაეჭიდნენ, მაგრამ ძირს გადმოგდება მაინც ვერ მოახერხეს. შემდეგ ის მძიმედ დაჭრილი ერეკლეს მოგვარეს; მეფემ დააჯილდოვა და ნუგეში სცა.

თაბორის კოშკის აღებისთანავე ერეკლემ მას მუშები მიუყენა, გალავანი შემოავლებინა და შიგ კახთა რაზმები ჩააყენა, ხოლო თვითონ ქალაქში ჩავიდა. აქ დიდხანს არ დაუსვენია. მას შეატყობინეს, რომ ავჭალას და მარტყოფს ლეკები დაესხნენ ყოჯახ ბელადის მეთაურობით. მეფემ მტკვარი გასცურა სატივოსთან, ლეკებს შირაქში დაეწია, დაამარცხა ისინი და ნადავლი დაატოვებინა. მათ გზაზე დაღისტნიდან მომავალი მეორე რაზმი შეხვდა და ისინი უკან მოაბრუნა, მაგრამ ერეკლემ ეს გაერთიანებული ლეკთა ჯარიც დაამარცხა დედოფლის წყაროსთან. შემდეგ ისევ თბილისში გამობრუნდა და ჯერ მეტეხის ციხე აიღო, ხოლო შემდეგ მთელი ნარიყალა დაიჭირა. ამის შემდეგ აბდულა ბეგმა წინააღმდეგობის გაწევა ველარ შესძლო და სამშვილდის ციხის კარები გააღო. ერეკლე მას შეურჩედა და საუფლისწულო მისცა.



მეფემ დანაშაული მიუტევა აგრეთვე ბარათაშვილებს, მათი
 ზახელ თათრებს ჰუმანიური წესის მიხედვით: „*ფანჯაშვილები*
 ნის, მიიტევის ცთობა მათი“.

ნარიყალის და მეტეხის ციხეები თბილისის დაარსებასთან
 ერთად აშენდნენ და ისინი ათასი წლის მანძილზე ქართველი
 ერის თავისუფლების დამცველ ბურჯებს წარმოადგენდნენ.
 მეთექვსმეტე საუკუნის შუაწლებიდან ნარიყალის ციხე, ხო-
 ლო შემდეგ მეტეხიც მტერმა საქართველოს ჩაგვრისა და
 დამონების იარაღად აქცია. უთვალავი ქართველი ტყვის
 სისხლი და ცრემლი დაიღვარა ამ ციხეების გალავანში, რო-
 ცა იქ ყიზილბაშების მეციხოვნე ჯარები იდგნენ. ერეკლემ
 ისინი ხელახლა ქართველ ხალხს დაუბრუნა და მის კოშკებ-
 ზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშა ამართა. ამას
 აღნიშნავს, სხვათა შორის, ამაყი სიტყვები, რომელიც მეტე-
 ხის ეკლესიის კედელზეა ამოჭრილი:

მეფემ ირაკლიმ ეს ციხე მტერსა წაართვა ძალადო,
 აიღო გვარი ქრისტესი, წინ წარიმძღვარა ფარადო,
 დაიხსნა ეკლესიანი, ახლა აქვს საუღრის კარადო,
 ღვთის მოყვარესა ხელმწიფეს ასე სჭირს, ამის გვარადო.

XIII

ბრძოლა ფანა-ხანის, ჰაჯი ჩალაბის და აზატ-
 ხანის წინააღმდეგ

თეიმურაზ მეფემ ისპაჰანში ყოფნის დროს თავისი მოქნი-
 ლი პოლიტიკით ორი წლის განმავლობაში მოახერხა ყველა
 ერთიმეორეს მომდევნო შაჰების გულის მონადირება და თა-
 ვის სამეფოს ახალი ტერიტორიაც კი შესძინა, სახელდობრ
 თათრებით დასახლებული ყაზახი. მართალია, ამ შენაძენის
 წყალობით არაქართველი მოსახლეობის წილი ქართლ-კახე-



თის სამეფოებში მატულობდა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე-მტკვარის ხეობა ხდებოდა და როგორც თბილისი, ისე ქიზიყა ამიერიდან უფრო ადვილი დასაცავი იყო.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის პოლიტიკური გავლენის გაფართოებას, რომელიც ჩქარა დაიწყო თეიმურაზის თბილისში დაბრუნების შემდეგ. ისპაჰანის ხელისუფლების ხშირი ცვალებადობით და სისუსტით ისარგებლეს ბედის მაძიებელმა ავანტიურისტებმა, რომელნიც არბევდნენ, ტყვევნიდნენ და აოხრებდნენ ერანის პროვინციებს. ერთი ასეთი ავანტიურისტი ვინმე მაჰმად ხანი აზერბაიჯანშიც გამოჩნდა; მან იმდენად შეაწუხა ერევნელები და მათი ხანი, რომ მათ ირაკლისა და თეიმურაზს ელჩი გამოუგზავნეს და მოსწერეს, ერანში მეპატრონე აღარ არის, ეს მაჰმად ხან ამ ქვეყანას აოხრებს, ოღონდ მოგვეშველენით და ამას მოგვარჩინეთ და თქვენ გმსახურებთო.

მაჰმად ხანის დასასჯელად გაგზავნილი ჯარი ჯერ კიდევ ყაზახს არ გასცილებოდა, რომ ფრეკლესა და თეიმურაზთან განჯის ხანის მოციქული მოვიდა ანალოგიური თხოვნით: განჯის სახანოს ყარაბაღის ხანი ფანა ჯევანშირელი გლეჯს და არბევს, და მოგვეხმარეთო.

ეს ფანა-ხანი თავდაპირველად უმნიშვნელო მფლობელი იყო, მაგრამ მან მარჯვედ გამოიყენა სომეხთა მელიქების შინაური შუღლი და, ბოლოს, მთელი ყარაბაღის პატრონი გახდა.

მეფეებმა ჯერ ერევნის სახანოში გაილაშქრეს, სასტიკად დაამარცხეს მაჰმად ხანი, ათას შვიდასი კაცი დაუხოცეს და დაუტყვევეს მას, აიღეს ხარგვირაბის ციხე, სადაც მისი ცოლ-შვილი იყო შეხიზნული, ხოლო ნადავლი, ფული, ლარი და ხვადაგი ჯარს გაუყვეს. ამის შემდეგ ფანა-ხანმა მორიგება



არჩია და ქართველი მეფეების მოთხოვნით განჯის სახანოს ტერიტორია დასცალა. ერეკლემ და თეიმურაზმა სახანოში მფარველობის ხარჯების ასანაზღაურებლად ხარკი დაადგეს ერევნის და განჯის სახანოებს, პირველს მეტი, ვიდრე უკანასკნელს. ამ ხარკის რაოდენობა შემდეგ იცვლებოდა სახანოების ფინანსიური შესაძლებლობის მიხედვით, ხანდახან წლიურად ორმოც ათას მანეთს აღწევდა და მნიშვნელოვან სტატუსს წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სახელმწიფო ბიუჯეტში.

ფანა-ხანმა ჩქარა ზავის პირობა დაარღვია, ხელახლა გადმოლაზა განჯის სახანოს საზღვრები და განჯის ციხეს მიადგა. ეს ამბავი განჯის ხანმა მაშინვე ერეკლესა და თეიმურაზს აცნობა თავისი ძმის შემწეობით. შემდეგ თბილისში სომხის ეპისკოპოსი და მელიქებიც მოვიდნენ სათხოვნელად: ქრისტიანი ხელმწიფე ბრძანდებით, თქვენი ქვეშევრდომები ვაგვხადეთ, თათრის ხელიდან დაგვიხსენითო.

ერეკლემ და თეიმურაზმა განსაჯეს, რომ თუ ფანა-ხანი განჯას დაეპატრონებოდა, შემდეგ ყაზახ-ბორჩალოს შეერთებასაც მოინდომებდა და ამით ბევრ შფოთს აშლიდა ქართლ-კახეთის აღმოსავლეთ საზღვარზე. საერთოდ ყარაბაღის გაძლიერება სახიფათო იყო ქართლ-კახეთისთვის. ამიტომ ერეკლემ და თეიმურაზმა ფანა-ხანის საბოლოოდ შემუსვრა გადასწყვიტეს. ქართველ ჯარში, რომელიც თბილისიდან გატეხილი ხიდის გზით განჯისკენ დაიძრა, ქართლ-კახელებს გარდა თუშ-ფშავ-ხევსურების, იმერლების, ჩერქეზების, ჩრდილო ოსების და ლეკების ძლიერი რაზმები იღებდნენ მონაწილეობას. ფანა-ხანმა ამ ჯართან შებმა ვერ გაბედა, ლაშით განჯის ციხეს ალყა მოხსნა და ყარაბაღში გადავიდა. განჯელები ციხიდან გამოვიდნენ და ყარაბაღელების მიერ საძირკვლიანად დანგრეული ქალაქის ხელახლა აშენებას შეუდგნენ.



ექვესი დღის შესვენების შემდეგ ქართველი ჯარი განჯიდან აიშალა და ყარაბაღის სახანოში შეიჭრა. ფანამ თავისი ბი არეზის პირისკენ გაისტუმრა, ხოლო თვითონ ექვესი ათასი კაციით მთიან ადგილზე გამაგრდა, ტყის პირად. ქართველ ჯარს შეეგებნენ სომხების წარმომადგენლები, რომელნიც მას დახმარებას უწყევდნენ სურსათის მიწოდებით და გზის ჩვენებით. ფანამ თავის მხრით კავშირი გააბა ლეკებთან და შამშადილის თათრებთან.

რადგან ყარაბაღის ჯარი საფარიდან არ გამოდიოდა, ერეკლემ გადასწყვიტა იერიშზე გადასულიყო. მან მთავარი ძალა ქვევით დასტოვა მინდორში, ხოლო თვითონ მტრის მოწინავე პოზიციებს შეუტია რჩეული ჯარით. ეს ბრძოლა პაპუნა ორბელიანს ისე ცოცხლად აქვს აღწერილი, როგორც მხოლოდ თანადამსწრეს შეუძლია რაიმე ამბის აწერა: „წაბრძანდა მეწინავეს ჯარით, ვისაც შეეძლო ის იახლა. აღმართი იყო და კლდე, ისინი, ტყიანი მთა იყო, იმაზე წამომდგარიყვნენ. სანამ ავიდოდით, რაც ჯარი მიგვდევდა, ნახევარი ველარ ამოგვეყვარა აბრძანდა მეფე ერეკლე, მცირე რამ კაცი აყვა. ასე დავახლოვდით, რომ ჩვენი და იმათი კაცი ერთმანეთს ეცნენ. ბრძანა მეფე ერეკლემ, ვინ არის ერთგული ჩემი და აქვს გული მამაცობისა, ჟამი ეს არისო. თითონც ვითა ლომი ეგრე მიესივა და ვინღა დადგებოდა, მეფე ერეკლესთან თავს ვინღა დაზოგავდა... თითო თოფი დასცალეს და მერმე ხმალდახმალ გაერივნეს. პირველზე ისინიც კარგად იყვნეს, რომ ალმები ჩვენს ჯარში შემოიტანეს. მაგრამ რა ქართველნი და კახნი თავგამომეტებით იმათ ჯარში შიგ შეცვივდნენ, ველარ დადგნენ ყიზილბაშნი და გაიქცნენ“.

ბრძოლის ბედი ქართველების სათადარიგო ჯარის დაძვრამ გადასწყვიტა; ცოტათი მოგვიანებით ეს ჯარი თეიმურაზის



მეთაურობით ქვემოდან ტყიან ზეგანზე ავიდა და შემდგომად მტრის ჯარზე გადაწყვეტი იერიში მიიტანა. გაქცეული მტერაბაღლელების დევნა და ხოცვა-ჟლეტა შუალამემდე გაგრძელდა. მეორე დღეს მეფეები ფანა-ხანის მთავარ სანგარში შევიდნენ და იქ დატოვებულს თოფ-იარაღს დაებატრონენ.

ჩჩეულმა ქართველმა ჯარმა არეზამდე მიაღწია, მისი გაღმა-გამოღმა მხარეები მოარბია და მრავალი ტყვე და საქონელი წამოასხა. ქართველი ჯარის ასე შორს შეჭრამ გავლენა მოახდინა მთელს აზერბაიჯანზე. თვით თავრიზის ბეგლარ-ბეგმა ანუ მთავარმმართველმა და მისმა ქვეშევრდომმა ხანებმა გამარჯვება მოულოცეს და საჩუქრები მოართვეს ერეკლესა და თეიმურაზს.

თავიანთ მხრივ ქართველმა მეფეებმა საომარი ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება მოსთხოვეს განჯის ხანს. მან რამდენიმე ათასი თუმანი გადაიხადა და ამას გარდა შამშადილი დასთმო. ამრიგად ქართლის აღმოსავლეთმა საზღვარმა მდინარე ძეგამის ხეობას მიაღწია. ამის შემდეგ, ცხადია, არეზის გამოღმა მდებარე ნახჩევანის სახანო ველარ დარჩებოდა ქართლ-კახეთის პოლიტიკური გავლენის გარეშე. მართლაც, ჯერ კიდევ ფანა-ხანის საბოლოოდ დამარცხებამდე ნახჩევანის ხანმა თბილისში ელჩი გამოგზავნა და ქართველი მეფეების მფარველობა ითხოვა. ქართველი ჯარის მისვლამ ნახჩევანში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: „გაითქვა ხმა ყოველგან აღრიბეჟანის ქვეყანაში, — ამბობს მემატჩიანე: ქართლის ჯარი ჩამოდგაო და პირველისამებ აღრიბეჟანის ქვეყანა ქართველმა ბატონმა დაიჭირაო. შემინდა ყოველი ქვეყანა და მონობდნენ მეფესა ქართლისასა თეიმურაზს და ძეს მისსა, მეფესა კახეთისასა ერეკლეს“.

თეიმურაზის და ერეკლეს ამ ლაშქრობიდან უკან დაბრუნებას საზვიმო პროცესიის ხასიათი ჰქონდა. ქართლ-



კახეთის ლაშქარი დიდძალი ნადავლით იყო დატვირთული, მას თან რამდენიმე ათი ათასი სული ცხვარი, ძროხა, მგელი და საქონელაკიდებული ცხენი მოჰყავდა. გზაზე შეფეებს ხანები და ქეთხულები ხვდებოდნენ და ფეშქაშს უძღვნიდნენ, შეფეების მიერ გაგზავნილ შიკრიკებსა და ბრძანებებს ყველგან ისე ხვდებოდნენ, როგორც წინათ ერანის შაჰისას. თვით ანტონ კათოლიკოსი თეიმურაზს და ერეკლეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეეგება საყალთუთანში და აღდგომის დღესასწაული იქ გადაიხადა. მოქალაქენი და სამღვდელო დასანი გამარჯვებულ ჯარს ქალაქის ვალაყნის გარეთ შეხვდნენ, გაჩირაღდნებულ თბილისში ლხინი სამ დღეს გაგრძელდა. ამის შემდეგ მოკავშირე ჩერქეზები და პირიქითელი ოსები თავიანთ სამშობლოში გაისტუმრეს, უხვად დაჯილდოებულნი. დიდად დამახასიათებელია, რომ ამ ძღვევამოსილ ლაშქრობას შედეგად მოჰყვა არა მარტო აზერბაიჯანის მაჰმადიანი მოსახლეობის შემომტკიცება, არამედ ქრისტიანობის იდეას გავლენის გაძლიერება თვით ქართლ-კახეთში: სხვათა შორის მოინათლნენ გამაჰმადიანებული ისაყ ბატონიშვილი და მერალი ბეგ ციციშვილი, პირველი — მტკვარში, ხოლო მეორე — ემბაზში.

რაკი ქართლ-კახეთის გავლენამ არეზის ხეობამდე მიაღწია, ერეკლესა და თეიმურაზისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა შუაგულ სპარსეთის ამბებს. ამიტომ ისინი დიდი ყურადღებით თვალს ადევნებდნენ როგორც ინპაჰანს, სადაც ჯერ კიდევ მტკიცე ხელისუფლება არ იყო ჩამოყალიბებული, ისე თავრიზს, სადაც ბოლოს აზატ-ხანი გაბატონდა ავღანელებისა და უზბეგების შემწეობით; ერთხანს ერეკლეს განზრახვა ჰქონდა ერთგვარი ჯვაროსნული ომი დაეწყო, ქართველი ჯარით ერანში შესულიყო და იქ წესი-



ერება დაემყარებინა. მაგრამ ასეთი ფართო და თამამი მიზნის მისაღწევად მას საქართველოში შეგროვებულმა ძალებმა არ იყო, ზოლო როცა დაღისტნის, შირვანის და აზერბაიჯანის ხანებს მიმართა და კავშირი შესთავაზა, მათ ეჭვით შეხედეს მის გეგმას, შაჰების ტახტზე ასვლა უნდა ჩვენი დახმარებითო.

ერეკლე მეფის წინადადებამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო: ნუხის ხანმა ჰაჯი ჩალაბმა თვით სცადა კოალიციის შედგენა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ და თავდაპირველად რვა ათასამდე კაცს მოუყარა თავი, რომელთა შორის შაჰ-შირვანელებს გარდა ქარელი ლეკები და სომხებიც ერივნენ. ერეკლეს და თეიმურაზს უნდოდათ დაესწროთ კოალიციის საბოლოო ჩამოყალიბებისთვის და ქართველი ჯარით, რომელშიც ყაზახ-ბორჩალოელების და განჯელების რაზმებიც იღებდნენ მონაწილეობას, საგანგებოდ გადებულს ხიდზე ალაზანი გადალახეს და ნუხის სახანოში შეიჭრნენ. პირველ შეტაკებაში ქართველი ჯარის მოწინავე დროშამ, რომელშიც ქიზიყელები და ქვემო ქართლის რაზმები შედიოდნენ, დაამარცხა და უკუაქცია ლეკების ცხენოსანი ჯარი. მაგრამ აჯი ჩალაბს თავისი ქვეითი ჯარის დიდი ნაწილი სანგრებში ჰყოლოდა დამალული. ნუხელები მოულოდნელად საფარიდან გამოვარდნენ და ქართველების შემარცხენე ფრთას შემოუტყეს, სადაც ქსნის და არაგვის საერისთავოების რაზმები იდგნენ. ისინი ვერ შემავარდნენ და გაიქცნენ. მათ უკან განჯის ჯარი იყო, მან წინააღმდეგობის გაუწევლად დასტოვა ბრძოლის ველი. ამის შემდეგ ერეკლე მეფემ, რომელიც მოწინავე და შემარცხენე დროშას სარდლობდა, ველარ შესძლო გამავრება და უწესრიგოდ უკან დაიხია. მტერს დიდძალი ჯორ-აქლემი, კარავი და სურსათ-სანოვაგე დარჩა. მრავალი



ქართველი ჯარისკაცი გაიქლიტა, ხოლო კიდევ მეტი განსაკუთრებით ქვეითი ჯარიდან, ალაზანში დაიხრჩო.

ჰაჯი ჩალაბის გამარჯვებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელი დაღისტნის და აზერბაიჯანის მაჰმადიანობაზე. განჯა-ერევანსა და ყაზახ-ბორჩალოში თავი იჩინა საქართველოდან განდგომის ტენდენციამ, მთელს ქართლ-კახეთს მოთარეშე ლეკების რაზმები მოედვნენ, ისე რომ მრავალ ადგილას შეუძლებელი გახდა ციხე-სიმაგრეებს გარეთ ცხოვრება. კიდევ უფრო სამიში იყო აზატ-ხანის ამოძრავება სამხრეთის საზღვრებზე. მისი ჯარის ერთმა ნაწილმა გადმოლაზა არეზი, დაიჭირა ნახჩევანის სახანო, გამოაძევა იქიდან ქართლ-კახეთის ქვეშევრდომი ხანი, მოარბია ერევნის სახანო და ალყა შემოარტყა თვით ერევნის ციხეს.

ერეკლემ საჩქაროდ თავი მოუყარა ქართლ-კახეთის და ყაზახ-ბორჩალოს ჯარს და ბამბაყის ფზით ერევნისკენ გაემართა: მას ბამბაყში პირიქითელი ოსების დაქირავებული ჯარი დაეწია. თეიმურაზ მეფემაც მოინდომა ომში წასვლა, მაგრამ წარჩინებულმა თავადებმა დაუშალეს. ერეკლემაც თბილისში დარჩენა ურჩია: ქართლი ლეკითაა სავსე, არ შეიძლება ქვეყნის უპატრონოდ დატოვებაო. შეიძლება ერეკლეს თავაზიანობისთვის მოემიზებებინოს ლეკების შემოსევა, ნამდვილად კი მას ორსარდლობის აცილება სდომებოდეს, რამაც ცუდი ნაყოფი გამოიტანა ჰაჯი ჩალაბთან ბრძოლაში; აზატ-ხანთან ბრძოლაში ორსარდლობას შეიძლებოდა კიდევ უფრო საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა.

როგორც კი აზატ-ხანის სარდალმა, რომელსაც ერევნის ციხისთვის ალყა ჰქონდა შემორტყმული, ერეკლეს მოაზლოვება გაიგო, მაშინვე ალყა მოხსნა და უკან დაიხია. ერევნის



მეცხოვნე ჯარი დიდად დამშეული აღმოჩნდა, თითქმის მთელი სახანო დაცარიელებული იყო მუშახელისაგან. მის დრო იყო; ირაკლიმ თავის ჯარისკაცებს მოამკვივინა და გააღლეწვინა პური და ათი ათასი კოდი ციხეში შეგზავნა. ამის შემდეგ მან მომალლო ადგილას დაიჭირა პოზიციები, ყირხბულახში, საიდანაც ერთი მხრით თვალყურს ადევნებდა ერევანს, ხოლო მეორე მხრით მარბიელი რაზმების მიხდომით მტერს დიდს ზიანს აყენებდა. მან, სხვათა შორის, ერევანში დაატყვევებინა რამდენიმე პოლიტიკურად საეჭვო მხედართმთავარი და წარჩინებული პირი და მათი ცოლშვილითურთ თბილისში გამოგზავნა.

ამ ამბების ცნობისთანავე აზატ-ხანმა თავი მოუყარა თვრამეტი ათას კაცს, რომელიც ნაწილობრივ შუბოსანი, ნაწილობრივ მეთოფეთა რაზმებისაგან შესდგებოდა, ხოლო წინ ზამბურაკაკიდებული აქლემები მიუძლოდა, გადმოვიდა არეზზე და თვითონაც მომალლო ადგილას დაბანაკდა მდინარე გარნიჩაის ნაპირას. რადგან ქართველი ჯარი მტრის ჯარზე ნაკლები იყო, სამხედრო რჩევამ, რომელიც ერეკლემ მოიწვია, უკან დაბრუნება გადასწყვიტა. მაგრამ მეფე წინააღუდგა ამ რჩევას: „იცოდეთ მე აზატ-ხანის შეუბმელი არ დავსდგები. ამაღამ რომ გავიქცეთ, ზვალ გზაზედ მოგვეწვიან, და უნამუნოდ სიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი სჯობს. ესე ყველამ უწყით, რომ სიკვდილის შვილნი ვართ და ჩვენს გვარსა და სახელს ორი დღისთვის ნუ მოვაყივნებთ“ (ომან ხერხეულიძე).

ამის შემდეგ ზოგიერთი სარდალი ერეკლეს აზრს მიემხრო, და გადასწყდა მტერს პირისპირ შებმოდნენ. ერეკლემ ავადმყოფნი და ბარგის კაცნი სანგრებში დასტოვა, ხოლო ჯარი საომრად განაწყო. მოწინავე დროშის ქვეშ ქიზიყელები და-

დგნენ, ხოლო მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე ქართულენოვანი
ბი და კახელები შერეულად. მაჰმადიანთა რაზმებიც ერე-
კლემ სხვადასხვა დროებში გაანაწილა, ალბათი კახელები
რომ თუ ისინი შედრკებოდნენ და მერყეობას გამოიჩენდნენ,
ამას კატასტროფიული გავლენა არ მოეხდინა მთელს ჯარზე.
მხოლოდ ხუთასი ცხენოსანი თათარი ცალკე დააყენა რეზერ-
ვში. ქართველ ჯარს ამირსპასალარი რევაზ ორბელიანი
სარდლობდა, ხოლო შეჯავშნული ერეკლე გამზადებული
იყო თავისი სადროშოთი ყველაზე უფრო სახიფათო აღვი-
ლას გაჩენილიყო და ყველაზე უფრო შეჭირვებულ ნაწილს
მიშველებოდა.

აზატ-ხანმა თავისი ჯარი ექვს ნაწილად განაწყო. ყველა-
ზე მძაფრი იერიში მან ქართველების მემარცხენე ფრთაზე
მიიტანა. აქ პირველად ქართველებმა გაიმარჯვეს, მერე ავღა-
ნელებმა. ქართველების მემარცხენე დროშა იძულებული
გახდა უკან დაეხია და ერთს ნასოფლარში გამაგრებულიყო.
აზატ-ხანი მთავარი ძალებით გარს შემოერტყა დანარჩენ
სამ სადროშოს. მაშინ ერეკლე მეფემ სპასალარ ორბელიანს
უბრძანა მოწინავენი მისი ჯარისთვის შეეერთებინა.

ამ ბრძოლაში ერეკლე მეფემ გონებამახვილი სამხედრო
ხერხი გამოიყენა. ის ცხენიდან ჩამოხტა, ჩამოხტომა უბრძა-
ნა აგრეთვე მთელს თავის მხედრობას, წყნარად წინ გაუძღვა
დაქვეითებულ ათას ხუთას კაცს, ისე რომ ყველას თოფი
მზად უნდა ჰქონოდა, მხოლოდ მეფის ნიშნის მიღებამდე არ
გაესროლა. ალაგ-ალაგ მოწინააღმდეგეთა რაზმები იმდენად
მიუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ მათ შორის შუბი ძლიერ
გაიმართებოდა. აზატ-ხანის ჯარმა ალბათ იფიქრა, რომ ქარ-
თველები მას ტყვედ ნებდებოდნენ. ამ დროს მტრის რიგიდან
გამოვარდა ცხენმალი მხედართმთავარი, რომელსაც ხელში
7. გ. ჭიჭიძე.



შუბი მოემართა და გაიძახოდა, სად არის ირაკლი მეფე. ერეკლე მეფე მკვირცხლად გაუხდა, შესძახა მე ცარცხელი მისცა და ავლანთ სარდალი ძირს ჩამოავდო. მაშინვე გართლ-კახელებმა საშინელი თოფის სროლა ასტეხეს, შეტევაზე გადავიდნენ და მტრის ცენტრი გაარღვიეს. ამას მოჰყვა მთელი ავლან-ყიზილბაშთა ჯარის აშლა და შემდეგ უწესრიგოდ გაქცევა. მას ქართველების კავალერიამ დაახლოებით ორმოცი კილომეტრის მანძილზე სდია, ისე რომ არეზის გამომღმა სანაპირო სრულიად გაიწმინდა აზატ-ხანის რაზმებისგან (1752 წ.).

დიდი ზემოთ იდღესასწაულეს ქართველებმა ეს გამარჯვება ჯერ თვით ბრძოლის ველზე, სადაც აზატ-ხანის კარავში მჯდომარე ერეკლეს თვალწინ მთელი ნადავლი გაატარეს და აღრიცხეს, შემდეგ ერევანში, სადაც მეფემ ადმინისტრაციაში ზოგიერთი ცვლილება მოახდინა, ხოლო ციხეში თავისი რაზმები ჩააყენა, ბოლოს, თბილისში, სადაც მას შედღუბით, ჩირაღდნებით და ლამპრებით შეხვდნენ.

აზატ-ხანის დამარცხების შემდეგ ერეკლეს და თეიმურაზის მორიგ ამოცანას ჰაჯი ჩალაბის და მისი მოკავშირე ლეკების ალაგმვა წარმოადგენდა. ისინი ქართველი ჯარით განჯაში მივიდნენ, სადაც მათ თვით განჯის, ყარაბაღის და ერევნის ხანები შეუერთდნენ თავიანთი ჯარებით. მაგრამ ეს ხანები ორპირ პოლიტიკას აწარმოებდნენ და მათ საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული ჰაჯი ჩალაბთან. ქართველმა მეფეებმა ეს გაიგეს და მაჰმადიანი ხანები დაატუსაღეს. ამან არევ-დარევა გამოიწვია ერეკლესა და თეიმურაზის ჯარში, რითაც ნუხის ხანმა მოხერხებულად ისარგებლა და ისინი ხელახლა დაამარცხა. უკან გამოქცეულ ქართველ ჯარს გზა გადაუღობეს შამშადილელებმა და დიდი ზიანი მიაყენეს

მას. ამას ზედ დაერთო ლეკების შემოსევა ზემო ქართლში.
სადაც მათ ვანის ვალაყანი აიღეს, ხოლო თიღვის ციხეს იღობა
შემოარტყეს.

მაშინ ერეკლე იძულებული გახდა ჩერქეზეთიდან ოთხი
ათასი დაქირავებული ჯარისკაცი გამოეყვანა. ამ ჯარის ერ-
თი ნაწილი მან გივი ამილახვარს ჩააბარა და თიღვის მისა-
შველებლად გაისტუმრა, ხოლო მეორე ნაწილი ქართლ-
კახელების ჯარს შეუერთა და ჰაჯი ჩალაბისა და მისი მო-
კავშირე განჯის ხანის წინააღმდეგ გაილაშქრა. მან შამშა-
დილში სასტიკად დაამარცხა მტრის ლაშქარი, რომელსაც ჰა-
ჯი ჩალაბის შვილი მეთაურობდა, და მას განჯის ვალაყ-
ნამდე სდია.

ერეკლეს ასეთმა წარმატებამ აზატ-ხანი აიძულა ზავი და-
ედო მასთან, ქართლ-კახეთის განდგომილი ვასალები ისევ
მორჩილების გზას დაადგინენ, ხოლო შირვან-აზერბაიჯანის
დამოუკიდებელმა მფლობელებმა ქართველ მეფეებს მეგობ-
რული კავშირი შემოსთავაზეს. ამრიგად ერეკლემ მოხერხე-
ბული პოლიტიკისა და ენერგიული საომარი მოქმედების
შემწეობით დაამარცხა მის წინააღმდეგ მიმართული კოალი-
ცია, ჰეგემონია მოიპოვა ამიერ-კავკასიაში და ქართლ-კახე-
თის სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვრებზე კარგა ხნით მშვი-
დობიანობა დაამყარა.

ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა ლეკების ალაგმვა. მარტო
1755 წლის განმავლობაში მათ, ვარდა წვრილი თარეშებისა,
სამი დიდი შემოსევა მოაწყვეს ქართლ-კახეთში. ხუნძახის
მფლობელმა ნურსალ ბეგმა დიდი ჯარით ფარულად გადმო-
იარა შიგნით კახეთზე, დაარბია არაგვის ხეობა და, ბოლოს,
მჭადისჯვრის ციხეს მიადგა. მართალია, მას იქ ერეკლემ და
თეიმურაზმა მიუსწრეს და გააქციეს, მაგრამ მან იმავე წელს



ავარიაში კიდევ მეტს ჯარს მოუყარა თავი, მიიმხრო ქარე-
ლების და შაქ-შირვანელების ძლიერი რაზმები და სცემდა მათ
ციხეს ალყა შემოარტყა.

ყვარლის გარემოცვა თითქმის ერთს თვეს გაგრძელდა და
ციხის მცველი ჯარი სურსათისა და ტყვია-წამლის ნაკლე-
ბობამ დიდად შეაწუხა. მაშინ მეფე ერეკლემ დიდი საჩუქა-
რი აღუთქვა იმათ, ვინც მონაწილეობას მიიღებდა ალყის
გამრღვეველ რაზმში. ასეთი რაზმი საჩქაროდ შესდგა ქიზიყში,
მასში ორასმა ვაჟკაცმა მოიყარა თავი: აქედან ერთს ნახევარს
ქიზიყელები შეადგენდნენ, ხოლო მეორეს ქართლ-კახელი
გლეხები; ამას გარდა მასში აგრეთვე ათიოდე თავადაზნაურიც
იღებდა მონაწილეობას. ეს რაზმი მოულოდნელად თავს დაესხა
ლექთა საალყო ჯარს, ხმალდახმალ ბრძოლით გაარღვია ის,
შევიდა ციხეში და ტყვია-წამალი და სურსათი მიაშველა შიგ
მყოფთ. ამავე დროს ერეკლემ ჯარი შეუსია ქარ-ბელაქანს,
რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. ქარელების რაზმები
ყვარლიდან მოიხსნენ და შინ დაბრუნდნენ. ამან გაბორო-
ტება გამოიწვია დანარჩენ ნაწილებში: ისინი ქარელებს და-
ერივნენ შურის საძიებლად. ამრიგად ალყა მოიშალა და
ყვარლის ციხე განთავისუფლდა.

ერეკლემ თავისი დაპირების მიხედვით ალყის გამრღვევი
გლეხები გაააზატა და ყოველი გამოსაღებისა და საურავისა-
გან, ე. ი. თეთრის, კოდის პურის, კულუხის, საბალახოს, რი-
გის საკლავის და სხვა გადასახადისაგან გაათავისუფლა; მათ
ველარ მოეთხოვებოდათ ურმით სალიანში წასვლა თევზის
მოსატანად, ვერ მოეთხოვებოდათ აგრეთვე ულუფის მიცემა
მოურავებისთვის; მხოლოდ ისინი თავისუფალი არ იყვნენ
ლაშქრობის ბეგარისაგან, რომლის მოხდა, საჭიროების მი-
ხედვით, ყოველ ჯანსაღ მამაკაცს მოეთხოვებოდა.

ანბონ კათოლიკოსი

ამ განუწყვეტელი ომიანობის ატმოსფეროში, ამ დაუსრულებელ მიხდომა-თავდაცვაში ერეკლე მეფე დროსა და მოცალებობას პოულობდა, რომ მართვა-გამგეობის ყოველი დარგისათვის თვალყური ედევნებია, ხშირად სიცხიან და ავდრიან დღეებში თავისი ესა თუ ის პროვინცია შემოეწლო, მრავალი საჩივარი მოესმინა და გაერჩია და ამავე დროს ფართო სააღმშენებლო მუშაობისათვის ხელმძღვანელობა გაეწია.

მისი ენერგია რაღაც არაადამიანურ ზომას აღწევდა. ძილისთვის მას ოთხი-ხუთი საათი ყოფნიდა, დანარჩენ დროს სახელმწიფო საქმეებს ანდომებდა. მას ხშირად საუზმის შეწყვეტა უხდებოდა, რათა, მაგალითად, მარტყოფსა ან ავქალიდან გაერეკა ლეკების მოთარეშე რაზმები, რომელნიც სადილობის დროს დილოში ჩნდებოდნენ, ხოლო ვახშმობის დროს ტაბახმელაში; ამრიგად, მეფე, რომელიც დაბერებამდე არა თუ დიდ ჯარებს, ლეკების მდევარ რაზმებაც შეთაურობდა, ხშირად უკმელ-უსმელი რჩებოდა მთელი დღე. თავისი ცხოვრების ნახევარი მან ბრძოლის ველზე გაატარა და ხშირად სხვა სასთუმალი არ ჰქონია გარდა საკუთარი უნაგირის ბალიშისა. ამისდა მიუხედავად, როდესაც თბილისში სემინარია გაიხსნა, მან მოახერხა კვირაში რამდენიმე საათი გამოეჭრა, რათა სემინარიის რექტორის ფილოსოფიური და თეოლოგიური საუბრები მოესმინა.

მოხელეები, რომელნიც, თავიანთი თანამდებობის გამო, ვალდებულნი იყვნენ მეფეს ხლებოდნენ, ხშირად ორ წელიწადსაც ვერ იტანდნენ იმ მშფოთარე ცხოვრებას, რომელიც

ერეკლემ თითქმის ოთხმოცი წლის მანძილზე აიტანა, მეფე
ერეკლე ერთს თვეს ერთს ადგილას არ დადგის, ^{ქვეყნის} ^{მეფის} ^{მეფის}
ჰყვანდა, ის უამი ჰქონდა, დავიდოდა და თავის საბრძანებელს
ესე არიგებდა, ამბობს იესე ოსესშვილი: მამართვიან და მი-
ბოძიან ერთი ფინთი იაბო ან ჯორი; შევჯდი, სალამომდის
მაჯავჯავის, სალამოს მეჯორებმა წარიყვანიან. ხან სიცივე-
სა და ხან სიცხეში უმსახუროდ სიარულმა და ქვეშსაგებულ
დაძვირებულმა ვიარე ორი წელიწადი... ერთს დღეს ლომის
ციხეს მეფეს სადილი იამა, შეჯდა მკათათვეში, ვეფხის ცი-
ხეს ჩაბრძანდა. უზომო და გამოუთქმელი სიცხე იყო, ასე
გულს შემომეყარა, რომ თუ ერთი მღუდელი არ მომსწრებო-
და და წყალი არ მოეტანა, უცილოდ მოგკუდებოდი“.

ერეკლე ბედნიერი არ იყო პირადად და ოჯახურ ცხოვრე-
ბაში. თავისი მეორე ცოლის ანა აბაშიძის ქალის სიკვდილის
შემდეგ მან შეიერთო მესამე ცოლი, დადიანის ასული დარე-
ჯანი, გონებაშეზღუდული და პატივმოყვარე ქალი, რომელიც
სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდა სანამ ახალგაზრდა იყო,
მაგრამ სასახლეში ინტრიგების ქსელი გააბა სიბერეში, როცა
მისი, აგრეთვე პატივმოყვარე და ურჩი, ვაჟები წამოიზარ-
დნენ. სამაგიეროდ ერეკლეს ერთგული თანამებრძოლი
აღმოუჩნდა თავისი მამიდაშვილის კათოლიკოს ანტონ პირ-
ველის სახით, რომელსაც ის მუდამ თავის ძმას უწოდებდა
და, მართლაც, მას სულიერად ყველაზე მეტად ენათესავე-
ბოდა მის მახლობლებსა და თანამშრომლებს შორის.

„თუმცა მე ვიყავი ბერი, მაგრამ არა ისეთი, რომელიც მუ-
დამ ცხოვრობს შონასტერში“, ამბობს ანტონ კათოლიკოსი
თავის თავის შესახებ. როგორც ფრანგი და გერმანელი გან-
მანათლებლების თანამედროვეს შეეფერებოდა, ანტონ კათო-
ლიკოსს სწამდა, რომ მეცნიერება ყოველის შემძლე იყო, რომ
სწავლა-განათლების შემწეობით შეიძლებოდა ქართველი

ხალხის გამოყვანა ზნეობრივი ანარქიისაგან, რომელიც მას
ხანგრძლივმა პოლიტიკურმა მონობამ დაუტოვა მტკიცედ და
ობად. განსაკუთრებით ქართველი არისტოკრატიის ერთსა-
წილში თავი იჩინა პატრიოტული შეგნების უქონლობამ, გამ-
ცემლობამ, რენეგატობამ, ფეხი მოიკიდა მრავალკოლიანო-
ბამ, სისხლის შერევამ და მრუშობამ. დაბალ ხალხში, განსა-
კუთრებით მივარდნილ ადგილებში, აღსდგა კერპთაყვანის-
მცემლობის დროის ადათები.

ანტონ კათოლიკოსი შეეცადა ქართული ეკლესია გაეწმინ-
და უღირს, ზნეობრივად მანკიერ მსახურთაგან და იქ წესრი-
გი დაემყარებინა. მან რამდენიმე გამაჰმადიანებული ბატონი-
შვილი და თავადიშვილი მამა-პაპათა სარწმუნოებას დაუბ-
რუნა და მტკვარში მოანათვლინა ქალაქს გარეთ, ძველი
ქრისტიანული წესის მიხედვით. მაგრამ მას სწამდა, რომ ყო-
ველივე ეს დროებითი წაშალი იყო, რომ უწინარეს ყოვლისა
ქართველ ხალხს სკოლა და წიგნი სჭირდებოდა. ამიტომ მან
ერეკლე მეფეს აღადგენინა სტამბა, რომელიც პირველად
თბილისში ვახტანგ მეექვსემ მოატანინა ვლახეთისა ანუ რუ-
მინიიდან და მისი რუსეთში წასვლის შემდეგ დახურული
იყო. აღავსეს წიგნითა ქართლი, ამბობს მემატთანე. მართლაც,
მღვდელმა კეყერაშვილმა, რომელიც თბილისის სტამბაა
ხელმძღვანელობდა, მარტო ორი წლის განმავლობაში შეიღი-
ათას ოთხასი ცალი სხვადასხვა წიგნი დაბეჭდა; ეს დიდი ტი-
რაჟი იყო იმ დროისთვის. ქართველ ერში იღვიძებს ინტერე-
სი ევროპის მეცნიერებისა და ფილოსოფიისადმი, მაღალი სა-
ზოგადოების ვაჟები რუსეთში მიდიან სამხედრო ხელოვნების
ან მეცნიერების შესასწავლად, მაღალი საზოგადოების ქალებ-
ბის უზითვის სიაში, სპარსული პოემებისა და ვეფხისტყაოს-
ნის გვერდით, ხშირად გვხვდება აგრეთვე ფილოსოფიური ში-



ნაარსის წიგნებიც. ერთი რუსის ოფიცერი, რომელიც საქართველოში ცოტათი უფრო გვიან, სახელდობრ სამხრეთდასავლეთურ რეგიონებში მოვიდა, თავის მოხსენებაში სწერდა: რაც შეეხება კეთილშობილ ქალებს, მათ ყველამ იცის წერა-კითხვაო.

1756 წელს თბილისში ანტონ პირველის თაოსნობით ფილოსოფიური სემინარია დააარსდა. მის პირველ რექტორად დანიშნულ იქნა განათლებული გრიგორიანი, მღვდელი ფილიპე ყაითმაზიშვილი, ქართული ენის მშვენიერი მცოდნე, „ფილოსოფიის დოქტორი“, კათოლიკოსის მეგობარი და თანამშრომელი ფილოსოფიური სახელმძღვანელოების შედგენაში. ანტონის ინტერესი თავდაპირველად სქოლასტიკური ფილოსოფიისა და არისტოტელისკენ იყო მიპყრობილი: „უწინარეს იმპერიად როსიისა წარსვლისა ჩემისა გარდამოღება ვყავ ფილიპესთანა ხუცისა სომეხთაგანისა დიალექტიკისაც და ათნი კატილორიანი არისტოტელებრნი“, ამბობს ის. ამას გარდა მან დასწერა პოლემიკური თხზულება „მზამეტყველებანი“, მიმართული განსაკუთრებით სომეხ გრიგორიანთა წინააღმდეგ და შეადგინა პირველდაწყებითი ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო.

როგორც ეტყობა, ანტონ კათოლიკოსი თავდაპირველად სწორედ მეცნიერულმა ინტერესმა დაახლოვა თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან, რომელნიც თავიანთი კულტურით შეუდარებლად მაღლა იდგნენ ქართველ სამღვდლოებაზე და ნაწილობრივ საკმაოდ კარგად იცნობდნენ იმდროინდელ ბუნებისმეტყველებას და მედიცინასაც.

ანტონ კათოლიკოსის ევროპიელ მისიონერებთან დაახლოებას მოჰყვა ის, რომ მან ფლორენციის უნია აღიარა, ე. ი. მისი შემდგომდროინდელი შენანიების წერილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სული წმინდის საქმეზე და პაპის უფროსობაზე შესცდა“. უცილობელია, რომ ანტონ კათოლიკოსს ამ შემ-

თხვევაში უფრო პოლიტიკური და კულტურული მიზნები/ ამოძრავებდა, ვიდრე წმინდა დოგმატიკური ხასიათის მქონე რეზანია. ისევე, როგორც მის წინამორბედს საბა-სულხან ორბელიანს, მასაც, ალბათ, უნდოდა დასავლეთ ევროპასთან დაეახლოებინა ქართლ-კახეთის სამეფო, რომელსაც იმ ხანებში რუსეთის დედოფალმა ელისაბედმა უარი უთხრა სამხედრო და ფინანსიურ დახმარებაზე. ასეთი ადამიანის გაგება შეეძლო ერეკლეს, რომელიც თვითონ დიდ შემწყნარებლობას იჩენდა რელიგიის დარგში, სათუთად ეპყრობოდა სხვის სარწმუნოებას და ამით ამაგრებდა თავის მრავალერიან სახელმწიფოს, რომლის მოსახლეობის ორ მეხუთედს მაჰმადიანები შეადგენდნენ, მხოლოდ თითქმის ერთს მეხუთედს სომეხ-გრიგორიანები. მაგრამ ანტონ კათოლიკოსის გაგება არ შეეძლო უფრო გონებაშეზღუდულ თეიმურაზ მეორეს და ფანატიკურად განწყობილ ქართველ სამღვდლოებას, რომელმაც მას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ნინოწმინდელი ეპისკოპოსისა და ბესიკის მამის, მეფის კარის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის მეთაურობით.

ანტონ კათოლიკოსის დამხობაში შესამჩნევი როლი ითამაშეს ინტრიგანმა სეფე-ქალებმაც; ერთმა მათგანმა თეიმურაზ მეფეს პირველად აცნობა მისი ფარული განდგომა. თეიმურაზმა ანტონის საბა ნინოწმინდელი მიუგზავნა, რომელმაც მას თავი ისე მოაჩვენა, თითქო მისი თანაგამზრახველი იყო და თვითონაც კათოლიკობისაკენ იხრებოდა. როგორც კი მან ანტონისაგან მისი რწმენის აღსარება მიიღო, მაშინვე თეიმურაზთან წავიდა და ყოველივე უამბო. მეფის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ ანტონის ორი არქიმანდრიტი გაუგზავნა მისი რწმენის საკითხის გამოსარკვევად. კათოლიკოსი, როგორც სჩანს, თავდაპირველად ამაყად მოიქცა, მოციქულებს



არ დაუმალა, რომ ლათინთა ეკლესიისკენ იყო გადახრილი; შეიძლება მას თავისი პოპულარობის ან ერეკლესობის იმედი ჰქონდა. მაგრამ საეკლესიო კრებამ, რომელსაც თეიმურაზ მეფეც ესწრებოდა, მყის საპატრიარქო ტახტიდან გადააყენა ანტონი, ხოლო მისი მომხრე სამღვდელონი და ერისკაცნი მკაცრად დასაჯა. თბილისის კათოლიკე მისიონერების ცნობით, თითქო ქალაქის ბრბომ სამი დღის განმავლობაში ქუჩებსა და მოედნებზე ატარა ისინი და დიდი შეურაცხყოფა მიაყენა მათ (1755 წ.).

ანტონ პირველი ისეთი ადამიანი არ იყო, რომ სულიერად დაცემულიყო ამდენი უბედურების სიმძიმის ქვეშ ან პატრიოტული ვალდებულებისათვის ელაღატნა პირადი გაღიზიანების გამო. ისევე, როგორც მეთორმეტე საუკუნის ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწონელი, ანტონ კათოლიკოსიც თანამემამულეების უმადურობას უჩივის. თუმცა ის გადაყენებისა და საეკლესიო სასჯელის მოხდის შემდეგ, მეფე თეიმურაზის ნებართვით, რუსეთში წავიდა და სინოდს სრულიად დამაკმაყოფილებელი განმარტება მისცა. დოგმის საკითხზე და ვლადიმირის არქიებისკოპოსის კათედრაც მიიღო, მთელი მისი შემდგომი ლიტერატურული მოღვაწეობა საქართველოს ინტერესებით იყო ნაკარნახევი. გარდა მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო და ჰაგიოგრაფიული თხზულებებისა მან მრავალი სახელმძღვანელო დაწერა, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ლიტერატურის მკოდნეობის და გრამატიკის დარგს ეხებოდნენ. მან ლათინურიდან ქართულად გადმოთარგმნა გერმანელი ფილოსოფოსის ვოლფის „ფიზიკა“, რომელიც მასზე ადრე მიხაილ ლომონოსოვმა გადათარგმნა რუსულად, და ვოლფის მოწაფის ბაუმეისტერის „ლოლიკა“, „ეთიკა“ და „მეტაფიზიკა“. ვოლფის სკოლა იმ დროს ერთ-ერთი

ყველაზე მოწინავე ფილოსოფიური სკოლა იყო ევროპაში
ვოლფმა და ბაუმეისტერმა მათემატიკური მეთოდი, ^{ქანკველი}
ნეს ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო საკითხების გან-
ხილვის დროს და ამით ნიადაგი გამოაცალეს მისტიციზმსა და
ბუნდოვანებას. თავის მხრით ანტონ კათოლიკოსმა მათი ნაწე-
რების ქართულად გადმოთარგმნით ხელი შეუწყო სქოლასტი-
კის ჩიხში მომწყვდეული ქართული ფილოსოფიური აზროვნე-
ბის განახლებას.

მაგრამ ნაწილობრივ რუსულის, ხოლო ნაწილობრივ ძველი
საეკლესიო ქართული ენის ზეგავლენით ანტონ კათოლიკოს-
მა შექმნა ხელოვნური და მძიმე ლიტერატურული სტილი,
სრულიად დაშორებული როგორც ხალხურ მეტყველებას,
ისე იმ მსუბუქ და ბუნებრივ სტილს, რომლითაც საბა-სულ-
ხან ორბელიანი და დავით გურამიშვილი წერდნენ მეთვრა-
ნეტე საუკუნეში. და საჭირო გახდა ქართველი მწერლების
რამდენიმე თაობის ბრძოლა ამ უკანონოდ შემოტანილი გრა-
მატიკული ნორმების წინააღმდეგ, რათა ქართულ სალიტე-
რატურო ენას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ისევ
თავისი ბუნებრივი მიმდინარეობა მიეღო.


თავის მამის სიკვდილის შემდეგ ერეკლე მეფემ რუსეთიდან
გამოიწვია თავისი მეგობარი, რომელსაც ის სწერდა, მე უშე-
ნოდ გაძლება არ ძალმიძს, მე უშენოდ არა მიაგება რაო, და
ის ხელახლა საპატრიარქო ტახტზე აიყვანა. ანტონ კათოლი-
კოსის სამშობლოში დაბრუნებამ დიდად შეამფოთა მისი
ყოფილი მოწინააღმდეგეები. განსაკუთრებული აქტიურობა
გამოიჩინა ხუცესმა ზაქარია გაბაშვილმა, რომელიც მალუ-
ლად იმერეთში გადავიდა, რათა იქ ინტრიგები გაეზოკა
ლესა და ანტონის წინააღმდეგ და ისინი ერეტიკოსებად
გამოეცხადებინა. მისი უკან დაბრუნების შემდეგ თბილისში

მოწვეულ იქნა ქართლ-კახეთის საეკლესიო კრება, რომელ-
მაც ზაქარია გაბაშვილი და მისი მიმდგომნი ^{ქრტიანთა} ^{განკვეთა.}
ქურნი ეშმაკისასა“, შეაჩვენა და ეკლესიისაგან განკვეთა.
ზაქარია გაბაშვილმა სცადა რუსეთის ხელისუფლებასა და
ემიგრანტ ბაგრატიონებთან დაეჭირა კავშირი, მაგრამ რად-
გან ამ მიმართულებით ერეკლემ მას გზა გადაუჭრა, ყოფი-
ლი კარის მოძღვარი იძულებული გახდა თავისი მრავალრიც-
ხოვანი ოჯახითურთ, რომელშიც ახალგაზრდა პოეტ ბესიკს
გარდა მისი უფროსი მწიგნობარი ძმებიც შედიოდნენ, იმე-
რეთში გადასახლებულიყო. ამის შემდეგ ანტონ პირველის
პოლიტიკურმა და გამანათლებელმა მოღვაწეობამ კიდევ
უფრო ფართო გაქანება მიიღო. მისი დახმარებით მეფემ
მეორე ფილოსოფიური სემინარია გახსნა თელავში. 1772
წელს ის ერეკლე მეორეს ვაჟთან ლეონ ბატონიშვილთან
ერთად პეტერბურგში გაემგზავრა და თავისი დიპლომატიუ-
რი მუშაობით მოამზადა 1783 წლის ტრაქტატის დადება,
რის წყალობითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპე-
რიის ვასალური ნაწილი გახდა.

XV

გლუხკაცობის მღვდომარეობა

რუსეთისადმი მიდრეკილების გაძლიერება მეთვრამეტე
საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან შეიძლება უფრო
ქართლ-კახეთის სამეფოს შინაური პირობებით იყო გამო-
წვეული, ვიდრე მისი საერთაშორისო მდგომარეობით. ერანის
მშვიდობიან გამგესთან ქერიმ ხანთან ერეკლეს დიდხანს კე-
თილმეზობლური განწყობილება ჰონდა დამყარებული. ყო-
ველ შემთხვევაში აქედან რაიმე მძლავრი შემოტევა იმ ხანად



მოსალოდნელი არ იყო. როცა თავრიზის მფლობელი ახატ-
ხანი იძულებული გახდა თავისი ერთგული ჯარის ნაწილი
დალისტინსაკენ გამოქცეულიყო, ერეკლემ მას ყაზახში გზა
მოუჭრა, დაატყვევა და ქერიმ ხანს გაუგზავნა მისი თხოვნის
თანახმად. სამაგიეროდ ქერიმ ხანმა უარი განაცხადა ყოვე-
ლივე პრეტენზიებზე ნახჩევანის, განჯის და ყარაბაღის სახა-
ნოების მიმართ, ხოლო ერევენის ხანს პირდაპირ მოსწერა
ერეკლეს დამორჩილებოდა და ხარკი ეძლია მისთვის.

რაც შეეხება თურქეთის იმპერიას, ის მეთვრამეტე საუ-
კუნის მეორე ნახევარში ყველგან თავდაცვაზე გადავიდა და
განსაკუთრებით ჩრდილოეთის საზღვარზე, აგრესიული რუ-
სული იმპერიალიზმის შიშით, ყოველივე გართულებას ერი-
დებოდა. ამისდა მიხედვით ახალციხის, ყარსის და ბაიაზე-
თის ფაშები ცდილობდნენ მეგობრული ურთიერთობა ჰქონო-
დათ ქართლ-კახეთის სამეფოსთან.

ასეთი ბრწყინვალე იყო, ერთი შეხედვით, აღმოსავლეთ
საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. ამისდა მიუხე-
დავად სახელმწიფო ღრმად იყო დაავადებული, მას თითქო
ორი მხრიდან მომაკვდინებელი სრსვილი ღრღნიდა: ეს
იყო ლეკების განუწყვეტელი თავდასხმები და დროგადა-
სული ფეოდალური წყობილება. მშვიერი ლეკობის და თვით-
ნება თავადაზნაურობის თარეშმა შემუსრა ჯანსაღი, წელ-
მაგარი ქართველი გლეხკაცობა, რომელიც საქართველოს
ისტორიის საუკეთესო ეპოქებში მთელს სახელმწიფოს
ჰკვებავდა, მის პურის ბედლებსა და ხაზინას ავსებდა და
სულ ბოლო დროსაც მას საუცხოო ქვეითა ჯარს აძლევდა
თურქი ენგიჩარების და ერანელი ყიზილბაშების უკუსაქ-
ცვად.

ამ ხანებში ლეკების შემოტევას ისეთი საზომისთვის მიულ-
წევია, რომ იესე ოსესშვილის მოწმობით, ახირებული



პროექტი წარმოშობილა, მთელი ქართლის მოსახლეობამ ერთად მოვიყაროთ თავი და სამ ადგილას დავსაქმიოთ, თბილისში, მუხრანში და ვაკეში: როცა მტერი მოვა, ბევრნი გამოვალთ და პასუხს გავცემთ, თორემ ისე დაგვაწერილმანებენ, რომ დამმარხავსაც ვეღარ ვიშოვნითო: „ავი დრო იყო, ყოველდღე დამხობას ველოდით, ლეკისაგან აკლებასა, საქართველოს სრულიად დაჭერასა. კარგი არაფერი არა ჩანდა რა მეფის ჭკუისა და ღვთის მიწოლის მეტი“.

დიდად დამახასიათებელია, რომ ქართლის გლეხკაცობა უფრო იჩაგრებოდა ლეკების მარბიელი ჯარების მიერ, ვიდრე ქიზიყისა, თუმცა ეს უკანასკნელი უშუალოდ ესაზღვრებოდა დაღისტანსა და ქარ-ბელაქანს. გიულდენშტედტი ამბობს, ქიზიყელები ბევრად უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ქართლები, ისინი შეჩვეული არიან ლეკებთან ჩხუბს და მათ არასოდეს არ აპატიებენ ადამიანების და პირუტყვის გატაცებასო; ჩემი იქ მისვლის წინა დღეებში ქიზიყელებს ოცდაათი ათასი სული ცხვარი მოეტაცნათ მეზობლად მდებარე ქარის სოფლებშიო.

ასეთი განსხვავება ქიზიყის და ქართლ-კახეთის გლეხკაცობას შორის უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დაჩაგრული იყო ბატონყმობის მიერ. რამდენად აუტანელი გახდა მისთვის ეს უღელი, სჩანს იქიდან, რომ ქართლ-კახელი გლეხი, რომელიც ისევე, როგორც ყოველი სხვა ერის გლეხი, ნორმალურ პირობებში მოსახლეობის კონსერვატიულ ელემენტს წარმოადგენდა, მამა-პაპათა ზნე-ჩვეულების, რწმენისა და ენის მედგარ დამცველს, ჩვეულებრივ ადგილიდან დიდის გაჭირვებით იძროდა და თან მუჭით სამშობლოს მიწა მიჰქონდა, როცა იძულებული იყო უცხო ქვეყანაში გადასახლებულიყო, მეთვრა-

მეტე საუკუნეში სამშობლოდან გაქცევის და შორს გადი-
ქარგვის წყურვილმა გამსჭვალა, თითქო მის სახლ-კახლში
ძარი მოსდებოდეს. „დღე არ მომისვენია, მამული შიშველია
ქნელს დროებაში, ამბობს იესე ოსესშვილი: ახლა რომ
ამენდა, ყმას ვსყიდულობ დიდი გაჭირვებით. ათს რომ ვი-
ყიდი, ორი თუ დამიდგება. ზოგი იმერეთს მირბიან, ზოგი
კახეთს, ზოგი სად“.

ქართლ-კახელი ვლახები გარბის სხვა მემამულესთან, რომ-
ლისგანაც ის უფრო ადამიანურ მოპყრობას ელის, და მან
იცის, რომ თუ ოცდაათი წლის განმავლობაში ძველმა პატ-
რონმა ვერ იპოვა, ვახტანგ მეექვსის კანონის ძალით, მფლო-
ბელობის უფლებას დაჰკარგავს მასზე. ის გარბის ჩრდილო
კავკასიაში, სადაც ყიზლარის ან მოზდოკის მახლობლად
სახლდება რუსის ჯარის მფარველობის ქვეშ და სადაც გან-
საკუთრებით აფასებენ მის მიერ მეზღვრობის, მევენახეო-
ბის და მეაბრეშუმეობის ცოდნას. ბოლოს ის ახალციხეში
გადადის, სადაც ბეგების ბატონობა მეთვრამეტე საუკუნეში
მომხდარი რეფორმების წყალობით, ეკონომიურად საერ-
თოდ უფრო ადვილი ასატანი ხდება, ვიდრე ქართლ-კახელი
და იმერელი თავადაზნაურობის ბატონობა.

„როცა ჩვენი ქვეყანა აგარიანებმა დაარბიეს, თრიალეთში
აღარავის დაედგომებოდა, და მე ოთხი ვაჟიშვილით ჯავახეთ-
ში გადავსახლდი, წერს გლეხი ვიორგი წრიოლიძე თავის
არზაში დარეჯან დედოფალს: როგორც კი ქართლში მშვი-
დობა დამყარდა და ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენ გამეფდით,
ხელახლა დაებრუნდით ჩვენს ქვეყანაში. გზაში, სადგერის
მახლობლად ქაიხოსრო ავალიშვილი შეგეხვდა და თავის მა-
მულში დაგვასახლა. მაგრამ მან ღიდათ შეგვაჭირვა. ორჯერ
არზა მოგართვით, თქვენ ბრძანება გაეცით, მაგრამ არაფერი



გვეშველა. პირიქით, კინალამ ერთმანეთი დაეხმარებოდნენ. შვილმა ხმალი იშისშველა და თექვსმეტი სულს მარჩენალი უღელი ხარი მოგვიკლა. ჩვენ თქვენი გლეხები ვართ, ნუ გვაძულებთ ხელახლა ურჯულოთა მხარეში გავიქცეთ. მთელი ჩვენი მოსავალი ჯერ კიდევ მინდორშია, ჩვენ რომ უღელი ხარი გვეყავდა, ავალიშვილმა გაზაფხულსა და ზაფხულში ხან გუთანში ამუშავა და ხან კალოზე, შემდეგ კი დაჰკლა“.

დაბალ წოდებათა ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას მეთვრამეტე საუკუნეში მოწმობს ის გარემოება, რომ მრავალ შემთხვევაში თავისუფალი კაცი იძულებული ხდება მევალის ყმა გახდეს სესხის გადაუხდელობისათვის. „ეს თამაზა გამრეკელი ვიყიდე. ვალი ემართა, გარდაუხადე, ბატონყმობის წიგნი მომცა. ბორბალას გავისტუმრე“, ამბობს იესე ოსესშვილი.

მრავალ შემთხვევაში ტყვედ ჩავარდნილი ადამიანი იმის ყმა ხდება, ვინც იგი გამოიყიდა. ერეკლე მეფემ ოცდაათი წლის განმავლობაში თითქმის ოთხასი ათასი მანეთი დახარჯა ქართველი ტყვეების გამოსახსნელად, მაგრამ ტყვეების რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ მარტოოდენ მეფის ხაზინას არ შეეძლო საქმის შევლა. ამრიგად, ბატონყმობის უღელქვეშ მოხვედრილი სოციალური ფენა თანდათან ფართოვდებოდა ლეკთა თარეშის გაძლიერებისა და ხალხის საერთო გაღარიბების გამო. არის შემთხვევები, როცა მამა თავის შვილს ჰყიდის. მაგალითად, ვინმე იდალელი მამაჯანა შალუაშვილი მდივანს ჯავახიშვილს აძლევს „ამიერიდან უკუნისამდი ხანთა და ჟამთა საბოლოოთ გამოსადეგ, მტკიცე და უცვალებარ ნასყიდობის წიგნს და სიგელს. მას ჟამსა ოდეს დამეჭირა და შიმშილობისაგან ილაჯი აღარ მქონდა

და მოგვიდე ჩემი შვილი ყოვლის კაცის უცილებართა; აგი-
ღევი ფასი სრული დაუკლებარი, რითაც ჩემი გული შეგეგნებოდა
ღებოდა. გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმან“.

კიდევ უფრო ხშირი იყო ყმის გაყიდვა მებატონის მიერ,
რომლის ეკონომიური მდგომარეობა აგრეთვე თანდათან
გაუარესდა ქვეყნის საწარმოო ძალების განიავებასთან ერ-
თად. ტყვეებისა და ყმების უცხოეთის ბაზრებზე გაზიდვამ
განსაკუთრებით გურია-სამეგრელოსა და იმერეთში მიიღო
მასობრივი ხასიათი; აღმოსავლეთ საქართველოდან ერეკლეს
გამეფებამდე ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი კიდევ იყიდებოდნენ,
მაგრამ უფრო ხარკის სახით იგზავნებოდნენ ერანში. სამა-
გიეროდ ქართლ-კახეთშიც ყმა ყოველთვის ინტენსიური ში-
ნაური ხლებ-მიცემის საგანი იყო: ყველაზე დიდი უბედუ-
რება ის იყო, რომ გლეხის ოჯახი ხშირად, ასე ვთქვათ, ნაქ-
რობლივ იყიდებოდა და მისი წევრები იძულებული ხდებო-
დნენ ერთმანეთს დაშორებოდნენ. იყო შემთხვევები, რომ
მებატონე თავის გლეხებს შეძლებულ გლეხსავე მიჰყიდდა
ხოლმე.

გლეხკაცობის მდგომარეობის გაუარესებას იწვევდა აგ-
რეთვე ისიც, რომ შემამულეები სცდილობდნენ დაპატრო-
ნებოდნენ საეკლესიო, სამონასტრო და თვით სახასო გლე-
ხებსაც, რომელნიც საერთოდ უკეთეს მდგომარეობაში იმყო-
ფებოდნენ, ვიდრე საბატონონი. მაგალითად, საეკლესიო
გლეხს ხშირად შეეძლო გაეყიდნა თავისი სახლ-კარი და ვე-
ნახი, სავაჭროდ წასულიყო და სხვა; მისი გადასახადი შე-
დარებით უფრო მცირე იყო, ხანდახან თითქმის მარტო სან-
თელ-საკმეველის მირთმევის და აღაპის ხარჯებით განისაზღვ-
რებოდა. ამას გარდა ის თავისუფალი იყო ბატონის და მისი
მსლებლების დროგამოშვებით სტუმრობისაგან, „შინჩადგო-



მისაგან“, მაშინ, როდესაც საბატონო გლეხს, განსაკუთრებით მეყალნეს ანუ მეღალეს, ყოველგვარი ნაღებ-ნაღებები გადასახადი უნდა გადაეხადა, პურის, ღვინის, ხორცის გამოსაღების, ღვინის და ჭირის შესაწირავის სახით, კვირაში რამდენიმე დღე ბატონისთვის ემუშავნა და იმავე ეკლესიისა და სახელმწიფოს ხარჯებიც ეკისრნა. მხოლოდ ლაშქრობა-ნადირობის ბეგარას და ეგრეთწოდებული თათრის საურავს ვერც ერთი კატეგორიის გლეხი ვერ გაექცეოდა.

ერეკლე მეფე სცდილობდა შეემსუბუქებინა ბატონყმობის სიმძაფრე, რომელიც გამოხატული იყო ვახტანგ მეექვსის კოდექსის დებულებაში, სულს გარდა ყოველივე, რაც ყმას აქვს, ბატონისა არისო. ჯერ კიდევ 1748 წელს მან თავის მამასთან ერთად უმაღლესი სასამართლოს რეორგანიზაცია მოახდინა და მას სათავეში თავისი ერთი საუკეთესო თანამოდგაწე მშეჭაბუკ ორბელიანი ჩაუყენა; პლატონ იოსელიანის დახასიათებით ეს იყო „კაცი რიტორი, მცოდნე ძველისა და ახლისა ფილოსოფიისა, მხოლოდ ტანით და სახით სრულად ეზოპე“.

გლეხს უფლება ჰქონდა მებატონეების ძალმომრეობის წინააღმდეგ მდივანბეგების სასამართლოში ან თვით მეფესთან ეჩივლა. მაგრამ ეს უფლება, უმრავლეს შემთხვევაში, ფიქტიური იყო, ვინაიდან მდივანბეგთა სასამართლო მხოლოდ თბილისში იყო, ის რამდენიმე კაცისაგან შესდგებოდა, მხოლოდ მნიშვნელოვან საქმეებს არჩევდა და მას შესაძლებლობა არ ჰქონდა ყველა ადგილობრივი დავა განეხილა. პროვინციაში კი სამართლის წარმოება ნაწილობრივ მებატონის ხელში იყო, ის იყო უმეტეს შემთხვევაში გლეხის მსაჯულიც და ბოქაულ-იასაულიც. ერეკლე მეფე მოუტყლელი იყო მუდმივი ომიანობის გამო, გლეხს, უმეტეს შემ-



თხვევაში, მისი პროვინციაში მოგზაურობის დროს ეძიებოდა არზის მირთმევის საშუალება. მაგრამ ქართლ-კახეთის გლეხები ასეთ შემთხვევებს უხვად იყენებდნენ.

თუ გლეხისათვის ძნელი იყო სამართლიანი განჩინების მიღება, კიდევ უფრო ძნელი იყო ამ განჩინების შესრულება. უბედურება ის იყო, რომ მაშინ, როდესაც დასავლეთი ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში ბურჟუაზიამ, უწინარეს ყოვლისა, სასამართლოს დაწესებულებანი დაიპყრო და იქიდან დაიწყო პირველი იერიშები ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, საქართველოში, ეროვნული ბურჟუაზიის განუვითარებლობის გამო, მდივანბეგების სასამართლო იმავე ფეოდალებს ჩაუვარდათ ხელში. თავადაზნაურობის ქვედა ფენებში იკრიბებოდა აგრეთვე იასაულების და სხვა მოხელეების კადრი, რომელსაც მეფის ბრძანების ან სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება ჰქონდა დაევალებული. ისინი კი, უმეტეს შემთხვევაში, საბოტაჟს უწევდნენ ყოველ განაჩენს, რომელიც მებატონეთა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

დიდად დამახასიათებელია ერთი არზა, რომელიც ერეკლეს ერთაწმინდელმა საეკლესიო გლეხმა ხახანაშვილმა მიართვა. „ათი წელიწადია თავს გაწყენთ და ვჩივით: თარხნიშვილებს უჩივით. ჩვენი სამართალი თქვენგან და მსაჯულთაგან გასამართლებულია; განაჩენი ხელთ გვიჭირავს, მაგრამ ერთხელ ისეთი იასაული არ გვებოძა, რომ იმათი კერძო კაცი არ ყოფილიყო და ეს საქმე გაერიგებინა. ახლა ეს არის ჩვენი ვედრება: ერთი ისეთი იასაული გვიბოძოთ, ამ ეკლესიისათვის იზრუნოს და ჭეშმარიტების მიმხედველიც იყოს და ამ განაჩენში ბრძანებული აღასრულოს“.

იმისდა მიუხედავად, რომ თარხნიშვილების და ხახანაშვილების დავა სასამართლომ ორჯერ უკანასკნელთა სასარგებ-



ლოდ გადასწყვიტა, რომ ამ საქმეში მეფეც ჩაერთა, რომელიც ამ თვითნება მებატონეების მიმართ ხან მშვენიერად მართავდა და ხან ჩაგონებას, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ თარხნიშვილებმა მაინც თავისი გაიტანეს, ხახანაშვილები ყმად გაიხადეს და შემდეგ გაპყიდეს კიდეც.

ასეთი ურჩობა თავადების მხრით, ეტყობა, ხშირი მოვლენა იყო. ვინმე სვიმონ პეტრიაშვილი გიორგი ბატონიშვილს არზით აუწყებს: ხუთჯერ საჩივარი მოგართვით და ხუთჯერ თქვენ აბელ ანდრონიკაშვილს უბრძანეთ, მაგრამ თქვენს ბრძანებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს; პირიქით, უფრო მკაცრად მეპყრობა. ორი ქალი წამართვა და შინა-მოსამსახურედ დაიყენა, ერთს მათგანს ნამუსი აჭხადა და დააორსულა; მოწყალეობა მოიღეთ, ღმერთი გიშველის. მეფისწული ამ არზას თავის რეზოლუციას ადებს მოურავის შესასრულებლად: საჩივარი გამოიკვლიე და თუ მთხოვნელის ქალი მართლაც ნამუსახილია, მებატონეს პეტრიაშვილის ოჯახი ჩამოართვი და სახაზინო მამულში დაასახლეო. უთხარი მაგ მამაძალ აბელ ანდრონიკაშვილს, რომ თუ ურჩობა გასწია, მიწასთან გავასწორებო.

თუ სახელმწიფო მოხელეთა კადრები, მათი სოციალური შემადგენლობის გამო, მეფეს ფეოდალების თვითნებობის ასალაგმავად არ გამოადგებოდა, კიდეც უფრო ნაკლებ საიმედო ამ მიზნისთვის ჯარი და განსაკუთრებით მისი სარდლობა იყო. ქართველი ჯარი ფეოდალური საზოგადოების წოდებრივ დანაწილებას ასახავდა, იგი შესდგებოდა გლეხკაცობის ქვეითა ნაწილებისა და თავადაზნაურ მხედრებისაგან, ის იკრიბებოდა საჭიროების მიხედვით და იშლებოდა როგორც კი ეს საჭიროება გაივლიდა. ყოველი ჯარისკაცი შეიარაღებული უნდა გამოსულიყო სალაშქროდ, მას თან უნ-



და ჰქონოდა ორიოდე კვირის სანოვაგის მარაგიც იმ ვარა-
უდით, რომ ამ ხნის განმავლობაში ან მტერს დაამარცხებო-
და, მის ბანაკსა და მის ქვეყანას დაარბევდა და ნადავლს
იშოვნინდა, ან დამარცხებული შინ დაბრუნდებოდა. მება-
ტონე ამ ჯარის რაზმების ინტენდანტიც იყო და ოფიცერიც,
მისი წონა სამხედრო ოპერაციაში ხშირად დამოკიდებული
იყო არა მის სტრატეგიულ ნიჭზე, არამედ იმაზე თუ რამ-
დენი ყმა მოლაშქრე მისდევდა უკან.

ჯერ კიდევ თეიმურაზმა ჯარის გარდაქმნა სცადა ერანის
და რუსეთის ნიშუშების მიხედვით. მან დააწესა ეგრეთწო-
დებული ნოქრების მუდმივი ჯარი, რომელიც ათასი კაცი-
საგან შესდგებოდა და ჯამაგირს ღებულობდა. მაგრამ ეს
პატარა ჯარიც ისეთ დიდ ტვირთად დააწვა გაღარიბებულ
სახელმწიფო ხაზინას, რომ მეფე იძულებული გახდა ის და-
ეშალა.

როცა ქართლ-კახეთის მეფეები რუსეთს მფარველობისა-
თვის მიმართავდნენ, უმთავრესად სამხედრო და ფინანსიურ
დახმარებას გულისხმობდნენ. ამ დახმარების მისაღებად
გაგზავნეს მათ ელისაბედ დედოფალთან ელჩები, რომელ-
ნიც ხელცარიელნი დაბრუნდნენ, და ამავე მიზნით გაემ-
გზავრა 1760 წელს პეტერბურგში თეიმურაზ მეფე, რომელ-
იც ორი წლის ამაო ლოდინის შემდეგ იქ გარდაიცვალა.
მისი გვამი საქართველოში წამოასვენეს, მაგრამ გზის სიძნე-
ლის გამო მხოლოდ ასტრახანამდე მოიტანეს, სადაც ის და-
საფლავებულ იქნა მისი სიმამრის ვახტანგ მეექვსის გვერ-
დით.

ამრიგად ერეკლე გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე
გახდა.

ქართლ-კახეთის ეკონომიური მდგომარეობა

იმის შემდეგ რაც ერეკლეს შემწეობით ქერიმ-ხანმა ხელთ იგდო თავისი მთავარი მოქიშპე — აზატ-ხანი, ერანში კარგა ხნით მშვიდობიანობა დამყარდა. საერთოდ ქერიმ-ხანის მმართველობა ერთ უბედნიერეს დროდ ითვლება სპარსეთის ახალ ისტორიაში. ერთი იმდროინდელი სპარსელი მეზობტბე პოეტი მაღალფარდოვანი სტილით ამბობს, რომ ქერიმის ქვეშევრდომნი დროს მხიარულად ატარებდნენ პარამხანაში, მზეთუნახავთა საზოგადოებაში, მათ არავითარი გაჭირვება არ იცოდნენ, ნექტარი ამხიარულებდა, ხოლო სიყვარული აკეთილშობილებდა მათ გულებსო.

ბედნიერი ქერიმის პარამხანას მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ლამაზი ქართველი ქალები, რომელნიც მის წინამორბედ შაჰებს პერიოდულად მისდიოდათ ხარკის სახით. ქერიმმა სცადა ამ ნაკლის შევსება და საგანგებო დესპანების პირით ერეკლეს თორმეტი წყვილი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი სთხოვა, არა იმიტომ, რომ მას მართლაც ცხოვრება გაძნელებოდას ქართველი მზეთუნახავების გარეშე, არამედ რათა გამოერკვია, აღიარებდა თუ არა ერეკლე ნებაყოფლობით ქართლ-კახეთის დამოკიდებულებას ერანისაგან. მაგრამ ერეკლემ მკაცრად მიიღო ერანის ვეჟილის ელჩები და ხელცარიელი გაისტუმრა ისინი. სხვათა შორის, გამოსათხოვარი აუდიენციის დროს ერეკლემ მათ უთხრა, იცოდეთ, ქერიმი მე ვერ მომატყუებს, ვინაიდან თვითონ ეშმაკზე ერთი ღლით აღრე დავიბადეო.

მაგრამ ჯერ კიდევ ამ თავისებური დიპლომატიური ნაბიჯის გადადგამამდე ქერიმ-ხანი დარწმუნდა, რომ ერეკლე



მეფის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდა ვერც მუქარით და ვერც ინტრიგებით; ამიტომ როდესაც მასთან ვახტანგ-მეექვმესის უკანონო ვაჟი პაატა ბატონიშვილი მივიდა, მან აგრძობინა, რომ ერანის მხრით არავითარი დამხარების იმედი არ უნდა ჰქონოდა, თუ ქართლის ტახტზე დაჯდომას განიზრახავდა. ამის შემდეგ პაატა ბატონიშვილი თბილისში წამოვიდა, სადაც ერეკლემ პატივით მიიღო.

პაატა ბატონიშვილს ჯერ არტილერიის საქმე შეესწავლა რუსეთში, ხოლო შემდეგ ინგლისში მიეღო სწავლა-განათლება და დასავლეთ ევროპის ქვეყნები შემოეცლო. თბილისში ის ჩქარა შეთქმულების ცენტრალურ ფიგურად გადაიქცა; ამ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ აბდულა ბეგის შვილი, დავით ბატონიშვილი, მეფის სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახვარი და რამდენიმე ქართული თავადიშვილი. შეთქმულების მიზანი იყო ერეკლე მეფის მოკვლა და პაატა ბატონიშვილის გამეფება, მაგრამ ის ჩქარა გამოძვლავნდა ტახტის მაძიებლის გაუფრთხილებლობის გამო. პაატა ბატონიშვილს შეთქმულების საიდუმლოება გაუნდვია ვინმე დათუნა ფეიქრისთვის, რომლის ცოლი თურმე მეფის სასახლეში ცხოვრობდა როგორც ერეკლეს პატარა ქალის ქეთევანის ძიძა. დათუნა ფეიქარს ევალეზობდა დამით ცოლის დახმარებით სასახლეში შეეყვანა შეთქმულთა მომხრეები, რათა მათ ერეკლე მეფის ოჯახი ამოეწყვიტათ; მაგრამ ფეიქარს ეს საიდუმლოება აღსარებაში გაუმჟღავნებია თავისი მოძღვრისთვის, ვინმე ქრისტესია მღვდლისთვის, ხოლო ამ უკანასკნელს თავისი მხრით ის ერეკლესთვის უცნობებია. მეფეს დაუყოვნებლივ თავისი ერთგული დადებულნი მოუწვევია, ჯვარსა და სახარებაზე დაუფიცებია და შეიარაღებული რაზმების თანხლებით შეთქმულთა ბ-

ნებზე გაუგზავნია, რათა ისინი ქონების ჩამორთმევას შემდეგ დაეტუსალებინათ. თუ ერთ-ერთი შეთქმულნი ამილახვრის შვილის ალექსანდრეს მოწმობას დატუჯერებთ, გამოძიებას თვით მეფე ხელმძღვანელობდა და დიდის სიმკაცრით აწარმოებდა; პაატა ბატონიშვილმა, სხვათა შორის, დაკითხვის დროს განაცხადა, მეფის მოკვლა არ მდომებია, თუ ეს მდომებოდა, კიდევ მოვკლავდი, ამის შემთხვევა ხშირად მქონდა, როცა დამე ერთად გაგვითევია კარავშიო. საქმე განაჩენის გამოსატანად დარბაზს გადაეცა, ე. ი. უწარჩინებულეს საერო და სამღვდლო პირთა კრებულს. ამ განაჩენის ძალით პაატა და დავით ბატონიშვილებს თავები მოჰკვეთეს, ხოლო სხვები, უმეტეს ნაწილად, გაახეიბრეს. დიმიტრი ამილახვარი ვირზე შესვეს და ქალაქში ატარეს, მის ვაჟს ალექსანდრეს ცხვირი მოჰკვეთეს და ფეხის ძარღვები გადაუჭრეს, ერთი შეთქმულთაგანი ცეცხლში დასწვეს და სხ. დავით ბატონიშვილი ამბობს, არა სწაიდა მეფეს ამოწყვეტა მათი და მრავალ გზისცა ენუკვა ხალხთა განტევენას მათსა, გარნა ხალხთა არა უსმინეს მეფესაო. მაგრამ შეიძლება ეს ცნობაც ისევე ტენდენციური იყოს, როგორც ალექსანდრე ამილახვრის საწინააღმდეგო ცნობაა.

9 პაატა ბატონიშვილის შეთქმულების მარცხმა გამოააშკარავა, რომ თუ არისტოკრატიულ წრეებში ერეკლე მეფის მოწინააღმდეგე ელემენტები კიდევ მოიპოვებოდნენ, მდებრიო ხალხი ქალაქსა და სოფელში მას უყოყმანოდ უჭერდა მხარს. სხვათა შორის, დიდად ნიშანდობლივი იყო, რომ შეთქმულნი თვით მათმა მოსამსახურეებმა გასცეს. ეს გარემოება, უმთავრესად, იმით აიხსნებოდა, რომ ერეკლე მეფე, განსაკუთრებით მამის გარდაცვალების შემდეგ, ენერგიულად შეებრძოლა მსხვილი ფეოდალების ძალმომრეობასა და



თვითნებობას და შეეცადა გლეხობის, ხელოსან-ამქრებინა და ქალაქის მღაბიო მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ერეკლე მეფემ 1755 წელს ყაზახის ხანობა გააუქმა და ამ პროვინციაში ისეთივე ადმინისტრაცია შემოიღო, როგორც საკუთრივ ქართლ-კახეთში იყო დაწესებული. დაახლოებით ათი წლის შემდეგ გაუქმებულ იქნა ბორჩალოს სახანოც, ხოლო ოცი წლის შემდეგ ქსნის საერისთავოც. ამრიგად ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე თანდათან ბოლო მოეღო ნახევრად დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოებს, და ისინი უშუალოდ მეფეს დაექვემდებარენ მოურავების მეშვეობით.

მაგრამ ერეკლე მეფის აბსოლუტისტურ და ცენტრალისტურ პოლიტიკას მტკიცე ეკონომიური დასაყრდენი არ ჰქონდა მრეწველობის და აღებ-მიცემის განუვითარებლობის გამო. ქართლ-კახეთში არსებითად მხოლოდ ერთი ქალაქი იყო, თბილისი, რაც შეეხება გორს, თელავს, ანანურს, სურამს და სხვათ, ისინი უფრო გამაგრებულ სოფლებს წარმოადგენდნენ. საკმაოა ერთმანეთს შევადაროთ თბილისის აღწერა, რომელიც შარდენმა, ტურნფორმა და გიულდენ-შტედტმა დაგვიტოვეს, რათა დავიინახოთ, როგორ დაქვეითებულია ჩვენი დედაქალაქი ერთი საუკუნის მანძილზე. შარდენი, რომელიც აქ 1671 წელს იყო, მას ერთ საუკეთესო ქალაქად სთვლიდა აღმოსავლეთში. ის აღტაცებული იყო მისი მშვენიერი საზოგადო შენობებით, ფართო და სუფთად შენახული ბაზრებით, ქვის ქარვასლებით, მაღაზიებით და პალატებით. უკვე ოცდაათი წლის შემდეგ თბილისმა ფრანგ



მოგზაურ ტურნეფორზე ბევრად ნაკლებ მიმზიდველი შთაბეჭდილება მოახდინა.

1771 წელს თბილისში გერმანელი მეცნიერი, აკადემიკოსი გიულდენშტედტი ჩამოვიდა; მისი მოგზაურობის აღწერა ბევრად უფრო საიმედო ცნობებს იძლევა იმდროინდელი თბილისისა და ქართლ-კახეთის ეკონომიური და კულტურული პირობების შესახებ. გიულდენშტედტმა ქალაქში მეტი აგურით და ლორფინით აშენებული და კირით შეღესილი ერთსართულიანი სახლები აღმოაჩინა, ვიდრე პალატები, მას ქუჩები და მოედნები მეტისმეტად ჭუჭყიანად ეჩვენა, ჰაერი უსუფთაოდ; მისი აზრით, ამით აიხსნებოდა შავი ჭირის და სხვა გადამდებ ავადმყოფობათა სიხშირე, რის წყალობითაც თბილისის მოსახლეობა ერთ დონეზე იდგა, ძლივს აღწევდა ოცი ათას სულს და ხანდახან მცირდებოდა კიდევ.

ევროპიელი მოგზაურები და რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ თბილისს მეთვრამეტე საუკუნეში საკმაოდ გაცხოველებული აღებ-მიცემა ჰქონდა არა მარტო მეზობელ ხალხებთან, არამედ რუსეთსა, სპარსეთსა და თვით შორეულ ინდოეთთან, რომ ის ქარავენებით ძვირფას ჰინდურ და სპარსულ შალეულობასა და ფარჩეულობას, აგრეთვე ფაიფურის ჭურჭელს ღებულობდა, ხოლო თვითონ უცხოეთში სპილენძის ჭურჭელს, ცხენის მოსართავს, იარაღს, ბამბის ქსოვილს და ტყავის ნაწარმს გზავნიდა; ქალაქს მრავალი სახელოსნო და რამდენიმე პატარა სამანუფაქტურო ფაბრიკა ჰქონდა, სადაც აბრეშუმის, მატყლის და ბამბის ქსოვილებს ამზადებდნენ, უფრო ფართო მოხმარებისათვის გამოსადეგს. მაგრამ თბილისის ვაჭრობა-მრეწველობა უცხო ელემენტების, განსაკუთრებით, სომ-



ხების ხელში იყო; ქალაქის ქართველი მოსახლეობა, კრებულ
 რით არ განსხვავდებოდა ქართლ-კახეთის სოფლის მოსახლეობისაგან,
 მას ქალაქის გალავანს გადაღმა რამდენიმე კი-
 ლომეტრის მანძილზე ყანები, ვენახები და ბაღები ჰქონდა,
 რომელნიც მტკვრიდან გამოყვანილი არხებით ირწყვებო-
 დნენ.

ერეკლე მეფემ განსაკუთრებული ღონისძიებანი მიიღო
 ქალაქში სოფლის მოსახლეობის მისაზიდავად; სხვათა შო-
 რის, როცა მან ეგრეთწოდებული მორიგი ჯარი შემოიღო,
 ვაჭრები და ხელოსნები გაათავისუფლა ამ ბეგარისაგან;
 მაგრამ ერეკლემ მაინც ვერ შესძლო ეროვნული ბურჟუა-
 ზიის შექმნა. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, უწინა-
 რეს ყოვლისა, ხელს უშლიდა ავაზაკების თარეში სავაჭრო
 გზებზე. ქარავანს კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ჩვეულებ-
 რივ, ცხრა დღე სჭირდებოდა, ამ ხნის განმავლობაში ის
 შეიძლებოდა ცხრაჯერ გაძარცულიყო. ვაჭარს რამდენიმე
 ფეოდალის სამფლობელო უნდა გაევიღო და რამდენჯერმე
 ბაჟი გადაეხადა ან მებატონისათვის ქრთამი მიერთმია. მა-
 გალითად, გიულდენშტედტი ამბობს, მცხეთელი მებატონე
 ბაჟს ღებულობს მცხეთის ხიდზე გავლის დროსო. ეს იწვევ-
 და საქონლის არაჩვეულებრივ სიძვირეს, რასაც ზედ ერთო-
 და კრედიტის სიძვირე და ქალაქის მდაბიო მოსახლეობის
 დავალიანება, ამქრული წესწყობილება, რომელიც აფერხებ-
 და ვაჭრობის თავისუფლებას, ბოლოს უვარგისი სამოქალა-
 ქო ადმინისტრაცია. მაგრამ მთავარი იყო ის, რომ გლეხი-
 კაცისთვის ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო ბატონყმობის
 ჟღლიდან გათავისუფლება და მოქალაქედ გახდომა; მას რა-
 დაც არაჩვეულებრივი გმირობა უნდა ჩაედინა, რომ მეფეს
 გაეაზატებინა, როგორც მაგალითად, ერეკლემ ყვარლის



ციხის ალყის გამრღვევი გლეხები გაააზრატა. ვარდი ამისა
 ერეკლემ დააკანონა, რომ ტყევებიდან მოსულენი ყველაფერ-
 სუფალი ხდებოდა, თუ ის თავის ხარჯით გამოისყიდდა
 თავს ან გამოიქცეოდა. მაგრამ ასეთი შემთხვევა შედარებით
 იშვიათი იყო. უმეტეს ნაწილად ტყვეს რომელიმე შეძლე-
 ბული კაცი იხსნიდა თავისი ფულით, ასეთ შემთხვევაში კი
 ის გამომყიდველის ყმა ხდებოდა.

ქართველი რასის ნაყოფიერების მიუხედავად, ქართლ-
 კახეთის დაბლობში მოსახლეობა, გამუდმებული ომიანობის
 და დატყვევების გამო, არა თუ არ მატულობდა, კლებუ-
 ლობდა კიდევ, ხოლო თუ უფრო მშვიდობიან წლებში რა-
 იმე ნამატს იძლეოდა, მას ჩვეულებრივ ქალაქებში კი არა,
 მთებში გზავნიდა. ამიტომ ქართლ-კახეთის მთიანი ნაწილი
 ბევრად უკეთ დამუშავებული და ბევრად უფრო მჭიდროდ
 დასახლებული იყო, ვიდრე ბარი. და ბარის მოსახლეობა,
 რომელიც მტრის შემოსევის ან გადაძვები სწულების
 დროს მთაში იხიზნებოდა, ვადარჩა არა მარტო იმიტომ,
 რომ მას კლდეები და ტყეები იცავდნენ, არამედ იმიტომაც,
 რომ იქაურს მოსახლეობაში სტუმართმოყვარე მასპინძლებს
 ხვდებოდნენ. იესე ოსესშვილი მოგვითხრობს, როცა თეიმურაზ
 მეფე ნადირ-შაჰის შიშით ანანურში გაიხიზნა, ქალაქი-
 დან დიდძალი ხიზანი გაპყვა, მეც თოთხმეტი სულისაგან
 შემდგარი ოჯახით ღუშეთში ავედი და თითქმის ერთი წე-
 ლიწადი იქ დავრჩიო: „ვიყავით, რაც სოფლურს გაძლები-
 ნებას შეეფერება, აზნაურიშვილები და იქიურნი მსახლო-
 ბლნი გლეხნი გვაძლებინებდნენ“.

ქართლის შესახებ გერმანელი მოგზაური რეინეგსი ამბობს,
 ის იბერიის იმ დაბლობს აღარ წარმოადგენს, სადაც სტრა-
 ბონმა მნიშვნელოვანი ქალაქები დასთვალა, ქვისაგან აგე-
 ბული საუცხოო საზოგადოებრივი შენობები, თვით ფორუ-



მეზი ნახა და სადაც ყველაფერი მოიპოვებოდა, აღამიანი მოითხოვს, რათა ცხოვრება სასიამოვნო თათრებმა და დალისტნელებმა ისე გაანადგურეს ეს კურთხეული ქვეყანა, რომ საშინელ უდაბნოდ აქციეს და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოდგენაც კი არა აქვს რას ნიშნავს საამური ცხოვრებაო; ის მიწურში ჩამალულა და მხოლოდ მშვიდობიანობას ეძებს, მაგრამ მაინც ვერ პოულობს, ვინაიდან საშინელი ლეკი თვით ამ საფლავშიც ესხმის თავსო.

იმავე მოგზაურის მოწმობით ქვემო ქართლი ანუ სომხითი ოცდაათი წლის განმავლობაში სრულიად უდაბური ყოფილა და ხელახლა მხოლოდ ერეკლე მეფის წყალობით დასახლებულა. საქართველო კიდევ უფრო დაცარიელებოდა, მაგრამ ერეკლემ თურქებთან ხელშეკრულება დასდო, ქართველ ტყვეებს ნუ იყიდითო; სამწუხაროდ მეფეს ყოველთვის ძალა არ ჰყოფნის თავისი მეამბოხე ვასალები დაიმორჩილოსო; როცა საჩივარი მის ყურებამდე აღწევს, მებატონე თავს იმართლებს არა მარტო იმით, რომ ჩემი ქვეშევრდომის სიცოცხლის და ქონების სრული პატრონი ვარო, არამედ იმითაც, რომ მეზობელი მებატონეებიც ასე იქცევიანო. რადგან დანაშაული ხშირია, ძნელია კანონის განხორციელებაო. ერთმა თავადიშვილმა მთელი სოფელი აპყარა, ებრაელებით დასახლებული, სასამართლოში კი თავი იმით გაიმართლა, რომ ამით მინდოდა შური მეძია ქრისტეს სისხლის დამღვრელების წინააღმდეგო.

და მართლაც, თუმცა მეფე ერეკლე, მოუცლელობის მიუხედავად, ხშირად თვით წვრილმანი სადაო საქმეების გარჩევაში ერეოდა და საშუალო საუკუნეების გერმანელ იმპერატორივით ცაცხვის ან ჭადრის ხის ქვეშ უყვარდა დაჯდომა,



რათა უბრალო ხალხის საჩივარი მოესმინა და განჩინება გამოეტანა, მაგრამ ყოველი გლეხისათვის ადვილად არ იყო მეფის ნახვა მისი მოგზაურობის ან, მით უმეტეს, თბილისის სასახლეში ყოფნის დროს. თუმცა ერეკლე მეფემ ქართულ ვერცხლის ფულზე სასწორი გამოახატვია, როგორც სამართლიანობის ემბლემა, მაგრამ საერთოდ მართალია მისი განათლებული შვილიშვილი იოანე, რომელიც ამბობს, ქართლში სამართალი არასოდეს არ ქმნილაო.

რაც შეეხება ქიზიყისა და კახეთის მდგომარეობას მეთრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მათ ობიექტურად დახატულ სურათს აკადემიკოსი გიულდენშტედტი იძლევა, რომელიც ერეკლე მეფეს ახლდა თან, როცა მან ეს პროვინციები მოვლო 1771 წლის თებერვალსა და მარტში. 21 თებერვალს მთელს თბილისს ბუკით სამჯერ ეუწყა, რომ მეფე კახეთში მიემგზავრებოდა. საღამოს ხუთ საათზე ერეკლე დაიძრა ამალისა და ათასი შეიარაღებული კაცის თანხლებით. მას ახლდა რუსეთის იმპერატორის რწმუნებული ლეოვი და აკადემიკოსი გიულდენშტედტი რამდენიმე რუსი სტუდენტითა და კაზაკითურთ. სოფელ ნავთლულში ორმოცდაათი სახლი და მრავალი მიწური იყო. მას აგრეთვე ერეკლეს ციხე ერქვა, იმიტომ რომ მეფემ ის გალავნითა და კოშკებით გაამაგრებინა. იორის ქვემო მარჯვენა ნაპირები, სადაც წინათ ბლომად ბრინჯი მოჰყავდათ, სრულიად უკაცრიელი იყო. საგარეჯოში ხუთასამდე კომლი ცხოვრობდა, ხოლო მანავი თითქმის ცარიელი იყო. კოდალო, ჯიმიტი, მელაანი პატარა სოფლებს წარმოადგენდნენ და მეფეს ეკუთვნოდნენ, სამაგიეროდ საკმაოდ დასახლებული და კეთილმოწყობილი სოფელი იყო ვაჭირი, სადაც მეფე თავისი ამალითურთ ათი დღე დარჩა. მთელი ქიზიყი ვაჭირიდან დაწყე-



ზული ხირსამდე საკმაოდ მკიდროდ იყო დასახლებული და ყანებითა, ვენახებითა და ბაღჩეებით იყო დაფარული. მეფეს მრავალი ცხენოსანი ან ქვეითი გლეხი ხვდებოდა, ისინი მის წინაშე მუხლს იდრეკდნენ და სამართალს სთხოვდნენ, ხანდახან სადაო მიწებს აჩვენებდნენ. ზოგიერთ ადგილას ერეკლე განკარგულებას იძლეოდა, ამ წყაროს გალავანი შემოევიღოს, აქ სიმაგრე გაკეთდესო.

რაც შეეხება თელავს, გიულდენშტედტი ამბობს, კახეთის დედაქალაქი არსებითად სამი ციხისაგან შესდგებაო: შუაშია ეგრეთწოდებული ბატონის ციხე მეფის საცხოვრებელი კოშკითა, ეკლესიითა და ხის შენობებითო. ამ ციხის გალავანს გარედან სომხების დუქნები აკრავსო. მეორე ციხეში, რომელიც კახელ თავადიშვილებს ეკუთვნის, მათი ყმა გლეხები ცხოვრობენო. მესამე თავად ვახვანიშვილებისაა, მის გალავანში მოთავსებულია ეკლესია და მებატონეებისა და მათი გლეხების ოჯახებიო. კურდღელაურსა და მის მახლობელ სოფლებში კი დაახლოებით ორას ორმოცდაათი კომლი თარაქამა ცხოვრობს თავიანთი ჯოგებითა და ფართოთ.

ქიზიყთან შედარებით უფრო დარბეული სჩანს შიგნით კახეთი. მაგრამ აქაც ყველგან გავრცელებულია მევენახეობა, ხოლო ბაღები და ნასახლარები ბროწეულის, ლელვის და ატმის ხეებითაა სავსე. ყოველი ოჯახი ორიდან ოთხ ფუთამდე აბრეშუმის პარკს ღებულობს, რაც მას კარგს შემოსავალს აძლევს, ვინაიდან გირვანქა პარკს სამი აბაზიდან ოთხ აბაზ ნახევრამდე ჰყიდის.

საერთოდ უცხოელი მეთვალყურენი ადასტურებენ, რომ ქიზიყსა და კახეთში სოფლის მოსახლეობას უფრო ჯანსაღი სახის გამომეტყველება ჰქონდა, რომ განსაკუთრებით მთიანი ნაწილი სასეირნო პარკს ჰგავდა, სადაც ყოველი ნა-



კადულის პირას ხის სახლები იდგა და სადაც ხალხი ბედნიერი იყო, სანამ ტყიდან ლეკების ბანჯგვლიან მძღობნა არ დაინახავდა. მაგრამ აქ ის მტერს მეტს წინააღმდეგობას უწევდა, თვითონაც თავს ესხმოდა ქარ-ბელაქნელებს და ტყვეს არ ანთავისუფლებდა, სანამ ერთი ლეკის სანაცვლოდ სამ ტყვე ქართველს არ მიიღებდა.

ერეკლე მეფეს მშვენივრად ესმოდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის, განსაკუთრებით მადნეულობის დამუშავების მნიშვნელობა და მან კახეთში აკადემიკოსი გიულდენშტედტი, სხვათა შორის, გეოლოგიური გამოკვლევის მოსახდენად წაიყვანა და იქ მას ნავთის და მარილის საბადოები აჩვენა. ამავე მიზნით ამ გერმანელმა მეცნიერმა შემდეგ ბორჩალო და ყაზახი მოვლო. ის ამბობს, მეფემ ჩემთვის ცხოველები დააჭერინა და მინერალები შეაგროვებინა, გლაუბერის მარილის და სხვა მადნეულობის ნიმუშები გამომიგზავნა, რამდენჯერმე სასახლეში მიმიწვია და გულთბილად მესაუბრაო; გამომკითხა ჩემი სამშობლოს ვითარებაზე, პრუსიის ომზე და სხვაო. უმეტეს შემთხვევაში მასთან ვხვდებოდი მის მამიდაშვილს პატრიარქ ანტონის, რომელიც მეფეს აგრეთვე თან ახლდა, როცა ის ჩემს ბინაში მოვიდა, რათა ჩემი საბუნებისმეტყველო კოლექციები დაეთვალიერებინაო. ცოტა უფრო გვიან სამი უფლისწულიც მეწვიაო.

ერეკლეს უნდოდა აკადემიკოსი გიულდენშტედტი საქართველოში დაეტოვებინა, ვინაიდან ამ მსწავლულ ბუნებისმეტყველს მედიკური განათლებაც ჰქონდა მიღებული, საქართველოს კი მუდმივი ომიანობისა და ეპიდემიების გამო მეტისმეტად ეჭირვებოდა განათლებული ექიმები. მაგრამ გერმანელი მეცნიერი, როგორც ეტყობა, დააფრთხო საქართველოში მუშაობის პირობებმა. მოთარეშე ლეკები ქართლ-



კახეთის მეფესა და მცხეთის კათოლიკოსივით მოქმედებულ
 ზულად არ ებყრობოდნენ ზოოლოგიურ ფიტულუმებს და
 ბოტანიკურ თუ მინერალოგიურ კოლექციებს. გიულდენ-
 შტედტი მოგვითხრობს, როცა მუხრანიდან ნარეკვავის და
 არაგვის შესართავთან მივედი, იქ სამასი შეიარაღებული
 კაცი დამხვდა ერეკლე მეფის მიერ გამოგზავნილი, ვანიიდან
 მთელი ეს კუთხე გავერანებულია და ღართისკარი მეტად
 სახიფათო ადგილს წარმოადგენს; ხოლო როცა საბუნების-
 მეტყველო კვლევა-ძიების მიზნით ყაზახსა და ბორჩალოში
 გავემგზავრე, ოცდათექვსმეტი რუსის კაზაკი მახლდა, ორმო-
 ცი შეიარაღებული კაცი კიდევ მეფემ მომცა, ხოლო ოცდა-
 ათი ჩემმა პაციენტმა ქსნის ერისთავმაო. მაგრამ ლეკების
 წინააღმდეგ ხშირად არც ასეთი არაჩვეულებრივი ღონის-
 ძიებანი შევლოდა. როცა რუსეთის რწმუნებულმა გვარდიის
 კაპიტანმა ლვოვმა რუსეთში საქართველოს ფლორის და ფა-
 უნის კოლექციები წაიღო, მას შვიდი კილომეტრის მანძილ-
 ზე თბილისიდან ლეკები დაესხნენ თავს, ცხენები წაართვეს
 და მხლებლები დაუხოცეს.

გიულდენშტედტის მოწმობით, ერეკლე მეფეს თბილისში
 ვერცხლის და სპილენძის ფულის საჭრელ ზარაფხანას გარ-
 და მარილის საწმენდი და ლითონის სადნობი ქარხნები ჰქო-
 ნია, მხოლოდ ისინი სათანადო სიმაღლეზე არ მდგარან ტექ-
 ნიკურად. ლითონის მრეწველობის განვითარებას დიდად
 აბრკოლებდა მუშახელის სიმცირე, დახელოვნებული ოსტა-
 ტების უყოლობა და მადნის სიძვირე. გერმანელი მეცნიერი
 აშპობს, აბტალის მაღაროებში მუშაობა ლეკების თავდასხმე-
 ბის გამო ათი წლის წინათ შეწყვეტილა, გადარჩენილი მო-
 სახლეობა ნაწილობრივ ბორჩალოში გაქცეულა, ხოლო ნაწი-
 ლობრივ კახეთში, მხოლოდ კაკლის, ბროწეულის და ჭერა-
 მის ხეები მოწმობენ, რომ აქ ოდესღაც ცხოვრება ჰყვოდაო.

9. გ. ქიქოძე.



როცა სამოცდაათიან წლებში ერეკლემ ახტალის და ალავერდის საბადოებში ოქრო-ვერცხლის და სპილენძის მადნის ამოღება განაახლა, მან თავდაპირველად ორმოცდაათამდე ქართველი ახალგაზრდა შეაგროვა სამთამადნო საქმის შესასწავლად. ერთს წერილში, რომელიც კათოლიკოსის სახლთუხუცესის გედევანიშვილისადმი უნდა იყოს მიმართული, ის სწერს, კათოლიკოსის საყმომ ექვსი კაცი უნდა გამოიყვანოს ოციდან ოცდაათ წლამდეო: „ამ შაგირდებს თითო ხელი ტანისამოსი, თითო წამოსასხამი ნაბადი, თითო თოფი და იარაღი და ხუთ-ხუთი მინალთუნი უნდა მისცეთ. ამაზე ნურაინ დაბრკოლდება, ეს სარწმუნოების ერთგულებაც არის და თავის ქვეყნისაც. ეს რომ ჩვენს ქვეყანაში გამრავლდეს, მტრისგან ჩვენი ქვეყნის მორჩენა ამას შეუძლია; რომელიც ამ ხელობას ისწავლის, თავის ოჯახს გაამდიდრებს. ჯერ ამის გემო არ იციან, თვარემ ამის სწავლისათვის კიდევ შემოგვეხვეწებიან. წელიწადში ერთი ოსტატი სამოცს-ოთხმოცს თუმანს მოიგებს და ამის უკეთესი მოგება ჯლები კაცისათვის სხვა რა უნდა იყოს“.

ამრიგად ერეკლე მეფე სცდილობდა მომავალი მადანჩების რელიგიურ, პატრიოტულ და უტილიტარულ გრძნობაზე ემოქმედნა ერთსა და იმავე დროს; მაგრამ მას წინ ელობებოდა მისი სამეფოს დაცარიელება და ტექნიკური ჩამორჩენა. ვარდა ამისა ორმოცდაათი კაცი, რასაკვირველია, საკმაო არ იყო ახტალის და ალავერდის მადნების საექსპლოატაციოდ. ამიტომ მან გიუმშიშხანედან ბერძენი მემადნე მუშები და ოსტატები მოიწვია, საბადოების მახლობლად დაასახლა და ყოველმხრივ ხელისშემწყობი პირობები შეუქმნა მუშაობისათვის. ორიოდე წლის შემდეგ მართო ახტალის ვერცხლის მადანი ხაზინას უკვე სამოცი ათასი მანეთის მოგებას აძლევდა, რაი-



ცა დაახლოებით მთელი სახელმწიფო შემოსავლის ერთ მეტეულს
 თედს შეადგენდა. ეს მნიშვნელოვანი სტატია იყო საქართველოს
 კახეთის სამეფოს ბიუჯეტში ნატურალური და ფულადი გა-
 დასახადების, საქონლის ბაჟის, მარილის მონოპოლიის, დამ-
 ნაშავეთა ქონების კონფისკაციის და სხვათა გვერდით.

XVII

ასპინძის ბრძოლა

იმ დროს, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ-
 აღმოსავლეთის საზღვრებზე, ერანის დასუსტების გამო,
 ერთგვარი წონასწორობა დამყარდა და ერეკლე მეფეს,
 უმთავრესად, ლეკების შემოსევის და ფეოდალური ანარქიის
 წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა, იმერეთის სამეფო, რომე-
 ლიც უფრო ძლიერი სახელმწიფოს, თურქეთის იმპერიის
 გავლენის ქვეშ იყო მოხვედრილი, ფიზიკური არსებობის
 შენარჩუნებას ცდილობდა.

ერეკლე მეფის თანამედროვე სოლომონ პირველი თხუთ-
 მეტი წლისა იყო, როცა ის იმერეთის ტახტზე ავიდა (1751
 წ.). მას მეტისმეტად მძიმე პირობებში ერგო წილად მეფო-
 ბის დაწყება. მართალია, მრავალერიანი ქართლ-კახეთის
 სამეფოს წინააღმდეგ იმერეთი მხოლოდ ქართველი ტომისა-
 გან შესდგებოდა, მაგრამ ის ბევრად უფრო მცირე, ღარიბი
 და შინაგანად გათიშული იყო. იმერეთის ოთხ მთავარ ციხე-
 ში, ქუთაისსა, ბაღდადსა, შორაპანსა და ცუცხვათში ოსმა-
 ლოს მეციხოვნე რაზმები იდგნენ; ამ რაზმების უფროსები,
 რომელნიც ხანდახან თვით მოღალატე იმერლებიდან ინიშ-
 ნებოდნენ, ერეოდნენ იმერეთის მმართველობაში. შედარე-

ბით კეთილმოწყობილ პროვინციას რაჭის საერისთავო წარ-
მოადგენდა, მაგრამ რაჭის ერისთავი როსტომი, ^{წინააღმდეგ}
თითქმის დამოუკიდებელი მფლობელი იყო. იმერეთის შე-
ფეს ეურჩებოდა აგრეთვე ზემო იმერეთის გავლენიანი ფეო-
დალი ლევან აბაშიძე, რომელიც დამოუკიდებელი არგვეთის
სამთავროს შექმნას ფიქრობდა.

რადგან ხანგრძლივი ომიანობისა და შინაგანი სამოქალაქო
ომების გამო იმერეთი იმდენად გაღარიბებული იყო, რომ
უცხოეთის ბაზარზე გასატანად არაფერი გააჩნდა გარდა ცო-
ტაოდენი აბრეშუმისა, თაფლისა და იაფფასიანი დაუმუშა-
ვებელი მასალისა, ხოლო ევროპიდან და თურქეთიდან უფ-
რო ძვირფასი ქსოვილები, იარაღი და ფუფუნების პროდუქ-
ტები შემოჰქონდა, ის თავისი საგარეო ვაჭრობის პასივს
ტყვეების გაყიდვით ინაზღაურებდა. ტყვეების გაყიდვა იმე-
რელი ფეოდალების ერთერთ მთავარ შემოსავლის წყაროს
წარმოადგენდა, ამიტომ ზოგიერთმა მათგანმა განსაკუთრე-
ბით მწვავედ იგრძნო ახალგაზრდა მეფის მიერ ამ აღებ-მი-
ცემის აკრძალვა. ეს ღონისძიება არ მოეწონა აგრეთვე არც
სტამბოლის მთავრობას, რომელმაც მასში თავისი სუვერე-
ნული უფლების შეზღავანვა დაინახა.

ამას მოჰყვა თურქეთ-იმერეთის ომი, რომელიც დროგა-
მოშვებითი შესვენებით თითქმის ოცდაათი წელიწადი გაგ-
რძელდა. ამ ხანგრძლივ და უთანასწორო ბრძოლაში სოლო-
მონ პირველმა გასაოცარი გამძლეობა, პოლიტიკური ტაქტი-
კა და სტრატეგიული ნიჭი გამოიჩინა; მან რამდენჯერმე ბრძო-
ლის ველზე (ხრესილის მინდორზე და სხ.) დაამარცხა მტრის
ჯარი, რამდენჯერმე მათი რაზმებისაგან გასწმინდა იმერე-
თის ციხე-სიმაგრეები, ბოლოს მტრის მიდგომისთვის დასა-
ჯა როსტომ ერისთავი, ხოლო რაჭის საერისთავო გააუქმა.

მაგრამ თურქეთის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის
წარმოებლად იმერეთის მეფეს სჭირდებოდა მეფობის
მფლობელების, გურია-სამეგრელოს მთავრების, ^{მეფობის}სამურხა-
ყანოს მებატონის მიმხრობა, ისინი კი ყოველთვის საიმედო-
ნი არ იყვნენ და, გარემოების მიხედვით, ხშირად მტრის
მხარეზე გადადიოდნენ. საკუთარი ჯარის სიმცირის გამო
სოლომონი ხანდახან იძულებული იყო ლეკების რაზმები
მოეწვია და თავისი ღარიბი სალაროდან საკმაოდ დიდი ჯა-
მაგირი ეძლია მათთვის. მაგრამ ეს რაზმები შინ წასვლის წინ
სძარცვავდნენ და ატყვევებდნენ თვით მისსავე ქვეშევრ-
დომთ. სოლომონმა და ერეკლე მეფემ 1758 წ. სამხედრო
კავშირი დასდეს, რათა თავიანთი სამეფოები დაეცვათ
მტრის შემოსევისაგან, მაგრამ თურქეთის იმპერიის რიღით
ერეკლე წინააღმდეგი იყო ქართლ-კახეთის სამხედრო ძალის
მიშველებისა იმერეთისთვის.

ასეთ პირობებში სოლომონ პირველმა 1768 წელს გადას-
წყვიტა მფარველობა და დახმარება ეთხოვა რუსეთის მთავ-
რობისთვის. ეკატერინე მეორისადმი მიმართულ წერილში,
რომელიც მან საგანგებო ელჩის, ქუთათელი მიტროპოლი-
ტის მაქსიმეს ხელით გაგზავნა, ის სწერდა: ან იმერეთის
სამეფო „საიმპერიოდ აღრიცხეთ“, რათა მეფე იმერეთისა
„ქრისტეს შეწევნითა აღმოსავლეთის სარწმუნოებისა და
სჯულისთვის ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურზედ
უცხო თესლთა, ოსმალთ შევაკედე და ვიდრე სისხლის და-
თხევამდე ხელმწიფის სამსახურზე ვიღვწო“, ან თუ ეს არ
მოხერხდება, ე. ი. თუ ეკატერინე მეორე იმერეთის სამე-
ფოს პოლიტიკურ მფარველობას არ ინებებს, „აქვე განგვა-
მტკიცეთ სახსართა და შეწევნათა მიერ, რომ ჯარის მი-
ცემა შევიძლო და მით უძლოთ წინააღმდეგომად ოსმანთა,
რამეთუ ჩვენ სახმართაგან ფრიად ნაკლულოვან ვართ“.



იმერეთის ელჩი სწორედ იმ დროს მივიდა პეტერბურგში, როცა იქ დიდი სამზადისი ხდებოდა თურქეთის წყევალს; ამიტომ მაქსიმე ქუთათელი ხელგაშლილი მიიღეს. რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა მტრის წინააღმდეგ ორი მიმართულებით დაეწყო საომარი მოქმედება. მთავარი ჯარი ყირიმისა და ბალკანეთისაკენ უნდა დაძრულიყო, მდინარე დნესტრი გადაელახა, ქრისტიანი სლავიანები აეჯანყებინა სულთანის მთავრობის წინააღმდეგ და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, თვით სტამბოლის აღებით მომაკვდინებელი ლახვარი ჩაეცა თურქეთის იმპერიისათვის. მეორე ჯარს შეტევა მდინარე ყუბანზე უნდა დაეწყო, სადაც იმჟამად თურქეთის საზღვარი გადიოდა. ასეთ გარემოებაში იმერეთისა და ქართლ-კახეთის მიმხრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის, ვინაიდან მათი მცირერიცხოვანი ძალაც კი სახიფათო იყო თურქთა არმიის ქედისა და მარჯვენა ფლანგისათვის კავკასიაში.

ამიტომ ეკატერინე მეორის მთავრობამ ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობა გამართა ერეკლესა და სოლომონთან. მან საქართველოში გამოგზავნა საგანგებო რწმუნებული, ნახევრად გარუსებული თავადი ქობულაშვილი-ხვაბულოვი და ქართველ მეფეებს სთხოვა ერთმანეთს შეთანხმებოდნენ საომარი მოქმედების გეგმაში. სოლომონ მეფე მართლაც თბილისში მოვიდა, ერეკლე მეფეს ეთათბირა და მასთან ერთად შეჰფიცა, რომ საერთო საქმეს არ უღალატებდა.

ერეკლე მეფის რუსეთისადმი მიმხრობამ შეშფოთება გამოიწვია ოსმალეთში. სტამბოლის მთავრობამ თბილისში ელჩები გამოგზავნა და ნეიტრალიტეტის დაცვა ითხოვა. თავის მხრით „გულწმინდა ნაჰამან, ვალი ჩილდირისა“, ქარ-



თულად დაწერილს წერილში ერეკლე მეფეს სთხოვდა, სოლომონ მეფეს მხარს ნუ დაუჭერ მის ანტითურქულ ტიკაშიო. ერეკლემ თურქეთის ელჩებს კარგა ხანს არავითარი პასუხი არ გასცა; ხვაბულოვი მისი ბრძანებით ქართულ ტანისამოსში გამოეწყო და მაინც და მაინც არ ჩნდებოდა საჯარო ადგილებში. მაშინ თურქეთის ელჩებმა მისი დაზვერვა დაიწყეს მის საკუთარ ბინაზე. ამან ერეკლე მეფე გააბრაზა და მან თურქები უპასუხოდ გაისტუმრა.

ამის შემდეგ ერეკლემ პეტერბურგის მთავრობას სთხოვა ხუთი პოლკი მოეშველებინა მისთვის, რათა „ამ ჯარის შეწყვენით, რომელნიც რომ არარატის მთის გარშემო ანუ ახალციხისა ანუ ყარსის გარშემო ქრისტიანნი არიან და იგინი ოსმალთა მონებასა ქვეშე იმყოფებიან, და კვალად, რომელნიც შავი ზღვის გარშემო ჩვენ კერძო ადგილნი უჭირავთ, შესაძლებელი არს, რომ ყოველივე ძალითა ღვთისათა მიუღლოთ“. ცხადია, ერეკლე მეფე რუსეთ-თურქეთის ომში ფართო პოლიტიკური მიზნებით ებმოდა; მას უნდოდა დაებრუნებინა სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი და ტაო-კლარჯეთი; ეს პროვინციები ერთ დროს ბაგრატიონების პირველ სამკვიდროს და ქართული კულტურის აკვანს წარმოადგენდა, მეთვრამეტე საუკუნეში კი მოთარეშე ლეკთა ბელადების და ახალციხის მმართველების ურთიერთ დახმარების გამო ქართლ-კახეთის დარბევის და დაუძლურების ხელისშემწყობ ასპარეზად იყო გადაქცეული.

იმ დროს საქართველოში ბევრად უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ რუსეთზე, ვიდრე რუსეთში საქართველოზე. საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი მიმართულ წერილში ეკატერინე მეორე ითხოვდა, ზედმიწევნით მაცნობეთ, სად ძეგს თბილისიო. იმდროინდელ რუსულ გეოგრაფიულ რუკებ-



ზე თბილისი ხან კასპიის ზღვის პირას იყო მთავრებული, ხან შავი ზღვის პირას, ხან კიდევ სადმე შუა მდებარე ტერბურგში გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოს სამხედრო ძლიერებაზე. იქ ეგონათ, რომ ერეკლე და სოლომონი ოთხმოცი ათასი კაცის გამოყვანას მაინც შესძლებდნენ ბრძოლის ველზე, ე. ი. დაახლოებით იმდენს, რამდენსაც იმ დროს მთელი იმერეთის სამეფოს მოსახლეობა აღწევდა.

რუსის ჯარის საექსპედიციო კორპუსმა მოზდოკში მოიყარა თავი და 1769 წლის შემოდგომაზე დიდი გაჭირვებით დარიალის ხეობა გადმოლაზა, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში. ერეკლე მეფე მას კობში შეეგება. ამ კორპუსში შედიოდა ერთი ქვეითი პოლკი, ათასამდე ცხენოსანი კარაბინერი, ჰუსარი, დონის კაზაკი და ყალმუქი და თორშეტი საველე ზარბაზნიდან შემდგარი არტილერია.

რუსეთის მთავრობასა და მისი საგარეო პოლიტიკის იმდროინდელ ხელმძღვანელს გრაფ პანინს უნდოდათ ამ მცირე ძალით ფართო იმპერიალისტური მიზნები განეხორციელებინათ, ისე კი რომ ქართველებს ჰგონებოდათ, საკუთარი მიზნებისათვის ვიბრძვითო. მაგრამ ერეკლე მეორე და სოლომონ პირველი ადვილად მოსატყუებელი პოლიტიკოსები არ იყვნენ: მათ სრულიადაც არ სწადდათ უარი ეთქვათ თავიანთ სუვერენულ უფლებებსა და თავიანთ ნაციონალურ მიზნებზე, რათა რუსის ჯარის კორპუსში დაქვემდებარებული სარდლის თანამდებობა მიეღოთ.

მდგომარეობას აუარესებდა ის, რომ თვით რუსის კორპუსის სარდალი უხეიროდ იყო არჩეული. გრაფმა ტოტლებენმა არც რუსული ენა იცოდა და არც ქართული, მას ორი თარჯიმანი სჭირდებოდა მეფეებთან მოლაპარაკების დროს. ეს

იყო ტლანქი და ზვიადი გერმანელი, რომელთანაც ურთიერ-
თობის დამყარება ძნელი აღმოჩნდა თვით ისეთი განუხრავი
დილი დიპლომატიისთვის, როგორც იყო ერეკლე მეფე. ის
მოკლებული არ იყო სამხედრო ნიჭს, წინათ, სხვათა შორის,
მონაწილეობას იღებდა პრუსიის ომში და ბერლინი აიღო;
მაგრამ მისი ავანტიურისტული მიდრეკილება, მისი საეჭვო
და ბნელი წარსული მას გამოუსადეგს ხდიდნენ ასეთ მნიშ-
ვნელოვან პოსტზე, სადაც მხედართმთავარს ღრმა პოლი-
ტიკური ჭკუა და დიპლომატიური მოქნილობაც უნდა ჰქო-
ნოდა. ის ელისაბედ პეტროვნას მეფობის დროს გასამართ-
ლებული და უფლებააყრილი იყო მტერთან საიდუმლო კა-
ვშირის დამყარებისთვის, ხოლო თუ ეკატერინე მეორემ
მისი თხოვნა შეიწყნარა და მას ხელახლა გენერალ მაიორის
ხარისხი დაუბრუნა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ რუსეთს იმ
დროს მრავალი საუცხოო ჯარისკაცი ჰყავდა, მაგრამ სათანა-
დოდ მომზადებული უფროსი შემადგენლობა აკლდა. თავის-
თავად ცხადია, რომ ასეთს მხედართმთავარს ავტორიტეტი
არ ექნებოდა თავისივე ხელქვეითების მიმართაც.

გრაფ ტოტლებენს უნდოდა თავდაპირველად იმერეთში
გადასულიყო და სოლომონ მეფის ჯარს შეერთებოდა, რა-
თა მასთან ერთად თურქების წინააღმდეგ შეტევა დაეწყო
შავი ზღვის მიმართულებით. როგორც შემდეგ ნათლად გა-
მოიჩვენა, ამ გეგმის განხორციელება არავითარ მნიშვნელო-
ვან შედეგს არ უქადდა რუს-ქართველ ჯარს, მას კოლხი-
დის ჭაობებში ჩაფვლა მოელოდა. ტოტლებენის გეგმას ერეკ-
ლემ ბრწყინვალე საომარი გეგმა დაუპირდაპირა. მან შეაგ-
როვა შვიდი ათასი ჯარისკაცი და ტოტლებენს წინადადება
მისცა თავდაპირველად სურამის, სადგერისა და აწყურის
გზით ახალციხისაკენ გალაშქრებულიყვნენ. ახალციხის აღე-
ბა დიდ უპირატესობას მიანიჭებდა რუს-ქართველ ჯარს,



ვინაიდან ეს ქალაქი მაშინ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრს წარმოადგენდა. იქ საქართველოს მთავრობის მომავალი სამი სტრატეგიული გზა იწყებოდა: ერთი ბაღდადისა და ქუთაისისაკენ ზეკარის უღელტეხილით, მეორე სურამისა და გორისაკენ ბორჯომის ხეობით, ხოლო მესამე თბილისისაკენ ახალქალაქსა და მანგლისზე გავლით. თუ მტერი ახალციხეს დაჰკარგავდა, მას შესაძლებლობა ერთმეორდა შემოტევაზე გადმოსულიყო ქართლისა და იმერეთის წინააღმდეგ; პირიქით, ამ შემთხვევაში რუს-ქართველ ჯარს გზა ეხსნებოდა არტაანისა და ყარსისაკენ.

ტოტლებენმა, როგორც ეტყობა, თავდაპირველად მოიწონა ერეკლე მეფის საომარი გეგმა, და რუს-ქართველთა შეერთებული ლაშქარი 1770 წლის გაზაფხულზე სურამიდან დაიძრა, ქვიშხეთი გაიარა და სადგერში დაბანაკდა. ჯარის წინსვლას, სხვათა შორის, ანელებდა ის გარემოება, რომ როგორც რუსებს, ისე ქართველებს თავიანთი ზარბაზნები ხარებით მიჰქონდათ.

სადგერიდან აწყურისაკენ ორი გზა მიდიოდა: ერთი უფრო გრძელი, მაგრამ შედარებით ადვილი სავლელი, ხოლო მეორე უფრო მოკლე და ძნელი. სადგერის ციხეში დატოვებული იქნა სამოცი კაცი და ერთი ზარბაზანი, ალბათ, იმ შემთხვევისათვის, რომ თუ რუს-ქართველთა ჯარს მარცხი მოუვიდოდა და უკან დახევა მოუხდებოდა, ამ რაზმს უკან დადევნებული მტრისთვის გვერდიდან ან ზურგიდან დაერთყა. სადგერიდან გრძელი გზით ქართველი ჯარი წავიდა, ხოლო მოკლეთი რუსის ჯარი, ისინი 17 აპრილს ერთად მიადგნენ აწყურის ციხეს.

როგორც სჩანს, ერეკლეს არ უნდოდა დრო დაეკარგა აწყურის ციხის აღებაში; მას უნდოდა ეს ციხე უკან მოე-

ტოვებია, მტრისთვის მოფიქრების საშუალება არ მიეცა და მისთვის დაუყოვნებლივ მის მთავარ სტრატეგიულ მიზნებს — ახალციხეზე დაერტყა. მაგრამ ევროპის სამხედრო სკოლაში გაზრდილმა გენერალმა ტოტლებენმა შეუძლებლად მიიჩნია ასეთი თამამი გეგმის მიღება და აუღებელი ციხის დატოვება თავისი ჯარის ზურგში. ერეკლემ ძალუწებურად დაუთმო თავის მოკავშირეს, და რუს-ქართველთა ლაშქარმა აწყურის ციხეს ალყა შემოარტყა. „აწყურის ციხის შემოდგომა ჩემი ნება არ იყო, — სწერდა სამი კვირის შემდეგ ერეკლე მეფე რუსეთის ვიცე-კანცლერს გოლიცინს, — ხმისთვის, რომ რადგან მტრის მამულში ვიყავით, უმჯობესად ეს აღმიჩნდა: მაზნი ქონებულნი, რომელნიც სოფლებში სურსათი აქენდათ, სულ ჩვენ მოგვეგროვებინა და შემოდგომად მისსა, უკეთუ უმჯობესი იქნებოდა, მივსულიყავით ახალციხეზედ“.

მესამე დღეს ალყის შემორტყმის დაწყებიდან, ე. ი. 19 აპრილს აწყურის მეციხოვნე ჯარს ახალციხიდან თურქების და ლეკების ჯარი მოეშველა. ეს გარემოება გარემომცველ ჯარს საფრთხეს უქმნიდა, რომ თვითონ ორ ცეცხლს შუა მოხვდებოდა. ამან ტოტლებენი შეაშინა და ის იმავე დღეს უკან დახვევის სამზადისს შეუდგა. „მე მიველ და ღრაფს დიდათ ვევედრე და ჩემი თავი ვითა ერთი მისისა კამანდის აფიცერი ეგრეთ კამანდაში ვაძლივე და მრავალს ვევედრე გამობრუნებას მტერზედ“, სწერს იმავე წერილში ერეკლე მეფე. მაგრამ ტოტლებენზე არავითარმა საბუთმა არ გასჭრა, მან ოთხი-ხუთჯერ ზარბაზანი ესროლა აწყურის ციხეს და სურამისაკენ გამობრუნდა.

აწყურიდან გამობრუნების წინ ტოტლებენთან გიორგი ბატონიშვილიც მისულა და უთქვამს: „ღენერალო, სირცხვი-

ლია ამისთანა დროსა ღალატი მეფისა“. — „არა შექვს ბრძანება იმპერატრიცისა, რომ შევება ჯარითა ესრეთ მცოდნითა მტერსა დიდსა უსარგებლოდ“, უპასუხნია ტრეტლენბერგს. — „მაგითი, ღენერალო, არცხვენ რუსეთისა ჯარსა და უტევსახელსა დიდსა რუსეთსა. ღმერთი ჩვენსკენ იქნება, ჩვენ შევებმით, გავიმარჯვებთ და მოვახსენებთ იმპერატრიცასა შენსა სიმხდალესა“. პლატონ იოსელიანი, რომელიც ამ საუბარს გადმოსცემს, დასძენს: მამაცს ირაკლის მოახსენეს ესე საუბარი მეფისა ძისა ღენერლისადმი; არ მოიწონა ზრდილობითა ესე, და უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა სარომართა, ერიდებოდა რუსეთისა წყენასა კვალადაცა საიმედოს ქრისტიანობის გამო.

ომან ხერხეულიძე რუსის ჯარის სარდლის მოქმედებას ბოროტი კაცების ინტრიგებით ხსნის. ხოლო დავით ბატონიშვილი ამბობს, უფრორე მეფისა სოლომონისა მიერ წარმოიშვა შორის მეფისა და გრაფისა სანდურავიო; ვინაიდან არა სწადდა მეფესა სოლომონს განდიდება მეფისა ირაკლისა და მუდამ მზირ ეყვის მას, რათა ჰსცეს ნაკლულოვანება რაიმე მეფესაო. მაგრამ დღეს ცხადია, რომ აწყურის ოპერაციის მარცხი, უწინარეს ყოვლისა, იმით იყო გამოწვეული, რომ რუს-ქართველთა ლაშქარს ორი სწორუფლებიანი მხედართმთავარი ჰყავდა; ერთ მათგანს მეტი ძალა ჰქონდა, ვინაიდან რეგულარული ჯარის ნაწილებს მეთაურობდა, ხოლო მეორეს მეტი გამჭრიახობა, გამოცდილება და ადგილობრივი პირობების ცოდნა ახასიათებდა.

რუსის ჯარის უკან გამობრუნებამ ერეკლე მეფე დიდად სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენა, ხოლო თურქები და ლეკები დიდად გაამხნევა. ერეკლე ხედავდა, რომ თუ ისიც სურამისკენ გამობრუნდებოდა, შეიძლებოდა მტერი დადევ-



ნებოდა და ვიწრო ხეობაში გამანადგურებელი ზიანი მიუყენებინა მისთვისაც და მისი არასაიმედო მოკავშირისთვისაც, რომელიც იქ თავის არტილერიას ვერ მოიხმარდა. ამიტომ ის იძულებული გახდა ბრძოლით ცოტათი წინ წასულიყო ახალციხის მიმართულებით, ერთხანს იქ გამაგრებულიყო და რუსის ჯარის უკან დახევა დაეფარა. შემდეგ მან მტკვრის გამოღმა მდებარე სოფლები მოარბია და თბილისისკენ დაიძრა ასპინძისა და წალკის გზით.

ამ მანევრმა, როგორც ეტყობა, დააბნია მოწინააღმდეგის სარდლობა და მას შეცდომა ჩაადენინა: თურქ-ლეკთა ლაშქარი გამოუდგა არა რუსის ჯარს, რომელიც თავისი ხარშებმული ქვემეხებით ნელა მოძრაობდა ბორჯომის ხეობაში და ადვილად შეიძლებოდა ხაფანგში მოქცეულიყო, არამედ უფრო მსუბუქად შეიარაღებულ და სწრაფად მიმავალ ქართველ ჯარს, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა და მარცხენა ნაპირზე მიმავალ მოწინააღმდეგეს ხშირად ხელის გულივით ხედავდა. ერეკლეს მდგომარეობა გააუარესა იმან, რომ მისი ჯარის მაჰმადიანურ ნაწილებში შერყეობამ იჩინა თავი. როცა მათ დაინახეს, რომ თურქები და ლეკები რუსებს კი არა, მათ დაედევნენ, მათაც უკან დაბრუნება და რუსებთან შეერთება განიზრახეს. ერეკლეს უნდოდა ჯერ შთაგონებით ემოქმედნა მათ ხელმძღვანელებზე. როცა ამან არ გასჭრა, მან საომარი წესის მიხედვით დაასჯევინა ურჩი რაზმების მეთაურები და ამით ბოლო მოუღო თავის ლაშქრის დეზორგანიზაციას.

თურქ-ლეკთა ჯარის სარდლობამ გადასწყვიტა ერეკლესთვის ასპინძასთან გადაეჭრა გზა. ამ მიზნით მან ახალქალაქის და ხერთვისის ციხეებიდან სასწრაფოდ ათასხუთასი კაცი გამოაყვანინა და მტკვრის მარჯვენა ნაპირას ჩაასაფრებინა. მაგრამ ერეკლემ არ აცალა, სანამ მათ მთავარი ძალა

ასპინძის ომში განსაკუთრებით თავი ისახელა ერეკლე მეფის დის ქმარმა დავით სარდალმა, რომელსაც გობარმა პოეტმა ბესიკმა ცნობილი ოდა მიუძღვნა. ამ ოდის ზოგიერთი ტაეპი საკმაოდ რეალისტურად გადმოსცემს იმდროინდელი ბრძოლის სურათს:

გამოვლეს წყალი ოსმალთა და აგრევ ლეკთა კიყინით,
ღელი ბაშალა ლევანდი სულ ზედ დაესხნეს მიყინით:
„ღაბრუნდით, ნულარ დასდგებით!—ხმა ისმა—რას დაგვიყინით?“
ერთის ხმა ასად ეგონისთ, შაშხანა მოსწვიშს კიყინით.
მაშინ გულს დაჰკარ მგელითა, მიწანი შესძრენ რყევითა,
ცხენმა შეგატყო შექშენა, შემზადა ტანი ნძრევითა,
თვალნი ნაკვერცხლად შეგექმნეს, აშეთი სისხლმორევითა,
ცხვირისა ნესტეთა მოჰქროდენ ქარნი ქვეყნისა ნგრევითა.
ზოგმან შემართა შიშითა წყალს გასვლა უფონოებითა,
ზოგნი ერთმანერთს ზოცდიან, სრულად მიხდილნი ცნობითა:
არ იცოდინან, რამც ჰქმნიან, ვერ იყენენ ჭკუაბრძნობითა.
მიღამო ჰკაფდი უწყალოდ, მჭვრეტნი გაქებდენ მხნობითა.

ასპინძის ომში მტერმა თავისი ჯარის ნახევარზე მეტი და მრავალი მეთაური დაჰკარგა. დავით ბატონიშვილი ამბობს, ერეკლე მეფემ თავისი ხელით კოხტა ბელადი მოჰკლაო. თვით ერეკლე თავის წერილში, რომელიც მან თბილისში დაბრუნებისთანავე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, გრაფ პანინს გაუგზავნა, მოკლულთა რიცხვში გოლა ფაშასა, არტაანის და შავშეთის ბეგებსა და კუმუხის ხანის შვილს გარდა, რომლის შეკაზმული ცხენი მისთვის მიუერთმევიათ, ასახელებს მალაჩილას, „რომელი იყო დალისტნის პირველი და ჩინებული ბელადი“, მაგრამ არაფერს ამბობს თავის პი-



რად გმირობაზე. ამავე წერილში ერეკლე გენერალ-ტოტ-
 ლებენის წინააღმდეგ ჩივის, „მე რომ თავისი მამისაგან გი-
 ყავ, მე გამიშვა და ახლა მანიფესტიც გააკეთა, რომლისა
 მოქმედებისაგან მრავალნი რუსეთის და საქართველოს კაც-
 ნი ყოვლითურთ განცვიფრებულნი არიან“.

ასპინძის ბრძოლა ერთი დიდად გონებამახვილი და გმი-
 რული ეპიზოდია ქართველი ერის სამხედრო ისტორიაში;
 მაგრამ მას ის პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია, რაც
 მოსალოდნელი იყო, თუ რუსი და ქართველი ჯარი თან-
 ხმობით იმოქმედებდა და ერეკლე მეფის გეგმის თანახმად
 ახალციხეს აიღებდა. ასპინძის გამარჯვების შემდეგ თბი-
 ლისში დაბრუნებულ მეფეს უნდა ეფიქრნა არა თავისი სა-
 მეფოს გაფართოებაზე და სამაჰმადიანო საქართველოს შე-
 მოერთებაზე, არამედ თავისი ტახტის დაცვაზე რუსის ჯა-
 რის სარდლის წინააღმდეგ.

XVIII

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები

აწყურიდან გამობრუნებული ტოტლებენი ვორის და დუ-
 შეთის გზით ანანურში ავიდა და იქ დაბანაკდა, მოზდოკი-
 დან დამხმარე ძალების მოლოდინში. მის ჯარში, არა მარ-
 ტო ქართველ ოფიცრებში, რომელთაც სამხედრო განათლე-
 ზა რუსეთში ჰქონდათ მიღებული, არამედ რუსებშიც, მისი
 სიტლანქისა და უტაქტობის გამო, თავი იჩინა უდისციპლი-
 ნობამ, უკმაყოფილებამ, თვით შეთქმულებამ. საერთოდ
 უდისციპლინობამ მის ჯარს მეტი ზიანი მიაყენა ვიდრე
 მტრის ტყვიამ: როცა ის შემდეგ საქართველოდან გავიდა,
 უკან ოთხას კაცამდე დეზერტირი დარჩა.



ერეკლე მეფე გამოექომაგა რუს და ქართველ ოფიცერებს რომელთაც თბილისში შეაფარეს თავი, რადგან ტოტლებენმა მათ დასჯას უპირებდა. თავის მხრით ტოტლებენმა სამი-ოთხი ციხე დაიჭირა ქართლში, სხვათა შორის, გორის ციხის ალბაც განიზრაბა, მაგრამ იქ ქართველმა მეციხოვნეებმა მისი რაზმები უკუაქციეს. შემდეგ მან მოიწვია ზოგიერთი თავადიშვილი და სამღვდელო პირი და უმრავლესობას ძალით, ხოლო თითო-ორილას ნებაყოფლობით რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობის ფიცი მიადებინა. მას უნდოდა თბილისისაკენ გამოელაშქრნა, ერეკლე დაეტყვევებინა, მისთვის რუსეთის მთავრობის მიერ მიცემული ორდენი ჩამოერთმია, ხოლო თვითონ პეტერბურგში გაეგზავნა. ცხადია, გენერალ ტოტლებენს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის მთავრობა მის მოქმედებას არ დაიწუნებდა, თუ კი მთელი ოპერაცია რაც შეიძლებოდა უმტკივნეულოდ ჩატარდებოდა. ადვილი შესაძლებელია, თავისი განზრაბვა მას საიდუმლოდ პეტერბურგის კაბინეტის ზოგიერთი გავლენიანი წევრისთვის კიდევ ჰქონდა შეტყობინებული.

ტოტლებენის ინტრიგებმა არა თუ არავითარი გამოხმაურება არ ჰპოვეს ქართველი ერის ფართო წრეებში, რომელთაც ისევე, როგორც პაატა ბატონიშვილის შეთქმულების დროს, ერთგულება შეინარჩუნეს თავისი მეფისადმი, მათ თვით რუსის ოფიცერების დიდ ნაწილზეც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ერთი მათგანი თბილისიდან პეტერბურგის მთავრობას ატყობინებდა, უცილობელი ნიშნებია, რომ გენერალი ტოტლებენი ან ჰკუაზება შემცდარი ან აშკარა მოღალატეაო. მით უმეტეს რუსის გენერლის „მანიფესტს“ თანაგრძნობით ვერ შეხვდებოდა ქართველი გლეხკაცობა, რომელსაც ის პურსა და ქერს ართმევდა, ურმიდან

ხარებს უხსნიდა დასაკლავად, ხოლო თვით მას ცემით უმს-
პინძლდებოდა.

თავი და თავი მაინც ის იყო, რომ ერეკლე მეფე ისეთი
კაცი არ იყო, რომ ასე ადვილად ხელში ჩაეპარდნოდა ავან-
ტიურისტ გერმანელ გრაფს. თბილისში დაბრუნებისთანავე
მან სწრაფად სათანადო ღონისძიებანი მიიღო თავის დასა-
ცავად და ტოტლებენი თავის კალაპოტში ჩააყენა. ამის შემ-
დეგ გენერალ ტოტლებენს ქართლ-კახეთის სამეფოში აღა-
რაფერი ჰქონდა გასაკეთებელი და ის იმერეთში გადავიდა
სოლომონ მეფის მისაშველებლად. მის გადასვლამდე სო-
ლომონს უკვე თურქების მეციხოვნე რაზმები გაერეკა შო-
რაპნის და ცუცხვათის ციხეებიდან, ხოლო ქუთაისის ციხი-
სათვის ალყა შემოერტყა. რუსის ჯარმა ჯერ ბაღდადის
ციხე გაათავისუფლა, ხოლო შემდეგ იმერელთა ჯარს და-
ხმარება გაუწია ქუთაისის ციხის აღებაში. „ყურადღების
ღირსია, სწერდა ეკატერინე მეორე ვოლტერს, რომ სოლო-
მონ მეფის მეუღლე რუსების ბანაკში მისულა და მთავარ-
სარდლისთვის უთხოვნია, ნება მომეცით ციხის აღების შემ-
დეგ პირველი შევიდე შიგო; და მისი თხოვნა შეუსრულე-
ბიათ“.

თურქებს იმერეთის ციხეებში მცირერიცხოვანი რაზმები
ეყენათ. სამაგიეროდ მათ შედარებით კარგად გამაგრებული
ჰქონდათ ფოთის ციხე; მისი აღება ვერც ტოტლებენმა შეს-
ძლო და ვერც გენერალმა სუხოტინმა, რომელიც რუსეთის
მთავრობამ საქართველოში მომქმედი ჯარის უფროსად და-
ნიშნა, რაკი დარწმუნდა რომ ამ პოსტზე ტოტლებენი აღარ
გამოდებოდა. რუსების ჯარი რამდენიმე თვის განმავლო-
ბაში იდგა კოლხიდის კაობებში; ბოლოს ის იძულებული
ვარდა ფოთის ციხის ალყა მოეხსნა და უკან წამოსულიყო,
მალარიის მიერ დიდად შეთხელებული რაზმებით.

გენერალი სუხოტინის მარცხიც, უმთავრესად, იმით არ-
სნებოდა, რომ თავისი წინამორბედის მსგავსად ის არ უწყევლა ქართველი ჯარის სარდლების რჩევას, თვითონ
კი არ იცნობდა ადგილობრივ პირობებს. სოლომონ პირვე-
ლი ეკატერინე მეორეს სწერდა, გენერალმა სუხოტინმა ჩვე-
ნი რჩევა არ მიიღო, ფოთისკენ ზაფხულზე გაილაშქრა და
მრავალი ჯარი დაღუპა ხაშმიან ადგილებშიო.

ქართველი მეფეები, თავიანთი მხრით, რუსი გენერლების
ქედმაღლობის და უნიანობის მიუხედავად, სცდილობდნენ
ერთგულება დაეცვათ მოკავშირის მიმართ. როცა ფოთის
მეციხოვნე ჯარის მისაშველებლად ბათუმიდან თურქების
ჯარი დაიძრა, მას გურიაში სოლომონ მეფემ გზა გადაუჭრა
და რუსის ჯარი სახიფათო სალტეში მოხდომას გადაარჩინა.
ჯერ კიდევ ფოთისკენ გალაშქრებამდე სუხოტინმა ერეკლე
მეფეს წინადადება მისცა, ახალციხის მხარეს ჯარი შეუსიე,
რათა იქიდან მტერმა ფოთს დახმარება ვერ გაუწიოსო.
ერეკლე თრიალეთზე ავიდა და, როგორც შემდეგ გრაფ პა-
ნინს სწერდა, იქ მოლაპარაკება გამართა „ხერთვისის ციხის
და ქალაქის გამომცემ ერთ იქაურ ბეგთან, რომელიც საი-
ღუმლოდ მალვით მოვიდა თავის ნათესავებთან, ციციანოვ-
თან და ფიცით პირობა მოგვცა. ჩვენც ჩვენი ჯარით ორმოც-
დაათს ვერსამდის მივედით და იქიდან ჯარი გავგზავნეთ,
და შევიდნენ ციხეში და წარმოსტყვენეს და დაწვეს“.

რუსეთის მთავრობამ საქართველოში საგანგებო რწმუნე-
ბული გამოგზავნა თავისი ჯარის მარცხის გამოსაკვლევად
და, მისი მოხსენების მიღების შემდეგ, თავისი კორპუსი
უკან გაიწვია (1772 წ.). რადგან რუსეთ-თურქეთის ომი ჯერ
დასრულებული არ იყო, მოკავშირე ჯარის მიერ ბრძოლის
ასპარეზის დატოვებამ ერეკლე და სოლომონ მეფეები დიდს



განსაცდელში ჩააგდო, ზოლო მათი მტრები ყალბად დაიყენა. — დღეს ჩვენზედ იმის მსგავსი დღე მოწვევულ არს ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის, როგორადაც სული და ხორცი განიწვალებისო, სწერდა ერეკლე ეკატერინე მეორეს. რუსეთის საგარეო მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში ერეკლე ამბობდა: „სანამ მათი იმპერატორებრივი დიდებულების ბრძანება მოგვივიდოდა თურქეთ მტერობისათვის, დაზავებით და მშვიდობით ვიყავით ხვანთქართან შერიგებულნი და დაწყნარებულნი; და სპარსეთის მახლობელ ხანებთან ასეთი საქმით ვიყავით: ზოგნი შეშინებულნი გვეყვანდნენ და ხარკს გვაძლევდნენ და ზოგნი მეგობრობით დაზავებულნი გვეყვანდნენ და ზოგის შეშინებას ვცდილობდით. და ახლა ამ საქმეებითა და ამისთანას წინადადებათაგან, რომელიც ზემორე დაგვიწერია, საქართველოში ქრისტიანობა მოისპობის და სრულიად აღოხრდების, თუ ეს კორბუსი აქეთგან უკუმობრუნდების“.

პეტერბურგის მთავრობა განსაკუთრებით სწორედ ერეკლე მეფეს აბრალებდა, რომ რუს-ქართველთა შეერთებულმა ლაშქარმა—„უნაყოფობა, შეუერთებლობა და საზოგადოება მტერსა ზედა განუმხედრელობა“ გამოიჩინა, ვინაიდან ქართლ-კახეთის მეფეს უნდოდა თავის გამოსაჩენად და სახელის მოსახვეჭად გამოეყენებინა რუსის ჯარის კორბუსიო. შემდგომმა ამბებმა გამოამყლავნა რამდენად სამართლიანი იყო ეს ბრალდება.

ასპინძისა და ხერთვისის მარცხისთვის შურის საძიებლად ახალციხის ფაშამ თურქის და ლეკის ჯარი გამოგზავნა ქართლის მოსარბევად. ერეკლე მეფე ცხინვალში იჯდა სადილად, როცა ამ ჯარის მოწინავე ნაწილმა სოფელ ხვითებს მიიღწია. მეფე სასწრაფოდ ამხედრდა თავის ამალით, თავს



დაესხა მტერს და უკუაქცია იგი. ამ ახალმა მარცხმა ცხელი არ გაუტეხა თურქებსა და ლეკებს: მარბიელი შემოსევამ ახალციხის მხრიდან და დაღისტიდან სისტემატიური ხასიათი მიიღო. მაშინ ერეკლე მეფემ მოიწვია სოლომონ მეფე, კავშირის პირობა განაახლა მასთან „სანგარსა შინა სიახლესა სოფლისა მავდარასა“ (1773 წლის ივლისში); ამერ-იმერთა შეერთებული ჯარი საციციანოს მთით ჯავახეთში გადავიდა და ალყა შემოარტყა ახალქალაქის ციხეს. თუმცა ახალქალაქის აღება არ მოხერხდა, ვინაიდან სოლომონ მეფე ავად გახდა საოფლით და თავისი ჯარით უკან დაბრუნდა, მაგრამ ერეკლე მეფემ მოარბია ჯავახეთი, არტაანის და ახალციხის მხარე და ნადავლით თბილისში მოვიდა.

იმ დროს, როდესაც ერეკლე ახალქალაქთან იმყოფებოდა, კახეთს ქარეღები დაესხნენ, სოფელ ფხოველამდე მიიწიეს და იქ, სხვათა შორის, თბილისის თოფხანის დამაარსებლის და ქართული არტილერიის უფროსის პაატა ანდრონიკაშვილის ცოლი დაატყვევეს, რომელიც შემდეგ შექის ხანმა შეიერთა. ამას მოჰყვა ხუნძახის მფლობელის ნურსალ ბეგის ანუ მუცალის თავდასხმა ქიზიყზე. ბოდბესთან ლეკებსა და ქიზიყის მხედრობას შორის, რომელსაც მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი მეთაურობდა, ძლიერი ბრძოლა გაჩაღდა. წმინდა ნინოს სკოლის მასწავლებელმა ბერმა თომა გარსევანიშვილმა თავისი მოწაფეები ბოდბიდან მახლობელ ქედზე აიყვანა, ჯოხებზე ცხვირსახოცები წამოაცმევინა და ხელში დააჭერინა ბაირაღებივით. ლეკებს ეგონათ ქიზიყელებს მაველი რაზმები მოუვიდათო, შედრკნენ და გაიქცნენ.

სამაგიეროდ, ცოტათი უფრო გვიან, დავით გარეჯის უდაბნოს ერთმა დაყუდებულმა ბერმა სამშობლოს დალა-



ტით ისახელა თავი. ის გაიქცა ლეკებთან, მოუძღვა მათ და, რადგან უდაბნოს ციხის კარები დახშული ნახა, მღვდლის ტყვეობაში ფარული ხერხით შეიყვანა, მრავალი მღვდელ-მონაზონნი დაატყვევებინა, ხოლო მათი ქონება გაატაცებინა.

უფრო მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის ტერიტორიაზე მომხდარ ომის ეპიზოდს. ახალციხის ფაშა სოლომონ მეფის წინააღმდეგ შეუთანხმდა სამეგრელოს მთავარს, რომელმაც თავის მხრით აფხაზეთის მთავარი მიიბირა. მოკავშირეებს ორი მხრიდან უნდა დაერთყათ. იმერეთისთვის. თურქ-ლეკების ჯარი, დაახლოებით ოთხი ათასი კაცი, ვახანის გზით გადავიდა იმერეთში, ხოლო ამავე დროს დადიანის ჯარიც დაიძრა. ერეკლე მეფე, როგორც სოლომონ მეფის მოკავშირე, ქართლ-კახეთის ჯარით მსწრაფლ გაემართა ვახანისაკენ, ხოლო დადიანს სთხოვა უკან დაბრუნებულიყო, რაიცა ამ უკანასკნელმა შეასრულა. სოლომონმა ისარგებლა იმით, რომ მისი ჯარის ზურგს უკვე საფრთხე აღარ მოელოდა, მტერს მოულოდნელად თავს დაესხა ჩხერთან და თითქმის სრულიად შემუსრა (1774 წ.).

ჩქარა ამის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ომი დასრულდა, და საზავო ხელშეკრულება დაიდო ქუჩუკ-კაინარჯში. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის ძალით რუსეთი იმერეთს თურქეთის იმპერიის ვასალურ ტერიტორიად სცნობდა და მას უფლებას აძლევდა ხელახლა დაეჭირა ქუთაისის, შორაპნის და ბაღდადის ციხეები. თავის მხრით თურქეთის მთავრობა პირობას იძლეოდა, რომ ხელს აიღებდა ქრისტიანების დევნაზე დასავლეთ საქართველოში და აღარ მოითხოვდა ხარკს ახალგაზრდა ქალ-ვაჟების სახით. ეს დიდი შეღავათი იყო, თუ გავიხსენებთ, რომ იმერეთი წელიწადში, ჩვეულებრივ, ოთხმოცამდე ქალ-ვაჟს უგზავნიდა ოსმალეთს.

რადგან სოლომონ მეფემ კეთილგონიერება გამოიჩინა დი-
შემოსხენებული ციხეები უკვე აღებისთანავე დაანგრევინა
თურქებმა იმერეთში მეციხოვნე რაზმები ველარ ჩააფხვეს
სოლომონმა აკრძალა ტყვეების გაყიდვაც. იმერეთი ფაქტი-
ურად განთავისუფლდა თურქეთის ბატონობისაგან და ეკო-
ნომიური და მორალური წარმატების გზას დაადგა.

რაც შეეხება ქართლ-კახეთს, მისთვის ქუჩუკ-კაინარჯის
ზავს არავითარი ტერიტორიული ან უფლებრივი ხასიათის
ცვლილება არ მოუტანია. ერეკლემ ვერ მიადწია თავის დი-
დი ხნის საწადელს და მესხეთი ვერ შემოიერთა. რადგან
თურქეთისა და ერანის იმპერიებს საქართველო ჯერ კიდევ
მეთექვსმეტე საუკუნის შუა წლებიდან გავლენის სფეროე-
ბად ჰქონდათ დაყოფილი, და ქართლ-კახეთი, ჩვეულებრივ,
ერანის სფეროში შემავალსახელმწიფოდ ითვლებოდა, სულ-
თანმა ქერიმ-ხანს სთხოვა, ერეკლე მეფეზე ემოქმედნა,
რათა მას შეეწყვიტა თავდასხმები ახალციხის და ყარსის
საფაშოებზე. მდივანბეგი ომან ხერხეულიძე ამბობს: „წარა-
ვლინა ელჩი თავისი ხვანთქარმან ერანის მეპატრონის ქე-
რიმ ხანისთანა და შეუთვალა: თუმცა ჩვენსა და თქვენ შო-
რის არს მშვიდობა, რამეთუ ზავ გვიყოფიეს, გარნა ეგრეთცა
აღვიშვია ერთი ლომი (რომელი არს საქართველოს ვალი),
რომელი აოხრებს მარადის სამფლობელოსა ჩემსა და ამის
გამო იხარჯვის ჩემგან არა მცირედი ხაზინანი, რომლის
შაქვს განცხადება მეგობრობისადმი თქვენისა, რათა დააყე-
ნოთ იგი ესე ვითარისა მძლავრებისაგან“.

ქერიმ-ხანმა სიამოვნებით იკისრა შუამავლის როლი, მან
ერეკლეს, სხვათა შორის, ხმალი და ოქროთ აღკაზმული ცხე-
ნი გამოუგზავნა საჩუქრად; თურქეთსა და ქართლ-კახეთს
შორის ზავი დამყარდა იმ მდგომარეობის საფუძველზე, რო-
მელიც ომის დაწყებამდე არსებობდა.



ამრიგად თუმცა რუსეთ-ოსმალეთის ომმა ერეკლე ვერა-
 ვითარი რეალური სარგებლობა ვერ მისცა, მაგრამ მან გან-
 საკუთრებით ამ ომში მონაწილეობით სახელი გაითქვა არა
 მარტო წინააზიასა და რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპა-
 შიც. ერეკლე მეფეზე მრავალი წერილი და ცნობა იბეჭდე-
 ბოდა იმდროინდელ ევროპიულ და რუსულ ჟურნალ-გაზე-
 თებში. ჯერ კიდევ ასპინძის ომამდე გამოჩენილმა გერმა-
 ნელმა დრამატურგმა და კრიტიკოსმა ლესინგმა თავის „მი-
 ნა ფონ ბარნჰელმში“ ერეკლე დასახა „მამაც ვაჟკაცად,
 რომელმაც სპარსეთი მოსდრია და დღეს თუ არა ხვალ თურ-
 ქეთის კარიბჭეში შეიჭრება“. მშვიდობიანი, უმოქმედო და
 მოღუნებული ცხოვრებით მოწყენილი მხედრები, რომელ-
 ნიც სახელის მოხვეჭას ოცნებობენ, საიდუმლოდ გერმა-
 ნიიდან საქართველოში გამოპარვას აპირებენ, „რათა მისი
 უმაღლესობის პრინც ირაკლის მთავარსარდლობის ქვეშ
 ორ-სამჯერ მაინც გაილაშქრონ თურქების წინააღმდეგ“.

იმ ეპოქის რუსი ისტორიკოსი ბუტკოვი ამბობს, ერეკლე
 მეფემ თავისი წარჩინებული გონებით, პირადი სულიერი
 მღვიძარებით, უშიშრობით, სიმამაცით და სპარსეთში მომ-
 ხდარ ხშირ ცვალებადობათა ხელმარჯვეთ გამოყენებით
 ისეთ მნიშვნელოვან სიმაღლეზე აიყვანა საქართველო, რომ
 ეს ქვეყანა ცნობილი გახდა მეზობელ სახელმწიფოებისთვის.
 რუსეთის მთავრობის საგანგებო რწმუნებული იაზიკოვი
 სწერდა, მეფე ერეკლე ნიჭიერი სარდალი და წარჩინებული
 მხედარია, ყოველთვის დამბაჩით ან თოფით შეიარაღებული
 დადის და ომში ქართველ ჯარს გულადობის მაგალითს აძ-
 ლევს — იგი ხმალამოწვდილი პირველი იჭრება მტრის რაზ-
 მებში.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების შემდეგ ეკატერინე მე-
 ორე ვოლტერს სწერდა, საქართველო უკვე წინააღმდეგა



თურქებს და უარი უთხრა ხარკად აძლიოს ლამაზე ქაღალე-
 შვილები, რომელნიც აქამდე თურქეთის პარამხანებს სწავსებდნენო.
 ამაზე ვოლტერი უპასუხებდა: „ქართული მანიფეს-
 ტი ამის შესახებ უკვე გამოქვეყნდა ევროპაში და სათანა-
 დო შთაბეჭდილება მოახდინა; ცხადია მუსტაფა ამიერიდან
 იძულებული იქნება უარი სთქვას ქართველი მზეთუნახავე-
 ბის მფლობელობაზე. ვისურვებთ, რომ ყველა ქართველი
 ქალიშვილი თქვენს ოფიცრებს ერგოთ: სილამაზე სიმამაცის
 ჯილდო უნდა იყოს“.

XIX

მორიგე ჯარი. ლეონ ბატონიშვილი

ერეკლე მეფეს მის სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწე-
 ობაში ერთგული და გულისხმიერი თანაშემწე აღმოუჩნდა
 მისი მეორე ვაჟის ლეონის სახით.


ლეონ ბატონიშვილი ოცის წლის ჭაბუკი იყო, როცა ის
 ერეკლემ ანტონ კათოლიკოსთან ერთად სამოცი კაცის თან-
 ზღვებით, ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულება-
 მდე, სახელდობრ 1772 წლის იანვრის დასაწყისში, პეტერ-
 ბურგში გაგზავნა, რათა რუსეთის მთავრობის მფარველობა
 ეთხოვა და მასთან ტრაქტატი დაედო.

თბილისიდან მოსკოვსა და პეტერბურგში იმ დროს გზა
 ასტრახანზე გადიოდა და მოგზაურობა მეტად მძიმე პირო-
 ბებში ხდებოდა. სხვათა შორის, ქართველი დესპანების მიერ
 ასტრახანიდან გამოგზავნილი შიკრიკი ლეკებმა დაიჭირეს;
 თვით ანტონ კათოლიკოსმა და ლეონ ბატონიშვილმა პე-
 ტერბურგს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიაღწიეს. მათ
 მკატერიანე მეორეს წარუდგინეს ერეკლე მეფის საჩუქარი



(„ინდის ხელმწიფის — მოლულის ნაქონი საცერკო, უნდა გავხრ
 ოქროსი, მინანქარი, სპარსეთის ხელმწიფისაგან ჩემთვის ნაბოძე
 ძეები, რაბტი ოქროსი, მინანქარი, ესეც სპარსეთის ხელმწი-
 ფისაგან ჩემთვის ნაბოძეები“) და ხელშეკრულების პუნქტე-
 ბი, რომლის მიხედვით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის
 იმპერიის მფარველობის ქვეშ შესვლას აპირებდა.

უწინარეს ყოვლისა, ერეკლე მეფე თხოულობდა, რომ
 რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის მეფის განკარგულებაში
 გამოეგზავნა ოთხი ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი კორ-
 პუსი. „ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენს რჩევას მიიღებდეს
 და დაიჯერებდეს, ვინაიდან ვართ აქაურთა საქმეთა შინა
 მყოფნი და მეცნიერნი ამისათვის“, ეწერა ერეკლეს მიერ
 წარდგენილი ხელშეკრულების პროექტში. მეფობა ერეკლეს
 ჩამომავლობაში უნდა დარჩენილიყო, არ უნდა მოშლილიყო
 აგრეთვე არსებული წესი მცხეთის კათოლიკოსის არჩევისა
 და საქართველოს ეკლესიის მართვისა. ყირიმიდან გამომხნი-
 ლი ქართველი ტყვეები სამშობლოს უნდა დაბრუნებოდნენ.
 ქართლ-კახეთის მთავრობისთვის იმპერიის მთავრობას უნდა
 მიეცა ერთდროული სესხი, განსაკუთრებით სამთამადნო
 მრეწველობის გასაფართოებლად, სამაგიეროდ ნავთის წარ-
 მოებიდან მიღებული სარგებლის ნახევარი რუსეთის ხაზინას
 უნდა მიეღო. ქართლ-კახეთის დამშვიდების შემდეგ ჯარის-
 კაცის გაყვანა აქაც რუსეთში მიღებული წესით უნდა მომ-
 ხდარიყო, მხოლოდ ქართველი ჯარი სამშობლოში უნდა
 დარჩენილიყო. რუსეთის და თურქეთის დაზავების დროს
 რუსეთის მთავრობას უნდა ეზრუნა, „რომ გარეთ არ დარ-
 ჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდან საქართველოს შინა არის
 და ქართული ენა აქვსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან
 იმათში და სხვანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადი-



ანობაზე“. ბოლოს, ერეკლე მეფე იმპერიის მთავრობას ვერწლიური ხარკის გადახდას პირდებოდა, თოთხმეტ კომლზე, თორმეტ რჩეულ ცხენსა და ორი ათას ვედრო ღვინოს; უცილობელია, მას ამ ხარკის გადახდა ნაკლებ სამ-ძიმოდ მიაჩნდა, ვიდრე ის ხარკი იყო, რომელსაც მისი წინამორბედები ახალგაზრდა ქალ-ვაჟების სახით ერანსა და თურქეთს აძლევდნენ; ის, ალბათ, იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ყარაბაღული ცხენები და კახური ღვინო ეკატერინე დედოფალსა და მის მინისტრებსა თუ მხედართმთავრებს უფრო მისაღებად ეჩვენებოდათ, ვიდრე ვოლტერის მიერ ნახევრად ირონიულად შეთავაზებული ქართველი მზეთუნახავები. მაგრამ რადგან ერეკლემ ისიც კარგად იცოდა, რომ იმდროინდელი რუსეთის იმპერიის მთავრობა, გარეგნულად ათვისებული ევროპიული კულტურის მიუხედავად, არსებითად, ბევრით არ განსხვავდებოდა აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოების მთავრობისაგან, ის მას მძევლად ერთ-ერთი თავისი ვაჟის გაგზავნას პირდებოდა, როგორც თავისი ვასალური ერთგულების საწინდარს.

რუსეთის იმპერიის მთავრობამ ივარაუდა, რომ საქართველოზე მისი მფარველობის გავრცელება მის მდგომარეობას გაართულებდა თურქეთთან საზავო მოლაპარაკების დროს და უარპყო ერეკლე მეფის ელჩების მიერ წარდგენილი წინადადებანი. ანტონ კათოლიკოსი და ლეონ ბატონიშვილი 1774 წლის აგვისტოში თბილისში დაბრუნდნენ, რუსული ორდენებით დაჯილდოებულნი.

ამრიგად ერეკლე მეფეს გარედან სამხედრო დახმარების მიღების იმედი გაუცუდდა, ქართლ-კახეთის სამეფოს საერთაშორისო მდგომარეობა კი რუსის ჯარის წასვლის შემდეგ არსებითად გაუარესდა. ამიტომ მან გადასწყვიტა თავისი სა-



კუთარი ძალ-ღონით მოეხდინა სამხედრო რეფორმა და ეკუთვნის ჯარი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, რუსეთისა და ევროპის რეგულარული არმიისთვის მიეახლოებინა. მან თბილისში გაახსენებინა ზარბაზნების ჩამომსხმელი და ყუმბარების და ტყვია-წამლის დასამზადებელი თოფხანა, რომელსაც ხელმძღვანელად რუსეთსა და ევროპაში განსწავლული არტილერიისტი პაატა ანდრონიკაშვილი მიუჩინა. 1773 წლის დასასრულს მან მოიწვია ღარბაზის ერი, წარჩინებულ საერო და სასულიერო პირთა და მთავარ მოხელეთა კრება, რომელსაც „მორიგის ლაშქრის განჩინება“ წარუდგინა დასამტკიცებლად.

ამ განჩინების მიხედვით სამხედრო ძალების რადიკალური რეორგანიზაცია ხდებოდა; მაგრამ განჩინება საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა წმინდა სოციალური თვალსაზრისითაც; ამასთანავე ის მოწმობდა, რომ რეფორმატორი მეფის პოლიტიკურ აზროვნებასა და მის განკარგულებაში არსებულ მატერიალურ სახსრებს შორის შეუსაბამობა არსებობდა. ერეკლეს განჩინება წოდებრივ ფეოდალურ ლაშქარს შლიდა და საყოველთაო სამხედრო ბეგარას აწესებდა დაწინაურებული ქვეყნების წაბაძულებით; მაგრამ რადგან საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობა ჩანასახის მდგომარეობაში იყო, ხოლო ეროვნული ბურჟუაზია არ არსებობდა, მას არც ბიუჯეტი ჰქონდა და არც საჭირო ადამიანები ჰყავდა თავისი რეფორმის მტკიცე საფუძველზე დასამყარებლად.

ერეკლემ საჩქაროდ მთელი ქართლ-კახეთის მამრობითი სქესის მოსახლეობის აღწერა მოახდინა, ის თორმეტ ნაწილად გააყოფინა და ერთი დიდი დავთარი შეადგენინა, რომლის ასლები სოფლის მებატონეებსა და მოხელეებს დაური-



გა. ყოველი ქვეშევრდომი, სარწმუნოებისა და წოდებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ვალდებული იყო, ერთიგვარობით, სამხედრო ბეგარა მოეხადა. ის უნდა გამოსულიყო თავისი საკუთარი იარაღითა, ტყვია-წამლითა, ტანისამოსითა და სურსათ-სანოვაგით, ხოლო თუ გასაწვევი გლეხკაცი უქონელი და ღარიბი იქნებოდა, ის მებატონეს უნდა უზრუნველყო ხუთი თუნგი ღვინითა, ერთი კოდი პურითა და ერთი თვის სამყოფი მარილით: „ჩვენ რომ ჯარს სურსათის დაუწყოთ ძლევა, ჩვენს სარქარს სურსათის მიცემის ბინა არ ექნება“, ამბობდა განჩინების ერთ-ერთი მუხლი.

მორიგე ჯარის ბეგარა სავალდებულო არ იყო აღებ-მიცემის კაცთათვის, დუქნის პატრონთათვის, რომელი ერისაც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, მათ შეეძლოთ თავისი ბადალი, ე. ი. შემცვლელი ეშოვნათ. ბადალის გაგზავნა შეეძლოთ აგრეთვე მწყემსებს, მებაღეებს, ხაბაზებს, მზარეულებს; შემძლებელ მეწისქვილეებს და გუთნისდედებს, ამ უკანასკნელთ მხოლოდ ხვნის დროს. ურჩობისა და დამალვისთვის მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული, სახელდობრ ჯარიმა, თავადისთვის ოცი თუმანი, აზნაურისთვის ათი თუმანი, სოფლის მოხელესთვის, ნაცვლისა, ქემხისა და სხვათათვის ექვსი თუმანი. თუ დამნაშავე თავადიშვილი ჯარიმას ვერ გადაიხდიდა, მას ერთი თვით სატუსალოში ჩასმა მოელოდა საკუთარ პურსა და ღვინოზე, აზნაურიშვილისთვის კი სატუსალოში ჩასმამდე ასი ჯოხი უნდა დაერთყათ. გასაწვევთა სიები სოფლის მღვდელს უნდა ჰქონოდა, თუ ის მას კარგად ვერ შეინახავდა, ორი ხარი უნდა წართმეოდა.

თუ გლეხკაცი თავის მორიგეობაში დაიგვიანებდა, მას რუსული წესის მიხედვით წკებლში გაატარებდნენ, იმდენჯერ, რამდენ დღესაც გააცდენდა. დაგვიანების საპატიო



მიზეზად ითვლებოდა ავადმყოფობა, მახლობელთა სიკვდი-
ლი და ლეკების მღევარში ჩაბმა, მხოლოდ დაგვიანებით
თავისი სოფლიდან სათანადო მოწმობა უნდა მოეტანა.

რათა ახალი ბეგარა გლახკაცობას მეტისმეტად მძიმედ
არ დასწოლოდა, განჩინების ძალით, ის ზოგიერთი ძველი
გადასახადისა და საურავისაგან თავისუფლდებოდა. მაგალი-
თად, ისობოდა ეგრეთწოდებული სამასპინძლო, რომელიც
განსაკუთრებით მძიმე ბეგრად ითვლებოდა, ვინაიდან სო-
ფელში სტუმრად მისულ მეფეს ან მისი სახლობის წევრს,
განჩინების სიტყვებით რომ ვთქვათ, „სხვა მრავალი მეუ-
ლუფე კაცი გამოგვყვებოდა და ამ გზით სოფლისკაცი შეწუხ-
დებოდნენ ხოლმე“. ამასთანავე განჩინება დიდებულებსა
და მოხელეებს წინადადებას აძლევდა მცირერიცხოვანი ამა-
ლით ემოგზაურათ: „ვისაც უწინ ოცი და კიდევ მეტი კაცი
ჰყოლოდეს, დასჯერდეს ექვსსა და ვისაც ათი ჰყოლოდეს,
დასჯერდეს სამსა, ორსა გინა ერთსა“.

მოსახლეობის აღწერამ გამოარკვია, რომ ქართლ-კახეთის
სამეფოს თუშ-ფშავ-ხევსურების გამოკლებით, რომელნიც
ახალი ბეგარისაგან განთავისუფლებული იყვნენ და წინან-
დებურად არარეგულარულ რაზმებს აღგენდნენ თავიანთი ხე-
ვისბერების მეთაურობით, დაახლოებით ოცდაათხი ათასი
კაცის გამოყვანა შეეძლო, ე. ი. ორი ათასისა თვითრად. ეს
ჯარი უმთავრესად სახელმწიფოს საზღვრებზე უნდა მდგა-
რიყო ლეკების მოთარეშე რაზმების უკუსაქცევად. მის უფ-
როს შემადგენლობას და მოხელეებს, ათისთავებს, ასისთა-
ვეებს, ათასისთავებს, ინტენდანტებს მეფე და მთავრობა
ნიშნავდა; ჯარის სარდლობა ამიერიდან აღარ წარმოადგენ-
და ფეოდალების მემკვიდრეობითს უფლებას.

გარდა მორიგი ჯარის დაარსებისა სამეფოს დაცვისათვის
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ერეკლე მეფემ თავი-



სი ღარიბი ხაზინისა და მცირერიცხოვანი მოსახლეობის რაციონალურად გამოყენებით მრავალი ციხე-სიმაგრე და განაახლა, მათ შორის სიღნაღისა, ბოჭორმისა, ჭოეთისა, გრემისა, წირქოლისა, პატარძეულისა, ნორიოსი და სხვ. „მეფობასა ამისსა აშენდნენ სიმაგრენი ქართლ-კახეთისანი ვიდრე ას სამოცამდე, ვალავანნი და ბურჯნი მტერთათვის“, ამბობს ომან ხერხეულიძე.

ერეკლე მეფე კარგად გრძნობდა, რომ ასეთი რადიკალური სამხედრო რეფორმის გატარება ძნელი იყო ისეთ ტიპიურ წოდებრივ ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო, რომ მას განსაკუთრებით მსხვილი მებატონეები გაუწევდნენ წინააღმდეგობას და ამიტომ მათ წასახალისებლად თვითონ თავისი ვაჟებით პირველი ჩაეწერა მორიგეთა რაზმში. ახალი ჯარის სარდლებს შორის განსაკუთრებით თავი ისახელა ენერგიულმა და ფიცხმა ლეონ ბატონიშვილმა, რომელსაც, როგორც მისი კერძო წერილებიდან სჩანს, ხანდახან უჭირდა მთელი თვეობით სადღაც მივარდნილ საზღვარზე დარაჯობა, მაგრამ ბრძოლის ველზე არაფერი აკლდა, რათა თავისი მამის ღირსეული მემკვიდრე გამხდარიყო. ორიოდ წლის განმავლობაში მან ქართლ-კახეთის სამეფო თითქმის სრულიად გასწმინდა მოთარეშე ლეკებისგან. მისი ძმისწული დავით ბატონიშვილი ამბობს: „ესრეთ იქმნენ შიშნეულ ლეკნი, რომ ვერღარა სადა იკადრეს გამოსვლა და ესრედ დამშვიდდა ქვეყანა, რომელ ღართის კარსა შინა და სხვათა სამტეროთა ადგილთა დედაკაცნი ვიდოდეს თვინიერ კაცისა, და აშენდაცა მრავალნი მოოხრებული სოფელნი, ვითარცა კახეთსა შინა, ეგრეთცა ქართლსა და სომხითსა შინა და ლორესაცა“.

ერთხელ ლეონ ბატონიშვილისთვის, რომელსაც რომაელ ბატრიკოსივით აბანოში ყოფნა ჰყვარებია, იქ უცნობეობით



ლექების მოახლოება. მას საჩქაროდ ტანთ ჩაუცვამს, კუკია-ში შეერთებია ნაუცბათევად შეკრებილ მღვდვარსკმელს, ვილა და ამხედრებულა და გლდანთან მიუსწრია ექვსი დროშით მიმავალი ექვსასი ლეკისთვის, რომელნიც დაუმარცხებია და გაუფდნტავს.

თავისი აღტაცება ლეონ ბატონიშვილის ბრწყინვალე სამხედრო და პოლიტიკური ნიჭის წინაშე ქართველმა ერმა კარგად გამოხატა ცნობილ ხალხურ ლექსში:

ხმალი სჭრის ბაგრატივნისა, ნეფისა ერეკლისაო,
 ნეტავი გამაცნობინა, ლევანს უქებენ შვილსაო.
 საღვეო შამამტვრია, ზეგვმა ვით წვერი ტყისაო;
 წავიდა სარუსეთოდა, საქართველოი სკვირსაო...
 გამაყოლოა ჯარები, სერნები ათას ფრისაო,
 ლევან ქალაქი ჩამაწდა, ქვეა მაილა ცისაო,
 ლეკთ უფროსები შაშინდა: „ჩვენკე რაით იქს პირსაო,
 მაგან თუ პირი ჩვენკე ქნა, საქმე ჭირს დაღისცნისაო“.

სამწუხაროდ ლეონ ბატონიშვილის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ნაადრევად შესწყდა ტრაგიკული შემთხვევის გამო. 1782 წლის გაზაფხულზე ის კახეთში გარდაიცვალა: საიდუმლო პირობებში. ერთის ცნობით ის თითქო სოფელ ვეჯინში ყოფილა მიპატიებული თავადი იოანე აბაშიძის ოჯახში გამართულ ქორწილზე. მას მოსწონებია მეზობელი სოფლის მებატონის ასათ ვაჩნაძის ახალგაზრდა ცოლი და ისეთი სითამამე გამოუჩენია მის მიმართ, როგორიც ჩვენს წინაპრებს ვაქცაცისთვის სასიქადულოდ მიაჩნდათ ბრძოლის ველზე, მაგრამ დასაგმობად ითვლებოდა, როცა ის გაშლილ სუფრაზე მყდავნდებოდა. სკანდალის თავიდან ასაცილებლად ვაჩნაძის მეუღლე აუყენებიათ და კარდუნახისაკენ გაუ-

პარეზიით. შეზარხოშებული ლეონი მას უკან დასდევნებია,
ქალს ეს თავისი ღირსების შეურაცხყოფად მიუღობდა და
ქისტვის მუცელში დანა ჩაუცია. დაჭრილი ბატონიშვილი
ვეჯინში დაბრუნებულა, მასპინძლის კოშკში დაწოლილა და
იმ ღამესვე გარდაცვლილა.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად სწორია ეს რომანტიკუ-
ლად შეფერადებული ამბავი, ვინაიდან როგორც სჩანს,
თვით თანამედროვეებმა ვერ გამოარკვეეს ან განგებ მიჩქმა-
ლეს ლეონ ბატონიშვილის მკვლელობის გარემოება.

ლეონ ბატონიშვილის სიკვდილს მეორე ეპიზოდი მოჰყვა,
დიდად დამახასიათებელი მეთვრამეტე საუკუნის საქართვე-
ლოს სოციალური ურთიერთობის თვალსაზრისით. ჯერ კი-
დეც ახალგაზრდა უფლისწულის გვამი გაციებული არ იყო,
რომ კახეთში ყმა გლეხებმა თავისი მებატონე შერმაზან
აფხაზი მოჰკლეს სიმკაცრისთვის. რადგან მკვლელებმა წი-
ნასწარი გამოძიების დროს განაცხადეს, აფხაზი იმიტომ
მოეკალით, რომ მან ლეონ ბატონიშვილი მოწამლაო, ეს საქ-
მე, მისი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო,
მსაჯულთა შეკრებულებამ გაარჩია, რომელშიც რვა მდივან-
ბეგი იღებდა მონაწილეობას. სასამართლომ მოწამვლის
ბრალდება მოხსნა მიცვალებულ აფხაზს, ის ამ საქმეში ყოფ-
ლითურთ უბრალოა და მისი სიმართლე შვილით შვილ-
თამდე საზოგადოდ იღალადებოდესო. ამ განაჩენს რეალური
მნიშვნელობა ჰქონდა. ბრალდებულის სიკვდილის მიუხედა-
ვად, ვინაიდან თუ მისი დანაშაული დამტკიცდებოდა, ფეო-
დალური უფლებრივი შემეცნების მიხედვით, რომელშიც
ძლიერი იყო გვაროვნული შეგნების ნაშთი, დამნაშავის
ოჯახს და ნათესავეებს აკლება მოელოდათ. მდივანბეგებს
სასამართლოში გამოირკვა, რომ გლეხებს თავადი აფხაზი

შურისძიების ნიადაგზე მოექლათ, როგორც თავიანთი შემავიწროებელი, ხოლო პირვანდელი ჩვენება ასეთი ვაჩნადის ჩაგონებით მიეცათ, რათა თავიანთი თავიც გაემართლებინათ და ვაჩნადისთვისაც სასჯელი აეცილებინათ.

ლეონ ბატონიშვილის სიკვდილის შემდეგ მორიგე ჯარი თანდათან მოიშალა. ის მოიშალა არა მარტო იმიტომ, რომ მას ენერგიული და ნიჭიერი მეთაური მოაკლდა, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ მას მსხვილმა და წვრილმა ფეოდალებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, ვინაიდან მასში სრულიად სამართლიანად თავიანთი პრივილეგიების შემკვეცავი ძალა დაინახეს. მთელი საუკუნეების განმავლობაში ისინი შეეჩვივნენ იმ აზრს, რომ ლაშქრობა-ნადირობა მათი წოდების უპირატესობა იყო და არა ბეგარა. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ შესაძლებელი იყო მათი დასჯა მებეგრე წოდებათა წევრების გვერდით, თუნდაც ეს დასჯა უფრო მსუბუქი ყოფილიყო. ბოლოს, მათ არ უნდოდათ, რომ მათი ყმები ყოველ წელიწადს მთელი თვის განმავლობაში მოცდენილიყვნენ მუშაობას. რადგან მორიგი ჯარის მომარაგება, უმთავრესად, ფეოდალების ხელში იყო, მათ ძალაც შესწევდათ, რომ მისი არსებობისა და განვითარებისათვის ხელი შეეშალათ.

ლეონ ბატონიშვილის სიკვდილი საგრძნობი იყო როგორც ქართველი ერის მტრებისა, ისე მისი მოკეთებებისათვის. თავის ერთს კერძო წერილში ანტონ კათოლიკოსმა გულის სიღრმოდან ამოსული სიტყვებით გამოიტყობს ახალგაზრდა უფლისწული, რომელიც მან ერეკლეს სახელოვანი მოღვაწეობის ერთადერთ ნამდვილ გამგრძელებლად დასახა; ახალციხის ფაშას სულეიმანს კი ეთქვა: „მოხუცების უამსა მეფეს ირაკლისსა ერთი ფარდა აქვნდა საქართველოსთვის, რომელიც


ოთხ კერძოვე იგურდივ იფარებდა და აწ დიდი შემწე მოგ-
შალა ირაკლი მეფესა“.

ერქვენი
განაწილება

რაც შეეხება ქართველ ხალხს, რომლის ტანჯვა განაწილ-
და ლეკების თარეშების ხელახლა გაძლიერებასთან ერთად,
მისი გულის ტკივილი უბედური ბატონიშვილის დაკარგვის
გამო საუცხოოდ გამოხატა გრიგოლ ორბელიანმა თავის
„სადღეგრძელოში“:

მეფისა დროშით სად მიხვალ,
ჰა, ლეკან, სულით ნათელო!
შენ მხოლოდ მამის იმედო,
უდროდ მზე დაბნელებულო.
შეირყა ტანტი მეფისა,
რა საფლავს შთანველ, ლომგულო!

XX



ალექსანდრე ბატონიშვილის უბედულება

თუმცა პეტერბურგის მთავრობამ დიპლომატიური თუ
შინაპოლიტიკური მოსაზრებით ერეკლე მეფეს უარი უთხრა
მფარველობის კისრებასა და მასთან ფორმალურად ტრაქტა-
ტის დადებაზე, მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავ-
და, რომ რუსეთს არ უნდოდა ფეხი მოემადგრებინა კავკასიის
ქედს გადმოდმა და გზა გაეკაფა თბილი სამხრეთის ზღვე-
ბისაკენ.

მეთვრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან განსაკუთრე-
ბით გაძლიერდა თერგის მხრის დასახლება რუსების მიერ.
როგორც ხშირად სხვაგანაც მომხდარა ხოლმე, აქაც მხე-
დარს, ვაჭარსა და კოლონისტს წინ მისიონერი მიუძღოდა.

სამოციანი წლების დასაწყისში მცირე ყაბარდოს ერში გავლენიანმა მფლობელმა ქრისტიანობა მიიღო და მოზღოვი დააარსა. იქ გადმოსახლებულ იქნენ დონის კაზაკ-რუსები, რომელთაც უხვად მიიღეს სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, გახსნეს ეკლესია და მოიპოვეს პრივილეგია სამუშაოდ რუსი ჯარისკაცების დაქირავებისა, როცა ეს უკანასკნელნი თავისუფალნი იყვნენ სამხედრო ვარჯიშობისაგან.

ოცი წლის შემდეგ დონის კაზაკებს თერგის მხარეში ახალი ახალშენები მიემატათ ვოლგის და ხოპიორის ნაპირებიდან. მოზღოვიდან დონის ჯარის მიწებამდე, სახელდობრ აზოვამდე, გაბმული იქნა ციხე-სიმაგრეების და სანგრების მთელი ჯაჭვი, რომელსაც ასოცდაორი ქვემეხი იცავდა. მაგრამ ეს ხუთასი ვერსის სიგრძეზე გამაგრებული ხაზი სულ მცირე თანხა დაუჯდა რუსეთის იმპერიის მთავრობას, ვინაიდან ის ჯარისკაცის უსასყიდლო შრომით იყო გაკეთებული.

რუსების კოლონიზაციის გაფართოებამ ძლიერი წინააღმდეგობა გამოიწვია ჩერქეზებისა და ყაბარდოელების მხრით, რომელთაც, პრიმიტიული შეიარაღების მიუხედავად, გმირული ბრძოლა დაიწყეს კაზაკთა ახალშენებისა და რუსის ჯარის წინააღმდეგ. მათი პარტიზანები სწვავდნენ კაზაკების ნათესებს, ხოცდნენ ჯარისკაცებს და იტაცებდნენ ქვემეხებსა და პროვიანტს. თავის მხრით რუსის ჯარი უღმობლად უსწორდებოდა კავკასიის მთიელებს, მათ აულებს დედამის პირიდან ჰგვიდა, ხოლო მათ ჯოგებს ეპატრონებოდა.

ერეკლე მეფეს უნდოდა თავისი დაცარიელებული პროვინციების დასასახლებლად გამოეყენებინა ეს კონფლიქტი და 1778 წელს დიდი და პატარა ყაბარდოს მფლობელებს მოციქულები გაუგზავნა წინადადებით, ქართლში გადმო-

სახლდით და კარგს ადგილებს მოგცემთო. მაგრამ მისი მო-
ციქულები რუსეთის ხელისუფლებამ მოზღოკში დააქვეყნა
და ისინი ხელცარიელნი დაბრუნდნენ თბილისში. რა შეწე-
ვედ განიცდიდა ერეკლე მეფე ქართლ-კახეთის მოსახლეო-
ბის არაბუნებრივ შემცირებას, სჩანს იქიდანაც, რომ როცა
1779 წელს ერევნის მფლობელმა ჰუსეინ ალი ხანმა ხარკის
ძლევა შეუწყვიტა, მან დაუყოვნებლივ გაილაშქრა ერევნი-
საკენ, დაამარცხა განდგომილი ხანი, ხელახლა ხარკი დაადო
მას, დიდძალი სომხობა აპყარა და ავლაბარსა, გორსა და
სიღნაღში დაასახლა.

ასევე ენერგიულად მოიწვედა რუსეთი სამხრეთისაკენ კას-
პიის ზღვის მიმართულებითაც. სამოცდაათიანი წლების და-
სასრულს ასტრახანში შეიქმნა ძლიერი რუსული ფლოტი, რო-
მელიც 1781 წელს ასტრახადის ყურეში შევიდა. რუსეთის
მთავრობა მიზნად ისახავდა კომერციული მოსახლეობა
შექმნა კასპიის ზღვის ნაპირებზე და თავისი აღებ-მიცემა
გაევრცელებინა ინდოეთამდე. ამიტომ პეტერბურგის მთავ-
რობა თვალყურს ადევნებდა ყოველ მნიშვნელოვან პოლი-
ტიკურ მოძრაობას საქართველოში, და როდესაც 1776 წელს
ქართლში ფეოდალების ერთმა ჯგუფმა ერეკლე მეფის წი-
ნააღმდეგ შეთქმულება მოაწყო ზაალ ორბელიანის შეთაუ-
რობით, აღმოჩნდა, რომ მასში რუსეთის პოლიტიკური აგენ-
ტი ბაკუნინიც იღებდა მონაწილეობას.

რაკი რუსეთის იმპერიის დახმარების და სამცხე-საათაბა-
გოს შემოერთების იმედი ამო აღმოჩნდა, ერეკლე მეფემ
გადასწყვიტა კეთილმეზობლური ურთიერთობა დაემყარე-
ბინა თურქეთის იმპერიასთან. მან კონსტანტინეპოლში სა-
განგებო ელჩი გაგზავნა, უცხო ენების კარგი მცოდნე ყა-
რაბაღელი სომეხი გურგენ ენიკალოფაშვილი, რომელიც იქ



დიდი პატივით მიიღეს. სულთანის მთავრობამ დაეცა ყოველი-
 ლა ერეკლეს თხოვნა, რომ გაენთავისუფლებინათ ქართველ-
 ლები, რომელნიც რუსეთ-თურქეთის ომის დროიდან ტყვედ
 იმყოფებოდნენ ახალციხეში; ამას გარდა სულთანი და
 დიდმა ვეზირმა მას ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნეს თა-
 ვიანთი ელჩის ხელით (1778 წ.).

ერთი შეხედვით ერეკლე მეფემ ამ დროს თითქო საბო-
 ლოოდ განამტკიცა თავისი სამეფოს საერთაშორისო მდგო-
 მარეობა, და მის ქვეშევრდომებს ეჩვენებოდათ, რომ ის პო-
 ლიტიკური ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა. „გან-
 ცვიფრდა ყოველი სული და აღიდეგდენ ღმერთსა ამის
 ესეთს ბედნიერობას. ხონთქარი ესრეთ, ყენი ესრეთ, რუ-
 სეთის იმპერატორი ესრეთ, შვილნი მორჩილნი ესრეთ, ყმა
 დამონებული ესრეთ, მეზობელნი ესრეთ და სხვა მრავალი
 ბედნიერობა აურაცხელი“, ამბობს იესე ოსეს შვილი, რომე-
 ლიც რაღაც დანაშაულის გამო თავს უზრუნველად ვერ
 გრძნობდა მეფის სიახლოვეს: „გული ასე დაქრილი მქონდა
 და მწარედ შეწუხებული ვიყავ, რომ ცხენზე ძლივს ვიჯექი;
 დიად მრისხანის სახით იყურებოდა, და შეწუხებულს გულს
 ხომ ისე სჭირს, ყველა თავისი ეგონება“.

ნამდვილად ერეკლე მეფის პოლიტიკური მდგომარეობა ბევ-
 რად ნაკლებ მტკიცე იყო. ის იძულებული იყო წინააღმდეგო-
 ბათა წრეში ეტრიალა. როცა ქსნის ერისთავი გადგა, ლეკე-
 ბი მოიხმო და ახალციხესთან მოლაპარაკება გამართა, მეფემ
 ანგარიში არ გაუწია იმას, რომ შეამბოხე ერისთავის შვილი მი-
 სი სიძე იყო და ქსნის საერისთავო გააუქმა. მაგრამ ის იძუ-
 ლებული გახდა ქსნის ხეობა თავისი უფროსი ვაჟი გიორ-
 გისთვის მიეცა, ლიახვისა იულონისთვის, ხოლო ჯერ კიდევ
 თეიმურაზ მეორის მიერ გაუქმებული არაგვის საერისთავო

ჯერ ლეონისა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილისთვის; ამრიგად ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების და ფეოდალური განკერძოების ტენდენციას კიდევ უფრო მტკიცე საფუძველი ჩაეყარა.

ქართლ-კახეთის მოწინავე მოღვაწეები კარგად გრძობდნენ, რა დამლუპველი იყო ქართველი ერისთვის მისი დაყოფა ორ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ. ამიტომ მათ შორის თავი იჩინა ეროვნული გაერთიანების იდეამ. ამ იდეას დასავლეთ საქართველოს მოწინავე წრეებშიც აღმოუჩნდნენ აღფრთოვანებული მიმდევრები. ერეკლე მეფემზად იყო პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა საქართველოს გასაერთიანებლად, მაგრამ ის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა სოლომონ პირველის სახით. ყოფილ მოკავშირეებს შორის უნდობლობა და შუღლი ჩამოვარდა. სოლომონმა იმერეთში მიიწვია ქართლ-კახეთის ტახტის პრეტენდენტი, ვახტანგ მეექვსის შვილიშვილი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ეკატერინემ გააძევა პეტრე მესამის მკვლელობის შემდეგ, რადგან მან მეტი ერთგულება გამოიჩინა მოკლული იმპერატორისადმი, ვიდრე რუსის გვარდიის ოფიცერს შეეფერებოდა.

რუსეთიდან გაძევების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილი ერთხანს შირაზში ცხოვრობდა ქერიმ-ხანთან; მის მოსაყვანად სოლომონ მეფემ ერანში პოეტი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) გაგზავნა, რომელიც თავის მამასა, ზაქარია გაბაშვილთან ერთად იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო ანტონ კათოლიკოზის აღდგენის შემდეგ. თურქეთმა ალექსანდრე ბატონიშვილს მხარი არ დაუჭირა, თვით ქართლ-კახეთში კი ადრინდელ შეთქმულებათა დამარცხების შემდეგ ერეკლე მეფის წინააღმდეგ გამოსვლას ვერავინ ბე-



დავდა. როგორც ეტყობა, მეფემ მკაცრი ღონისძიებანი მიიღო პოლიტიკურად არასაიმედო პირთა წინააღმდეგ. მეფე იესე ოსესიშვილი, რომელიც დროგამოშვებით ხან მეფის კარზე მსახურებდა და ხან დედოფლისაზე და, როგორც ეტყობა, სრულიად პირწმინდად გამოსული არ იყო ბაკუნინის შეთქმულებიდან, ამბობს: „თუ სამე გონებას იპყრობთ, სცნობთ, სამს დღეს რისხვის მოლოდება მეფისა მონათავის ძნიად სატვირთავია. მოვალს ელჩი დესპანი, სრულიად აკლებასა იქმს შენსასა, და მოვალს კიდევ სხვა გზირი დეტთავან, მჭვრეტი რისხვითა და აჰა მოვლენ მანდატურნი აღფხვრად შენთა და მოვალს ყარაული მხუმილავი, ისწრაფე სივტოლად. აჰა მწერალნი ჯამუშნი აღწერად სახლთა და კვალად მოვალს მსტოვარი, ჯერეთ არა მოსულანაა. იბრძანა განძარცვა შენი“.

რაკი ალექსანდრე ბატონიშვილმა ვერც იმერეთიდან და ვერც ახალციხის მხრიდან ქართლ-კახეთში გადასვლა ვერ შესძლო, ის დაღისტანში გადავიდა რაჭის გზით, რათა უკანასკნელად იქიდან ეცადა ბედი. მას თან ახლა „გეორგიანული ისტორიის“ ავტორი ალექსანდრე ამილახვარი, რომელსაც პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ცხვირი ჰქონდა მოჭრილი. იმერეთში ყოფნის დროს ალექსანდრე ამილახვარმა სოლომონ მეფეს მიუძღვნა პოლიტიკური ტრაქტატი, „ბრძენი აღმოსავლეთისა“, რომელსაც ფრანგი ენციკლოპედისტების და გამანათლებლების, განსაკუთრებით მონტესკიეს, იდეების გავლენა ეტყობოდა. ალექსანდრე ამილახვარი ეგრეთწოდებული განათლებული აბსოლუტიზმის დამცველად გამოდიოდა. „თანასწორად ვმოზილვართ, და არავინ არს უმჯობეს ერთისა, არცა ვინ უარეს მეორისა, გარნა ყოველივე ერთისა გვამისა საერთოსა



ასოდ“, ამბობს ის თავის ტრაქტატში. „ჰეი, რაზომ ბედნიერ არს და უმეტეს სანატრელ მეფე, რომელმაც იცის უფლები თავისი არა უსამზღვროდ, და რომელი მიიჩნევს მათცა თანასწორად თავის კაცთა, რომელთა მიჰსცეს მას უფლება თავსა ზედა თვისსა, და იქცევის მათთანა უმეტეს მჰსგავსად უხუცესისა ძმისა, ვიდრე თავმოყვარისა მეფისა“. ამილახვარი ილაშქრებდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, „ვინაიდან ცოცხლისა სიკვდილი ყოვლისა კაცისა შესაძლებელი არს, და აღდგინებაი მისი არავისაგან“. ბოლოს, მეცნიერების შესახებ ის გამოთქვამდა შეხედულებას, რომელიც დამახასიათებელი იყო მეთვრამეტე საუკუნის მოწინავე მოაზროვნეთათვის.

მაგრამ ეს პროგრესიული და ჰუმანისტური აზრები არანაკლებ ცნობილი იყო იმ მოწინავე წრეში, რომელიც ერეკლე მეფეს ერტყა გარშემო, როგორც ის ცნობილი იყო ეკატერინე მეორისა და მისი თანამოდგაწეებისათვისაც. მხოლოდ მათი განხორციელება ფეოდალურ საქართველოში არანაკლებ ძნელი იყო, ვიდრე ბიუროკრატიულ რუსეთში. პრაქტიკულად კი ალექსანდრე ამილახვრის პოლიტიკა დიდად მავნებელი იყო ქართველი ერისთვის, იმიტომ რომ თუ ფაქტობრივად და ავანტიურისტულად განწყობილი ალექსანდრე ბატონიშვილი, უცხო ძალების დახმარებით, ქართლ-კახეთის სამეფოში შემოიჭრებოდა, თურქების ფაშები და ლეკების ბელადები მას მონტესკიეს და ჟან-ჟაკ რუსოს ტრაქტატებით არ შემოჰყვებოდნენ და არც ზოგიერთი მოღალატე ქართველი ფეოდალი დახვდებოდა დემოკრატიული და ჰუმანისტური იდეებით აღჭურვილი.

დარუბანდის მფლობელმა ფატალი ხანმა და ტარკის შამხალმა თავდაპირველად დახმარება აღუთქვეს ალექსანდრე

ბატონიშვილს. საქმე ის იყო, რომ 1779 წელს ქერამ-ხანი მოკვდა და ერანში ხელახლა ანარქია დაიწყო. რთვეთრცხუ-ტალი ხანი, ისე ერეკლე მეფე სცდილობდნენ ეს უმარეობა გამოეყენებინათ და თავიანთი პოზიციები გაემტკიცებინათ. ერეკლე მეფესთან იმ დროს მოვიდა ერანის ტახტის პრეტენდენტი, ვინმე შაჰზადი, რომელიც ალქიმის ცოდნასთან ერთად იჩემებდა, ერანის წინანდელი დინასტიის მემკვიდრე ვარო. ერეკლე მეფეს უნდოდა მისთვის მხარი დაეჭირა, რათა შაჰების ტახტზე დავალებული და ერთგული კაცი ჰყოლოდა. მართალია, შემდეგ აღმოჩნდა, რომ შაჰზადი ცრუ მოსახელე იყო და მან თავი მოიწამლა თრიაქით, მაგრამ ერეკლეს სამზადისმა იჭვიანობა და მეშურნეობა გამოიწვია დარუბანდის ხანში. თავის მხრით მასაც ხელი შეეშალა თავისი კაცი დაესვა თბილისში. ერეკლე მეფის შუამდგომლობის თანახმად რუსეთის მთავრობამ ფატალი ხანს მისი სტუმრების გაცემა მოსთხოვა. ფატალი ხანს რუსეთის მთავრობამ არჩევანი შესთავაზა, ან დარუბანდის მახლობლად მყოფი რუსული ზარბაზნების ყუმბარები ეგემნა ან ხუთასი ჩერვონეცი და ოქროს სათუთუნე მიეღო საჩუქრად. ლეკების ამ დონ ბაზილიომ ჩერვონეცი არჩია და თავისი სტუმარი გასცა. ალექსანდრე ბატონიშვილი რუსებმა სმოლენსკის ციხეში ჩასვეს, სადაც ის გარდაიცვალა, ალექსანდრე ამილახვარი კი ვიბორგის ციხეში, საიდანაც ის განთავისუფლებული იქნა ცხრა წლის პატიმრობის შემდეგ.

ჩქარა ამის შემდეგ სოლომონ მეფეც ფეოდალური ანარქიის მსხვერპლი გახდა. იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთიდან რუსები მოიწევდნენ და მათი ახალშენები და ქვემეხები კავკასიის ქედის კალთებს მოადგნენ, სამხრეთიდან თურქებს უფრო და უფრო გააფთრებული იერიშები მოჰქონდათ სამ-



ხრეთი და დასავლეთი საქართველოს წინააღმდეგ. თითქმის
 რუსებიც და თურქებიც ინსტინქტურად გრძნობდნენ, რომ
 კავკასიის ქედის დაჭერას მათი არსებობისა და შემდგომი
 წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. თურ-
 ქეთის პოზიცია ამ მსოფლიო-ისტორიულ ორთაბრძოლაში
 შეასუსტა იმ გარემოებამ რომ პატარა, მაგრამ კლდის
 ხერხემლიანი, ტყეებით აჯაგრული იმერეთი თავისი მოუდ-
 რეკელი და შორსმჭვრეტელი მეფის ხელმძღვანელობით
 უკან მოუბრუნებლად რუსეთის იმპერიას მიემხრო.

აჭარის მოსახლეობა, რომელიც შარდენის მოწმობის თა-
 ნახმად, მეჩვიდმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ჯერ
 კიდევ ქრისტიანი იყო, მეთვრამეტე საუკუნეში სრულ-
 ლიად გამაჰმადიანდა. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახე-
 ვარში მაჰმადიანობა უკვე გურიის სამთავროს საზღვრებში
 შემოვიდა, ერთი მხრით აჭისწყლის ხეობის, ხოლო მეორე
 მხრით შავი ზღვის სანაპიროს მიმართულებით. აქაც მოლას
 ჯარისკაცი მოჰყვებოდა უკან ან მხარდამხარ. ეს საფრთხე
 სათანადოდ ვერც გურიის მთავარმა დაათვა და ვერც და-
 დიანმა. მაგრამ ის მსწრაფლ იგრძნო სოლომონ პირველმა,
 რომელმაც, ქობულეთის მფლობელის თავად თავდგირიძის
 თხოვნის თანახმად, 1784 წელს გაზაფხულზე ჩაქვისკენ გაი-
 ლაშქრა თურქთა ჯარის გასადევნად. იმერეთის მეფის ჯა-
 რის დაძვრა თურქებს კაცია დადიანმა აცნობა წინასწარ,
 და ისინი მოწინააღმდეგეს მომზადებული შეხვდნენ. მართა-
 ლია, სოლომონ მეფემ ჩაქვს მიაღწია და იქ მყოფი თურქის
 ჯარი დაამარცხა, მაგრამ უკან დაბრუნებისას ის ვიწრო და
 კლდიან ადგილებში ჩასაფრებული მტრის ცეცხლში მოხვ-
 და, თითქმის მთელი ჯარი გაეჟლიტა და თვითონაც ძლივს
 გადარჩა დატყვევებას. დავით ბატონიშვილი ამტკიცებს,

იმერეთის მეფეს გურიელშიც უღალატა და უკან დასახევი
გზა შეუკრაო. ქუთაისში დაბრუნების შემდეგ კარგად
მწუხარებისაგან დამბლა დაეცა და ის ჩქარა გარდაიცვალა.

მადლიერმა იმერეთის ხალხმა გელათის ეკლესიაში დამარ-
ხა თავისი უკანასკნელი დიდი ხელმძღვანელი. მასთან ერ-
თად, არსებითად, დასრულდა იმერეთის სამეფოს პოლიტი-
კური ისტორია.

X X I

კულტურული ღონისძიებანი

ერეკლე მეფე, რასაკვირველია, კარგად გრძნობდა, რომ
რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ მოქცევა მის სამე-
ფოს საფრთხეს უქადდა, მაგრამ ეს მაინც ნაკლები ბორო-
ტება იყო, ვიდრე ხელახლა მაჰმადიანური თურქეთის ან
ერანის გავლენის სფეროში ან, მით უმეტეს, მათ მფლობე-
ლობაში ჩაეარდნა. ის გრძნობდა, რომ უკანასკნელ შემთხვე-
ვაში ქართველ ერს სარწმუნოების დაკარგვასთან ერთად
ეროვნული ვინაობის დაკარგვაც მოელოდა. გარდა ამისა,
რადგან რუსეთის იმპერია მოწინავე დასავლეთ ევროპის
კულტურის ძლიერს ზეგავლენას განიცდიდა, ხოლო რუსის
ერი მძლავრი ხელუხლები ენერჯის მარაგს ამჟღავნებდა,
მასთან დაკავშირება ქართველ ერს მომავლისთვის უფრო
ბრწყინვალე პერსპექტივებს უხსნიდა, ვიდრე კულტურული
და პოლიტიკური დაქვეითების გზაზე მდგომი თურქეთის და
ერანის საზღვრებში მოხვედრა. მაგრამ სანამ საბოლოოდ
რადიკალურ ნაბიჯს გადასდგამდა და რუსეთთან ტრაქტატს
დასდებდა, ერეკლე მეფემ ერთხელ კიდევ სცადა, თავი და-
ეღწია ამ ორი მხრიდან მოატლოებული რკინის სალტისთვის.



1781 წელს ერეკლემ ავსტრიის იმპერატორს იოსებ მეორეს კათოლიკების პატრი დომინიკე გაუგზავნა ფინანსიური დახმარება სთხოვა. ერეკლეს ელჩმა დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია, ის შავს ზღვაში დაიხრჩო. მომდევნო წელს იმავე ავსტრიის იმპერატორსა, საფრანგეთის მეფესა და ვენეციის სენატთან ანალოგიური თხოვნით თბილისიდან პატრი მავროსი გაემგზავრა. ვენეციის სენატისადმი მიმართული წერილიდან სჩანს, რომ ერეკლეს წინათაც ჰქონია დიპლომატიური ურთიერთობა ევროპის დიდ სახელმწიფოებთან. ის, როგორც ეტყობა, უმთავრესად ფულად დახმარებას თხოულობდა ქართველი ჯარის ევროპიულ წესზე გასაწვრთნელად; სამაგიეროდ პირობას სდებდა, რომ ქრისტიანობის მტრების წინააღმდეგ იბრძოლებდა წინააზიაში. ამ შემთხვევაში ერეკლემ მეტი პოლიტიკური რომანტიზმი გამოიჩინა, ვიდრე მის არსებითად რეალისტურ ბუნებას და აღზრდას შეეფერებოდა. მაგრამ ეს უფრო მისი სასოწარკვეთილი მდგომარეობით აიხსნებოდა, მისი მისწრაფებით ყოველივე ღონისძიება ეცადა ქართველი ერის გადასარჩენად. ევროპიული ქვეყნებისადმი მიმართვამ მას უშედეგოდ ჩაუარა.

უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა კულტურული ხასიათის ღონისძიებანი, რომელთა შემწეობით ერეკლე მეფეს უნდოდა თავისი ქვეყანა დასავლეთი ევროპისთვის დაეახლოებინა. ერეკლე მეფე და მის გარშემო თავმოყრილი მოწინავე სახელმწიფო მოღვაწეები დიდი ინტერესით თვალყურს ადევნებდნენ დასავლეთი ევროპის მიღწევებს მეცნიერების, ლიტერატურის, ტექნიკის ან სამხედრო საქმის დარგში. რადგან ევროპაში გამგზავრება, თუ არ დიდი კომერციული საქმეების გამო, ძნელი იყო, ერეკლე მეფე სწავლის მოსტრნე ახალგაზრდობას ხელს უწყობდა რუსეთში წასულიყო სწავ-



ლა-განათლების მისაღებად. ზოგიერთმა ახალგაზრდამ თვით
 თბილისში დაიწყო ევროპიული და რუსული ^{მწიგნობარული} ~~მწიგნობარული~~
 წავლა და ბუნებისმეტყველებისა თუ სიბრძნისმეტყველე-
 ბის გაცნობა კათოლიკე მისიონერებისა თუ რუსეთში გან-
 სწავლულ პირთა შემწეობით. ახალგაზრდა ბატონიშვილების
 გასაწვრთნელად მოწვეულ იქნენ განათლებული ევროპიე-
 ლები, გეტინგი, რეინეგსი და სხვები.

როცა სამოცდაათიანი წლების დასასრულს თბილისში,
 ცოტა არ იყოს ავანტიურისტულად განწყობილი, მაგრამ ფარ-
 თოდ განათლებული გერმანელი მედიცინის დოქტორი
 იაკობ რეინეგსი ჩამოვიდა, ერეკლემ ის სამსახურში მიიღო
 იაკობ ხანის სახელით; ის გამოდიოდა როგორც ექიმი და
 თეატრის მოღვაწე, ლითონის ჩამოსხმას ასწავლიდა ხელოს-
 ნებს, გააუმჯობესა თოფის წამლის მომზადების საქმე თბი-
 ლისის თოფხანაში, სასტამბო დაზგები გამოაწერინა ვენიდან,
 ბოლოს, მეფეს წინადადება მისცა ქართლ-კახეთის პოლიტიკუ-
 რი წესწყობილება შეეცვალა პრუსიის და ავსტრიის ნიმუშე-
 ბის წაბაძულობით. ამას გარდა მან მოიარა ქართლ-კახეთი და
 თავისი მოგზაურობის საინტერესო აღწერა დასტოვა. თავად-
 მა პოტიომკინმა დააფასა ეს ენერგიული გერმანელი, რუსე-
 თის რწმუნებულად დანიშნა ქართლ-კახეთის და იმერეთის
 მთავრობებთან და დაავალა, რომ ერეკლე და სოლომონი
 ერთმანეთთან შეეთანხმებინა და ორივე რუსეთისაკენ გადა-
 ეხარა. მაგრამ რადგან რეინეგსმა მეტისმეტად ფანტასტიკუ-
 რი და საზიფათო გეგმების შედგენა დაიწყო, სახელდობრ,
 მთელი ერანის და მცირე აზიის დაპყრობა განიზრახა, პო-
 ტიომკინმა ის რუსეთში გაიწვია და მის ადგილას რწმუნებუ-
 ლად უფრო ფხიზელი და ზომიერი ადამიანი, სამხედრო
 ინჟინერი პოლკოვნიკი ბუჩნაშოვი დანიშნა.

როგორ აინტერესებდა ერეკლე მეფეს და მის გარშემო თავ-
მოყრილ მოწინავე ქართველ საზოგადოებას ყოველწლიურად
მიღწევა ევროპის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, შემ-
დეგიდან სჩანს. 1783 წელს ძმებმა მონგოლფიერებმა სა-
ფრანგეთში აეროსტატი მოიგონეს და პირველი გაფრენა მო-
წყვეს პარიზიდან. ამის შესახებ ვენეციაში, სადაც სომეხ
კოლონისტებს მდიდარი მონასტერი, წიგნთსაცავი და გამო-
ცემლობა ჰქონდათ, 1784 წელს სომხურ ენაზე წიგნაკი გა-
მოსულა. მომდევნო წელს ეს წიგნაკი ვინმე ტერ დავით
ტერ ოჰანესს სომხურიდან ქართულად გადმოუთარგმნია და
დიდის მოწიწებით ერეკლე მეფისთვის გამოუგზავნია. მე-
ფისთვის მირთმეული ცალის ზედაპირზე მთარგმნელს დაე-
სატყინებინა აეროსტატის მოდელი, ტექნიკური დეტალები
და პირველი გაფრენის მარშრუტი.

ეს პატარა ბროშურა, რომელსაც ქართულად ეწოდება
„მოკლედ მოთხრობაჲ ჰაერსა შორის მროკველისა გუნდისა
და მგზავრობისა მონკოლფიისა“, შემდეგ გადაუწერია და
შეუსწორებია თელავის სემინარიის რექტორს დავით ალექ-
სის-ძე მესხიშვილს: მეტად სომხურად და დაუწყობლად იყო
ნათარგმნი და რომელიმე გავასწორეო.

საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთ-
ობას ევროპასთან მაინც ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. ქარ-
თული კულტურის განვითარებისთვის ბევრად უფრო დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა საეკლესიო სკოლების დაარსებას ან
ხელახლა აღდგენას და, ბოლოს, თელავის ფილოსოფიური
სემინარიის გახსნას 1782 წელს. მისი პირველი რექტორი
იყო ანტონ კათოლიკოსის მოწაფე გაიოზი. ის მონაწილეო-
ბას იღებდა იმ მრავალრიცხოვან ამალაში, რომელიც ლეონ
ბატონიშვილს და ანტონ კათოლიკოსს რუსეთში გაჰყვა
1772 წელს; თავის მასწავლებელს უკან აღარ გამოჰყოლია,

მოსკოვში დარჩა და იქაური სასულიერო აკადემია გაათავა
გარდა ღვთისმეტყველებისა და სიბრძნისმეტყველებისა
სული, ლათინური და ბერძნული ენებიც შეისწავლა.

თელავის სემინარიის გახსნა დიდი ზემოთ მოხდა ვრცელ
ორსართულიან შენობაში. წირვის მოსმენის შემდეგ საგან-
გებოდ მოწვეული წარჩინებული პირნი და მოწაფეები სას-
წავლებლის დარბაზში შეიკრიბნენ, სადაც მათ წაუკითხეს
სემინარიის პროტექტორის ანტონ კათოლიკოსის ეპისტოლე
და ინსტრუქცია, აგრეთვე მეფის განჩინება „სახმართავის
სემინარიისათა“. ამას მოჰყვა რექტორის სიტყვა კათედრი-
დან; გარდა მეფის და კათოლიკოსის შექებისა ეს სიტყვა
შეიცავს მეცნიერების აპოლოგიას. ორატორის გაგებით
მეცნიერება წარმოადგენს არა მარტო შემეცნებითს ძალას,
არამედ დიდ ზნეობრივ ფაქტორსაც. უმეცარი კაცი ურჩი,
შურიანი და მშფოთარეა, ის ადვილად ღალატობს სამშობ-
ლოსა და ხელმწიფეს; უმეცრებიდან წარმოსდგება არეუ-
ლობა, მკვლელობა და შინაგანი ბრძოლა, ხოლო, ბოლოს,
„სრულებით აღწყვეტა ყოვლისა ქვეყნისა“. მეცნიერება, პი-
რიქით, ადამიანს ბედნიერ და უშფოთველ სიცოცხლეს ანი-
ჭებს და მას გონებრივად და ზნეობრივად ამადლებს. ეს კარ-
გად ესმის მეცნიერების „სიმრგვალის დამფუძნებელსა და
სრულმყოფელს“ ანტონ კათოლიკოსს და კეთილმსახურ მე-
ფეს ირაკლი მეორეს, რომლის „თვალისა გუგასა შინა ყო-
ველი ეს ყვავილოვნება შემოკრებულ არს“. ანტონ კათოლი-
კოსმა თავისი გულმოდგინეობით ათინად გადააქცია თავისი
მამული, რომელიც წინათ უმეცრების სიბნელით იყო დაფა-
რული. ბოლოს, გაიოზი ანტონ პირველს ქართველთა არის-
ტოტელს უწოდებს, მეფე ირაკლის კი ქართველთა ფილიბე
მაკედონელს.



გრამატიკასა, პოეტიკასა, რიტორიკასა, საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ საგნებს თბილისის და თელავის სემინარიებში, უმთავრესად, ანტონ კათოლიკოსის მიერ შედგენილი და გადმოთარგმნილი სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ. მაგრამ ძველი ბერძნული ფილოსოფიის, განსაკუთრებით არისტოტელის და ნეოპლატონიკოსების გასაცნობად, აგრეთვე ძველი ერების, განსაკუთრებით ბერძნების, რომაელების, ებრაელების და სხვათა ისტორიის შესასწავლად ქართულად სხვა ორიგინალური და ნათარგმნი წიგნებიც არსებობდა. სკოლებში, შეიძლება, ასწავლიდნენ ფიზიკასაც, როგორც ფილოსოფიის დარგს, მაგრამ სამწუხაროდ არ გადიოდნენ არც იურისპრუდენციისა და არც მედიცინის კურსს, თუმცა ქართული სამართლის კოდექსები, გიორგი ბრწყინვალის, ბექა და აღბუღას და ვახტანგ მეექვსის მიერ შეკრებილი კანონები, ქართული საადათო სართალი, ბოლოს, ქართული სახალხო მკურნალობა მდიდარ მასალას იძლეოდა ამ მეცნიერებათა გასავითარებლად.

ერეკლეს მეფობის ცოტა უფრო გვიან პერიოდს ეკუთვნის ქართული თეატრის დაარსება, ამ ცნების თანამედროვე გაგებით. თეატრის დაარსების ინიციატორები რუსეთში განსწავლული ქართველი ახალგაზრდობა იყო; მისი პირველი გამგე უნდა ყოფილიყო ვინმე გაბრიელ მაიორი, ალბათ, სწორედ ის სამხედრო პირი, რომელიც „მსახიობთა მთავარ“ დავით მაჩაბელთან ერთად კრწანისის ბრძოლაში დაიღუპა. თეატრისთვის თბილისში საგანგებო შენობა არ არსებობდა, წარმოდგენები, უმეტეს შემთხვევაში ფასიანი ბილეთებით, ქართველ დიდებულთა სახლების დარბაზებში იმართებოდა. ქალების როლებს, როგორც ეტყობა, მეფისა და თავადების ასულები ასრულებდნენ. პიესები, უმეტეს



ნაწილად, რუსულიდან ითარგმნებოდა, მაგრამ იყო უცვლელი ორიგინალური დრამატული ლიტერატურის შექმნის ცდა ტრიოტული და დემოკრატიული ტენდენციით.

ამ ლიტერატურულ-თეატრალური მოძრაობის უფრო მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ დიპლომატი და მოგზაური გიორგი ავალიშვილი, რომელმაც გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად ხელი შეუწყო საქართველოს რუსეთთან შეერთებას, და მდივანბეგი დავით ჩოლოყაშვილი. ამ უკანასკნელმა შეამოკლა და გადმოაკეთა რასინის „ეფიგენია“, რომელიც პირველად 1795 წლის მარტში წარმოდგინეს თბილისში. განათლებული აბსოლუტიზმის იდეალები, რომელნიც თავიანთ ნაწერებში საფრანგეთის კლასიკოსებმა გამოჰხატეს, ყველაზე უკეთ შეეფერებოდა ერეკლე მეფისა და მის გარშემო თავმოყრილი მოწინავე ქართველი საზოგადოების მისწრაფებათ. ფრანგული კლასიკური დრამატურგიის წაბადულებით დავით ჩოლოყაშვილი ცდილა თანამედროვე ადამიანები განეხორციელებინა ისტორიულ პერსონაჟში და, როცა ერეკლე მეფეს სცენიდან ულისეს სიტყვები ესმოდა, აგამემნონისადმი მიმართული, მას, ალბათ, ეგონა, აგამემნონი მე ვარ, ხოლო ულისე ჩემი რომელიმე თანამოღვაწეო. მისთვის მახლობელი უნდა ყოფილიყო ტრაგედიის სიტყვები: „აღვსთქვამ შეწირვასა ჩემისა სიცოცხლისასა ერისათვის ჩემისა, მსხვერპლად მივცემ განსვენებასა ჩემსა; ვფიცავ, რომ არ დაუდვა ჰსჯული, გარნა სასარგებლო და მართალი და არა მქონდეს ნება წინააღმდეგად მიცემულისა ჩემგან ჰსჯულისა“. მოხუცი და ხანგრძლივი ღვაწლით დაღლილი მეფისთვის განსაკუთრებით გასაგები უნდა ყოფილიყო აგამემნონის სიტყვები: „რა ბევრით ჰსჯობს მემცხვა-



რეთ მწყემსობა ხელმწიფობასა და მეთევზეთ ცხოვრება ჩვენს ნებივრობასა. დილა მსახურებს მათ საზრდოვნად და სიღამო განსასვენებლად. თუმცა ხმელი ფიცარი და ისიც ვიწრო აქვსთ ლოვინად, მაგრამ ეს შეყვარებულნი გვამნი ერთიმეორეს ასე შეიტკობენ და ასე გათენებამდინ ტკბილად დაიძინებენ, რომ ვერც ორგულთ ზედ დასხმა და ვერც სხვათათვის მზრუნველობა, ვერც სახელის მოყვარება, ვერც შური ამათის ძილის გაკრთომას ვერ შეიძლებენ“.

გაიოზი დიდხანს არ დარჩენილა თელავის სემინარიის რექტორად. 1783 წელს ის დანიშნულ იქნა იმ დიპლომატიური მისიის წევრად, რომელსაც გიორგიევსკში ხელშეკრულება უნდა დაედო რუსეთის წარმომადგენლებთან. ამის შემდეგ ის სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ამ პირხმელმა, მზემოკიდებულმა, ტუჩებმოკუმულმა და თვალებანთებულმა მაღალმა კაცმა, როგორც ეტყობა, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჯერ თავად პოტიომკინზე და მერმე ეკატერინე მეორეზე, რომელმაც ის ჯერ არქიმანდრიტად აკურთხებინა, ხოლო შემდეგ მოზდოკის ეპისკოპოსად დაანიშნინა და ოცდაათი ათასი მანეთის ოქრო უბოძა. ერთი იმდროინდელი ქართველი მოგზაური, იონა შიტროპოლიტი მას შეხვდა, როცა ის მოლდავიაში იმყოფებოდა, ქალაქ იასაში: „რა მოვიდა გაიოზ და ვნახეთ ერთმანეთი, გარდავეხვიენით. იტირა არქიმანდრიტმა გაიოზ და ვკითხე: რისთვის სტირი, მამაო და ძმაო? მიპასუხა: სადა ვართო და სად შევიყარენითო? სადაობა და ვინაობა სულით ითქვნა და მეც მასულთქმა“.

თუმცა გაიოზმა თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში გაატარა, მან თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით



ხელი შეუწყო თავის დროს ქართული სამეცნიერო მწერლობის გამდიდრებას. მან შეადგინა მოკლე ქართული გარეგანი ტიკა და საქართველოს ისტორია, ამას გარდა ქართულად გადმოთარგმნა მარკ ავრელიუსის „წიგნი ზნეთ სწავლულება“, მარმონტელის „ველიზარი“, შემდეგ „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“, „ისტორია ეგვიპტისა“, პეტრე დიდის რეგლამენტი და სხვ. მის შემდეგ თელავის სემინარიის რექტორად დაინიშნა დავით ალექსის-ძე, ცნობილი კალიგრაფების მესხიშვილების გვარიდან.

გარდა გაიოზისა ანტონ კათოლიკოსის მეცნიერულ-ფილოსოფიურმა სკოლამ კიდევ რამდენიმე გამოჩენილი მწერალი და ორატორი მისცა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს: დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, რომელიც უკვე ნეკრესის ეპისკოპოსი იყო, როცა ჯერ კიდევ თელავის სემინარიის გახსნამდე დაარსებულ თელავის საფილოსოფიო-საღვთისმეტყველო სკოლაში შევიდა და ახალგაზრდა „მესხოლეთა“ გვერდით დაჯდა, ამბროსი ნეკრესელი, ანტონი ცაგერელ-ჰყონდიდელი და სხვები. ნაწილობრივ ფილიპე ყაითმაზიშვილთან ერთად, მათ რამდენიმე ფილოსოფიური წიგნი გადმოთარგმნეს ქართულად. ისევე, როგორც ანტონ კათოლიკოსი, ეს მწერლებიც სქოლასტიკური და თეოლოგიური აზროვნების ტყვეობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათი აზროვნებაც თავისუფალი არ იყო ახალი ევროპიული ფილოსოფიის და მეცნიერების ზეგავლენისაგან. ამრიგად მათ ნიადაგი მოუმზადეს შემდეგი თაობის მოაზროვნეთ, იოანე, დავით, თეიმურაზ ბატონიშვილებს და სხვებს, რომელნიც თავიანთი მსოფლმხედველობით და ფსიქოლოგიით ახალი ეპოქის ადამიანებს წარმოადგენდნენ.

სოლომონ ლეონიძე. ძალაჲს მართვა-გამგებობის რეჟორმა

იმ მოღვაწეთა შორის, რომელთაც ერეკლეს მეფობის მეორე ნახევარში წინ წაიწიეს არა წარჩინებული წარმოშობის, არამედ პირადი ნიჭისა და დამსახურების შემწეობით, განსაკუთრებით შესამჩნევია სოლომონ ლეონიძე.

მისი ნამდვილი გვარი ცნობილი არ არის; ის სამღვდლო წოდებიდან წარმოსდგებოდა და ჯერ კიდევ თითქმის ბავშვი იყო, როცა მეფის კარის მოსამსახურე გახდა. ერეკლე მეფის სასახლე კარჩაკეტილი არ იყო სხვა იმდროინდელ აღმოსავლეთურ ან ევროპიულ მეფეების სასახლეებივით: როგორც მეფეს, ისე ბატონიშვილებს თავიანთ ქვეშევრდომებთან, თვით გლეხებთან უბრალო ადამიანური, ხშირად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ამიტომ ცოდნის მოყვარე და მახვილი გონების ჰაბუკისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო იმ კულტურული გარემოცვის გამოყენება, რომელშიც მისი თანამოასაკე უფლისწულები ტრიალებდნენ.

ამტიციებენ, თითქო სოლომონ ლეონიძის პირველი მასწავლებელი დოსითეოზ ნეკრესელი ყოფილიყოს. შეიძლება მართლაც ამ მღვდელმთავარმა, რომელმაც სთქვა, არა არს ესრეთ ტკბილი, ვით მამულის სიყვარულიო, ჩააგონა ახალგაზრდა სოლომონ ლეონიძეს ის მღვიძარე და მომქმედი პატრიოტული სული, რომელიც მას ახასიათებდა მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე. გარდა აღმოსავლეთური და რუსული ენებისა სოლომონს ბერძნულიც სცოდნია. მჭერმეტყველების პირველი გაკვეთილები მისთვის თითქოს მზეჭაბუკ ორბელიანს მიუცია.



სოლომონი ოცდასამი წლისა იყო, როცა ქვეყნის მდივნობა მიიღო. 1779 წელს მან თავი ისახველი ომში, რისთვისაც თავადობა და ამოწყვეტილი კახელი თავადის ლეონიძის მამული ებოძა. მან შეერთო ქსნის ერისთვის ქალი და ამრიგად უმაღლეს არისტოკრატიას დაუმოყვრდა. შემდეგ, როცა ერეკლემ, რუსეთის წაბაძულებით, ვიცე-კანცლერის თანამდებობა შეჰქმნა, ის ლეონიძეს ჩააბარა.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებამდე ერეკლე მეფე დიდი ნდობით ებყრობოდა სოლომონ ლეონიძეს და ამ უკანასკნელის მოღვაწეობა ნაყოფიერი იყო მართვა-გამგეობის მრავალ დარგში. როგორც ეტყობა, მან ხელი შეუწყო სისხლის სამართლის შერბილებას და უფრო ჰუმანიური სასჯელის შემოღებას თვალების დათხრისა და ფიზიკური დასახიჩრების მაგივრად. ერეკლე მეფესთან ერთად ის სცდილობდა აელაგმა თვითნება ფეოდალები, მოესპო მუშტის ძალა და წესრიგი დაემყარებინა სოფლად, ხოლო ქალაქის ვაჭრობა-მრეწველობა გაეცხოველებინა. ის მეგობრობდა სომხის ერის მოწინავე წარმომადგენლებს, აგრეთვე მათ რელიგიურ და პოლიტიკურ მეთაურს — ეჩმიადინის პატრიარქს და სცდილობდა სომხობისთვის ჩაეგონებინა, რომ მათი ინტერესი საქართველოს სამეფოს განმტკიცებას მოითხოვდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის საქალაქო მმართველობის მოწესრიგებას, რაშიც ერეკლე მეფეს, როგორც სჩანს, სოლომონ ლეონიძემ დიდი დახმარება გაუწია. ამ დარგში დიდმა არეუ-დარევამ იჩინა თავი, ვინაიდან ძველი ქართული წესები და უცხოელთა ბატონობის დროს დამყარებული ნორმები ერთმანეთში აირია. როგორც საშუალო საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქებში, ისე ფეოდალურ საქართველოშიც ვაჭრები და ხელოსნები ამქრებოდ



იყვნენ დაყოფილნი. ამქარი წარმოადგენდა ეკონომიურ და უფლებრივ კორპორაციას, რომელიც ავტონომიურად გებდა თავის საქმეებს, ირჩევდა უსტაბაშს, ასამართლებდა თავის წევრებს მცირე დანაშაულობისთვის, აწესებდა ნაწარმოების ფასს, აწყობდა ამხანაგურ შეხვედრებს და საამქრო დროშით გამოდიოდა დიდ სადღესასწაულო პროცესიებში. შეგირდის, ქარგლის, ოსტატის და უსტაბაშის უფლებამოვალეობანი და სტაჟი საადათო უფლებით იყო განსაზღვრული.

საამქრო წესწყობილებამ დიდი გამძლეობა გამოიჩინა და ის, როგორც სჩანს, არსებითად თითქმის არ უნდა შეცვლილიყო საშუალო საუკუნეების მანძილზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დარგში უფრო ტერმინოლოგია შეიცვალა, ვიდრე ფაქტიური ურთიერთობა.

ისევე როგორც წინა საუკუნეებში, ერეკლეს დროსაც, ალბათ, იგივე ოქრომჭედლები, მესატევერეები, ნალბანდები, ფეიქრები, მითავეები, ხარაზები, სირაჯები, ბაზაზები, ზარაფები და სვა დარგის ხელოსნები და წვრილი ვაჭრები ამჭრებად, თაუნებად, ან ასნაფებად იყვნენ დანაწილებული.

მაგრამ სხვა ქალაქების მსგავსად თბილისსაც ჰყავდა საერთო სამოქალაქო ადმინისტრაცია, მოურავი, მელიქი, მამასახლისი, ნაცვლი, იასაულები, ტარულები ანუ ბაზრის ზედამხედველები, ასახები, ქეთხუდები და სხ. ამ მოხელეთა ფუნქციები, საკანონმდებლო, სამოსამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების არევის გამო, გაურკვეველი იყო. ერეკლე მეფის არას კი, ეტყობა, ქალაქის მმართველობაში მრავალმა გაუგებრობამ და ბოროტმოქმედებამ იჩინა თავი. ქალაქში გაჩნდა ჩამდენიმე მოურავი, მელიქი და ნაცვალი,



რომელნიც, ალბათ, ერთიმეორეს საქმეში ერთმანეთს ცალცალკე თხოულობდნენ ბაჟს და საურავს.

ერეკლე მეფემ გაამარტივა ქალაქის მართვა-გამგეობა, გადააყენა სხვა მოურავები, მელიქ-მამასახლისები და ნაცვლები, ვარდა მის მიერ დამტყიცებულისა, შეეცადა მოეწესრიგებინა როგორც ნიხრის და ბაჟის, ისე მოურავის და სხვა მოხელეების სარგოს საკითხი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქალაქის მოურავი, ერეკლე მეფის სამოქალაქო წესდების თანახმად, ძალიან დიდ ხელისუფლად იქცა უზარმაზარი შემოსავლით. ის უფრო ქალაქის მფლობელ დიდ შებატონეს ჰგავდა, საკანონმდებლო, სამოსამართლო და საპოლიციო ხელისუფლებით აღჭურვილს, ვიდრე უბრალო ბურგომისტრს ანუ ქალაქის თავს: არსებითად ისიც დიდი ფეოდალი იყო.

თბილისში ადმინისტრაციის სათავეში, რეფორმის შემდეგ, ერეკლემ თავისი სიძე, სარდალი დავით ორბელიანი ჩააყენა. ეს იყო გმირი მხედართმთავარი და გამოჩენილი ლიტერატორი; იმისდა მიუხედავად რომ ის მუდამ ბრძოლებში იყო ჩაბმული, სპარსულიდან სუცხოო ენით ქართულად „ყარამანიანი“ გადმოთარგმნა. შეიძლება ის არც ურიგო ბურგომისტრი ყოფილიყოს. მაგრამ მის ხელში ძალიან დიდმა ძალა-უფლებამ მოიყარა თავი. ის იყო უზენაესი მოსამართლე მოქალაქეთა საქმეებში და ქოველი გარჩეული საქმიდან ერთ მეთედს დებულობდა. ის დებულობდა სახელმწიფო ბაჟის მეხუთედს, ყოველგვარ ნატურალურ გადასახადს ბაზარში შემოტანილ სანოვაგებზე და ევრეთწოდებულ ნიხრანას ახალი ნიხრის დაწესებობა დროს. თვით გზად მიმავალ მოქალაქეს მოურავი უნდა ენახა და ფეშქაში უნდა მიერთვია მისთვის. მას უნდა ხლებოდნენ ქალაქის მცველები — ასასები და ასასბაშები, მისთვის უნდა



მიერთმიათ სხვადასხვა ჯარიმის ათვისავე, თვით დავალებული
 მება კი მეფისა და მოურავის ნაცვლების საქმე იყოს აღმოჩენილი
 რიმება ხდებოდა ლიტრისა, აღლისა, საწყაოს და ყოველივე
 საზომის ნაკლებობისა და სიმრუდისათვის, ქურდობისა, მე-
 ძაობისა, თავის გატეხისთვის და სხვა. თუმცა ერეკლე თბი-
 ლისის ადმინისტრაციას უბრძანებდა, თავაზსა და ხათრს
 კანონიერ საქმეზე ნურვის შეუნახავთო, მაგრამ საეჭვოა მის
 მიერ მოხდენილი რეორგანიზაციის შემდეგაც თბილისში
 აღმოფხვრილიყოს უწესობა და ბოროტმოქმედება.

პროვინციული ქალაქები, როგორც ეტყობა, უარეს მდგო-
 მარეობაში დარჩა. მაგალითად, თელავში განცალკევებული
 სამოქალაქო ადმინისტრაცია არც კი არსებობდა. იქ ბაზარ-
 ში გამოტანილი მარილის, აბრეშუმის, ბამბის, ღვინის და
 სანოვაგის გადასახადს, ხაზინის წილის გამოყოფის შემდეგ,
 მორდალი ანუ ბეჭედის მცველი, ტარული ანუ ბაზრის ზე-
 დამხედველი, ბაზიერთუხუცესი და ვინმე ყორჩიბაშიშვი-
 ლი ინაწილებდნენ; ეს უკანასკნელი, შეიძლება ბაზრის მი-
 წათმფლობელი იყო. თელავის ქალაქის წესდებაში ერეკლე
 მეფე ამბობს: ვინაიდან თელავში მცხოვრებლები ახლახან
 დასახლდნენ და ისინი სხვადასხვა ადგილებიდან არიან მო-
 სულნი, მათ ფრთხილად უნდა მოვეპყრათ და ზედმეტი გა-
 დასახადები არ დავადვათო. სხვაგვარი მოქმედება ჩვენთვის
 არასასიამოვნოა და ჩვენ გავწყრებითო. მაგრამ საეჭვოა,
 რომ ცარიელი სურვილებით შესაძლებელი ყოფილიყოს
 ხარბი პროვინციული მოხელეების აღაგმვა.

ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს თითქო ერეკლეს, სო-
 ლომონ ლეონიძის წინადადების მიხედვით, ეგრეთწოდებუ-
 ლი სამადლო დაეარსებინოს ღარიბ მოქალაქეთა დასახმა-
 რებლად და თითქო სამადლოში პურსა, ზეთსა, ბრინჯსა და
 სხვა სანოვაგეს არიგებდნენ დავრდომილთა და უქონელთა-



თვის. ასეთი დაწესებულება დიდად საჭირო იყო თბილისში, ვინაიდან მოქალაქეები მტრის ხშირი თავდასხმების მიზეზისა, ცხოვრების სიძვირისა და საკრედიტო დაწესებულებათა უქონლობის გამო, ქორვაჭრებისა და მევახშეების ხელში იყვნენ და დიდს გაჭირვებას განიცდიდნენ. ეს იწვევდა მოსახლეობის ლტოლვას ქალაქიდან. ეტყობა ამ ლტოლვამ ისეთი მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ 1784 წელს მეფემ საჭიროდ დაინახა საგანგებო დადგენილება გამოეცა, თბილისის და გორის იმ მოქალაქეთა ქონება, რომელნიც სხვა ადგილებში ან სხვა ქვეყნებში წავლენ, ხაზინას უნდა გადაეცეს და ჩვენი ნებართვით კერძო პირებს მიეყიდოსო. არის შემთხვევები, რომ მეფე ერეკლე სახლის პატრონს „შუამავლობით ეუბნება“, ზამთრის პირია, ამ დროს ბინადარს ნუ გააგდებ „მანამდის სახლის ფიქრს იქმოდესო“.

XXIII

რუსეთის პროტექტორატი

იმ გმირულ ღონისძიებათა მიუხედავად, რომლებითაც ერეკლე მეფე და მისი თანამშრომლები ქართლ-კახეთის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განახლებას სცდილობდნენ, ქვეყნის მდგომარეობა მაინც თანდათან უარესდებოდა. რადგან ლეკების მარბიელი რაზმების თარეშებმა არაჩვეულებრივ ზომას მიაღწია, ერეკლე იძულებული გახდა მათი ბელადებისა და რაზმელებისთვის წლიურად ჯამაგირის სახით კარგა ხანს სამოცი ათას მანეთამდე ეძლია, რაიცა თითქმის მთელი სახელმწიფოს ბიუჯეტის მერვედს შეადგენდა. მართალია, მან ლეკებთან ერთნაირი

თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დასდო და მათ თბი-
ლისში სამოცი მძევალი გამოაგზავნინა, მაგრამ მათგან
აღკვეთა წვრილ-წვრილი ქურდული თავდასხმები. როცა
ქართლ-კახეთის ხაზინას დაღისტანში ფულის გაგზავნა
უგვიანდებოდა, იქიდან მის მისაღებად რამდენიმე ასეული
ლექი ჩამოდიოდა, თბილისში აურზაურს სტეხდა და ყო-
ველგვარ ძალმომრეობასა და თავხედობას სჩადიოდა. ამი-
ტომ გასაკვირველი არ არის, რომ ქართლ-კახეთში გაძლი-
ერდა რუსეთისადმი მიდრეკილება.

მეორე მხრით რუსეთის მხედრობამ უკვე ფეხი მოიმაგრა
თერგის და ყუბანის ხაზზე და ნაწილობრივ დაიმორჩილა
ჩრდილო-კავკასიელი მთიელები. ამიტომ პეტერბურგის
მთავრობის დღიურ წესრიგში საქართველოს შემოერთების
საკითხი უკვე პრაქტიკულად დადგა. ფელდმარშალი თავადი
გრიგორი პოტიომკინი, როგორც მთავარსარდალი და იმპე-
რიის მთავრობის „უმაღლესი რწმუნებული სამხრეთის
ქვეყნებში“, უშუალოდ ხელმძღვანელობდა რუსეთის იმპე-
რიალისტურ პოლიტიკას; თავის კომისიონერებს დოქტორ
რეინეგსს და პოლკოვნიკ ბურნაშოვს, შემდეგ ფონ ვიტენ-
ბურგს, რომელიც სოლომონ პირველის საეჭიმოდ იყო გა-
მოგზავნილი, იმავე დროს კი ფარული აგენტის როლსაც
ასრულებდა, პოტიომკინი ავალეზდა, ქართველ მეფეებს
ურჩიეთ, ფორმალურად ეძიონ რუსეთის მფარველობაო.
მაგრამ პოტიომკინი ბურნაშოვს დიპლომატიურ რჩევას აძ-
ლევდა, თავის თავს მეფის ჭკუის დამრიგებლად ნუ წარმო-
იდგენ, მას მართებული პატივისცემით მოეპყარო.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო-კავკასიის ციხე-სიმაგრე-
სა გეორგიევსკში რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის
სამეფოს შორის დაიდო ტრაქტატი, რომელსაც რუსეთის
მხრით ხელი მოაწერეს თავად გრიგორი პოტიომკინის ბიძა-



შვილმა პავლე პოტიომკინმა და პოდპოლკოვნიკმა ტრეპიკინმა, ხოლო საქართველოს მხრით მემარცხენე დროშის მატარებელმა ივანე ბაგრატიონმა და მანდატურთუხუცესმა გარსევან ჭავჭავაძემ.

ამ ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის მეფე უარს ამბობდა სპარსეთის ან სხვა სახელმწიფოს ვასალობაზე და რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდა; რუსეთის დედოფალი ერეკლეს და მის მემკვიდრეებს პირდებოდა, რომ მათი მფლობელობის მთლიანობას დაიცავდა; ქართლ-კახეთის მეფეებს ტახტზე ასვლისას რუსეთის იმპერატორებისაგან ინვესტიტურა უნდა მიეღოთ და მათი ერთგულების ფიცი დაედოთ; ქართლ-კახეთის მეფე უარს ამბობდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე; ქართველი თავადაზნაურობა უფლებრივად სწორდებოდა რუსეთის თავადაზნაურობასთან; ქართლ-კახელ ვაჭრებს რუსეთში და რუსის ვაჭრებს ქართლ-კახეთში მკვიდრი მოსახლის უფლება ენიჭებოდათ; ბოლოს, რუსეთის დედოფალი ერეკლე მეფეს აღუთქვამდა, რომ ომის შემთხვევაში იარაღით, ხოლო საზავო მოლაპარაკების დროს დიპლომატიური გზით შეეცდებოდა ქართლ-კახეთს სამცხე-საათაბაგო და საინგილო დაბრუნებოდა. ტრაქტატს დართული ჰქონდა განცალკევებული მუხლი, რომლის ძალით ეკატერინე მეორე ერეკლეს პირდებოდა, რომ ქართლ-კახეთში ორ სრულ ბატალიონს იყოლიებდა ოთხი ზარბაზნით.

თბილისში გეორგიევსკის ტრაქტატის დადება ერთი თვის შემდეგ იდღესასწაულეს დიდი ზეიმით. რუსეთის მთავრობამ თითქო დიდი გულუხვობა გამოიჩინა: მან უარი სთქვა ფულად და ნატურალურ ხარკზე, რასაც მას ერეკლე მეფე სთავაზობდა, უარი სთქვა აგრეთვე მძევლებზე. ტექნიკური დეტალების მოსაწესრიგებლად ერეკლემ თავად პოტიომ-

კინს მდივანბეგი სულხან თუმანიშვილი გაუგზავნა მან
ფელდმარშალი გააკვირვა თავისი განათლებით, მნიშვნელოვანი
კეთილგონიერებით. რუსეთის მთავრობამ უხვად დაასაჩუქ-
რა ქართლ-კახეთის რწმუნებულები და დიდებულები. ერეკ-
ლეს უმაღლესობის ტიტული მიენიჭა. ჩვიდმეტი წლის მი-
რიან ბატონიშვილმა რუსის პოლკის უფროსობა მიიღო,
ხოლო გარსევან ჭავჭავაძე ერეკლე მეფის რეზიდენტი ანუ
სრულუფლებიანი დესპანი გახდა პეტერბურგის მთავრო-
ბასთან. ეკატერინე მეორემ ერეკლეს საჩუქრად ოცდაოთხი
ქვემეხი გამოუგზავნა, ქართლ-კახეთის სახელმწიფო გერ-
ბით შემკული, მაგრამ თბილისამდე მხოლოდ ათმა მოაღ-
წია.

ერთი წლის შემდეგ კავკასიის ხაზიდან საქართველოში
გენერალი პავლე პოტიომკინი ჩამოვიდა, რათა ადგილობ-
რივ გასცნობოდა იმპერიის მფარველობის ქვეშ მიღებულ
ქვეყანას და მის ხელმძღვანელებს. ქართლ-კახეთის სამეფო
რუსის გენერალს მეტისმეტად აწეწილად ეჩვენა, სამაგიე-
როდ მასზე თვით ერეკლემ ძლიერი შთაბეჭდილება მოახ-
დინა. ის სწერდა: „მეფე ირაკლი შუა ტანისაა, ფიცხი ხა-
სიათი აქვს. ლაპარაკის დროს შუბლშეჭმუნხული იცქირება
ქვემოდან, შეიძლება იმიტომ რომ თანამოსაუბრის სახის
მოდრაობა დაიჭიროს. ცოტათი წელში მოხრილია, ვინაიდან
უკვე სამოცდაორი წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედაა.
ირაკლი მეფე ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც
ისე შეუძლიათ პასუხის მოცემა, რომ ჰოც გამოდიოდეს და
არაც. ესაა არაჩვეულებრივი ჭკუის ადამიანი, იშვიათად
მომთმენი და გასაოცრად მომქმედი. მთელი ლამეები ფხიზ-
ლობს, ვინაიდან თვითონ ხელმძღვანელობს თავისი სახელ-
მწიფოს საქმეებს; ცოტა სძინავს. აზიურს პოლიტიკას კარ-



გად იცნობს გამოცდილებით. სცდილობს თავისი ერი ევროპულად მოაწყოს. დიდათ ღვთის მოსავია“.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისთანავე მთავრობამ სათანადო ღონისძიებანი მიიღო თერგის გზის შესასწორებლად საქართველოს საზღვრამდე, შეუდგა ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრის აშენებას, ხოლო თბილისში ორი ბატალიონი გამოგზავნა, რომელიც იმავე 1783 წლის ნოემბერში შემოვიდა და პოლკოვნიკ ბურნაშოვის სარდლობის ქვეშ დადგა. სიონში გადახდილი იქნა წირვა და პარაკლისი, რომლის შემდეგ ანტონ კათოლიკოსმა მეფეს ქება შეასხა. სასახლეში დიდი ნაღიმი გაიმართა, მთელი დღე ზარბაზნების სროლა გაისმოდა. მთელ ღამეს ქალაქი გაჩირადდნებული იყო. როგორც ქართველები, ისე რუსები სამხიარულო მუსიკას უკრავდნენ და მაშხალებს უშვებდნენ.

რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლამ საშინელი შეშფოთება გამოიწვია მეზობელ მაჰმადიანურ სამფლობელოებში. თურქების ემისრები და ფირმანები აზერბაიჯანის და დაღისტნის მფლობელებს და ხალხს მოუწოდებდნენ სარწმუნოების დასაცავად გამოსულიყვნენ და საქართველოს დასხმოდნენ თავს. 1786 წელს ტარკის შამხალმაც რუსეთის ვასალობა იკისრა, ამან კიდევ უფრო გაამძაფრა მდგომარეობა. ერევნის ხანმა განიზრახა ერეკლეს განდგომოდა და ქართლ-კახეთის სამეფოს დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებულიყო, მაგრამ მეფემ ის დაასჯევეინა, ხოლო მის ადგილას დასვა მისი მცირეწლოვანი ვაჟი, რომლის დედა თბილისელი ქრისტიანი ქალი იყო. მეტი მნიშვნელობა ჰქონდა შუშის მფლობელის იბრეიმ ხანის განდგომას; ის რუსის ჯარის შემოსვლამდე ერეკლე მეფის ერთგული მოკავშირე იყო და მასთან ერთად განაგებდა განჯის სახანოს. იბრეიმ ხანმა განჯიდან გააძევებინა ერეკლეს წარმო-

მადგენელი, მდივანბეგი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, და
ადგილობრივი მფლობელი ჯავათ ხანი სავსებით მტკიცედ
მფარველობის ქვეშ შეიყვანა. ერანსა და თურქეთში ქართვე-
ლი ვაჭრების დატყვევება, გაძარცვა და დახოცვა დაიწყო.

შუშის ხანის მტრობა ერეკლე მეფისადმი განსაკუთრე-
ბით იმით აიხსნებოდა, რომ ყარაბაღში დიდძალი სომხობა
ცხოვრობდა, რომელნიც ამოძრავდნენ, როგორც კი გეორ-
გიევსკის ტრაქტატის დადება გაიგეს. მათმა მეთაურებმა,
მელიქებმა და ეპისკოპოსებმა თხოვნა მიართვეს თავად პო-
ტიომკინს სომხებისთვის დახმარება გაეწია, რათა იბრეიმ
ხანის და სხვა მაჰმადიანი მფლობელებისაგან განთავისუფლე-
ბულიყვნენ და ერთი ქრისტიანული პოლიტიკური ერთეუ-
ლი შეექნათ რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ. მათ
მაგალითს მიჰბაძეს სხვა პროვინციების სომხებმა და ქრის-
ტიანმა აისორებმაც.

განსაკუთრებული აქტივობა ერეკლეს წინააღმდეგ გამოი-
ჩინა ახალციხის ფაშამ, რომელმაც იცოდა, რომ ახლად და-
დებული რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება უშუალოდ
მას ემუქრებოდა. მან ერეკლეს წინააღმდეგ შეაგულიანა
დალისტინის ხანები და ბელადები, ხოლო თვითონ განაახლა
ძარბიელი რაზმების შემოგზავნა ბორჯომის ხეობიდან.

იმერეთის სამეფომ სოლომონ პირველის სიკვდილის შემ-
დეგ კარგა ხანს ერთგულება შეინარჩუნა რუსეთის იმპე-
რიისადმი. იქ სხვა პრეტენდენტის წინააღმდეგობის დაძლე-
ვის შემდეგ ტახტზე 1792 წელს ერეკლე მეფის ქალის
ელენეს შვილი სოლომონ მეორე დამკვიდრდა. მის მეფობა-
ში განსაკუთრებით გაძლიერდა სარდალი და სახლთუხუცე-
სი ზურაბ წერეთელი, რომელმაც ჯერ კიდევ 1785 წელს
თავად პოტიომკინს წარუდგინა მოხსენება, სადაც ფართო
პოლიტიკური გეგმა იყო დასახული. იმპერიის ფინანსიური



დახმარებით უნდა შემდგარიყო იმერლების რეგულაციული
 ჯარი; მდინარე კინტრიშზე ან ციხისძირში უნდა ~~გვეწყობილიყო~~
 სიმაგრე, რომლის მახლობლად ანატოლიელი ბერძნები უნ-
 და დასახლებულიყვნენ. აქ ბიზანტიური ეპოქის ქალაქ პეტ-
 რას აღვილას უნდა გაჩაღებულიყო აბრეშუმის, ბამბის,
 თაფლის და გემთსაშენი ტყის წარმოება და გაძლიერებუ-
 ლიყო ნაოსნობა და აღებ-მიცემა ყირიმთან და სამხრეთ რუ-
 სეთთან. ამის შემდეგ, ზურაბ წერეთლის აზრით, თურქები
 იძულებული გახდებოდნენ ფოთი და ბათუმი დაეცალათ.

რუსის ჯარის ერთი პატარა ნაწილი ორი ზარბაზნით სუ-
 რამში დადგა. ამისდა მიუხედავად გაზაფხულზე ქართლში
 ახალციხიდან ორი ათასამდე ლეკი და თურქი შემოიჭრა,
 საქაშეთამდე მივიდა და ტყვეებითა და ნადავლით დატვირ-
 თული გაბრუნდა. მათ უკან გამოუდგა ქართველების მდე-
 ვარი რაზმი, ხოლო წინ გზა გადაუჭრა რუსის როტამ გერ-
 მანელი ოფიცრის სენებერგის მეთაურობით; ლეკები და
 თურქები სასტიკად დამარცხდნენ, მრავალი მათგანი მტკვარ-
 ში გადავარდა და დაიხრჩო. მარტო ერთმა რუსის სერ-
 ეანტმა, ვინმე დიმიტრიმ ხიშტით თორმეტი ლეკი მოჰკლა.
 ქართველი ტყვეები განთავისუფლდნენ, ერთმა ქალმა თვი-
 თონ დაატყვევა თავისი დამტყვევებელი ლეკი და ქართვე-
 ლი ჯარის ბანაკში მოიყვანა. ცოტა ხნის შემდეგ რუსებმა
 და ქართველებმა ლეკ-თურქთა მოთარეშე რაზმი მეორე-
 ჯერ მოხისთან დაამარცხეს.

მაგრამ იმავე წელს დაღისტნიდან დაიძრა ხუნძახის
 მფლობელი ომარ ხანი, რომელიც ალაუნის პირს მოადგა
 თერთმეტი ათასი კაცით. ერეკლე მეფემ ქართლიდან ჯარი
 ვერ გამოიწვია თურქების შემოსევის შიშით, ხოლო ყაზახის
 და შამშადილის თათრობას ვეღარ ენდო. რადგან მორიგე
 ჯარი თითქმის დაშლილი იყო, ქართველ მხედრობაში



უღისციბლინობამ და დენადობამ იჩინა თავი. რუსეთის ბუტკოვი
ლიონები, ბურნაშოვის მეთაურობით, სილნალში მდებარეობდა
იქვე დაიწყო თავის მოყრა ქართველმა ლაშქარმაც, რომე-
ლიც ამ ექსპედიციის განმავლობაში ხან მატულობდა და
ხუთი ათასამდე აღიოდა, ხან კლებულობდა და სამი ათასზე
ჩამოდიოდა. ერეკლემ მკაცრი ღონისძიებანი მიიღო დეზერ-
ტირების წინააღმდეგ, მაგრამ უღისციბლინობა მაინც ვერ
დასძლია.

მოწინააღმდეგეები ერთხანს პირისპირ იდგნენ უმოქმე-
დოდ. რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ომარ ხანმა
ვერ გაბედა მტერთან შებმა. რუსი ისტორიკოსი ბუტკოვი
ამტკიცებს, პოლკოვნიკი ბურნაშოვი ერეკლე მეფეს ურჩევ-
და, თვითონ გადასულიყვნენ შეტევაზე, მაგრამ მეფე ამას
წინააღუდგაო. დავით ბატონიშვილი, პირიქით, ამბობს, მა-
მაცობისა და ერთგულების სულით გახურებულ ქართვე-
ლებს შებმა სწადდათ, მაგრამ რუსი პოლკოვნიკი ომში გა-
მოუცდელი კაცი იყო და როგორც მან, ისე მეფის ერთმა
მისანდო ნაზირმა ერეკლეს შეტევაზე გადასვლა დაუშალე-
სო. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ისევე, რო-
გორც წინათ ასპინძის ბრძოლაში, ახლაც ორსარდლობას
კარგი ნაყოფი არ გამოუღია.

ომარ ხანი მოულოდნელად აიყარა, ალაზანი და იორი
გადალახა და მოწინააღმდეგეს მოაჩვენა, თბილისისაკენ
მივდივარო. როცა რუს-ქართველი ჯარი ქალაქისკენ გამოე-
შურა, ომარი ყარაიანის ველზე გადავიდა, მტკვარი გადა-
ლახა და ბორჩალოში შეიჭრა. რუსები და ქართველები თა-
ვიანთი ხარშებმული არტილერიით ნელა მოძრაობდნენ; რო-
ცა მათ მდინარე ალგეთს მიაღწიეს მარნეულთან, აღმოჩნ-
და, რომ ლეკებს ერთი დღით გაესწროთ. ომარ ხანი ახტა-
ლაში ავიდა, ნაღმით ააფეთქა მისი ციხე, რომელსაც მცი-

რერიცხოვანი ქართველი რაზმი იცავდა, სრულიად ააოხრა ვერცხლის მადნები, ხოლო მემადნე მუშები სასახეებში გაქლიტა, სანახევროდ კი ტყვედ წაასხა. იქიდან ის ლორეში გადავიდა, უზუნლარში დაბანაკდა და ერეკლე მეფეს შემოუთვალა, თვითეულ ტყვეში ხუთი თუმანი მომეცი, წლიურად ათი ათასი მანეთი ჯამაგირი დამინიშნე და შენი მოკავშირე გავხდებიო. რადგან მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, ლეკის ჯარი ტბათარავნის გვერდზე გავლით ახალქალაქში გადავიდა, ხოლო იქიდან ახალციხეში; ამის შემდეგ რუს-ქართველთა ჯარი თბილისში დაბრუნდა.

ომარ ხანს ერთი თვეც არ დაუსვენია ახალციხეში. იქიდან ის შვიდი ათასი კაცით იმერეთისკენ დაიძრა და ვახანის ციხეს შემოარტყა ალყა. ციხეში შვიდასამდე სული იყო თავშეფარებული, მას მცირერიცხოვანი რაზმი იცავდა ვახანის მეზატონის, სოლომონ პირველის სიძის—ქაიხოსრო აბაშიძის მეთაურობით. ომარმა ორჯერ სცადა ციხის აფეთქება, მაგრამ ვერ შესძლო. ამავე დროს კი იმერეთიდან ვახანის ციხის საშველად დაძრული ჯარი მარელისს მოადგა, ერეკლე მეფე და რუსის ჯარი კი სურამში მივიდა. მაშინ ომარ ხანმა ვერაგობას მიმართა. მან თავის ბანაკში მყოფ ორ-სამ მოლაღატე იმერელის შემწეობით ვითომდა დასაზავებლად ციხიდან გამოიტყუა ქაიხოსრო აბაშიძე და ციხის მცველების დასანახავად მისი წამება დააწყებინა. ამის შემდეგ ვახანის მეციხოვნეებმა კარიბჭე გააღეს.

ლეკებმა გაქლიტეს ციხეში მყოფი მამაკაცები, გარდა თავადიშვილებისა, შენობები დაარბიეს და დასწვეს. ერეკლე მეფეს ეგონა ომარ ხანი ახალციხეში ჩვეულებრივი გზით დაბრუნდებოდა და ქვიშხეთთან ჩაუსაფრდა. მაგრამ ლეკები მთის ბილიკებით გადავიდნენ ახალციხეში. სხვათა შორის, ომარმა ვახანიდან ტყვედ წაიყვანა ქაიხოსრო აბაშიძის ორი



ქალიშვილი; ერთი თვითონ შეირთო და მას ჯავაიჩი ხანუმი დაარქვა, ხოლო მეორე იბრეიმ ხანს მისცა ცოლად. ომარის სიკვდილის შემდეგ ჯავაიჩი ხანუმი სამშობლოში დაბრუნდა.

გენერალმა პოტიომკინმა ომარ ხანს ახალციხეში ერთი ათასი ჩერვონეცი და ძვირფასი სათუთუნე გაუგზავნა, რათა ის შეეჩერებინა შემდგომი თავდასხმებისაგან. ერეკლემ რუსეთის მთავრობას ათი ათასი ჯარისკაცი და სესხად სამასი ათასი მანეთი სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ქართლ-კახეთის მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. ლეკების შიშით ყაზახელებმა და შამშადილელებმა განჯაში და ყარაბაღში იწყეს გადასახლება, ხოლო ქართველებმა და სომხებმა მოზდოქსა და ყიზლარში. ვაჭრობა თითქმის სრულიად შესწყდა, მეურნეობა დაეცა მუშახელის უქონლობის გამო. აბტალის მადაროების აოხრების შემდეგ ხაზინის შემოსავალი საგრძნობლად შემცირდა. თვით ერეკლე ამბობდა თურმე, საქართველოს ასეთი გაჭირვება არ უნახავს შაჰ-აბაზის შემდეგ.

ერეკლეს მდგომარეობას კიდევ უფრო აძნელებდა ის, რომ დარეჯან დედოფალი და ზოგიერთი დიდებული, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ რუსული ორდენების და საჩუქრების მიუღებლობით, მას აყვედრიდნენ, ყველა უბედურება გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას და რუსის ჯარის შემოსვლას მოჰყვაო. გარსევან ჭავჭავაძე შეეცადა რაიმე რეალური დახმარება მიეღო პეტერბურგში და, რაკი ვერაფერს გახდა, ერეკლეს წინადადება მისცა, შენი ქალი — ანასტასია ბატონიშვილი მის საქმროს დააშორე და თავად პოტიომკინს მიათხოვე, ხოლო მზითვად ხევი და მთიულეთი მიეციო: როცა ის შენი სიძე გახდება, მეტს დახმარებას აღმოგიჩენსო.



ერეკლე მეფეს, რასაკვირველია, კარგად ესმოდა, რომ ხანშიშესული რუსის ფელდმარშალის ჩამოსიძებინების პოლიტიკურ მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებდა და ამიტომ არჩია მორიგების გზას დასდგომოდა თურქეთის მიმართ. თავის მხრით სტამბოლის მთავრობაც რუსეთის საწინააღმდეგო ომისთვის ემზადებოდა და მას არ უნდოდა ქართლ-კახეთი მტრად გადაეკიდებინა. ამიტომ სულთანმა არზრუმის, ვანის, ბაიაზეთის, ყარსის და ახალციხის ფაშებს საგანგებო ფირმანი გამოუგზავნა და წინადადება მისცა, კეთილმეზობლური ურთიერთობა დაემყარებინათ ერეკლე მეფესთან. სულთანი, სხვათა შორის, ფაშებს სწერდა, ხარს ხელს ნუ ახლებთ, დაე მშვიდობიანად იწვეს, ნუ აიძულებთ ზეზე წამოდგესო.

ახალციხის ფაშამ ერეკლეს აღუთქვა, რომ ლეკებს აღარ შეიკედლებდა და თვითონაც შეაჩერებდა მოთარეშე რაზმების გზავნას, სამაგიეროდ სთხოვა, ორი თავადიშვილი მძევლად მომეცი და ქართლ-კახეთში ახალი რუსის ჯარის ნაწილებს ნულარ შემოიყვანო. ერეკლემ დარბაზი მოიწვია, და თუმცა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებმა მას ურჩიეს არ დაეკმაყოფილებინა თურქეთის მოთხოვნა, ის მაინც დარბაზის უმრავლესობის აზრს მიემხრო და ახალციხეში მძევლები გაგზავნა. ამას გარდა მან წლიურად ხუთი ათასი მანეთი დაუნიშნა ომარ ხანს.

ამის შემდეგ ერეკლემ გადასწყვიტა დაესაჯა გამდგარი ყარაბაღის და განჯის ხანები, ხოლო გადასახლებული ყაზახელი და შამშადილელი ელები უკან დაებრუნებინა. შეერთებულმა რუს-ქართველმა ჯარმა დალაშქრა განჯის სახანო, ხოლო ქართველმა ჯარმა იულონ ბატონიშვილის მეთაურობით დაამარცხა ყარაბაღელები. ეს ექსპედიცია ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, რომ განჯაში მყოფ



მეფესა და პოლკოვნიკ ბურნაშოვთან რუსეთის მთავრობის წიკრიკი მოვიდა ბრძანებით, რომ რუსის ჯარისკაცთა და ბრძანებულებით. ერეკლემ ბურნაშოვს სთხოვა ომის დასრულებამდე დაეცადა, მაგრამ ის დაუყოვნებლივ თბილისში დაბრუნდა და დარიალის გზით სამშობლოსაკენ გაემართა (1787 წ.). ერეკლემ მომდევნო წლებში მაინც შესძლო ჯერ განჯის დამორჩილება და შემდეგ აყრილი ელების უკან დაბრუნება.

თავისი ჯარის გაწვევას ქართლ-კახეთის საზღვრებიდან რუსეთის მთავრობა ორი მოსაზრებით ამართლებდა. ერთი რომ თურქების წინააღმდეგ ომს ვიწყებდით და განზრახვა არ გვქონდა ამ მხრიდანაც დაგვეწყო მოქმედება, ე. ი. საკუთარი ძალები დაგვექსაქსაო; შემდეგ ვფიქრობდით, ერეკლე მეფეს ამ ომის დროს გაუადვილდებოდა წინანდელი კავშირების აღდგენა თავის მეზობლებთან, რომელნიც მას მტრად გადაეკიდნენ ჩვენი ჯარის შესვლის გამო.

რაც შეეხება რუსეთ-თურქეთის ახალს ომს მასში ერეკლეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და ზავიც ისე დაიდო (1791 წ.), რომ საქართველოს არავითარი სარგებლობა არ უნახავს.

რუსის ჯარის უკან დაბრუნების შემდეგ ლეკების თავდასხმები ცოტა ხნით თითქო შენელდა, მაგრამ შემდეგ ხელახლა დაიწყო წინანდელი გააფთრებით; თუმცა მათ ბელადებს ისეთი დიდი ჯარის შეკრება არ შეეძლოთ, როგორც ომარ ხანმა შეაგროვა, მაგრამ ამ თავდასხმებმა დიდად შეაფერხეს ერეკლე მეფის მიერ დაწყებული აღმშენებლობითი მუშაობა. მეფის გულნაკლული ქართველი ფეოდალები ახალციხესა და ქარში გადადიოდნენ და ლეკთა ბელადებს აქეზებდნენ, რათა ქართლ-კახეთს შემოსეოდნენ. ასეთი მოლაპატე ფეოდალების რიცხვს ეკუთვნოდნენ ქსნის

ერისთვის შვილები და მათთან დამოყვრებული ციციშვილები, რომელთაც ახალციხიდან გადმოყვანილ ბრბოების შემწეობით ჯერ ხელთუბანი მოარბიეს, ხოლო შემდეგ ყარაღაჯი, სადაც, სხვათა შორის, ერეკლე მეფის მდივანბეგი და ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე დაიკოდა, ერეკლეს უკმაყოფილო იყო აგრეთვე მიქელ არღუთაშვილი, რომელმაც ლეკებს კრწანისი, ყალაჩა და გიაუარხა მოარბევინა.


მაგრამ, საბედნიეროდ, ერეკლე მეფეს ამ დროისთვის უკვე წამოეზარდნენ ახალგაზრდა თანაშემწეები; მათ შორის განსაკუთრებული სამხედრო ნიჭი გამოიჩინეს მისმა შვილიშვილებმა დავით და იოანე ბატონიშვილებმა, რომელთაც რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხეს და უკუაქციეს ლეკთა მოთარეშე ბრბოები. რადგან თურქები, განსაკუთრებით ახალციხის და ყარსის ფაშები, დაზავების მიუხედავად, დახმარებას უწყევდნენ ლეკთა ბელადებს, ერეკლე მეფემ მათი დასჯა გადასწყვიტა. 1789 წელს ოცი წლის დავით ბატონიშვილი ათასი რჩეული ქართველი მხედრით ღრმად შეიჭრა ყარსის საფაშოში, მოარბია ის და დიდძალი ტყვეებითა და ნადავლით უკან გამობრუნდა. მას დაეწია თურქთა ჯარი, მისმა ერთმა სარდალმა შებდჯერ ხმალი შემოჰკრა დავით ბატონიშვილს, მაგრამ ის რკინის ჯავშანმა გადაარჩინა. მკვირცხლმა დავით ბატონიშვილმა თავისი ხელით მოჰკლა როგორც თავდამსხმელი თურქი მხედარი, ისე მეორე გამოჩენილი სარდალი, თურქ მეთოფეთა მეთაური; თუმცა მას ბრძოლის დროს ცხენი ტალახში ჩაეფლა და ის იძულებული გახდა ჩამომხტარიყო, მაგრამ ერთგულმა სარვანელმა თათარმა მას ცხენი მოართვა და ხიფათს გადაარჩინა. ქართველი ჯარი გამარჯვებული დაბრუნდა თბილისში.

საქართველოს გაერთიანების ცდა

იმ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში, რომელშიც აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო ჩავარდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლო წლებში, მოწინავე ქართველ საზოგადოებაში თავი იჩინა გაერთიანების იდეამ. ეს იდეა, თავდაპირველად ფრთხილად და გაურკვეველად გამოთქმული, ოთხმოციან წლებში უკვე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორად იქცა. მოწინავე ქართველ მოღვაწეებს ქართველი ერის გაერთიანება თავდაპირველად, როგორც ეტყობა, სამეფოთა და სამთავროთა კავშირის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი. შემდეგ უფრო თამამმა და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ერთმეფობის აღდგენა განიზრახეს ერეკლესა და მისი მემკვიდრეების სკიპტრის ქვეშ.

ამ დიდ პატრიოტულ მოძრაობას, რომელსაც თავადაზნაურობის და სამღვდელოების შეგნებული ნაწილი ხელმძღვანელობდა და, რასაკვირველია, გაწამებული მდაბიო ხალხი განსაკუთრებით თანაუგრძნობდა, შეეძლო ქართველი ერის დამოუკიდებლობა გადაერჩინა და მისი მომავალი კეთილდღეობა უზრუნველეყო. მაგრამ საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობისა, ვაჭრობა-მრეწველობის განუვითარებლობის, ეროვნული ბურჟუაზიის უყოლობის გამო მას დაუძლეველი დაბრკოლება გადაეღობა წინ.

ქართველი ერის გაერთიანებისათვის თითქო ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებას, რომ იმერეთის ტახტზე, ერეკლე მეფისვე სამხედრო დახმარებით, მისი შვილიშვილი სოლომონ მეორე დამკვიდრდა. ნამდვილად, ფეოდალური უფლებრივი შეგნების სიძლიერის გამო, ამ გარემოებამ ხელი შეუშალა



აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს გაერთიანებას. თავისი ფართო პოლიტიკური ჯგუფისა და მხურვალე მამულე-შვილური შეგნების მიუხედავად, ერეკლე მეფემ ვერ დასაძლია ის დროგადასული, საშუალო საუკუნეების ფეოდალიზმისაგან ნაანდერძევი შეხედულება, რომლის მიხედვით სამეფო ერთს დიდს სამკვიდროს, ერთს დიდს მამულს წარმოადგენდა, ხოლო მეფე სახელმწიფოს უმაღლესი მოხელე კი არ იყო, არამედ უდიდესი მემამულე, პირველი ფეოდალი თანასწორთა შორის. ამას ზედ დაერთო ის, რომ რაც უფრო ბერდებოდა ასპინძის გმირი, მით უფრო ემორჩილებოდა ის უგუნურად პატივმოყვარე დედოფლის და მისი ფავორიტების ზეგავლენას, რომელნიც ოსეფა ყორღანაშვილის მსგავსად, არც ბრძოლის ველზე სჩანდნენ და არც მეფის დარბაზსა თუ სამდივნოში, მაგრამ პოლიტიკაზე უკუღმართ ზეგავლენას ახდენდნენ საღვთისცხის ტალანებიდან. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე მეფეს, ერთნაირი პოლიტიკური ზომიერების კარნახით, არ უნდოდა იმერეთის სამეფოს შემოერთებით მისი ფორმალური პროტექტორი — თურქეთის იმპერია გადაეკიდებინა.

ჯერ კიდევ სოლომონ მეორის გამეფებამდე იმერეთიდან თბილისში ჩამოვიდა დელეგაცია, რომელშიც გენათელ და ქუთათელ მღვდელმთავრებს გარდა სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, იოანე აბაშიძე და სხვები შედიოდნენ; მათ ერეკლეს სთხოვეს იმერეთის სამეფო შეეერთებინა. მეფემ პირდაპირი პასუხი არ გასცა, მხოლოდ დაუყოვნებლივ დარბაზის ერი მოიწვია ამ დიდი პოლიტიკური საკითხის გასარჩევად. ჭაიხართა ცხარე კამათი. მეფე იჯდა და დუმილით უსმენდა შეერთების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა სიტყვებს.

იმერეთის წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, მთელი იმე-



რელი ხალხი მოუთმენლად ელის ამ საქმის კეთილად დასრულებას, საქართველოს გაერთიანება სწყურიათ რიის და სამეგრელოს მთავრებს, ეს ამბავი გლეხებმაც იციან და უხარიათ თქვენი გაბატონება მტრის ჯარისგან გაოხრებულ იმერეთშიო.

მზეჭაბუკ ორბელიანმა პირველსავე სხდომაზე მამული-შვილური სიყვარულით გამსჭვალული სიტყვა წარმოსთქვა სრული გაერთიანების სასარგებლოდ. მას მიემხრნენ ანტონ კათოლიკოსი, სარდალი დავით ორბელიანი, ქიზიყის მოურავი და სოლომონ ლეონიძე. დიდად საინტერესოა, როგორ ასაბუთებდა თავის აზრს მჭერმეტყველი მზეჭაბუკ ორბელიანი. ის ამბობდა: მეფე ერისთვის არის და არა ერი მეფისთვის; იმერეთის ერი ერთობას და კავშირს ითხოვს, რა უფლება აქვს ერეკლე მეფეს ამაზე უარი უთხრას. ვიცი, ის ფიქრობს, როგორ წავართვა ტახტი ჩემსავე შვილიშვილსო. ეს აზრი უკუღმართი და დამლუპავია. განა ქართლის მეფის მემკვიდრეებს კი არ წავართვა ტახტი და განა ქართლ-კახეთი არ გაერთიანდა? განა მეამბოხე არაგვის და ქსნის ერისთავებს კი არ ჩამოერთვათ სამფლობელოები? და რა დაკარგა ამით საქართველომ? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობას, ძლიერება მეფისა არის ერთა დაკავშირება.

იმერეთის დესპანების სახელით ქაიხოსრო წერეთელი გამოვიდა, მან კომპრომისული წინადადება შემოიტანა: იმერეთში მეფობა ნუ მოისპობა, მხოლოდ იქ ერეკლეს შვილიშვილი სოლომონი გამეფდეს და მან კავშირი შეკრას ქართლ-კახეთთანო; ეს მტერს დააშინებს და მორიდებას შეაჩვევსო. ერეკლე მეფე კვლავ ჩაფიქრებული იყო და დუმილით უსმენდა როგორც უკიდურეს პატრიოტთა, ისე ზომიერთა სიტყვებს.

ერთობის ერთ-ერთი მოწინააღმდეგის იოანე მუხრანბატო-



ნის გამოსვლამ მეტი დრამატიზმი შეიტანა კამათში; ქართველ-
 კახელებს ჩვენთვის ვერ მოგვივლია, იმერეთს როგორც მშობლიურ
 უაროთო; რად დავეპატრონოთ ქვეყანას, რომელსაც საკუთა-
 რი პატრონი ჰყავს, მეფის შვილიშვილიო. ამ სიტყვამ მოთ-
 მინება დააკარგვინა სარდალს დავით ორბელიანს, რომელმაც
 გულისწყრომით წამოიძახა: „მართლად აღიარებს მუხრანბა-
 ტონი, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანასა თავისის
 ხრმლით და ბაირალითა. მოვა დრო და მოსცემს ღმერთი სხვა-
 სა მუხრანისბატონსა, რომლისა ხრმალი უფრო მკრელი იქ-
 ნება“. დავით სარდლის შეძახილში თითქო რაღაც წინასწარ-
 მეტყველური გაისმა, მან დიდი აურზაური და შეხლა-შემოხ-
 ლა გამოიწვია; ნაწყენი მეფე წამოდგა და დარბაზიდან გავი-
 და. ამით დაიშალა პირველი დღის კრება.

დარეჯან დედოფალმა მზექაბუჯ ორბელიანი დაიბარა,
 უსაყვედურა, რომ ის დარბაზის ბჭობაში ერთობის დამცვე-
 ლად გამოვიდა და მრისხანედ მოსთხოვა მოწინააღმდეგე
 დასს მიმხრობოდა. ორბელიანმა ღირსეულად უპასუხა, მე
 კარგად მესმის, რასაც ვლაპარაკობ, სამშობლოსა და მეფეს
 ვერ ვუღალატებ, ჩემს აზრს საფლავში ჩავიტანო. თუმცა დე-
 დოფალს იმერეთის დესპანებიც ეახლნენ და ქვეყნის სასო-
 წარკვეთილი მდგომარეობა დაუხატეს, მაგრამ ის ჯიუტად
 უარზე იდგა და გაიძახოდა, იმერეთის გვირგვინს ჩემი შვი-
 ლიშვილის ხელიდან ვერ გამოვწირავო. მან, როგორც ეტყო-
 ბა, მეტი გავლენა მოახდინა ერეკლე მეფეზე, ვიდრე ანთე-
 ბული პატრიოტების მჭერმეტყველობამ. ამიტომ მეორე კრე-
 ბის დასასრულს მეფემ იმერეთის დელეგატებს უთხრა, წა-
 დით და ერს გამოუცხადეთ, რომ იმერეთის ტახტზე ჩემს
 შვილიშვილს დავსვამ, და ამ გზით თავისთავად კავშირი
 დამყარდება ორივე სამეფოს შორისო.

გაერთიანების იდეას განსაკუთრებით ენერგიულად სოლო-



მონ ლეონიძე იცავდა. რაკი ეს იდეა დამარცხდა, მან დასაჯა-
 ლეთი საქართველო შემოვლო და თავისი გულისთვის
 პატრიოტიზმისა და მჭერმეტყველობის შემწეობით იმერეთის
 და გურია-სამეგრელოს მმართველი წრეები დაარწმუნა სა-
 კავშირო ხელშეკრულება დაედოთ ქართლ-კახეთის მეფესთან.
 ის მათ უმტკიცებდა, რომ თუ ქართველი მეფეების და მთავ-
 რების კოალიცია არ შეიქმნებოდა, თვითეული მათგანი იძუ-
 ლებული გახდებოდა უცხოელთა შორის ეძებნა მფარველი
 ძალა. ეს კი გამოიწვევდა ქართველი ერის დამდაბლებასა და
 ზნეობრივ დაცემას: „ენა და მეტყველება, მისი მწიგნობრობა
 და მწერლობა მოელება ერსა დამონებულსა უცხოსა ნათე-
 სავისა ენითა და ჩვეულებითა“.

1790 წელს თბილისში ერეკლე მეფესა, სოლომონ მეფესა,
 გრიგოლ დადიანსა და სვიმონ გურიელს შორის დაიდო „ტრაქ-
 ტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული
 ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა“. ეს
 ტრაქტატი დიდად მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტს
 წარმოადგენს არა იმდენად თავისი პოლიტიკური შედეგებით,
 რამდენადაც თავისი შინაარსით. ის გამოდიოდა იმ დებულე-
 ბიდან, რომ ქართველი ერი ერთს კოლექტივს წარმოადგენს,
 დაყრდნობილს ენის, სისხლის ნათესაობის, სარწმუნოების
 ერთობაზე და „მავასხელობითს სიყვარულზე“, ე. ი. დღევან-
 დელი ენით რომ ვთქვათ, მომქმედ პატრიოტულ გრძნობაზე.
 ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეები და გურია-სამეგრე-
 ლოს მთავრები ურთიერთშორის დახმარების და თავდაც-
 ვითს კავშირს სდებდნენ, მაგრამ ამ კავშირში ქართლ-კახე-
 თის მეფეს ერთნაირი უპირატესობა ენიჭებოდა, როგორც
 უზენაეს მფარველს და რუსეთის კარის წინაშე შუამდგომელს.

ამ ტრაქტატს უფრო ზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა
 ვიდრე პრაქტიკული. მან ვერ შეაჩერა ფეოდალური საქარ-



თველოს შემდგომი დაშლა. მომდევნო წლებში ერეკლე მე-
 ფემ დარეჯან დედოფლის და მისი პარტიის ზეგავლენით
 მოაქვეყნა ორი კანონი, რომელთაც საბედისწერო გავლენა
 იქონიეს ქართლ-კახეთის სამეფოებზე.

თითქმის ათას ხუთასი წლის განმავლობაში საქართველოში
 არსებობდა მტკიცე მემკვიდრეობითი კანონი, რომლის ძა-
 ლით გარდაცვლილ მეფეს ტახტზე მისი უფროსი შვილი
 სცვლიდა. ამ კანონმა ფესვი გაიდგა როგორც იურიდიულ
 შემეცნებაში, ისე ხალხის შეგნებაში. ნიშანდობლივია, რომ
 საქართველოში ბაგრატიონების გამეფების შემდეგ არ მომხ-
 დარა დინასტიის შეცვლა, რაც ასე ხშირი მოვლენა იყო მის
 მეზობელ ბიზანტიასა და სპარსეთში. ერეკლე მეფემ 1791
 წელს ეს კეთილისმყოფელი კანონი გააუქმა და მის ადგილას
 დააწესა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ტახტი მის უფროს
 ვაჟს რგებოდა, შემდეგ ამ უკანასკნელის მომდევნო ძმებს,
 სანამ ყველანი მორიგეობით სამეფო ტახტზე არ დაჯდებო-
 დნენ. მათი დახოცვის შემდეგ მეფობა ისევ უფროსი ძმის
 ვაჟებს უბრუნდებოდათ, თუ ისინი ბიძებზე ადრე არ დაი-
 ხოცებოდნენ, შემდეგ მათს ბიძაშვილებს და სხვა.

ეს ქაოტიური კანონი ღირსეული ნაყოფი იყო დარეჯან
 დედოფლის აზროვნებისა. ამით მას უნდოდა თავისი გერის,
 ტახტის მემკვიდრის, გიორგი ბატონიშვილის უფლებანი
 შეეკვეცა და თავისი ღვიძლი შვილების, იულონ, ვახტანგ,
 მირიან, ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილებისთვის
 გამეფების საშუალება მიეცა.

მეორე განწყევებით ქართლ-კახეთის სამეფოში რამდენიმე
 საუფლისწულო იჭრებოდა ბატონიშვილთა რიცხვის მიხედ-
 ვით: გიორგი ბატონიშვილს კახეთში მიეცა საუფლისწულო,
 იულონს ზემო ქართლში და ქსნის ხეობაში, ვახტანგს არაგ-
 ვის საერისთავოში და სხვ. ისინი თითქმის სუვერენული



ხელისუფლებით განაგებდნენ თავიანთ სამფლობელოებს. კიდევ მეტს არევ-დარევას ჰქმნიდა ის, რომ ზოგიერთი ნიშვილის, მაგალითად, ფარნაოზის საუფლისწულო სოლი- ვით იყო შექრილი სხვების სამფლობელოებში ან შორიშორ გაფანტული სოფლებიდან შესდგებოდა. ამრიგად ქართლ- კახეთის სამეფო, რომელიც თითქო გაერთიანდა საერისთა- ვოების და სახანოების მოსპობის შემდეგ, ხელახლა საშუა- ლო საუკუნეების ტიპის დაქსაქსულ ფეოდალურ ქვეყნად იქცა.

მემკვიდრეობის ახალი კანონი, არსებითად, ანდერძის ერთ მუხლს შეადგენდა, ამ ანდერძს ეწოდებოდა „განწე- სებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისადმი სა- მეფოისათვის საქართველოსა“. თუ მდამბო ხალხმა არა, ყოველ შემთხვევაში, მეფის მახლობელმა წრეებმა, რასაკ- ვირველია, იცოდა, რომ ეს ანდერძი დაწერილი იყო დე- დოფლის გავლენით, რომელმაც ოთხმოციანი წლებიდან თანდათან უფრო მეტი ენერგიით თავი იჩინა მართვა-გამგე-ობის საქმეებში და, ბოლოს, მოხუცი მეფე თითქმის სავსე- ბით დაიმორჩილა. რადგან თვით დარეჯან დედოფალი, თა- ვის მხრით, გაქნილი და ანგარებიანი კარისკაცების გავ- ლენის ქვეშ იმყოფებოდა, რითაც პატრიოტების და პრო- გრესისტების აღშფოთებას იწვევდა, ერეკლე მეფემ საჭი- როდ დაინახა სპეციალური მუხლი შეეტანა თავის განწე- სებასა თუ ანდერძში: „სამობითსა და ერთობითსა ღმერთსა ვფიცავ, რომ რაც ეს განწესება დამიწერია, არავის შეეტ- ყოს, არც ვისთვის შეკითხოს და არც ვისმეს ერჩიოს და არავისიმე მეტობის მონდომებით, არც ვისიმე დაკლებით მე ეს არ დამეწეროს“. ეს მუხლი თავისთავად ასუსტებდა განწესებაში შეტანილი მემკვიდრეობის კანონის მნიშვნე- ლობას, იმიტომ რომ ასეთი რადიკალური ცვლილების მოხ-



დენა სახელმწიფოს წესწყობილებაში, საქართველოს დაუ-
წრელი კონსტიტუციის მიხედვით, არ შეიძლება დაიდგინოს
ბაზის ერის დაუკითხავად.

ერეკლე მეფე თავის შვილებს უანდერძებდა არ გაყრი-
ლიყვნენ, ერთმანეთში სიყვარული და ამხანაგური თანხმო-
ბა ჰქონოდათ, თუ უნდოდათ, რომ საქართველო არ გადარი-
ბებულიყო და არ დამცირებულიყო და მას მტერი არ
„შემოჯდომოდა“. შემდეგ ის მათ ურჩევდა თვითაც ესწავ-
ლათ და სხვებისთვისაც ესწავლებინათ გრამატიკა და რი-
ტორება, ფილოსოფია და ლოგიკა, „წერილსა და მწიგნობ-
რობაში დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ“, ხოლო თუ კიდევ
„ამაზე მეტს მეცნიერებაში შევლენ და ისწავლიან, ის
უმჯობესი იქნება, მაგრამ უამისობა კი არ იქნება“.

სამწუხაროდ, ლეონ ბატონიშვილის შემდეგ, ერეკლე მე-
ფის ვაჟებს შორის არ მოიპოვებოდა არც ერთი, რომელ-
საც განსაკუთრებული გონებრივი ინტერესი, ან განსაკუთ-
რებული პოლიტიკური და სამხედრო ნიჭი გამოეჩინოს. მარ-
თალია, სამაგიეროდ, მისი შვილიშვილები, დავით და იოა-
ნე ბატონიშვილები, ახალგაზრდობის მიუხედავად, კარგს
იმედებს იძლეოდნენ, როგორც სარდლები და დიდს ინტერესს
იჩენდნენ ევროპიული კულტურისა და მეცნიერებისადმი.
ამას გარდა, განსაკუთრებით იოანე ბატონიშვილი, ჰკუადამ-
ჯდარი და ნიჭიერი ადამიანი სჩანდა, ყველაზე მეტად გამო-
სადეგი სამეფოს მეთაურობისთვის; მაგრამ თუ ერეკლეს
ანდერძი განხორციელდებოდა, მათ შეიძლებოდა სრულიად
არ რგებოდათ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე დაჯდომა.
ერეკლე ჩქარა მიხვდა თავის შეცდომას და გიორგი ბატო-
ნიშვილისადმი მიმართული წერილით შეეცადა თავისი ან-
დერძის ძალა გაებათილებინა; მაგრამ რადგან მისი სიკვლე-
ლის შემდეგ დედოფლის პარტიამ ბრძოლის იარაღად ან-



დერძი გამოიყენა, ხოლო გიორგი ბატონიშვილმა ერეკლეს წერილი, არევ-დარევა კიდევ უფრო გაძლიერდა.

ერეკლეს ვაჟიშვილების უთანხმოება დაიწყო ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, საუფლისწულოების გამიჯვნის დროს; შემდეგ მათმა ურთიერთ ბრძოლამ სრულიად ტრაგიკომიკური ხასიათი მიიღო. ტახტის პირდაპირი მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი გულკეთილი, მაგრამ გონებაშეზღუდული და ცრუმორწმუნე ადამიანი იყო. ის დიდად ბედნიერად გრძნობდა თავს, თუ მას მოვალეობა ბრძოლის ასპარეზსა, დარბაზის ბჭობას ან სამდივნოში არ მოუწოდებდა და შეეძლო მშვიდობიანად ერთი ჩარეჭი ხოდაშნური ან ყვარლური წითელი ღვინო ფლავით შემზადებულ ქათმისა და შემწვარი ზაქის ხორცისთვის დაეყოლებინა, ხოლო დანარჩენი დრო მეტანიებში ან სარეცელზე გაეტარებინა; მან გამოიჩინა არაჩვეულებრივი ნაყოფიერება და ორი ცოლისაგან თექვსმეტი შვილი დასტოვა.

გიორგი ბატონიშვილს არ უყვარდა არც ნადირობა და არც ასპარეზზე ვარჯიშობა, რაც შეეხება ფილოსოფიას, მან ანტონ კათოლიკოსის რამდენიმე ლექცია მოისმინა ბაუმეისტერის შესახებ, მაგრამ სწავლას ჩქარა თავი მიანება: „არა მესმის ესე, ვნაყავ წყალსაო“.

როგორც ეტყობა, ერეკლე მეფეს არაფრად მოსწონდა თავისი მემკვიდრე, და მამა-შვილს შორის ნაკლებ გულთბილი დამოკიდებულება არსებობდა. ადამიანებთან ურთიერთობაში გიორგი ბატონიშვილი ხანდახან უტაქტობას იჩენდა, ეს აღიზიანებდა ბუნებით ჭკვიანს და აღმოსავლურ დიპლომატიაში გამობრძმედილ ერეკლეს. 1789 წელს იმერეთიდან თბილისში სტუმრად ერეკლეს სიძე არჩილ ბატონიშვილი მოვიდა. ერთ დილას მას მოესმა, რომ მინარეთიდან, რომელიც სასახლის მოედანს გადმოჰყურებდა, თა-



თრის მოლამ მართლმორწმუნეთა მომწოდებელი დახილი დაიწყო. საეჭვოა, რომ თავქარიან იმერელ ბატონმეფეს, რომელიც, ალბათ, ნადირობის მოყვარულიც იყო, ოდესმე მინარეთი ენახოს და იქიდან დახილი გაეგონოს. მან არც აცივა, არც აცხელა, თოფი გადმოიღო, მოლას ესროლა და ძირს ჩამოაგდო. ამ ინციდენტმა დიდად შეაწუხა ერეკლე მეფე, რომელიც ყოველთვის დიდ შემწყნარებლობას იჩენდა თავისი ქვეშევრდომი მაჰმადიანებისადმი და სჯიდა თავის მსახურებს, თუ ისინი მათ შეურაცხყოფას აყენებდნენ. გიორგიმ კი ამის შემდეგაც განაგრძო მეგობრობა და მისვლა-მოსვლა არჩილ ბატონიშვილთან. ამანცა უფრო განარისხა მეფე და ბრძანებდა სიტყვათა მკვახეთა გიორგისთვისო, ამბობს პლატონ იოსელიანი.

ქართველ პატრიოტთა დასის მოწინააღმდეგეები სოლომონ ლეონიძეს აბრალებდნენ მეფისა და მისი უფროსი ვაჟის უმძრახობას. რეაქციონურ პარტიას სოლომონ ლეონიძეს გასასამართლებლად საკმაოდ მიაჩნდა ისიც, რომ ის დაბალი წოდებიდან იყო გამოსული. დარეჯან დედოფლის მომხრეების ინტრიგებმა გასჭრა და ერეკლე მეფემ არა თუ თანამდებობიდან გადააყენა თავისი ნიჭიერი და თავდადებული თანამშრომელი, მამულიც კი ჩამოართვა მას. მაგრამ ლეონიძეს თავისი პატრიოტული ვალდებულებისათვის ბოლომდე არ უღალატნია, თავის პოსტზე დარჩა ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგაც და მკერმეტყველი სიტყვით გამოეთხოვა თავისი პატრონის გვამს.

სოლომონ ლეონიძემ გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგაც განაგრძო ბრძოლა. ქართველი ერის დამოუკიდებლობისათვის. მოწინააღმდეგეებმა ის რუს გენერალს დაასმინეს, რომელმაც რეპრესიული ღონისძიებანი მიიღო მის მიმართ. მაშინ ის იძულებული გახდა იმერეთში გადასული-




ყო, რადგან, სოლომონ მეორის ერთი სიგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ერეკლე მეფის სიკვდილის უკან, ამადლონის მისის ოჯახის დამდაბლებას ვერ გაუძლო. იმერეთში რუსების შესვლის შემდეგ სოლომონ ლეონიძე უცხოეთში გაიქცა და, ზოგიერთი ცნობით, ახალციხეში მოკვდა, ხოლო ზოგიერთით, სპარსეთში.

XXV

კრწანისის ბრძოლა

ქერიმ-ხან ზენდის სიკვდილის შემდეგ ერანში სამოქალაქო ომი დაიწყო. მის ახლობელ ნათესავეებსა და სხვა პრეტენდენტებს შორის ატყდა უღმობელი ბრძოლა, რომელიც მათი ურთიერთ გაუღეტით დასრულდა. ზენდების გვარიდან გადარჩა მხოლოდ ლუთფალი-ხანი, რომელიც ცოტა ხნით იმდროინდელ სატახტო ქალაქ შირაზში განმტკიცდა.

აღმოსავლეთის მპყრობელებს შორის მიღებული ჩვეულების თანახმად, ქერიმ-ხანსაც შირაზის სასახლეში წარჩინებული გვარების ამანათები ანუ მძევლები ჰყავდა, რათა ერანის პროვინციების მმართველები და იქ მობინადრე ტომები მორჩილებიდან არ გამოსულიყვნენ. ამ მძევლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თურქ-ყაჯართა ტომის წარმომადგენელი ალა-მაჰმად-ხანი, რომლის მამა ქერიმ-ხანმა მოაკვლევინა, ხოლო თვითონ ის ჯერ კიდევ ბავშვობაში დაასაჭურისებინა. ეს იყო ენერგიული, პატივმოყვარე და სასულიერო მწერლობაში განსწავლული ადამიანი, რომელიც პირადმა უბედურებამ გააბოროტა და კაცობრიობის მოძულედ გახადა.



როგორც კი ქერიმ-ხანი მოკვდა, ალა-მაჰმად-ხანი თავისი გვარის სამკვიდრო ასტრახადში გაიქცა და მზალდებანში დასა-
 გა ერანში გასაბატონებლად. მან თავი მოუყარა ჯარს, და-
 იპყრო თალიში, გილანი, მაზანდარანი და სამხრეთის აზერ-
 ბაიჯანი, ხოლო თავის სატახტო ქალაქად თეირანთ გამოაც-
 ხადა. 1792 წელს ალა-მაჰმად-ხანი ისპაჰანში შევიდა, ხოლო
 ორი წლის შემდეგ შირაზში. მისი ბრძოლა ზენდთა გვარის
 მეთაურის ლუთფალის წინააღმდეგ, რომელიც ქირმანში
 გამაგრდა, დასრულდა მისი გამარჯვებით და ქირმანის
 აღებით. ალა-მაჰმად-ხანმა არაადამიანური სიმკაცრით დასა-
 ჯა უბედური ქირმანელები, მასიურად თვალები დასთხა-
 რა მამაკაცებს, ქალები თავის გააფთრებულ ჯარისკაცებს
 გადასცა, ხოლო ლუთფალი ხანი წამებით მოჰკლა.

ისევე, როგორც მისი შორსმჭკრეტელი წინამორბედნი,
 ალა-მაჰმად-ხანიც ერანისთვის დიდად სახიფათოდ სთვლიდა
 რუსების განმტკიცებას კავკასიონის ქედს გადმოღმა და
 კასპიის ზღვის ნაპირებზე. გეორგიევსკის ტრაქტატის დადე-
 ბა მას ერანის უფლების შებღალვად მიაჩნდა. მისი მტრობა
 რუსეთისადმი გააძლიერა იმანაც, რომ ეკატერინე მეორემ
 არ მიიღო მის მიერ გაგზავნილი ელჩები და ის არა თუ შა-
 ჰების ტახტის პრეტენდენტად, გილანის და მაზანდარანის
 მფლობელადაც არ სცნო. ამიტომ ალა-მაჰმად-ხანი თავის
 მხრით ყოველნაირად ხელს უშლიდა რუსებს, რომელნიც
 სცდილობდნენ ასტრახადის ყურეში გამაგრებულიყვნენ და
 იქიდან აღებ-მიცემა გაეჩაღებინათ სპარსეთსა, ინდოეთსა,
 ბუხარასა, ბალხსა და კაშმირთან.

ერეკლე მეფე დიდი სიფრთხილით თვალყურს ადევნებდა
 ალა-მაჰმად-ხანის მოქმედებას; სხვათა შორის, თავის ვაჭრე-
 ბებსა და აგენტების შემწეობით ის ცნობებს ლებულობდა
 ერანში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მაგრამ უნდა



ითქვას, რომ ქართლ-კახეთის სამეფო მაინც მოუმზადებელი
 შეხვდა მტრის თავდასხმას. ეს, უმთავრესად, იმიტომ ^{ქართლ-კახეთის} ~~იმდროინდელი~~
 ბოლა, რომ ქართველი ერის მეთაურები გულუბრყვილოდ
 დაენდნენ რუსეთთან დადებული ტრაქტატის ძალას. ეს მით
 უფრო გასაოცარი იყო, რომ ერეკლე მეფემ ეკატერინე მე-
 ორეს ჯერ კიდევ 1792 და 1794 წელს თავისი ელჩის გარ-
 სევან ქავჭავაძის პირით სთხოვა ჯარი გამოეგზავნა მის-
 თვის, მაგრამ ორივეჯერ უარი მიიღო. ბოლოს, როცა ერეკ-
 ლემ გაიგო, რომ თავრიზში ალა-მაჰმად-ხანის ჯარის კონცენ-
 ტრაცია ხდებოდა საქართველოში შემოსაქრელად, მან კავ-
 კასიის სამხედრო ხაზის სარდალს გენერალ გუდოვიჩთან
 1795 წლის მაისში თავისი წარმომადგენელი გარსევან ამი-
 ლახვარი აფრინა, და სთხოვა სამი ათასი კაცი მაინც მოე-
 შველებინა. გენერალ გუდოვიჩს კარგა ხანი დასჭირდა, სა-
 ნამ ქართლ-კახეთის მეფის მოხსენების აზრს გაიგებდა, ნა-
 წილობრივ უხვირო რუსული თარგმანისა, ნაწილობრივ,
 შეიძლება, საკუთარი გონებაბრჯგუობის გამო. ბოლოს,
 როცა ის მიხვდა, რომ მას რუსის ჯარისკაცებს სთხოვდნენ,
 დიდ უარზე დადგა, ერეკლეს ელჩი კი მისი მოხსენები-
 თურთ პეტერბურგში გაისტუმრა საბოლოო პასუხის მისა-
 ლებად.

როგორც იმდროინდელი დაკვირვებელი რუსი აგენტის
 ცნობიდან სჩანს, ალა-მაჰმად-ხანის ჯარში ჩვეულებრივ
 ორმოცდახუთ ათას კაცამდე იყრიდა თავს; მის ნახევარს
 ჯამაგირიანი ჯარისკაცები შეადგენდნენ, ხოლო ნახევარს
 სხვადასხვა არასამხედრო პირების ბრბო, რომელიც ჯარს
 უკან მისდევდა მომსახურეობის გასაწევად ან ნადავლის მი-
 ლების მოლოდინში. ნამდვილი არმია გაყოფილი იყო ორ
 თანაბარ ნაწილად, საკეტიანი თოფებით შეიარაღებულ კა-
 ვალერიად და პატრუქიანი თოფებით შეიარაღებულ ქვეი-



თა ნაწილებად. ამ ჯარს ჰქონდა აგრეთვე შვიდი თუ რვა თუჯის ზარბაზნისაგან შემდგარი არტილერია და მძიმე-ზე აკიდებული ზამბურაკები ანუ ფალკონეტები; მაგრამ რადგან ზარბაზნებს ოთხ-ოთხი წყვილი ხარი სჭირდებოდა დასაძრავად, მისი გამოყენება შორეულ ექსპედიციებში ადვილი არ იყო.

ალა-მაჰმად-ხანის ჯარი დიდი ტრანსპორტით მაისის ბოლო რიცხვებში ავარიზიდან დაიძრა და ერთი თვის შემდეგ უკვე ყარაბაღის საზღვრებთან გაჩნდა. სანამ სამხედრო მოქმედებას დაიწყებდა, ალა-მაჰმად-ხანმა ერეკლე მეფესა და აზერბაიჯანის ხანებს მოსთხოვა დამორჩილებოდნენ მას; ყარაბაღის მფლობელს იბრემ ხანს ერეკლე მეფესთან კავშირი უკვე განახლებული ჰქონდა, მან ერანის მბრძანებლის მოციქულებს უარი განუცხადა მორჩილებაზე. სამაგიეროდ ალა-მაჰმად-ხანს მიემხრნენ სომეხთა მეღიჭები, მეჯუნღი, აზო და სხ. რაჭ შეეხება ჯავათ ხანს განჯელს, ის არეზის პირას ეახლა ერანის მბრძანებლებს და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. ერზიანის პატრიარქმა დიდძალი ფულით გამოიყიდა თავისი სამწყსოს ხელუხლებლობა. ერეკლემ არავითარი პასუხი არ გასცა ალა-მაჰმად-ხანის ელჩს.

შუშის ხანმა სახალხო ომი გამოაცხადა შემოსეული ერანელების წინააღმდეგ. მას ერეკლე მეფემ მცირერიცხოვანი ჯარი მიაშველა ალექსანდრე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით. ყარაბაღელებმა ალა-მაჰმად-ხანის ჯარის ნაწილებს დიდი ზიანი მიაყენეს მთიან ადგილებში, განსაკუთრებით დააზიანეს მისი ტრანსპორტი და ცხენების ჯოგები. თვით შუშის ციხის აღება ერანის ჯარმა ვერ შესძლო. აგვისტოს ბოლოში ალა-მაჰმად-ხანი ჯავათ-ხანის რჩევით იქიდან აიყარა და თბილისისკენ გამოემართა განჯის გზით. განჯაში მან შეიერთა შექის სახანოს ჯარი და მოლაპარაკება გამართა ალაზნის



გალმა მხარის ლეკებთან, რომელთაც სათითაოდ ასევე უწოდებდნენ, ნეთი აღუთქვა და კახეთზე თავდასხმა მოსთხოვა. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო და თუმცა ქარ-ბელაქნელებმა აქტიური მოქმედება ვერ დაიწყეს, ვიორგი ბატონიშვილი მაინც იძულებული გახადეს ორი ათასი კაციით და ოთხი ზარბაზნით სიღნაღში გაჩერებულიყო კახეთის და ქიზიყის დასაცავად.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ალა-მაჰმად-ხანი ყაზახში გადმოვიდა, თავისი ბანაკი და მძიმე ტვირთი მდინარე აქსტაფის ნაპირას დასტოვა, ხოლო თვით მსუბუქის ჯარით თბილისისკენ გამოემართა. სანამ აქსტაფიდან დაიძროდა, მან შეაკრებინა ბორჩალოელი, შამშადილელი და ყაზახელი თავიკაცები და სიტყვით მიმართა მათ: ხელ-ფეხი შეეუკრათ ჩვენი ისლამის შეურაცხყოფელთ, დაეშალოთ ეს ერთი მუჟა ქართველობა, როგორც კალატოზები ძველ შენობას შლიან ხოლმეო.

ქართველი ჯარი, რომელმაც დაგვიანებით სატახტო ქალაქში თავი მოიყარა, დაახლოებით ხუთი ათასი კაცისაგან შესდგებოდა, რომელშიაც ორი ათასი იმერელი იყო სოლომონ მეფის მეთაურობით. ერეკლე მეფეს ჰქონდა ოცდათხუთმეტი ქვემეხი, მაგრამ არტილერისტების უყოლობის გამო მხოლოდ ექვსის გამოყენება შეეძლო. მეფესა ირაკლის არა აქვნდა გამზადებულებანი მტერთა მიმართო, სწორედ შენიშნავს თეიმურაზ ბატონიშვილი. თუ ეს მოუმზადებლობა ერთი მხრით შინაური პირობებით აიხსნებოდა, მეორე მხრით იმის შედეგი იყო, რომ ერეკლემ გადაჭარბებული იმედი დაამყარა გეორგიევსკის ტრაქტატზე და მას ეგონა რუსეთის შიშით ალა-მაჰმად-ხანი ვერ გაბედავს მისი ვასალური სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოლაშქრებას, ხო-



ლო თუ გაბედა, რუსის ჯარი ჩრდილო კავკასიიდან ფრთხილად
 მოგვეშველებათ.

ალა-მაჰმად-ხანს ეზინოდა ნადირ-შაჰის სამხედრო სკოლა-
 ში გაწვრთნილი და პირადი ნიჭით სახელგანთქმული მეფი-
 სა, რომელიც მაშინ უკვე სამოცდათხუთმეტი წლის მოხუ-
 ცი იყო; ამიტომ მდინარე ხრამზე გადმოსვლის შემდეგ
 ერანელთა ჯარი დიდი სიფრთხილით მოიწევდა წინ. ერეკ-
 ლემ და სოლომონმა დავით ბატონიშვილსა და ზურაბ წე-
 რეთელს უბრძანეს მოწინავე ჯარით კრწანისის ბაღები
 დაეჭირათ, ხოლო მთავარი ჯარი სეიდაბადში განაწყვეს.
 აქედან რვა სექტემბერს მტრის დასაზვერავად თორმეტი
 მხედარი გაიგზავნა ფარეშთუხუცესის გოჯასპი ნათალიშვი-
 ლის მეთაურობით. თვრამეტ ვერსზე სოღანლუდიდან, იალ-
 ლუჯის ფერდობზე ქართველი მზვერავები ერანელების მო-
 წინავე ცხენოსანთა რაზმს წააწყდნენ, თამამად იერიში
 მიიტანეს მასზე და ერთიანად შეაკვდნენ, გარდა თვით გო-
 ჯასპი ნათალიშვილისა, რომელმაც თავისი ცხენი დაჰკარგა,
 მაგრამ თავის მიერ მოკლული თურქმენის ცხენით გამოჰ-
 ქუსლა.


მეორე დღეს მტრის მოწინავე რაზმები უკვე სოღანლულს
 მოადგნენ, შეჩერდნენ მთავარი ჯარის მოლოდინში და სან-
 გრების თხრა დაიწყეს. ათს სექტემბერს ფიცხელი დავით
 ბატონიშვილი სწრაფად შეტევაზე გადავიდა სოღანლუდი-
 დან გამოსული ერანელების მოწინავე ჯარის წინააღმდეგ
 და დიდის ზარალით უკან დაახევია მტერს.

თერთმეტს სექტემბერს დარეჯან დედოფალმა ქართველ
 დიდებულთა ოჯახებითურთ თბილისი დასტოვა და ანა-
 ნურში გაიხიზნა, რამაც დიდი არეგ-დარევა და პანიკა გამო-
 იწვია მოსახლეობაში. ქალაქში გაჩნდნენ ნაძირალები, რო-
 მელთაც ხალხის ძარცვა დაიწყეს, და მტრის აგენტები, რო-

მელნიც უკმაყოფილების და დეზორგანიზაციის ზრდას ხელს
უწყობდნენ. ერეკლე მეფე იძულებული გახდა, ^{ბაქანეთის} ~~ბაქანეთის~~
ცოტა ხნით ქალაქში შემოსულიყო და მცხოვრებლები დაე-
შვიდებინა. შემდეგ ის საჩქაროდ კრწანისში დაბრუნდა და
ჯარის გადაჯგუფება მოახდინა.

მემარჯვენე ფრთის სარდლობა ერეკლემ დავით ბატონი-
შვილს ჩააბარა და მთის ფერდობზე დააყენა ექვსი ზარბაზ-
ნით. მოწინავე დროშის ხელმძღვანელად იოანე ბატონიშვი-
ლი დაადგინა, მას თავისი ჯარის საუკეთესო ნაწილები
მისცა. მემარცხენე ფრთას იოანე მუხრანბატონი სარდლობ-
და. თვითონ ერეკლემ თავისი დროშით ცენტრალური პო-
ზიციები დაიჭირა, მასთან იდგნენ აგრეთვე იმერლები ზუ-
რაბ წერეთლის ხელმძღვანელობით. ბოლოს, არაგველები
ვახტანგ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით და ოთარ ამი-
ლახვრის რაზმები სამარქაფო ჯარს შეადგენდნენ, ისი-
ნი მზად უნდა ყოფილიყვნენ ფრონტის ყველაზე შეჭირვე-
ბულ ადგილას აღმოეჩინათ დახმარება. იმერლების ჯარის
ერთი ნაწილი თბილისში დარჩა სათადარიგოდ.

ალა-მაჰმად-ხანმა თავისი ლაშქარი თორმეტ მწყობრად
დაპყო, ზარბაზნები და ფალკონეტები მათ შორის გაანაწი-
ლა. ერანის ჯარის ავანგარდს უფრო სუსტი, სპარსელები-
საგან შემდგარი ნაწილები შეადგენდნენ. მათ უკან მოჰყვე-
ბოდნენ თურქმენების რჩეული რაზმები, რომელნიც ალა-მაჰ-
მად-ხანს ყველაზე საიმედო ნაწილად მიიჩნდა თავის ჯარ-
ში. მათ უნდა შეეჩერებინათ უკან დახეული ერანელები,
ლტოლვილნი კიდევ დაეხოცათ; თურქმენთა რიცხვი დაახ-
ლოებით ექვს ათასს აღწევდა. ალა-მაჰმად-ხანის ჯარის ცალ-
კე ნაწილს წარმოადგენდა მელიქ მეჯნუნის რაზმი, რო-
მელსაც ქართველებისათვის კოჯრის გზით უკანიდან უნდა
მოევლო. ქართველ ჯარს შეუერთდა აგრეთვე თბილისში



სახელდახელოდ შეკრებილი რაზმიც, რომელმაც წინამძღვრად აირჩია დავით მაჩაბელი, „კაცი მსახიობი კომენდიანტი, ცნობილი სამეფოსა სახლსა შინა“.

თორმეტ სექტემბერს ნისლიანი დღე გათენდა. ბრძოლა ალიონზე დაიწყო ერანელების შემოტევით. მეფემ იოანე ბატონიშვილს ვახტანგ ბატონიშვილი მიაშველა არაგველებისა, ქიზიყელებისა და თუშ-ფშავ-ხევსურების რაზმებით. მოწინავე ქართველი ჯარი ისეთი სიძლიერით გადავიდა კონტრიერიშზე, რომ მრავალ ადგილას მტრის ფრონტი გაარღვია და ალა-მაჰმად-ხანის დროშებამდე მიადწია. არასოდეს არ მახსოვს, რომ ჩემს მტრებს ოდესმე ასეთი ვაეკაცობით ებრძოლოსო, სთქვა თურმე ალა-მაჰმად-ხანმა. ერანელთა სარდლობამ საფარიდან მაზანდარელების სარეზერვო ქვეითი ჯარი გამოიყვანა, ხოლო დავით ბატონიშვილის წინააღმდეგ, რომელიც მტერს მალლობიდან ზარბაზნებს უშენდა, სამი ათასი ცხენოსანი ჯარი დასძრა. დავით ბატონიშვილმა რამდენიმე შემოტევა უკუაქცია, მაგრამ მტერს ხელი ვერ შეუშალა, რომ დასვენებული სათადარიგო ჯარის შემწეობით ალყა შემოერტყა იოანე და ვახტანგ ბატონიშვილებისთვის. ამ დროს კოჯრის გზაზე მტრის რაზმები გამოჩნდნენ სომხის მელიქების — მეჯნუნისა და აბოს წინამძღოლობით, ისინი ზურგში ექცეოდნენ მებრძოლ ქართველ ჯარს. მოწინავე ქართველმა ჯარმა გასაოცარი გმირობა გამოიჩინა, უშეტესი ნაწილი, მათ შორის სამასი არაგველი, ბრძოლის ველზე დაწვა, ხოლო რამდენიმე კაცმა, განბასრული და სისხლმესვრილი იოანე და ვახტანგ ბატონიშვილების მეთაურობით, მტრის ალყა გაარღვია და მთავარ ჯარს შეუერთდა.

მოწინავე ჯარის უკანდახვევისა და დავით ბატონიშვილის ჯარის მოწყვეტის შემდეგ ერეკლე მეფე იძულებული გახ-



და ჯერ სეიდაბადისკენ დაეხია, ხოლო შემდეგ ეჭვიანულად გალაგნისაგან. ერანელები მას ფეხდაფეხ მოსდევდნენ. თვით ქალაქის კედლებთან ერანელები სამჯერ უკუქცეულ იქნენ. განჯის კარებთან ერეკლე ერანელმა მხედრებმა კინალამ დაატყვევეს, მაგრამ მათ ეკვეთა იოანე ბატონიშვილი და თავისი მოხუცი პაპა ქალაქში შემოიყვანა. მათ მხოლოდ ასორმოცდაათი კაცი შემოჰყვა, უმეტეს ნაწილად დაკოდილნი. ამ მცირე რაზმით ერეკლე მეფე ავლაბრის ხიდზე გავიდა, აბო თბილელის ნიშთან ჩამოხტა და ქალაქის ხსნა შეავედრა და არაგვის ხეობით ანანურისკენ გაემართა. გადარჩა აგრეთვე იმერელი ჯარის დიდი ნაწილი, რომელიც სოლომონ მეფეს გადაჰყვა ლიხს იქით.

დავით ბატონიშვილი უკანასკნელი მოიხსნა თავის პოსტიდან: მისი ზარბაზნების ხმა კიდევ გაისმოდა, როცა ერანელების ჯარი უკვე განჯის კარებში შედიოდა. შემდეგ მან კლიტედახსნილი ზარბაზნები საგუბარში გადააყრევინა. „გზანი და მინდორნი მოცულ იყვნენ სპარსთა მხედრობისაგან ვიდრე დევის ნამუხლამდე“. ამიტომ დავით ბატონიშვილი იძულებული გახდა თბილისისთვის სამხრეთიდან შორს შემოევიღო, ის მხოლოდ მესამე დღეს ავიდა ანანურში.

სეიდაბადის ბალებთან ალა-მაჰმად-ხანს მოქალაქეთა დეპუტაცია შეხვდა და მშვიდობიანი მოსახლეობის შებრალება სთხოვა. მან უპასუხა, ისეთ გასამართლებას უნდა მოელოდეთ, როგორც ღვთის სამსჯავროში ხდება, სადაც ყოველი სული ანგარიშს აძლევს თავისი საკუთარი ცოდვებისთვისო.

დაახლოებით ნაშუადღევს ოთხ საათზე ერანელებმა თათრის ბაზარი დაიჭირეს და მაშინვე მცხოვრებლების ძარცვა და ქლეტა დაიწყეს. მდებიო ხალხმა ნაწილობრივ



ეკლესიებსა და შიიტების მეჩითს შეაფარა თავი, მაგრამ ამან ის ვერ იხსნა ერანელი ჯარისკაცების მძევლობისაგან. მამაკაცებს, მოხუცებს და პაწია ბალებს ისინი განუკითხავად ჩოცდნენ, ხოლო ახალგაზრდა ქალები და მოზრდილი ბავშვები სოღანლულის ბანაკში მიჰყავდათ. იქ პირველ დღეებშივე სამი ათასამდე ტყვემ მოიყარა თავი. განსაკუთრებით დაზიანდა ღარიბი მოსახლეობა, რომელმაც ვერ შესძლო ქალაქიდან გახიზნევა; მაგრამ მრავალი შეძლებული და წარჩინებული მცხოვრებიც დაიღუპა. მაგალითად, ანჩისხატის უბანში სპარსელთა ოფიცრები შეიჭრნენ გენერალ გუდოვიჩთან მოციქულად გაგზავნილი გარსევან ამილახერის სახლში და თავს დაეცნენ მის ცოლს. ახალგაზრდა ქალმა ორი მოძალადე მოჰკლა, მაგრამ შემდეგ ხანჯლით დაიჭრა. ის სოღანლულის ბანაკში გაგზავნეს და რომელიღაც დარუბანდელს მიჰყიდეს.

ერთი მაჰმადიანი მეცნიერი, პეტერბურგის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის პროფესორი, რომელიც ალა-მაჰმად-ხანის ჯარის შემოსევის დროს თერთმეტი წლის იყო და რომლის მამა ერეკლე მეფის სასახლეში მსახურობდა, მოგვითხრობს: „დაახლოებით ნაშუადღევის ოთხ საათზე მეჩითში სპარსელები შემოიჭრნენ. მე და ჩემი და დაგვატყვევეს, საღამოს სოღანლულში მოგვიყვანეს და მაშინვე ერთმანეთს დაგვაშორეს. მე ვიღაც ბერიკაცს მიმაბარეს; მას შემდეგ ჩემი და აღარ მინახავს. ბერიკაცმა ტომრებს ქვეშ დამმალა, მაგრამ რადგან სული მეგუბებოდა, ხშირად გარეთ თავს ვყოფდი და ყოველთვის ჯოხის დარტყმას ვღებულობდი ხოლმე. გათენების წინ ჩემმა მოხუცმა დარაჯმა ჩაიძინა; სპარსელების ბანაკშიც სიწყნარე დამყარდა, გუშაგებს ეძინათ. დრო ვიხელთე, საფარიდან გამოვძვერი, მტკვართან მივცოცდი და, რადგან ცურვა ვიცოდი, მეორე ნაპირას გადა-



ვედი. იმავე დღეს უდაბნოს მონასტერში მივედით და ბერებმა დამაბინავეს. იქ დავჩი, სანამ მამაჩემი მიხვდებოდა და თბილისში წამიყვანდა“.

ცამეტ სექტემბერს თბილისში ალა-მაჰმად-ხანი შემოვიდა ჯავათ-ხან განჯელის თანხლებით. მან თბილისის დანგრევა თლილი ქვის და მარმარილოს აბანოებიდან დაიწყო. შემდეგ დაანგრეს თოფხანა, ზარაფხანა, სამღივნოს შენობა, სემინარია, სტამბა, ბატონიშვილების და თავადიშვილების სახლები, ავლაბრის ხიდი, კაპუცინების ეკლესია მისი სკოლითა და წიგნსაცავით. მიწასთან გაასწორეს მეფის სასახლე მისი ფლიგელებითა, სამეურნეო შენობებითა, მარმარილოს ლომისთავიანი შადრევნითა და აუზებით. სხვათა შორის, განადგურდა მეფის მდიდარი წიგნსაცავიც. მანამ სასახლეს დაანგრევდნენ, ის ერთიანად გაძარცვეს; სხვათა შორის, გაიტაცეს ოქრო-ვერცხლის შანდლები და სანათურები, ბადიები, ლანგრები და სურები, ძვირფასი ნივთები და სარაფარდები, მეფის გვირგვინი და სკიპტრა. გაძარცვეს აგრეთვე ეკლესიები, ხოლო ქართველების და სომხების სასულიერო პირები მტკვარში დაახრჩეს. შემდეგ თბილისს მრავალ ადგილას ცეცხლი წაუქიდეს.

არტემ არარატელი, რომელიც თბილისში 23 თუ 24 სექტემბერს იყო, თავის ავტობიოგრაფიაში მოგვითხრობს: „ქალაქში თაფიგანის კარებით შევედი და შევძრწუნდი, როცა მტრის მახვილით დაჩეხილი ქალების და ბავშვების გვამები დავინახე; რაც შეეხება მამაკაცებს, მართო ერთ კოშკთან დაახლოებით ათასამდე მათი გვამი ეყარა. განჯის კარებს ისე მივალწიე, რომ ერთი ცოცხალი ადამიანი არ შემხვედრია, გარდა რამდენიმე ნაწამები ბერიკაცისა, რომელთა მიმართ მტერს სხვადასხვა ძალადობა ჩაედინა დაკითხვის დროს, სად გაქვთ დამალული სიმდიდრე და ფულიო.



ქალაქი თითქმის სრულიად გადაშენებული იყო და კარგად აღმოჩნდა, ხოლო ჰაერი სიციხის გამო სრულიად დაბინძურებული, მოწამლულიც კი იყო“.

თბილისიდან ალა-მაჰმად-ხანმა რვა ათასი რჩეული ჯარისკაცი გაგზავნა ქალბალა-ხან ნახჩევნელის მეთაურობით ერეკლე მეფის შესაპყრობად. ეს ჯარი მცხეთაში ავიდა და იქ სვეტიცხოვლის დანგრევა განიზრახა, მაგრამ სარდალმა ამის ნება არ მისცა: არა ჯერ არს, სადა იგი არს თაყვანის საცემელი ღმრთისა, შეურაცხყოფად და არცა სამარხი მეფეთაო, სთქვა თურმე მან.

მცხეთაში ნახჩევანის ხანმა თავისი ჯარი ორად გაჰყო: ნახევარი გორისკენ გაისტუმრა, ხოლო თვითონ მეორე ნახევრით მთიულეთისკენ გაემართა. პირველმა ნაწილმა ცხინვალამდე მიაღწია, მაგრამ გზად ვერაფერი ნახა გარდა დაცარიელებული სოფლებისა, სადაც არა თუ ადამიანი, შინაური პირუტყვიც კი არ სჩანდა. მხოლოდ გორის ციხეში მცველების რაზმი იდგა, კვერნაკის გორაზე კი ერანელებს მცირე შეტაკება მოუხდათ. უკან გამობრუნებულ ყიზილბაშების ჯარს უნდოდა ქსნის ხეობა დაერბია და მან ლამის-ყანამდე მიაღწია, მაგრამ იქ იოანე ბატონიშვილი დახვდა მცირერიცხოვანი ჯარით და უკუაქცია.

თვით ქალბალა-ხანი ჟინვალის ხიდამდე ავიდა, მაგრამ აქ ერეკლე მეფის ერთგული მაჰმადიანი ალი სულთან შამშადილელი იდგა; მას თავის ელებს გარდა არაგველი და ფშავ-ხევსურელი რაზმები ჰყავდა. ეს უკანასკნელნი ომში წამოსულიყვნენ, მაგრამ დაგვიანებოდნენ. ალი სულთან შამშადილელმა ერანელები უკუაქცია, მრავალი მათგანი შეიპყრო და ერეკლეს მიჰგვარა.

როცა ალა-მაჰმად-ხანმა თავისი მარბიელი ჯარების მარცხი შეიტყო, ერეკლე მეფეს გურგენ ენიკოლოფაშვილის ვაჟი ყა-



რამანი გაუგზავნა და ზავი შესთავაზა. წინადადება მიხედვით
 მიხელისუფლება აღიარე, მძევლად ერთი შვილი ან
 შვილი გამომიგზავნე, აზატ-ხანის ქონებული თეთრი აღმასა
 და თავად პოტიომკინის ნაჩუქარი დიდი საათი მომეციო და
 შეხიზნული ყარაბაღელები გაეციო; სამაგიეროდ ტყვეების
 უკან დაბრუნებას პირდებოდა. ერეკლემ თავის მხრით სო-
 ლანლულში მოსალაპარაკებლად სუფრაჯი ქაიხოსრო ავალი-
 შვილი გამოგზავნა. საზავო მოლაპარაკება უშედეგოდ დას-
 რულდა; მოწინააღმდეგენი ერთმანეთის სიტყვას არ ენდო-
 ბოდნენ. ამას გარდა ალა-მაჰმად-ხანს ჩაავონეს, ერეკლე მე-
 ფე მოლაპარაკებას განგებ მართავს, რათა დრო მოიგოს და
 ახალს ჯარს თავი მოუყაროს დუშეთშიო. რადგან ამასდა-
 ნავე მას ერანიდან ცუდი ამბები მოუჭოდა, ახალციხიდან
 მიღებული სანოვავის მიუხედავად სურსათი შემოაკლდა,
 ხოლო ზურგს უკან აულებელი შუშის ციხე ჰქონდა, ის
 20 — 22 სექტემბერს უკან გაბრუნდა; ალა-მაჰმად-ხანი ხო-
 რასანში ჩავიდა, რათა იქ დაწყებული აჯანყება ჩაექრო და
 შაჰის გვირგვინი დაედგა თავზე.

ისევე, როგორც ომარ-ხანის ავაზაკური თავდასხმა, ალა-
 მაჰმად-ხანის შემოსევაც, არსებითად, ტლანქი და უაზრო
 ძალის გამარჯვება იყო, რაიცა ასეთი ხშირი მოვლენაა კა-
 ცობრიობის ისტორიაში. კრწანისის ომმა აუნაზღაურებელი
 ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს. დიდძალი ხალ-
 ზი დატყვევებულ და დახოცილ იქნა, მრავალი გახიზნული
 გლეხი შიმშილისა და სიცივისაგან დაიღუპა, ხოლო მრავა-
 ლი გადამღები სნეულებისაგან. დაიწყო მასობრივი ემიგრა-
 ცია, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიისაკენ. რუსი ისტორიკო-
 სიხ ბუტკოვის ცნობით, ქართლ-კახეთის მოსახლეობა სამოცდა-
 ერთი ათასი კომლიდან ოცდათხუთმეტ ათასზე ჩამოვიდა, ე. ი.
 თითქმის განახევრდა. ამრიგად პატარა საქართველოს, ჩო-



მელიც ცდილობდა თავისი საკუთარი ძალებით, მიტოვებული ლური პროგრესის და ზნეობრივ-გონებრივი განახლების გზაზე შემდგარიყო, დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობა წაერთვა. შეგნებული ქართველი საზოგადოებისთვის ნათელი გახდა, რომ საქართველო საბოლოოდ ძლიერ მთარველს უნდა შეეკედლებოდა, თუ მას არ უნდოდა დედამიწის ზურგიდან აღგვილიყო.

X XVI

ქრწანისის ბრძოლის შემდეგ

გაჭიანურებული საკანცელარიო მიწერ-მოწერა პეტერბურგსა და კავკასიის სამხედრო ხაზს შორის, როგორც იყო დასრულდა; ერეკლე მეფის საგანგებო დესპანმა, გარსევან ამილახვარმა, რომელსაც ამასობაში თბილისიდან მტრებმა ცოლი წაპგვარეს, მიაღწია იმას, რომ გუდოვიჩის ბრძანება მოუვიდა, თუ შესაძლებელი იყო, ოთხი ბატალიონი მიეშეელებინა ქართლ-კახეთისათვის. რუსის გენერალმა ამ შემთხვევაში მეტი დამოუკიდებლობა გამოიჩინა და, რადგან სწორად განსაჯა, რომ მეტსა თუ ნაკლებ დამხმარე სამხედრო ძალას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა დანგრეული და ნაცრად ქცეული თბილისისთვის, მხოლოდ ათასხუთასი კაცი და ხუთი ზარბაზანი გამოგზავნა პოლკოვნიკ სიროხნევის მეთაურობით. ეს ჯარი თბილისში დეკემბრის დასაწყისში ჩამოვიდა.

ერეკლე მეფემ და მისმა მოკავშირემ იბრეიმ-ხანმა გადასწყვიტეს, უწინარეს ყოვლისა, ჯავათ-ხანი დაესაჯათ მის მიერ ჩადენილი ღალატისა და ბოროტმოქმედებისათვის. 1796 წლის გაზაფხულზე განჯის სახანოში ყარაბაღელების



ჯარი შევიდა, მას ერეკლემ თავისი ჯარი მიაშველა და ალექსანდრე ბატონიშვილების მეთაურობით. ფეხდამსრუტად ფე თავისი სამეფოს აწეწილ-დაწეწილ საქმეებს აწესრიგებდა და ერთხანს თბილისში ცხოვრობდა კარავში. მაგრამ ის ინსტრუქციებს უგზავნიდა თავის მხედართმთავრებს. ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ერთი მისი დაუთარიღებელი წერილი ქეშიკიბაშ ანუ მეფის მცველთა უფროსის იოანე აბაშიძისადმი: „შენ ხომ იცი, ჩვენ ჯარში ყოფნა როგორ გვინდა. თუ მტრები გამოვიდნენ და ომი მოუხდესთ, თქვენ მინდორზე შებმას ეცადენით, თქვენ თქვენის ძალით ღვთით მიაწეკით, და ზარბაზნები წინ მიიმძღვანეთ. ქვეითი ჯარი იბრემ ხანსაც ბევრი ეყოლება. ცხენიანიც რომ დააქვეითოთ და ისე მიხვიდეთ, ზარბაზნებიც წინ მიიმძღვაროთ და ომი ზარბაზნებს დააცალოთ, ჩვენი გონება ამას უკეთესათ ხედავს, რომ ღვთით ამ გზით შეებათ... ისინი აქეთ-იქიდან ტანებას დაგიწყებენ, თქვენ ზარბაზნის სროლის მეტს ნურას იქთ; ისინი რომ ამაში დაიღალვიან, მასუკან ერთიანად მიაწეკით და ღვთით თან გაიტანთ“.

ჯავათ-ხანმა, ალბათ, იცოდა, რომ ბრძოლის ველზე ქართველ-ყარაბაღელების ჯარს ვერ გაუმკლავდებოდა და ამიტომ განჯის ციხეში ჩაიკეტა. მან იქ შეიტანა დიდძალი ნაძარცვი განძი, რომელიც ერანელებიდან შეიყიდა იაფ ფასებში. ქართველებმა და ყარაბაღელებმა განჯის ციხეს ალყა შემოარტყეს და, თუმცა რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხეს გამოთარეშებული მტრის რაზმები, მაგრამ თვით ციხე ვერ აიღეს. მაშინ ერეკლემ ახალი ჯარი შეაგროვა, გიორგი და იოანე ბატონიშვილები წაიყვანა და პატნეზებითა ანუ ციხის ასაღები მანქანებითა და კიბეებით განჯას მიაღვა. ჯავათ-ხანმა ზავი ითხოვა და ციხის კარები გააღო. ერეკლემ ის არ ინახულა, მხოლოდ ხელახლა ხარკი დაადო, თხოუ-

მეტი ათასი მანეთი წელიწადში, განჯაში მყოფი ათასამდე ქართველი ტყვე წამოასხა და ჯერ თბილისში დაბრუნდა, ხოლო შემდეგ თელავში, სადაც დარეჯანმა დააპატიმრობა იმყოფებოდა. ჩქარა ამის შემდეგ მან ომარ-ხან ავარიელს ჯამაგირის ძლევა მოუსპო.

1796 წლის გაზაფხულზე რუსეთის იმპერიამ ერანს ომი გამოუცხადა. ომის ნამდვილი მიზეზი იყო ის, რომ ალა-მაჰმად-ხანი ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიდა რუსეთის ალექსანდროპოლის გაფართოებას კასპიის ზღვის სანაპიროებზე და, სხვათა შორის, ენზელში რუსეთის გემები და ვაჭრები დაატუსაღებინა. ამას გარდა მან შამახია დაიჭირა და ბაქოს კონტრიბუცია დაადო. მაგრამ თავის მანიფესტში და მიმართვებში ეკატერინე მეორე ამტკიცებდა, თითქო ომის გამოცხადების მთავარი მიზანი საქართველოს, დაღისტნის, შირვანის და ყარაბაღის გათავისუფლება ყოფილიყოს ერანის უკანონო მფლობელის ძალმომრეობისაგან. ბუტკოვი ამბობს, დიდი ეკატერინეს მიერ სპარსეთში ჯარის შეყვანის საგანი იყო არა გამარჯვებათა ამაო სურვილი და არა ისედაც მსოფლიოს უდიდესი იმპერიის საზღვრების გაფართოება, არამედ მას უნდოდა ალა-მაჰმად-ხანის დასასჯელად საქართველოს დარბევა მოემიზებებინა და, უმთავრესად, ჩვენი ვაჭრობისათვის საფუძველი განემტკიცებინა სპარსეთში.

გენერალ-პორუჩიკი ვალერიან ზუბოვის არმიაში დაახლოებით ორმოციათასი კაცი შედიოდა, რომელიც კარგად შეიარაღებული და მომარაგებული იყო პროვიანტით და არტილერიით. ის ორი ნაწილისაგან შესდგებოდა, კასპიის და კავკასიის კორპუსებისაგან. უკანასკნელს გენერალი რიმსკი-კორსაკოვი მეთაურობდა. დაღისტნის და შირვანის ხანები ნაწილობრივ მტრულად შეხვდნენ რუსის ჯარს, ხო-



ლო ნაწილობრივ მორჩილება გამოუცხადეს მას. ^{ხმელთაღმშენებელი} როდესაც რუსები დარუბანდსა და შირვანს იჭერდნენ, ^{ხმელთაღმშენებელი} ალა-მაჰმად-ხანი ხორასანში იდგა სამოციანთასი კაცით და სცდილობდა თურქეთს შეთანხმებოდა, მაგრამ ეს ვერ შესძლო. ერანის შაჰი გაურბოდა რუსეთთან მარტოდმარტო შეტაკებას, ამას გარდა მას ხელ-ფეხს უბორკავდა ხორასნის განდგომა. ბოლოს მან აიღო ქალაქი მეშქედი, სადაც ნადირ-შაჰის ჩამოშავალი უსინათლო შაჰ-როხი ბატონობდა, და ამრიგად მთელი ერანი დამორჩილდა. შაჰ-როხს დიდძალი ალმასის განძი ჰქონდა მიწაში ჩაფლული; როცა ალა-მაჰმად-ხანმა ეს განძი მას ჩამოართვა, უთხრა: 'შენ რომ ამდენი სიმდიდრის გამოყენება გცოდნოდა, შაჰად დარჩებოდი და მე ვერ შევეძლებდი ასეთ სიმალლეზე ასვლასო.'

1797 წლის ნოემბერში განჯას შექის სახანოს მხრიდან ირმსკი-კორსაკოვის კორპუსი მიადგა, ხოლო საქართველოს მხრიდან სიროხნევის ბატალიონები. ჯავათ-ხანმა რუსის სარდალს უბრძოლველად ჩააბარა ქალაქის გასაღები. ამავე დროს კასპიის კორპუსმა დარუბანდი, ყუბა, შამახია და ბაქო აიღო.

რუსები ფიქრობდნენ ბაქოს ნავსადგური გაეწმინდათ და ვაჭრობის მთავარ ცენტრად ექციათ კასპიის ზღვაზე. ამას გარდა ისინი აპირობდნენ ახალი ქალაქი დაეარსებინათ მტკვრის და არეზის შესართავთან, სადაც ახალგაზრდა რუსის ჯარისკაცები უნდა დასახლებულიყვნენ; ცოლები ამ სამხედრო კოლონისტებისათვის სომხებსა და ქართველებს უნდა მიეცათ. საერთოდ, ისინი აღარ მალავდნენ, რომ მათი მიზანი იყო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო შეექმნათ ამიერ-კავკასიაში.



საგანგებო თათბირზე, რომელიც რიმსკი-კორსაკოვმა ერეკლესთან გამართა, მან მეფეს გაუმხილა, რომ მომავალ გაზაფხულში რუსის ჯარი შუაგულ ერანში აპირობდა შეჭრას. გადასწყდა, რომ ქართველი ჯარი დავით ბატონიშვილის მეთაურობით გენერალ ზუბოვს შეუერთდებოდა, ხოლო თვით რიმსკი-კორსაკოვი რუსის ჯარის ნაწილით საქართველოში დარჩებოდა მისი საზღვრების დასაცავად.

ამ ფართოდ განზრახულ გეგმას მოულოდნელად ბოლო მოუღო ეკატერინე მეორის გარდაცვალებამ იმავე 1797 წლის ნოემბერში. პავლე პირველმა რუსის კორპუსებს უბრძანა დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებულიყვნენ, რაც მათ მხოლოდ დიდის გაჭირვებით შესძლეს ცხენების დახოცვისა, შიმშილისა, დეზორგანიზაციისა და დეზერტირობის გამო. კასპიის კორპუსს რუსეთში ხუთასამდე სომხის ოჯახი გაჰყვა, მათ ერანელების შურისძიებისა ეშინოდათ. ეს იყო ერთადერთი სარგებლობა, რომელიც რუსებმა მივიღეთ სპარსეთის ექსპედიციაში გაწეული უზარმაზარი ხარჯების სანაზღაუროდო, ირონიულად შენიშნავს ბუტკოვი.

ერეკლე მეფე და რუსეთის ორიენტაციის ხანები, რუსების ჯარის გაწვევის შემდეგ, სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ამას ზედ დაერთო შიმშილობა და შავი ჭირი, რომელიც განსაკუთრებით აზერბაიჯანში მძვინვარებდა. იქიდან ხალხი მასიურად აიყარა და კახეთს მოაწყდა.

ალა-მაჰმად-ხანმა დალისტნისა და აზერბაიჯანის მფლობელებს ფირმანი გამოუგზავნა. ის სწერდა: თქვენ იცით, რა წარმატებას მივალწიეთ ხორასანში: რუსებს შეეშინდათ ჩემი ძლევამოსილი ჯარისა და უკან გაბრუნდნენ დამფრთხალნი და არეულ-დარეულნი; მერწმუნეთ, ჩქარა აზერბაიჯანში გავჩნდები და ყველგან მოწყალეებას მივაგებ მორჩილთ, ხო-



ლო მოწინააღმდეგეთ სასტიკად დავსჯი. ამას გაცნობებთ
 რათა დროზე გამოარკვიოთ ვინ ხართ ჩემი ერთგული.

ალა-მაჰმად-ხანმა აღარ დააყოვნა თავისი მუქარის განხორციელება. 1797 წლის გაზაფხულზე მან თავისი მხედრობით გადმოლაზა არეზი და ყარაბაღს შეესია. იბრეიმ ხანი არ ელოდა ასეთს სწრაფს თავდასხმას. მან მხოლოდ არეზის ხიდის ჩაშლევინება მოასწრო, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია ერანელებს და ბელაქანში გაიქცა. ალა-მაჰმად-ხანი შუშაში შევიდა და იბრეიმის უფროსი ვაჟის სასახლეში დასახლდა. შემდეგ მან მოიწვია ნაკლებ საიმედო და ორგული ხანები და მათს გასამართლებას შეუდგა. მან ზოგიერთ მათგანი მოაკვლევინა, ხოლო ზოგიერთი სატუსალოში ჩაასმევინა სიკვდილით დასჯის მოლოდინში. ამავე დროს ერეკლე მეფეს ფირმანი გამოუგზავნა. „ჩვენის დიდებულების ბრძანება არის, უმაღლესო საქართველოს ვალი, ერეკლე ხან! ჩვენის ხელმწიფობის ბრძანებით შენი თავი ამაღლდეს! ასე იცოდე, რომ რუსეთის საქმე და ცხოვრება ყოველ ქამს ალებ-მიცემა, ფაქრობა ბაგრატიისა და მაუდის სყიდვა არის; არასოდეს იმათგან ჩრმლისა, შუბისა და ომის იარაღის მოხმარება არას კაცს არ უნახავს. გაბედეს და ჩვენის დაქვრილის ქვეყნის საზღვარში შემოვიდნენ. ამათი გადახდევინება და ამოწყვეტა ჩვენს მალაღს გონებაში გამოვისახეთ და ჩვენი ბედნიერი დროშები აქეთს მხარეს გამოემართა. იმ რუსებმა რომ ჩვენის ბედნიერის დროშების ამ მხარეს წარმომართვა გაიგონეს, თავიანთი საძაგელის ადგილებისაკენ დაბრუნდნენ... ეს ჩვენი ფირმანი შენ მოგვევლინება, რომ ჩვენის ხელმწიფობის კარები შენს საწადელს პირზედ ღია გეგონოს და როგორც ერთგულების რიგი და ჩვენის ხელმწიფობის წადილი არის, იმის მსგავსად სამსახურის



გზაზედ უნდა დასდგე; ან შენ და ან ერთი შენგან დასდგე-
 დამ, დიად იმედიაანათ და ხათრიჯამობით ჩვენის ხელმწი-
 ფობის კარზედ მოხვიდეთ და ჩვენგან ფერადი წყალობა
 მიილოთ; და თუ რაც გვიბრძანებია, იმას გარდახდი, და რო-
 მელიც გვიბრძანებია, ასე არა ჰქმენ, შენ იცი“.

ამ მჭერმეტყველური, ყოველ ორაზროვნებას მოკლებული
 მუქარის წერილის მიღებამდე ერეკლე მეფემ გარსევან ჭავ-
 ჭავაძის მეშვეობით პავლე იმპერატორს სთხოვა, ორი-სამი
 წლით ოთხი ათასი რუსის ჯარისკაცი დასტოვეთ საქართვე-
 ლოში, ვიდრე საკუთარ ძალას შევიმატებთო. თვით გარსე-
 ვან ჭავჭავაძეს ერეკლე მეფე ატყობინებდა, ალა-მაჰმად-ხანი
 ისევ ჩვენს წასახდენად წამოვიდა, დიდად შესაწუხებელ
 მდგომარეობაში ვიმყოფებით, მაგრამ იმედი გვაქვს რუსე-
 თის უძლეველი მხედრობით და ჩვენი ჯარით მტერს საკა-
 დრის პასუხს მივცემთო. რადგან რუსები ხშირად სურსათის
 სიძვირეს და ნაკლებობას უჩიოდნენ, მეფე თავის წერილში
 აღნიშნავდა: „აქ თუმცა პური თბილისში პული ორ მინალ-
 თუნ ხუთ შაურად გაიყიდა. რამდენსამე ხანს და ახლა ორ
 მინალთუნად იყიდება, მაგრამ რუსეთის მხედრობანი კი
 პურს ისევ ცხრა შაურათ ყიდულობდნენ და ყიდულობენ,
 ორი თვისაც ნასყიდი აქვთ და სხვაც მრავალი მოსლით სას-
 ყიდელი, რომლითაც კმანი არიან“.

პავლე იმპერატორმა უყურადღებოდ დასტოვა ერეკლე მე-
 ფის თხოვნა; განჯიდან მომავალი კავკასიის კორპუსის უკა-
 ნასკნელი ნაწილები თბილისიდან უკვე გასული იყვნენ, ხო-
 ლო სიროხნევის ბატალიონები გაურკვეველ მდგომარეობაში
 იმყოფებოდნენ, რადგან მათ დაცდის ბრძანება მოუვიდათ,
 მაგრამ სამხედრო მოქმედების ბრძანება არ ჰქონდათ. ამ-
 რიგად ქართლ-კახეთის სამეფო ისევ განმარტოებული იდგა

ერანის მბრძანებლის პირისპირ, როცა ერეკლე მეფეს შუ-
შიდან ალა-მაჰმად-ხანის სიკვდილის ამბავი მოუვიდა.

ალა-მაჰმად-ხანს ეძინა, როცა ოთხ იენისს გათენებისას მის
საწოლ ოთახში სამი შეთქმული შევიდა მისი ცხენოსანი ჯა-
რის უფროსის სადიკ-ხანის თანხმობით. მას ჯერ გული
გაუგმირეს, ხოლო შემდეგ თავი მოსტრეს მისივე ხანჯლით.
ამტკიცებენ, თითქო ალა-მაჰმად-ხანი სიკვდილის წინ ერთი
წუთით ზეზე წამოწეულიყოს და წამოეძახოს: „უბადრუკო,
შენ ერანი მოჰკალი!“ მაგრამ ეს ცნობა საეჭვოა: ერანელი
შაჰების მსახურები ისეთი ცუდი ოსტატები არ იყვნენ,
რომ მათ თავიანთი მსხვერპლისთვის, და ისიც მძინარი-
სათვის, პატრიოტული შეძახილების შესაძლებლობა მიეცათ
ყელის გამოდადვრის დროს.

სადიკ-ხანი მაშინვე მოკლულთან შეეარდა, თითებზე
ძვირფასი ბეჭდები წააძრო, თვლებით მორთულ ჯიდას
დაეპატრონა და თავისი ჯარით თავრიზისაკენ წავიდა. სხვა
მხედართმთავრებიც შეეცადნენ რაიმე გაეტაცნათ თავიანთი
მბრძანებლის ქონებიდან. სამი-ოთხი საათის შემდეგ შუშა
დაცარიელდა, ერანელების მხედრობამ უწესრიგოდ დაიხია
თეირანისკენ.

თბილისში ეს სასიხარულო ამბავი, რომელიც აქ ყარაბა-
ლის სომხების მეღიქის მალემსრბოლმა მოიტანა, დიდის ზე-
იმით იღღესასწაულეს. ერეკლე მეფემ და მისმა მემკვიდრემ
თითქმის მთელი თავისი პირადი ქონება ქალაქის ხელახლა
ასაშენებლად გადასდეს, ხოლო თვითონ თელავში გადავი-
დნენ. თეირანის ტახტზე დაჯდა ალა-მაჰმად-ხანის ძმისწული
ბაბა-ხანი, რომელმაც ელჩი გაუგზავნა პავლე იმპერატორს,
მას გამეფება მიულოცა და თავისი გაყენება აუწყა. პავ-
ლემ შაჰის ელჩი პატივისცემით გაისტუმრა, მხოლოდ ჩა-



აგონა, ბაბა-ხანმა უარი უნდასთქვას ყოველივე პრეტენზიებზე ქართლ-კახეთის სამეფოსა, დარუბანდისა, ბაქრსა და სხვა ვანის მიმართ. ამის შემდეგ ქართლ-კახეთში მშვიდობიანობა დამყარდა, მხოლოდ, საუბედუროდ, განჯიდან შავი ქირი შემოვიდა.

XXVII

ერეკლე მეფის დასასრული

თელავში მოხუცმა მეფემ მხოლოდ სამი წელიწადი იცოცხლა. ბოლო დროს ის მძიმედ დასნეულდა წყალმანკით, რამაც მას სიცოცხლე მოუსწრაფა. მაგრამ უკანასკნელ წუთებამდე მას შერჩა გასაოცარი სულიერი ენერჯია და ზნეობრივი ვალდებულებების შეგნება, რაიცა მას ახასიათებდა მთელი მისი ხანგრძლივი და ქარიშხლიანი ცხოვრების მანძილზე. და როცა ის გარდაიცვალა, ხალხს შეიძლება მართლაც ეგონა, მიჰრულებია და ხელახლა გაიღვიძებს, რათა ერთხელ კიდევ მტერს შეუტეოსო.

თვით 1797 წელს, როდესაც ერეკლე მეფეს წინ მხოლოდ ერთი წლის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, ის თელავიდან ყოველი მიმართულებით თვალყურს ადევნებდა თავის სახელმწიფოს და განკარგულებას აძლევდა უფლისწულებსა და სახელმწიფოს მოხელეებს. თითქმის ოთხმოც წელს მიღწეული მეფე თვითონაც მზად იყო ხელახლა ამხედრებულყო, ის სხვებისაგანაც მუდმივ მზადყოფნას მოითხოვდა: „ყველა სოფლებში ასე აცოდინე, — სწერდა ის ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელიც იმ დროს ქიზიყში იყო, — ყოველთვის მომზადებული იყვენ ჯარში გამოსვლისთვის ცხენითა, იარაღითა და ფეხსაცმელითა და საგძლითა. იქნება ათს

დღეზედ დაუძახოთ, იქნება ოც დღეში დაუძახოთ, ^{გხეც} იქნება ერთი თვის უკან დაუძახოთ, ასე გამზადდებულნი იყვნენ, რომ ასე ყოველთვის მოელოდნენ დაძახებანა. ^{მეცხე}

მეორე, უფრო გვიან დაწერილ წერილში ის იმავე ფარნაოზ ბატონიშვილს ურჩევდა, თვალყური ადევნე ხუნძახის ჯარის მოძრაობას, ყარაულები არ მოშალო, მზვერავება: გაგზავნე, ყოველივე დაწვრილებით შეიტყვე და გარჩევით მოგვწერო. სხვა წერილებში ის განკარგულებას იძლევა, ქუდზე კაცის გამოყვანის, ულუფისა და ტყვია-წამლის გაცემის, პურის მომარაგების, არამეომარი მოსახლეობის და საქონლის გახიზვნის, დეზერტირების მკაცრად დასჯის და სხვა საკითხების მოსაწესრიგებლად. „თუ მანდ ჯარისკაც გამოგპაროდეს ვინმე, ან თავადი ან გლეხი, ავად მოეპყარ და ისევ მოაყვანინე. შენი ძმისწული იოანე მთის ჯარებით და გაღმა მხარის ჯარით ყვარელში გამისტუმრებია და ჩვენც ჩვენი შვილებით და ჩვენის სრულის ძალით, ღვთით, ამ რამდენსამე დღეზედ მანდ თქვენთან ჩამოვალთ“.

მაგრამ ერეკლეს აღარ ეწერა ბრძოლის ველზე გასვლა. როცა ყვარლის ციხეს თავისი ჯარებით ომარ-ხანი მიადგა, ლეკთა ბელადის ძველი მოწინააღმდეგე სარეცელს იყო შიკრული, მას კი ამ უკანასკნელის შვილიშვილი, ახალგაზრდა იოანე დახვდა. ომარ-ხანმა ვერ შესძლო ყვარლის ციხის აღება, მუკუხანი და ველისციხე მოაწვევინა და ჯერ შაქში გადავიდა, ხოლო შემდეგ ავარიამში.

სიკვდილის წინ ერეკლე გიორგი ბატონიშვილმა ინახულა. მეფეს თავისი მემკვიდრის ნახვა ძალიან გაუხარდა, მაგრამ ის დაუყოვნებლივ თბილისსა და ყაზახში წარავლინა, რათა იქაური საქმეები მოეწესრიგებინა. თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც ავადმყოფ პაპას უვლიდა, ამბობს, გარდაცვალების დღეს, 1798 წლის იანვრის თერთმეტს, ერეკლე სამი



საათის განმავლობაში უგრძობლად იდო. დაღამებულ შემს-
 ცოტათი გამოცოცხლდა და მსახურებს უბრძანა: „მხარეებში
 შესდგომოდნენ და გარეთ გაეყვანათო. სახლში შემობრუნე-
 ბისთანავე დაწვა და მაშინვე სული განუტევაო. თეიმურაზის-
 ვე მოწმობით ის იმავე პალატსა და იმავე საწოლში გარდაი-
 ცვალა, სადაც დაბადებული იყო.

როდესაც ხალხმა ერეკლე მეფის სიკვდილის ამბავი გაი-
 გონა, ის ყოველი მხრიდან თელავს მიაწყდა, რათა მის ცხე-
 დარს გამომშვიდობებოდა. მეფის გვამი რამდენიმე დღეს სა-
 სახლის მთავარ დარბაზში ესვენა ამბიონზე, რომელზედაც
 ძოწეული იყო გადაფარებული. მიცვალებულის მარჯვენა
 მხარეს ძვირფას ბალიშზე სამეფო ნიშნები ეწყო, ხოლო
 მარცხნით დედოფლის სამკაულები. დარბაზის ერთ მხარე-
 ზე თეთრ საბურველში გახვეული სეფექალები ისხდნენ,
 ხოლო მეორეზე — კარისკაცები გადატეხილი კვერთხებით
 ხელში. ფანჯარაში მოსჩანდა მეფის უკუღმა შეკაზმული
 ცხენი, რომლის აღვირი თავშიშველ და მიწაზე მჯდომარე
 მეუზანგეს ეჭირა. „ხოლო მოვიდა დედაკაცი ვინმე მაშინ
 ქიზიყისა მცხოვრებთაგანი. თუმცა იყო იგი მდაბიოთა
 ერისაგანი, მაგრამ ცნობილი მეფეთა მიერ და შეწყყნარებუ-
 ლი კარსა ზედა მეფისასა. ყოველთა მიეპყრათ ყური მისდა
 მიერ და განუკვირდებოდათ თუ ვითარ ერთმან სოფლელ-
 მან დედაკაცმან დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა. თუმ-
 ცა მრავალმან იტირა გვამი მეფისა შესაბამისად, გარნა ორნი
 მათ შორის აღმატეს სხვათა: ერთი მდივანი მეფისა სოლო-
 მონ მსაჯული, რომელიც იყო განსწავლული და პატიოსანი,
 და მეორე ქვრივი. იგი ქიზიყელი“ (თეიმურაზ ბატონი-
 შვილი).

სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობას ღებულობდა
 ქართველი ჯარი თავისი დროშებითა და ქვემეხებით. მეორ-



მოცე დღეს ერეკლეს ცხედარი მცხეთაში წაასვენეს დღეს
 სვეტიცხოვლის ტაძარში დაასაფლავეს. დარეჯანმა დედოფალმა
 ლი, რომელიც გულწასული ძირს ეშვებოდა, როცა მას მი-
 სი ქმრის თანამოსადაე მეომრები მიუტირებდნენ ხოლმე, სა-
 მგლოვიარო პროცესიას მცხეთაში არ გაპყოლია; ის თელავში
 დარჩა, რათა თავისი პოლიტიკური გეგმები განეხორციელები-
 ნა. მას უნდოდა ცოტა ხნით თელაველი ეკატერინე მეო-
 რის როლი შეესრულებინა, რათა შემდეგ თავისი ღვიძლი
 შვილებისთვის ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი უზრუნველ-
 ეყო. იყო მომენტი, როცა დარეჯან დედოფალი და ფარნა-
 ოზ ბატონიშვილი ძალით ფიქრობდნენ ხელისუფლების და-
 პატრონებას; მაგრამ მათი მიმდევრები გაუბედავი აღმოჩნ-
 დნენ; დედოფლის რჩეული რაინდი და ამილახორი ოსეფა
 ყორღანაშვილი მისვე კალთას ამოეფარა, როცა გიორგი ბა-
 ტონიშვილმა უჩვეულო ენერჯია და სიმკვირცხლე გამოიჩი-
 ნა და ბატონიშვილებსა და დიდებულებს თავისი ერთგუ-
 ლების ფიცი მიაღებინა. ამის შემდეგ მეფე გიორგი მეთორ-
 მეტე და დარეჯან დედოფალი თბილისში გაემგზავრნენ,
 სადაც შავი ჭირი უკვე განელეებული იყო.

ამ დროს კი ქართველი ხალხი დიდის გულისტკივილით
 გლოვობდა თავის საყვარელ გმირს:


ვერ გაიგეთა, ქართველნო, შეგესხნათ რკინის კარია,
 აღარ გუფთ ნეფე ერეკლე, არც მისი სამარია,
 დამღვარა ბაირანები, აღარ ჭეხს ზარზაზანია!
 ცხეთას დგას თეთრი საყდარი, გვერდზე ჩაუღის მტკვარია,
 შიგა დგას ოქროს ლოგინი, შიგ ნათობს კელაპტარია,
 შიდა დგას კუბო ოქროსი, გამოსახული გევარია,
 კუბოში ჩაუწვენიათ ბაგრატიონთა გვარია.

*ქუთაისი
 მთავრობა*



ასე გარდაიცვალა და გამოტირებულ იქნა საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფე, რომელმაც ყოველივე მისი ძალისხმევითა ქართველი ერი სამშვიდობოზე გაეყვანა და მისთვის მომავალი კულტურული განვითარების გზები უზრუნველყო. მეცხრამეტე საუკუნეში იყო მომენტები, როდესაც მის დამფასებლებს ეგონათ, რომ დიდმა მხედართმთავარმა გამოუსწორებელი პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა, როცა თავისი ქვეყნის ბედი ორთავიან არწივს ჩააბარა. მაგრამ დღეს, თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან, ჩვენთვის ნათელია, რომ ის პოლიტიკაშიც უფრო შორსმჭვრეტელი ყოფილა ვიდრე ზოგიერთ ეგონათ.

ქართველმა ერმა მას საალერსო სახელი, პატარა კახი უწოდა. ის შედარებით პატარა იყო თავისი ტანით, მაგრამ თავისი ანთებული სულით, თავისი პოლიტიკური და სამხედრო გენიით თითქო უფრო ფართო სოციალური გარემოცვის მასშტაბზე იყო გამოჭრილი და უფრო დიდი ეპოქის წინამორბედს წარმოადგენდა.




შინაარსი

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა	83- III
I. კახეთის სამეფო	7
II. თეიმურაზ I	12
III. ერეკლე I. ფახტანგ VI	20
IV. ერანის დაქვეითება	31
V. პატარა კახის სიქაბუჯე	35
VI. ნადირ-შაჰი	40
VII. პატარა კახი ნადირ-შაჰთან	46
VIII. შანშე ერისთავი	56
IX. გივი ამილახერის აჯანყება	60
X. თეიმურაზის და გივი ამილახერის ბრძოლა	69
XI. თეიმურაზ მეფის დაგვირგვინება	75
XII. ერეკლე და აბდულა ბეგი	80
XIII. ბრძოლა ფანა-ხანის, ჰაჯი ჩალაბის და აზატ-ხანის წი- ნაღმდევ	88
XIV. ანტონ კათოლიკოსი	101
XV. გლეხკაცობის მდგომარეობა	108
XVI. ქართლ-კახეთის ეკონომიური მდგომარეობა	118
XVII. ასპინძის ბრძოლა	131
XVIII. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები	144
XIX. მორიგე ჯარი, ლეონ ბატონიშვილი	153
XX. ალექსანდრე ბატონიშვილის შეთქმულება	163
XXI. კულტურული ღონისძიებანი	172
XXII. სოლომონ ლეონიძე. ქალაქის მართვა-გამგეობის რეფორმა	181
XXIII. რუსეთის პროტექტორატი	186
XXIV. საქართველოს გაერთიანების ცდა	199
XXV. კრწანისის ბრძოლა	209
XXVI. კრწანისის ბრძოლის შემდეგ	222
XXVII. ერეკლე მეფის დასასრული	230



ასე გარდაიცვალა და გამოტირებულ იქნა საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფე, რომელმაც ყოველივე ილია, რა თა ქართველი ერი სამშვიდობოზე გაეყვანა და მისთვის მომავალი კულტურული განვითარების გზები უზრუნველყო. მეცხრამეტე საუკუნეში იყო მომენტები, როდესაც მის დამფასებლებს ეგონათ, რომ დიდმა მხედართმთავარმა გამოუსწორებელი პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა, როცა თავისი ქვეყნის ბედი ორთავიან არწივს ჩააბარა. მაგრამ დღეს, თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან, ჩვენთვის ნათელია, რომ ის პოლიტიკა-შიც უფრო შორსმჭვრეტელი ყოფილა ვიდრე ზოგიერთთ ეგონათ.

ქართველმა ერმა მას საალერსო სახელი, პატარა კახი უწოდა. ის შედარებით პატარა იყო თავისი ტანით, მაგრამ თავისი ანთებული სულით, თავისი პოლიტიკური და სამხედრო გენიით თითქო უფრო ფართო სოციალური გარემო-ცვის მასშტაბზე იყო გამოჭრილი და უფრო დიდი ეპოქის წინამორბედს წარმოადგენდა.



შინაარსი

	გვ.
მეორე გამოცემის წინასიტყვაობა	III
I. კახეთის სამეფო	7
II. თეიმურაზ I	12
III. ერეკლე I. ვახტანგ VI	20
IV. ერანის დაქვეითება	31
V. პატარა კახის სიჭაბუკე	35
VI. ნადირ-შაჰი	40
VII. პატარა კახი ნადირ-შაჰთან	46
VIII. შანშე ერისთავი	56
IX. გივი ამილახვრის აჯანყება	60
X. თეიმურაზის და გივი ამილახვრის ბრძოლა	69
XI. თეიმურაზ მეფის დაგვირგვინება	75
XII. ერეკლე და აბდულა ბეგი	80
XIII. ბრძოლა ფანა-ხანის, ჰაჯი ჩალაბის და აზატ-ხანის წი- ნაალმდეგ	88
XIV. ანტონ კათოლიკოსი	101
XV. გლეჯაკობის მდგომარეობა	108
XVI. ქართლ-კახეთის ეკონომიური მდგომარეობა	118
XVII. ასპინძის ბრძოლა	131
XVIII. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები	144
XIX. მორიგე ჯარი, ლეონ ბატონიშვილი	153
XX. ალექსანდრე ბატონიშვილის შეთქმულება	163
XXI. კულტურული ღონისძიებანი	172
XXII. სოლომონ ლეონიძე. ქალაქის მართვა-გამგეობის რეფორმა	181
XXIII. რუსეთის პროტექტორატი	186
XXIV. საქართველოს გაერთიანების ცდა	199
XXV. კრწანისის ბრძოლა	209
XXVI. კრწანისის ბრძოლის შემდეგ	222
XXVII. ერეკლე მეფის დასასრული	230

პ/მგ. რედაქტორი **ო. თავაძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VII-1942., უშ 9243. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 14^{3/4}. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 26.400. შეკვეთის № 912. ტირაჟი 4000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. უორესის ქ., 5.

ფასი 9—60 კ.
შლა 0—40 კ.

10 მ.ბ.



407
1854

ГЕРОНТИ КИКОДЗЕ
ИРАКЛИЙ ВТОРОЙ

—————
(на грузинском языке)

—————
Госиздат Груз. ССР
Тбилиси
1942